

3/69



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მნათობი



11-12

2002

მნათობი

წელიწადი 78-ი

№ 11-12

2002 წელი

საპარტეზლოს მფარველთა კავშირის ორგანო

დაბეჭდვები:
 საქართველოს მწერალთა კავშირი
 და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია

შინაარსი

პოეზია, პროზა

გივი ბარბაია - ლექსები.....	3
ანდრო მუხრანია - არსადღან ხმა. რომანი.....	6
მარიამ ქიქიძური-ნიკლაური - ლექსები.....	62
გიორგი ავაუაშვილი - დაუმთავრებელი რომანი.მოთხრობა.....	64
გიორგი მუმლაძე - წამი, ძველი მარადისობა. ნოველა.....	71

კრიტიკა, ავალიზისტიკა

მაია ქიგუა - „ენა მწერლის ბალაპარია...“ (მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ქართული ენის შესახებ).....	74
შოთა ვადაძორია - თბილისი, ჩვენი დედათბილისი.....	79
ლევან მდივანი - დრო არსებობა.....	84
ლევან შამურაშვილი - მუსიკა - ტრაგიკული საწყისი.....	87

თარიღები

ლადო ასათიანი-85

აპაკი ხინთიბიძე - „რითმა ლამაზი ოძროს ფასია...“.....	89
--	----



ინფორმაცია

შინაარსი

(გავრცელება)

მეცნიერება

ფდარიშვა გოგოლაძე – სტრაგონის ცნობა იკერიის (ძარღვის)	
მოსახლეობის პირველი გენეზისა და სამეფო ტახტის	
გვამკვიდრების წესის შესახებ	98
ვასტაბე ითონიშვილი – ვახუშტი გაბრატიონი დვალეისა და	
დვალეთის შესახებ	116
დალილა ბაღიანიძე – „ათას ერთი ღამე“ და ქართული ხალხური	
ზღაპრები	120
ნოზაძე გარეთია – სამი სტილი ანუ სამი მშვენიერება სპარსული	
მწერლებისა	124

ხელნაწები

მანანა ბაგაქიორი – ზინა კვიციანიძისა	131
ეთარ ლონდარიძე – ანა კალანდიაძის პოეზია მუსიკაში	137
ქურნაღ „მნათობის“ 2002 წლის ნომრების შინაარსი	145

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11

სტრუქტურული მონიტორინგი

12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58
59
60
61
62
63
64
65
66
67
68
69
70
71
72
73
74
75
76
77
78
79
80
81
82
83
84
85
86
87
88
89
90
91
92
93
94
95
96
97
98
99
100

მეცნიერები

85 მთავარი რედაქტორი
 თამაზ ჭილაძე

- სარედაქციო საბჭო:
- მარიამ აგიაშვილი
 - ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
 - აკაკი მინდიაშვილი
 - მანანა მიქელაძე
 - მზია შატბერაშვილი
 - ვაჟა ჩორდელი



მშობლების სახლი

მარადიული — წასვლა კი არა,
დაბრუნებაა მარადიული:

კენესის ბაეშეობის ყველა იარა,
სულიც ეჭვებთან მართავს დიალოგს,
მყოფობის არსში წვდომის ცდა —

ფრთებს ღლის,

მაგრამ ჩაწვდომა — ხელახლა გამლის.

მიცლანება წაქცეულ ღვლებს

შტო სიმაღლისკენ. შრიალებს ვაშლი.

წამით ყოვნდება ენგურის ტოტი,

თუ არც ყოვნდება? —

ღვლებით გარბის.

საშხაღს გასცდება და ჩრდილი ოდის
კორდს აუყვება — ფრთხილი და... ხარბი:
ხელს აფათურებს ბინდის უბეში
და ღამის ენებას თრთოლვით ნებდება,
რომ...

მზემ კვლავ გახსნას ფარდა ნუგეშის
და გადამალოს დილა ედემად
და დამაჯეროს — წასვლა კი არა,
დაბრუნებაა — მარადიული:
სხვა რომანტიკით ანთებს იარებს
და მარტოსულის —

ეჭვთან დიალოგს.

კახეთი

ფოთოლცვენის სიმყუდროვეში

ფოთლებს სული ისე ღამზაღ
მიფრინავს ცისკენ, რომ... გული მწვდება.

და კეფურები ჩქერზე ალაზანს,
ფრთებად არეკლილ ჩრდილების წყებას
რომ მიაქროლებს, ჯომბორის ქარიც
დარაიების იმშენებს ზაღებს.

მერე გამოვა კახეთის მთვარე

და საღამს მეტყვის მე —

ტომით ხალიბს,

შორს ვადამიყვანს: ხილვა — კოლხეთი
გადამშლება ზღვის სივრცედ თვალწინ,
ტალღებს ასწვდება ტალღა ნობივით
და ამიტაცებს თვის ჯუფოს და...
ნაწილს.

და სულ ახლოა უფლის სიწრფელით
განათებული კოსმოსი მაშინ.
ალაზნის პირას ახლად ვიწყები,
როს ფოთოლცვენის ენებერობ ზღვაში.

განდგომა

ანუ კომეროსის გაკვეთილი

მე აქილევსი მასწავლის: — ჩემი გემიდან გაემზერ
ღმერთებს, რომლებმაც მიმუხთლეს

და გამოიტყუეს განზე.

როს ბრისეისის სინათლემ გამაბრწყინა და კვირძრე,
რომ მზის ქვეშ სიყვარულია ყველაზე დიდი სიბრძნე.
ფიქრში მყოფობის ქარავმა ბინდს იცილებდა — ყველა,
მებრალეობდა გულწრფელად, ვინც ჩემმა ზმალმა ცეცა,
რამეთუ ქალი შუქურად წინ-წინ წამიძღვა დაღლილს,
მსგავსთა კელითა და სისხლის ღვრით, —

სხვა ცის გამებსნა თალი:

ღილით აღერხით ამავსო და მერე ზღვის პირს გაკვეცა,

მივდიე. ვკრეფდით, ერთმანეთს ეკუმვედით მწიფე მავვალს
 და მის მოთხუბნილ ბაგე-პირს ვეწაფებოდი. მერე
 გავრბოდით — სულზე ვივლებდით ცისა და მიწის ფერებს
 და სისხლით ყრუოლით ერთვოდა ჩიტთა გალობა-წიაკს
 სრულყოფის უნეტარესი გაყვეთილების წიაღ,
 და ოდეს გაოცებული მზერით დაგვებდა მთვარემ,
 მგონი, შემინდნენ ღმერთები — კვლავ დამიბრუნეს არეს.
 მე აქილევსი მასწავლის: — ჩემი გემიდან ვაემზერ
 ღმერთებს, რომლებმაც დამსაჯეს და გამიტყუეს განზე...

სულის მოძრა ანუ წარმოსახვის ცდომილებაში

1

ცვალებადობის მარადი ხიბლით
 მე კვლავ ლაყვარდში ავეყვარ დილას:
 აეცდი პალმების ჩრდილებს, მიმოზებს.
 მზერას გამოჰყვა ზღვა, ზეცის კბილა,
 ღრუბლის ერდოზე ფათურობს ქარი
 და მიწას... ფაფუკ მწვერვალებს უშენს,
 ვით სოულის გუნდებს. გადაუხრა მზერას
 და მზის მტრედებად აღვიქვამ ნუშებს.

2

მე ზღვამ გამზარდა, ზღვა მეფერება,
 ზღვის ავედეკენე დაფერდილ კიბეს:
 სხივის ხარდანზე აყრულ ჩქერებში
 ვკრიფე ათასი ვარსკვლავი მწიფე...

3

გადამლილია სული ზღვასაკით,
 რომ აირეკლოს სიღრმიდან მისი
 ხმა იდუმალი, რომელიც ზემოთა
 ღაღადად ანუ ღუმიღად ისმის.

4

მელამუნ-მეაღერსება მზე, არ ყოუნდება წამით,
 ფთილაც კი არ კრთის ცარგვალზე,
 სხივთა არ ისმის ჩქამი,
 ზღვა, გატრუნული, ცახცახებს —
 მდუმრიად მიხმობს, მიხმობს,
 მეც — ვერწყმი მთელი არსებით...
 ზეცის მოვისხამ ქლაძინდს.

5

ლაყვარდს — ტალღების ქარგაზე
 ჭრის, ლამბავს, კერავს ფრთებით
 მერცხალი: შეჰყრა კამარა.
 გულო, შენ რატომ კრთები?..

6

მინდა გავეძე — შეჩვევას, კვლავ გაოცება მინდა:
 ფეხქვეშ გავივლებ ვნებისგან თვალუმბინუდილ მინდორს,
 მზეს ჯუშთან დაველოლები, ერთად შევევებით მერე
 სვედიან სერებს. იქუნებს — სახეს მიეუშვერ მერებს.

7

ჟამის ნაფლეთით შევიხვეე სისხლმოთქრიალე
 ჭრილობა სულის: დრო კურნავსო ყველაფერს, —
მაგრამ

ჯერ გამოყონა სახვევიდან, გამოანათა მერე
 თანდათან და უსაშველოდ ამტკივდა ისევ —
 სოხუმი... გალი... ოჩამჩირე... გულრიფში... გაგრა...

8

ტალღებს ცხუმისყენ მოუხარიათ.
 მხრებს იმშრალებენ შზის პირსახოცით.
 კერწები გვიან სხივებს დახოცილთ.
 უფრო — ლოდების მაკეტ-ვარიანტთ.
 ძველი ხერხია — გადამაქვს განზე
 ტკივილის სიტკბოც და ჯოჯოხეთიც:
 — ღმერთო, ჩემს ტანჯულ მხარეს მოხედე,
 ახლა რომ ცრემლის პრიხმიდან გავმზერ!

9

მე ზღვა მომტაცებს... და ფანჯარასთან
 მთა მიაწატა მზემ ზეცის ფარდას
 და ყოველღამე ვესწრები შოუს —
 კლდეს ფლეთს ეშვები ანთებულ ფართა.
 და კლდეც ქრება და ისევ ცოცხლდება,
 როგორც პრომეთეს უკვდავი ღვიძლი
 და, ეკრანივით, უკუმოაფენს
 ჩემს გაუსაძლის ძილსა და ღვიძილს.

10

ჩემი გულიდან დანახულ ქედებს,
 ხდება — ანაზად ვადარებ ედემს,
 რადგან, ჩემგანვე, მათ ეფინება,
 თვალო, რაც გულში სინათლე აქეტე.

11

აქეთ — სალი კლდე, იქით — ჭაობი,
 მირბის ლალიძგა, თავს რომ უშველოს.
 შენ დავაეიწყდა, რაზე დაობდით,
 რას აყვედრიდნენ თელას უშვილოს,
 ყველა ტოტით რომ პირჯვარს იწერდა
 და მზეს ჩურჩულით შესთხოვდა შველას.
 ... წყალში კი არა, სულში ირწყვია
 და შენს სისხლს მისდევს მარტოხე — თელა.

არსაიღან ხმა...

რომანი

უფალო ღმერთო, რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.
ტერენტი გრანელი

ნანილი პირველი

1

ჩამოსასხმელი ლუდის ჯიხურთან სამი მაგიდა მიეკოსებინათ. ერთ-ერთ მაგიდასთან ორნი იდგნენ, კაცი და ქალი. წინ ლუდის კაბები ედგათ. ნელ-ნელა წრუპავდნენ. კაცი ქანაობდა, მაგიდას მიხუტებოდა, იმითლა იმაგრებდა თავს. ქალს უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი. ჩანთიდან არყის ბოთლი ამოიღო და ლუდში ჩაუშვა. რომ შესვა, ისიც შექანავდა. მალე ორთავე ძლიერ მთვრალი ჩანდა. ქალს წითური სახე ჰქონდა, ანთებული თვალები, უბუები ხშირი სმისგან ჩასისხლიანებოდა.

მეორე მაგიდის ქვემოთ ნვერმომეხვეული მანანწალა იწვა. თავზე გაზინთული ქურქი წამოეხურა და ეძინა. მოშორებით, ტყის კიდესთან, ტალახში ამოგანგლული სხვა მანანწალა ხესთან მიმდგარიყო და შარდავდა.

— დააყოლე ქათმის ფეხი! — უყვირა ქალმა კაცს. — ძალიან კი მოგეკიდა...

— ამერიკული ფეხები შენ მიირთვი... — ნაილულულა კაცმა.

— საკუთარი ფეხები თუ არა გაქვს, მაშინ კი, არა უშავს რა! — გამოსძახა ხმელ-ხმელმა, ასე ორომცს მიტანებულმა მამაკაცმა, რომელსაც არც შავგვრემანი ეთქმოდა და აღარც ქერა, გაურკვეველი ეროვნებისა ჩანდა. კათხით ლუდი ედგა მაგიდაზე. — ასეა, ასე. — განაგრძო მან: — ამერიკა გამოგონებულთა ქვეყანაა. აი, მაგალითად, ამერიკამ მსოფლიოს ასწავლა, ერთ სკამზე დაჯდებიან, მეორეზე კი ფეხებს დააწყობენ. ხომ დიდებული გამოგონებაა? — ხმაში ცინიკური ტონი შეეპარა არც შავგვრე-

მან და არც ქერა მამაკაცს. მანანწალები სულგანაბლნი უგდებდნენ ყურს, ცივი, მრისხანე გამოხედვა ჰქონდა და ხმის გაცემას, შეპასუხებას მოერიდნენ.

მანანწალას, რომელიც ხესთან მიმდგარი შარდავდა, თავისი საქმე მოეთაყვებინა. მაგიდებისკენ გამოპარბაცდა. კარგა ხანს იდგა გამტკერებული და საკუთარ თავს ებუტბუტებოდა. მერე ერთბაშად „სვობოდაო“ დაიყვირა და ცეკვა დაიწყო ტალახში აზელილ თოვლზე.

მანანწალებმა ხარხარი ატეხეს. აცეკვებული მანანწალა ერთბაშად წიქცა. არც უცდია წამოდგომა, თოვლზე მიწვა.

— ხა — ხა — ხა! — იკრიჭებოდნენ დანარჩენი მანანწალები.

— ნუ დასცინით! — დაუყვირა მანანწალებს არც შავგვრემანმა და აღარც ქერა მამაკაცმა. — ვინ იცის, ვისრა მოელის მომავალში.

— ვასკა. — უთხრა მოქანავე მანანწალას თვალებჩასისხლიანებულმა ქალმა და არც შავგვრემანს და არც ქერა მამაკაცთან მიიჭრა. — ლუდს რატომ სვამ? — ჯიქურ ატაკა კითხვა.

— მეხმარება, — უპასუხა მამაკაცმა.

— რაში? — ჰკითხა ქალმა.

— ნერაში.

— რაებს ნერ? — გაოცდა ქალი, შეტყა.

— თემაზე ეშუშაობთ, ფილოსოფიურ თემაზე.

ქალს წამიერად სევდა ჩაუდგა თვალებში.

— მეტი საქმე არა გაქვს? ალბათ ღამე არ გეძინება და იმიტომაც ნერ დროის მოსაკლავად. არყით გამოთვერი და სამი დღე და ღამე იძინებ. ლენჩივით იქნები.

— ეგ საიდან იცი? — იკითხა კაცმა.



-ახალგაზრდობაში ლექსებს ვწერდი,
- თქვა ქალმა და ისევ ჩაუდგა სევდა
თვალებში - სულ ლექსებზე ვფიქრობდი.
ვინმესთან რომ ვსაუბრობდი, ან ქუჩაში
დავდიოდი, სულ დანერვილ ან დასანერ
ლექსებზე ვფიქრობდი. გოცს შეძახდნენ.
ერთმა მასწავლა, არაყი სვი და ფიქრები
მოგცილდებო.

- იმის მისამართს ვერ მიმასწავლი?
აუშენებიხარ და ეგაა!

ქალმა იგრძნო, რომ ამასხარავებდა
უცნობი მამაკაცი. მწყრაღად გაერიდა
და ვასკას რომ ეძახდა, იმ მანანალასთან
მიბრუნდა. ვასკას ზეზეურად მაგი-
დაზე ჩამოუდო თავი და თვლემდა.

ელექტრომატარებელმა ჩაიხრიგინა.
ნიავემა ფიფქების კორიანტელი შეა-
ხვეტა მაგიდებთან მდგომთ. მა-
ტარებელი ბაქანზე შედგა. ბოლო ვაგ-
ონმა რომ ჩაიარა, ნიავეც მიწელდა. არც
შავგვრემანმა და არც ქერა მამაკაცმა
გამჭოლი მზერა მიანათა მანანალა
ქალს, რომელსაც ცისკენ აეპყრო
თვლები. ქალმა იგრძნო, რომ შემოხე-
დეს. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ
დროს ტყვიდან თმაგაბურძენილმა კაც-
მა გამოყო თავი და იქ მდგომთ ყვირი-
ლით მიესალმა:

- ლოთებს გაუმარჯოს! კიდევ
ხუხავთ, თქვე ქვენარმავლებო?! ფანა,
ვასკა არ ნაიქცეს და ოჯახი და სახელ-
მნიფო არ დაღუპო!

- აქ მოდი, შე ვირთხავ! - დაუყვირა
მთვლემარე ვასკასთან მდგომმა ქალმა,
რომელსაც ფანა რქმევი თურმე.

არც შავგვრემანი და არც ქერა კაცი
ცნობისმოყვარეობით გასცქეროდა იქ
მდგომთ. თმაგაბურძენილ კაცზე ხანდა-
ხან თუ გადაჰქონდა მზერა.

- მოდი-მეთქი! - დაუბღვირა ფანამ
თმაგაბურძენილ კაცს. - რა შეშინებულ
თავგს გაეხარ, შე უბედურო! დიდი
ხანია, რაც არ სევამ, თავის მინებება არ
გაბედო, თორემ... ჩვენი კანონები ხომ
იცო!

- ვერ ვსვამ, ფანა! ვასკას მიხედვ, არ
ნაიქცეს.

- ვასკას თავი გაანებე. ვასკა
ფეხებზეც არა მკიდია. შენ ისა თქვი,
რატომ არ სევამ?

- არ კი არა, ვერ ვსვამ.

- რათა?

- ნითლად მაყრის ტანზე, მერე ქა-
ვილი მენყება.

- ერთი შენც! მოდი, დალიე-დალიე და
მერე იქავე, რამდენიც გინდოდეს. სვი და
იქავე, რა გენალვლება.

- დალევა არ შეიძლება. ექიმმა ამიკ-
რძალა.

- დასალევი თუ გაქვს რამე?

- არაყი მაქვს ჩანთაში.

- მოიტა. ჩვენ დაეღვეთ, შენ კი
დადექი და იქავე.

- ეერ მოგცემთ არაყს. ორ-სამ დღეში
მომირჩება. ექიმმა ტავეგილი გამომიწე-
რა. ზეგ დილით ზუსტად რვა საათზე
მოვრჩები ნამალს. ზუსტად ცხრის ათ
ნუთზე დავლევ ამ არაყს.

არც შავგვრემანმა და არც ქერა კაც-
მა, რომელსაც, როგორც ეტყობოდა,
აღამიანებზე დაკვირვება ანიჭებდა სი-
ამოვნებას, თმაგაბურძენილი ლოთის
ხელის მტევანზე სვირინგი შენიშნა -
„Маруся моя людина“.

- ამას დამიხედეთ ერთი! - აყვირა
ქალი, რომელსაც ფანას ეძახდნენ და
„Маруся моя людина“-ისკენ გავარდა.
ფანასთან ერთად სხვა ლოთებიც
გამოეკიდნენ თმაგაბურძენილს.

- არაყი დატოვე, შე ნეხვო, შენა!

- არაყი მოიტა, არაყი!

- არ გაშოვალ კიდევ? - მიძახა ფა-
ნამ, რომელიც მანანალა ლოთებში უს-
ტაბაშის პრიორიტეტს იჩემებდა. - სვი-
რს გიჩვენებ, შე ლორის გაგდებულო!

„Маруся моя людина“ კი რაც ძალი და
ღონე ჰქონდა, გარბოდა.

ვასკას ისევ მაგიდაზე ედო თავი.
თავზე ფიფქები ცვიოდა. ფანამ ხელი აი-
ქნია, სწრაფად გამოემართა არც შავგვრ-
ემან და არც ქერა მამაკაცი-ისკენ,
რომელიც მეორე კათხა ლუდს ნრუპავ-
და ნელ-ნელა.

- რატომ არ მოდიხარ ჩვენთან? -
უჩვეულო სინაზით ჰკითხა ფანამ. - რა,
გემინია?

მამაკაცმა მხრები აიჩეჩა.

- საშიში არაფერია.

- გავიცნოთ ერთმანეთი. მე ფანა
კორბუტი ვარ. შენ?

- მე? არჩილ კორტა.

- ეგ რა უროვნების სახელი და გვარია?

ეკონომიკა

— მამით ქართველი ვარ, დედით რუსი.
 — ქართველი? — რალაცნაირი სიამით გაინაზა ჟანა. — გულუხვები ხართ. აქ ერთი ქართველია, რამდენიც არ ვთხოვე სიგარეტი ან ფული, არასოდეს უარი არ მითხრა.

— მე არ ვენეცი.

— არც სვამ?

— არა, არ ვსვამ. ლუდს მხოლოდ.

— არაყს არა სვამ?

— არა.

— აბა რას სვამ ლუდის გარდა?

— ჩაის.

— ჩაიზე არ გეკითხები. მაგარს რომელს სვამ.

— აკი გითხარი, ჩაის მხოლოდ.

— ჩაის ბევრს სვამ?

— იმდენს, ლამის არის ჩინურად ავლა-პარაკდე.

ორთავემ გადაიხარხარა.

— ლამაზი მამაკაცი ხარ. — უთხრა ჟანამ არჩილ კორტას და ლოყაზე თითები მოუცაცუნა. არჩილ კორტამ თავი უკან გადასწია, სახეზე ნამონითლდა. მისთვის უჩვეულო გარემოში რომ ამოყო თავი, უხერხულობა იგრძნო. აქ ხშირად უსვამს ლუდი, ლოთებთან ურთიერთობას კი მუდამ მორიდება.

— გინდა მეგობრები ვიყოთ. — თქვა ჟანამ და ხელი გაუნოდა არჩილს. არჩილმა ხელი ჩამოართვა. — უჰ, რა თბილი ხელი გქონია. — აღმოხდა ქალს. — ნამდვილი ქართველი ხარ.

— აკი გითხარი, გარუსებული ქართველი ვარ-მეთქი.

— რას გარუსდი, ვინ შეგებენა! შენ გვაკლდი რუსებს, არა?

არჩილ კორტამ ჩაიღიმა, სახე გაებადრა და სინითლემაც გადაუარა.

ამ დროს ბაქანს ელექტრომატარებელი მოუახლოვდა. ვასკა კიბისკენ გაიქცა. მეორე თუ მესამე საფეხურზე ნაფორხილდა და ნაიქცა. ნამოდგა. მატარებლისკენ ნალასლასდა.

— ვასკა! — მიამაზა ჟანა კორბუტმა, — დილით შეიდაზე იყავი აქა. შინნახადი ნამოილე.

— ვასკა ვაგონს შეახტა.

— ნაიდეეთ? — კითხა ქალმა კაცს.

— სად ნაიდეეთ? — გაიკვირვა კაცმა.

— შენთან. ორი თვეა სხვანაირად ვარსებოდა ცარიელ ტახტზე, მხრები დამბეუვა.

კაცმა მხრები აიჩეჩა. მოულოდნელობისგან პირი დააბნინა.

— კი მაგრამ... შენ ხომ ვასკას ცოლი ხარ.

— ვასკასიო...

— ჰო, ვასკასი.

— მეგობრები ვართ.

— მეგობრები და ერთად ნევებით?

— ვასკას არ შეუშლია. ისე ნევება ჩემთან. მეგობრები ვართ. მამაკაცი ხომ ხარ, ხომ შეგიძლია?

არჩილ კორტა ნამონითლდა. გაოგნებული იდგა, გაოგნებული და დაბნეული. ყელში რალაცნაირი, ჯერ განუცდელი, უწინდელ ქალებთან განუცდელი ფინი მოსწოლოდა და იმას ებრძოდა.

2

განითლების მიზეზი ის იყო, რომ არჩილ კორტა არისტოკრატების ოჯახში იყო აღზრდილი და არასოდეს არ ჰქონია ურთიერთობა მდაბიობებთან. არასოდეს შეუგინებია, არც ერთი ბილნი სიტყვა ნარმოუთქვამს. ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა. ხარისხის დასაცავად ემზადებოდა. თემა ბოლო კურსზე შეიგულა. ქუჩაში ნაკლებად უნევედა ყოფნა, უბრალო ხალხში ტრიალს მოუტეული იყო. იმ დღეს პირველად მოხვდა ამგვარ ხალხში და გაოცებულიც იყო. ქალებთან ხშირი ურთიერთობა კი ჰქონდა, მაგრამ ქალი და ბილნსიტყვაობა? ყურს არ უჯერებდა იმ დღეს. უწინ არც ერთ ქალს არ ნამოსცდენია მასთან ვინება, ალბათ იმიტომ, რომ თავად იყო მკაცრად დახვენილი. ქალი კი არა, კაციც ვერ გაბედავდა მასთან ბილნსიტყვაობას. ლიტერატურული ენით საუბრობდა ხოლმე, ჟარგონს არასოდეს გაურედა. იქნებ ქალები იმიტომ ვერ უგებდნენ, რომ შეტად მშრალი გამოსდიოდა ლიტერატურული ენით საუბარი, რომელიც აღსავეციყო ფილოსოფიურ და სხვა ტერმინებით. მდაბიური და ქუჩური სიტყვების ხმარებისაგან შორს ეჭირა თავი. იქნებ სწორედ ეგ არ მოსწონდათ ქალებს. ამიტომაც იყო, რომ სამი ოფიციალური და უფრო მეტი არაოფიციალური



ცოლი გამოიცვალა. ერთ-ერთი არაოფიციალური, არჩილ კორტასგან ნასული პროფილაქტორიუმის მეთუნუქეს გაჰყვა ცოლად. ის მეთუნუქე არჩილ კორტას მეზობლად ცხოვრობდა. ყოველ მესამე სიტყვას საგინებელს ხმარობდა. საუბარში, თან უზომოდ სემადა და არჩილის ცოლყოფილ უმონყალოდ ცემდა კიდევაც. ოფიციალურები ნამეტნავად ლამაზები იყვნენ. ქუჩაში სეირნობისას, გამელელები იმ ოფიციალურ ცოლებს მიაჩრდებოდნენ ხოლმე მგლური თვალებით. ეს აღიზიანებდა მუდამ. სამხრეთული სისხლის მატარებელი არჩილ კორტა ზომაზე მეტად თავმოყვარე იყო. ცოლებთან გატარებული წლების მანძილზე სულ იმას ნატრობდა, ნეტავი შეუხედავი ქალი შემართვევინაო. ერთი ასეთი კიდევ გაციწო ამას წინათ. მასთან რომ გაისეირნებდა, გოგოები შურის თვალით შეხედავდნენ ხოლმე იმ შეუხედავ ქალს. მაინც არ შეურთავს ის ქალი, იმის გამო, რომ ძალზე მემწანური სულისა გამოდგა.

არჩილ კორტა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არც ლამაზ ქალს ითხოვდა მომავალში და არც განათლებულს. ხშირად სახლის დაღაგებასაც უბრძანებდნენ, ფეხსაცმლების გახდასაც. სუფრასთან ცოლებთან ჯდომა არჩილ კორტასთვის ტანჯვა იყო პირდაპირ. საუბარს ნამოინყებდა თუ არა, ქალები სათქმელს პირიდან სტაცებდნენ და მერე თვითონ აგრძელებდნენ ხოლმე. ყოველივე ეს მოყირჭდა და ამიტომაც იყო, გაუნათლებელი და თანაც შეუხედავი ქალის თხოვაზე რომ ოცნებობდა. ის კი არ იცოდა, არ ესმოდა და გაეგებოდა, გაუნათლებელი ქალები ზნეობას რომ იყვნენ მოკლებულნი. ისინი გაუთავებლად იგინებოდნენ და ეგ გულს ურევდა არჩილ კორტას. სულ სხვაგვარი ქალები იყვნენ კავკასიაში, კერძოდ, მამის სამშობლოში. იქ სულ რამდენიმეჯერ, იყო ნამყოფი. მამაცოცხალი რომ იყო, მამინ დადიოდა ხოლმე სამხრეთში. იქაურ ტრადიციებს არ იცნობდა, მაგრამ ზნე მაინც შემორჩენოდა სამხრეთული, ალბათ მამისგან გამოყოლილი. ქალებთან ურთიერთობისას მბრძანებლური ტონი ჰქონდა. გარეშე მყოფთ ზემოდან უცქერდა.

მედიდურობა და ამპარტავნობა სტარტობდა ხასიათში. აქ კი ევროპა იყო, უკანასკნელ ხანს დემოკრატიაშიც იმძლავრა და ქალი კაცს გაუთანაბრდა, რაც არჩილ კორტასთვის აუტანელი და სულსსემეხუთავი გამოდგა.

3

სახლს მიუახლოვდნენ. მარჯვენა მხარეს, გვერდითი სახლის კედელზე ნარწერა შენიშნა არჩილ კორტამ — „Жизнь начинается сейчас“. დღეს დილით არ იყო ეს ნარწერა, მერე მიწერათ, როგორც ჩანდა. ნამით ხელი უშვა ჟანა კორბუტს. ქალი ნაბარბაცდა. არჩილ კორტამ კვლავ ჩასჭიდა მკლავი. მიზონინებდნენ. არჩილ კორტა იმ ნარწერას შესცქეროდა გაოცებული. ჟანამ ზევით აიხედა. ფიქვები რომ დაეცა სახეზე, ცოცხათი გამოფხიზლდა. მერე დიახარა, პეშვით თოვლი აიღო და სახე დაისრისა. სადარბაზოსთან ქალები იდგნენ, ქურკებში ჩათბილულნი. ისინი მზეს-უშვარას აკნატუნებდნენ. ერთი მათგანი, შედარებით ახალგაზრდა, სიგარეტს აბოლებდა. ჟანა ჯიქურ მიეჭრა მას, უთხრა, სიგარეტი მომანევიწიეო. ქალმა უარი სტკიცა.

— Или ты, знаешь куда! — და შეუკურთხა.

— Ты сама иди, сука! — არ დააყოვნა ჟანა კორბუტმა.

არჩილ კორტას სიმწრის ოფლმა დაასხა. დარცხვენილმა თავი ჩალუნა. ერთი სული ჰქონდა, სადარბაზოში შეეარდნილიყო, მაგრამ ჟანა კორბუტი ნაბიჯს ვერ უწყობდა, უჭირდა სიარული. მეზობლის ქალები, ძალზე ჩათქვირულები რომ ჩანდნენ, დამცინავი მზერით მიაცილებდნენ არჩილსა და ჟანას. კბეზე რომ ადიოდნენ, ჟანას ფეხი დაუსხლტა. არჩილმა ვერ შეაკავა. ქალი ნაიქცა და ნახერხმოყრილი თოვლი გახუნებულ პალტოზე ლაქად დააჩნდა. არჩილ კორტა მეორე სართულზე ცხოვრობდა. ლიფტით არასოდეს არ ასულა, ახლა კი გამოიძახა, ვინაიდან ჟანას ძალიან უჭირდა კბეზე სიარული.

ოთახში შევიდნენ თუ არა, ჟანა კორბუტი ლოგინზე მიესვენა. არჩილმა ძლივს გახადა პალტო და ჩექმები.

— ვასკა! — დაიყვირა ჟანამ.

ეკონომიკური
კრიტიკა

— ვინ ვასკას ეძახი? — ჰკითხა არჩილმა.

— ჩემს მეგობარ ვასკას. რა შენი საჯდომის საქმეა, თუ ვის ვეძახი.

— რა ჭირად გინდა ახლა ეგ ვასკა.

— ვასკა ძალზე კეთილი კაცია.

— განა იქარ გყავდა?

ყანას პასუხი არ გაუცია, თვალები მილულა და ნამში ნასთვლიდა.

— ვასკა! — დაიყვირა ცოტა ხნის შემდეგ ძილბურანში ნასულმა ყანამ.

— აქ არაა ვასკა, მთავრობაში გამოუძახნიათ. — დამცინავად აღმოხდა არჩილს.

— ვასკა! — დაიჭურჭულა ყანამ.

— აკი გითხარი, აქ არაა-მეთქი, — მიუგო არჩილმა და რაღაცნაირი სინანულის გრძობამ გაჰკრა, ფანასა და ვასკას დაცილებაში საკუთარი თავი დაადანაშაულა.

— რად გაგადე ვასკა, შე ღორო! — ყვიროდა ყანა.

— ნუ ღრიალებ, მეზობლები ნუ გადამირიე.

— შენი მეზობლების დედაც ვატირე, კასრებივით რომ დაგორავენ. იმათი!..

— დაწყნარდი, ნაუძინე და ნერვები დაგიმშვიდდება, — მოფერებით უთხრა არჩილმა.

— რატომ ნამომიყვანე შენთან? — მოულოდნელად იკითხა ყანა კორბუტმა.

— შეგიყვარდი, გერიტო?

— შენ არ მითხარი, შენთან ნამოვალო? ძალით არ ნამომიყვანისხარ.

— ჰოდა, ნამოვედი. აპირებ რამეს? არ მითხრა ახლა, უნდა გაგაუპატიურო.

— რომ გამოფხიზლდები, მერე-ადექი, შხაპი გადაიღე.

— შხაპი უკანალში შეისხი. კარგი ვინმეები კი ხართ ეს დიდი კაცები, შხაპი მიიღეო. ნინკიანი ხარ, არა. თქვენი დედაც ვატირე, ნასწავლი ინტელიგენტები.

— ნუ ივინები, თორემ...

— თორემ რაო!

— გცემ!

— აა? ეგეც გემარჯვება? დასაღვეი თუ გაქვს რამე? შენ ეგ მითხარი, დასაღვეი თუ გაქვს რამე?

— გამოფხიზლდი მეთქი, გითხარი. შენ ისევ სასმელზე ფიქრობ?

— უკეთესი გეგულდება, ჯერ უფრო ვიფიქრო? შენ რა იცი არყის ფასი, არაყში დიდალი კალორიებია.

— და იმ კალორიებმა დაგამშვენეს ეგრერივად არა? ჩახედე ერთი სარკეში, სახე რას გივავს. ამოიღე თავიდან ეგ არაყი. ნაუძინე ცოტა, შხაპი მიიღე და მერე ჩემთან დაგანვენ, ლოგინში.

— დიდი მალობა, რომ არ გამწირე. მომაშორე ეგ ხელი, ნუ მეფერები. ოჰო, რა ნაზი თითები გქონია! მუსიკოსი ხარ? — როცა გამოფხიზლდები, მერე მოგიყვები, ვინცა ქარ.

— მილიციელი ხომ არა ხარ?

— ჭირსაც ნაუღია ისინი.

— ოჰო, ახლა კი მომწონე. ვერ ვიტან მილიციელებს. სულ კუდში დაგვსდევენ. კახპებსა და მანანალებს გეცძახიან. კარგი, დაგიჯერებ. ახლა დავიძინებ.

ღამით ყანას გამწარებულმა კივილმა გამოაღვიდა არჩილ კორტა. ფეთიანივით ნამოვარდა. ქალი იატაკზე ეგდო, ეტყობოდა ძილში ბორგავდა და სანოლიდან გადმოვარდნილიყო.

— მიშველე! — შევედრა ყანა არჩილს.

— რა გჭირს, რითი გიმშველო?

— რამე დამალევინე, მუხლები და მკლავები მემტვრევა.

— კარგი ერთი, არაფერიც არ გემტვრევა. გეჭვენება მხოლოდ.

— თავი მისკდება. ღმერთი არ გნამს. არაყი დამალევინე. თავი მისკდება-მეთქი.

— არ გაგისკდეს და ქვეყანა არ დაღუპო. ხალხი არ დაგვლუპო.

— ეგ რა მუაშია?

— თავი თუ გაგისკდა, მომავალი წლის ბიუჯეტს ვილა შეუდგენს მთავრობას.

— რომელი ფინანსთა მინისტრი მე ვარ, შენი დედა ვატირე, რას მამასხარა-ვებ.

არჩილ კორტას გულიანად გაეცინა.

— თუ არ დამალევინებ, ფანჯრიდან გადავვარდები.

— არ ქნა მაგი, თორემ სახელმწიფოში სამდღიანი გლოვა გამოცხადდება.

— რომელი სტალინი მე მნახე, შენი დედა ვატირე. რას მამასხარა-ვებ. დამალევინე-მეთქი რამე.

— შხაპი მიიღე და ის დაგანყნარებს. ციურ შხაპის ქვეშ დადექი.

— ეგ რას მიშველის?

— სისხლის მოძრაობას მოგინფერებებს. თუმცა შენ სისხლის მაგივრად არაფერი გისხია ძარღვებში. არყის მოძრაობას შხაპი ვერ უშველის.

— დამცინი არა! მე არაფერი დამალევიერ, შხაპი კი, თუ კარგია, შენ მიიღე.

— ერთი ეს მითხარი, რა სიაშოვნებაა მაგ შხამში?

— შენ რა იცი სხამზე უკეთესი არ არსებობს რა დედამიწაზე. ნასვამს ცხოვრება ეადვილება, ფხიზელს კი ემძიმება. ასეა. ეგ შენ არ გესმის, ვერც გაიგებს.

— ცრემლები რად მოგდის? ვასკა ხომ არ გაგახსენდა.

— ნუ დამცინი. ლოთებს არასოდეს არ დასცინო, იცოდე. არც ვასკას დასცინო. ვასკა ადრე არ სვამდა, ცოლი გაექცა და მერე გალოთდა. დარდმა გაალოთა.

— ეგ საბაბია და მუტი არაფერი. ცოლი თუ გაიქცა, უნდა იზუიშო, კი არ უნდა იდარდო.

— ერთი წელია, რაც სხამ დაინყო ვასკამ. სწორედ ერთი წლის წინ ვასკამ და მისმა ცოლმა ნატაშამ დაქორწინებიდან ოცი წლის თავი გადაიხადეს...

— კარგი, გაჩუმდი. — განაწყვეტინა არჩილმა. — მაგათ დაქორწინების იუბილე გადაუხდიათ, მე კი ყოველ წელიწადს განქორწინების იუბილეს ვიხდი. ეგ რა კარგი რამ თქვი. ერთი ბოთლი ლუფი დაიშხაურე.

არჩილ კორტამ მაიკვირიდან ლუფი გადმოიღო და ჟანას გაუნროდა.

— არაყზე წუთითაც არ იფიქრო! — დაუყვავა მან ქალს. — ახლა მოწვევებები გაქვს, არაფერი თუ არ დალიე, გგონია, რომ მოკედები. გეჩვენება და ეგ არი. საშუალოდ დაემშვიდობე არაყს.

ჟანას თვალები გაუშტერდა. არჩილ კორტამ პირველად დაინახა ქალის ფიქრიანი თვალები.

4

არჩილ კორტას ძველებურ ტახტზე გაეშალა ლოგინი და ეძინა. ჟანა კორბუტი კი არჩილის ლოგინში იწვა. სტუმრისთვის დაეთმო თავისი ლოგინი არჩილს. ჟანას ღრმად ეძინა. უკვე გვიანი ღამე იყო.

ქუჩიდან მანქანების ხმა აღარ მოისმოდა. ორიდან ხუთამდე იძინებს ქუჩა ამ ქალაქში. ოდნავი გაფანჯრებაც კი არ არღვევს სიმყუდროვეს. ხუთზე კი პირველი ავტობუსი არღვევს სიმყუდროვეს. იგი ფსკოვის ქუჩით გამოივლის და შემდეგ მთავარ მაგისტრალზე გადის, დიმიტროვის გზატკეცილზე. შემდეგ კი, ცოტა მოგვიანებით, მსუბუქი ავტომობილები, ვით სკიდან გალიზიანებული ფუტკარი, ისე ზუსტად შემოესვვიან ქალაქს.

— ვასკა! — ნამოიძახა ჟანამ ძილში.

არჩილი შეიშმუნა: მერე კი, როცა ჟანამ უფრო ძლიერად ამოიძახა, ვასკაო, არჩილმა თვლები გაახილა.

— აკი გითხარი, ფინანსთა სამინისტროში გამოიძახეს-მეთქი.

— სადა ვარ ნეტავ? — იკითხა ჟანამ.

— აქ, ჩემთან.

— ვინ შენთან? შენ ვინა ხარ?

— არჩილი ვარ, გარუსებული ქართველი, — ხუმრობის ხასიათზე დადგა არჩილი. — გუშინ ხომ გითხარი, ვინცა ვარ.

— ვინ ოხერი ქართველი ხარ?! შენ გარუსებალა გაკლდა! რა ჭირი გეტაკათ, ყველას გარუსება რომ გწადიათ: ვინა ხარ-მეთქი?

— გუშინ ხომ გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ გუშინ ლორივით იყავი გალემილი.

— სად ჯანდაბაში გავიცანიით?

— როგორ გითხრა, თქვენს ლუფხანაში, ღია ცისქვეშ რომაა, რკინიგზის ბაქანთან.

— იქ საიდან მოხვდი?

— ბედმა მიმიყვანა, შენ რომ მენახე.

— ნუ დამცინი, თორემ კარგადაც მიგბეგვავ, იცოდე.

— ეგეც გემარჯვება? ხა-ხა-ხა!

— შენ ისა თქვი, ლუფხანაში რა გინდოდა.

— ხარისხზე ეშუაშობ და ლოთების ხასიათს ვსწავლობ.

— რის ხარისხზეა ლაპარაკი? — გულუბრყვილოდ იკითხა ჟანამ.

— არაყის ხარისხზე.

— კარგი ერთი, რა შაყირისტი ყოფილხარ. შენ ეგ მითხარი, ვასკა სად გაქრა?

— აგარაკზე, მგონია. ცოტას დავის-
 ვენებო, თქვა, ხვალ ამომრჩეველებთან
 მაქვსო შეხვედრა.

— რაებს ბოდავ, ქართველო. რომელ
 ამომრჩეველებზეა ლაპარაკი?

— ვასკა ხომ საპრეზიდენტო არჩევნ-
 ებში ლებულობს მონაწილეობას.

— თან არც გეცინება. დიდი მაკეარა-
 ნცხი ვინმე უნდა იყო; დიდი ცინიკოსი.
 მითხარი მართლა, ვასკა რა იქნა?

— მე რა ვიცი.

— შენ გაავადებდი, ალბათ. ჩემი დათრ-
 ევა მოგინდა და ალბათ ვასკა გაავადე.

— შენი დათრევაო. რომელი სოფი
 ლორენი შენ მყავხარ.

— ვინ ოხერია ეგ სოფი, სულ
 ფეხებზეც არ მკიდია? მე ჟანა ვარ,
 კორბუტი.

— გირჩევ სახელი გადაირქვა. გეხვ-
 ენები, გადაირქვი.

— რათა?

— ჟანა დარკმა რომ მოისვენოს საფ-
 ლავში.

— ეგ ვინლა? საფლავში თუ არის, მეტი
 რალა მოსვენება უნდა. არ მეტყვი, ვასკა
 რა იქნა?

— რა ჭირად გინდა ეგ ვასკა სულ რომ
 გაიძახი, ვასკა, ვასკაო, გიყვარს?

— ძალიან. პატროსანი კაცია.

— რაში გამოიხატება?

— არასოდეს სხვის ნიღ არაყს არ დალ-
 ევს. იქ ერთი აყლაყუდა გამოდის. არყის
 ჭიქას გართმევს ხელიდან. დასალევი
 არაფერი გაქვს? რომ წამომიყვანე, არ
 უნდა გცოდნოდა, ბოთლის წამოღება რომ
 იყო საჭირო. თქვი, ვასკას სად ვნახავ?

— დილით შინნახადს მოგიტანს.

— მართლა? უჰ, შენ გაიხარე.

— გიყვარს?

— ვასკა? შენ ვერ გაიგებ. კი, მიყვარს,
 მაგრამ ისე.

— ისე რას ნიშნავს, ან ასე.

— ყური მიგადე. კი, მიყვარს, ვასკასაც
 ეუყვარვარ. სხვენზე გვაქვს ლოგინები
 გამლლი.

— ერთად რატომ არ ნეებით? არ მითხ-
 რა ახლა, წმინდანები ვართო.

— მაგაში არაა საქმე. ვასკას სექსი არ
 აინტერესებს. ქალთმომძულე გახდა მას
 შემდეგ, რაც ცოლი გაუბოზდა. ვასკას
 არაყის გარდა არაფერი არ აინტერესე-

ბს. და კიდევ — ლუდი. ჩემთან
 მეგობრობს, სულ ჩემთან დადის, ჩემი
 იმედი აქვს.

— კარგად კი პქონია საქმე, — ამოა-
 ნთხია გესლი არჩილ კორტამ.

— ნუ დაგეცინი — ერთხელ ერთ კაცს
 დავუნუქე. იმ კაცმა, ვასკასთან რომ
 დამინახა ერთხელ, ორჯერ, იეჭვიანა.
 იეჭვიანა და ვასკა გამოიხაზა.

— ეგ როგორ გაზედა!

— ნუ დაგეცინი. ლოთებს არასოდეს არ
 უნდა დასცინო. არავინ იცის, ვის რა
 მოელის. ერთი რამ მაინტერესებს...

— მზად ვარ გიპასუხო. ოღონდ ძალი-
 ან რთულ კითხვას ნუ დამისვამ.

— მაინტერესებს, შენისთანა ნასწავლ
 ხალხსაც თუ დასცინი.

— ნასწავლებს არ უნდა დასცინო. მათ
 თავიანთი ცოდვაც შყოფნით.

— რა ცოდვა გაქვს მხედველობაში?

— ნასწავლნი რომ არიან, ის.

— ხა-ხა-ხა! — გადაიკისკისა ჟანამ. უც-
 ზად ალკოპოლით გაჟღენთილ ნითურ
 სახეზე სიფითრემ გადაულარა.

— იცინე, იცინე! სისულელეებს ბოდავ.
 ვასკა მიყვარსო. გეკითხები რისთვის?
 ლოთი რომაა, იმისთვის?

— რისთვის? შენ ვერასოდეს ვერ
 გაიგებ. ჩვენ, ლოთებმა, სულ სხვაგვარი
 სიყვარული ვიციო. ეხ, ვასკა, ვასკა! სადა
 ხარ, შე უბედურო! — თქვა ჟანამ და ქვი-
 თინი აღმოხდა.

— ნუ ტირი, თუ ღმერთი გნამს. მე რა
 ვიცი, ვასკა სადაა. იმპოტენტი ვასკა
 გინდა ახლა! რა თავში იხლი. დაიძინე,
 ნერვები დაიშმვიდე.

— ნუ მიყვირი, თორემ გცემ.

— ეგვეც გეხერხება?

— ბევრი მამაკაცი მყავს გალახული.

— კარგი ერთი. არაერთი მინახავს, რომ
 ტიროდნენ შენი გალახულნი. რინგზე
 იქნები კარგი სანახავი.

— ძალიან თუ გააჩნახებ, შენც
 აგატირებ.

— ოჰო-ოჰ! — გადაიხარხარა არჩილ
 კორტამ. — არ ქნა მაგი შენ!

ჟანა გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ
 არჩილ კორტას ქალის ჩუმი სუნთქვა შე-
 მოესმა. „ამ ქალს მე ბედნიერება ნაფართ-
 ვი, — გაიფიქრა არჩილმა. — მყუდრო ცხ-

ოვრება ნაერთი, ცალი მკლავი ჩამოვ-
აჭერი, ესე იგი ვასკა".

— ვასკა! — ძილში წამოიყვირა ჟანამ.

— გული გაანყალა მაგ ვასკათი, — თავი-
სთვის ჩაილაპარაკა არჩილ კორტამ.

— ვასკა, მიშველე, დამალევინე რამე!
სულ არ დავლევ, ცოტას მოვსევამ, და-
ნარჩენს შენ დაგიტოვებ, ვასკა! წადი
და მოიტანე დასალევი! — გაჰყვიროდა
ჟანა.

— კი, ახლავე მოგიტანს ბორდოს ლეი-
ნოს, თუ ვერ იშოვა ბორდოს ლეინო, „ქინძ-
მარაულს“ მოგიტანს და იმას დასჯერდი,
— თავისთვის ქირქილებდა არჩილ კორტა.

— ვასკა, მიშველე!

— ჟანა! — დაუყვირა არჩილმა. — დამა-
ძინე, თუ ღმერთი გნამს, ხვალ სამსახუ-
რში ხომ უნდა წავიდე.

არჩილი წამოდგა, შუქი აანთო.

— აა, ეს შენა ხარ გარუსებული ქართ-
ველი? — მთქნარებით თქვა ჟანამ.

— კი, ეს მე ვარ.

— Грзуничиკ, რამე დამალევინე!

— ეგ „ჩიკ“ რაღაა.

— რამე დამალევინე, სახსრები დამე-
ლენა.

— ამიხსენი, როგორ გემტვრევა?

— არასოდეს განვიცდია?

— არასოდეს.

— Фраер та! იცი, რა სიამოვნებაა?

— სახსრების მტვრევა?

— მას შემდეგ რომ დალევ, არაყს რომ
მიამველებ, იმაზე გეუბნები. მოკვდები,
თუ არ დავლიე.

არჩილ კორტამ სასწრაფოდ ჩაიცვა.
ათი ნუთიც არ გასულიყო, ღამის მა-
ლაზიდან ლუდი ამოიტანა.

— ეგ უკანალში შეისხი! — აყვირდა
ჟანა. — მე არაყი გთხოვე.

— რა! კიდევ იგინები?! — ანგარიშმი-
უცემლად დაიყვირა არჩილმა და ჟანას
სილა გაანა. მერე, ბოთლი აიღო, მეორე
ხელით პირი გააღებინა ქალს და ლუდი
ძალით ჩაასახა ხახაში.

— თფუჰ! — აყვირდა ჟანა. ეგ
„პეტუხების“ სასმელი რამ მოგატანინა.
თფუჰ!

— მოსვი კიდევ, მოსვი!

ძალით გამოაცლევინა ბოთლი. ოჩაკ-
ოვის ლუდი იყო, ქარვასავით მზზინავი.

ჟანა ოდნავ დაწყნარდა. მერე ჩაქ-
ნა.

არჩილ კორტა სავარძელში იჯდა და
ნიცშეს „ანტიქრისტეს“ კითხულობდა.

●

სარკმლიდან თეთრად გადაპენტოლ
მიდამოს გასცქეროდა. დიდებული სანა-
ხავი ჩანდა პირველი თოვლით
შესუდრული არემარე. სიწუმეს დაესა-
გურებინა, არსაიდან არანაირი ხმა არ
მოისმოდა. კარგა ხანს იდგა სარკმელთ-
ან, რაღაც იდუმალი ხმის მოლოდინში.
მალე ქუჩაში ავტომობილები
გამოჩნდნენ. და ღამის სიმყუდროვეც
გარდაიცვალა.

5

არჩილ კორტამ რომ გაიღვიძა, ჟანა
ლოგინში აღარ ინვა. აბაზანიდან შხაპის
ხმა შემოესმა. ადგა, აბაზინის კარი
შეღებული იყო და შიგ შეიხედა. ჟანა
რეცხავდა. არჩილმა სარეცხს თვალი შეა-
ვლო. ჟანა მის მაისურს რეცხავდა. „ქალ-
ურმა ხასიათმა გაიღვიძა, მიძინებულმა“,
— გაიფიქრა არჩილმა.

— შრომობ? — ჰკითხა არჩილმა.

ჟანა შემოტრიალდა, დარცხვენით
შეავლო თვალი არჩილს. თვალის გასწო-
რება გაუჭირდა.

— ეგრე აგროვებ ხოლმე სარეცხს? —
თქვა ჟანამ სიმორცხვის გასაფანტად.

— ოქროს მე ვერ ვშოულობ, რომ მოვ-
აგროვო და...

— სულ უნდა იმასხრო?

— ის თუ ვახსოვს, ნუხელის რომ
მაგინებდი.

— ჟანამ თავი მიაბრუნა.

— ეგებ ის მაინც გაიხსენო, ჩემი ცემა
რომ გინდოდა.

— ჭუჭყიან სარეცხის მოგროვებისთ-
ვის საცემი მართლაც ყოფილხარ. ჭუჭყი
შიგ ჯდება, ჭუჭყიანი სარეცხი თუკი
დიდხანს გააჩერე.

— ეგ ვისი ფილოსოფიაა? — ჰკითხა
არჩილმა.

— გამოვა, — გაიფიქრა არჩილმა. — ჩემი
ცდა ამართლებს. დღეს ორ ჭიქა შავ ლეი-
ნოს დავალევინებ, ხვალ — ერთს, ზეგაც
— ერთს. ამგვარად დავავინყებ არაყს.
გამოვა.

არჩილ კორტა ნიგნების თაროსთან ჩამოდგა. „ჯერ რომელიმე მსუბუქად ნახაკითხს ავურჩევ, — ფიქრობდა არჩილი, — ამის ტვინი ჯერ ყამირია, გადახვნა დასჭირდება“.

— ჟანა!

— გისმენ, — ნახად უპასუხა ჟანამ. არჩილ კორტას გაუკვირდა.

— გეყოფა, შეეშვი რეცხვას.

ჟანა შემოვიდა. თვალდახრილი და დამორცხვებული იდგა. არჩილი ნიგნს ფურცლავდა. ჟანამ ხელები შეიმშრალა ნინსაფარზე.

— მე ინსტიტუტში წავალ. შენ კი, აი, ამ ნიგნის კითხვა დაიწყე. აი, ამ ჭიქაში ნითელი ლვინოა. მეტი არა მაქვს. ნელ-ნელა იკითხე. რომ დაილალო, დაისვენე, ზღაპრებია და დაგაინტერესებს. სკოლაშდელთათვის საკითხავი ნიგნია.

— პირველ კლასში როდის მიმიღებ? — ჰკითხა ჟანამ და გაიცინა.

— ჭკუით თუ იქნები, ალბათ ერთ კვირამ.

6

მშვენიერი საღამო კია, ფიქრობდა არჩილ კორტა. მეტროდან სახლამდე ფეხით გაუდგა გზას. უნინ მეტროდან სახლამდე ავტობუსით მგზავრობდა ხოლმე. ოთხი გაჩერება იყო მხოლოდ. ამ საღამოს კი რომანტიკულ ხასიათზე დამდეგარიყო, ოცნებები მოსძალდებოდა. ბარაქიანად თოვდა. ყოველ ორ-სამ ნუთში ქურთუკის გაბერტყვა უნევდა. თოვლი თოვლად და სხვა მიზეზიც იყო საოცნებოდ. საზრუნავი გაუნდია: ლოთი ქალის გამოსწორებას უნდა შეუდგეს. ამის გამო შინაგანად რალაცნაირ პასუხისმგებლობასაც ვრძნობდა. „ერთი ადამიანის გადაარჩენა და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, — ფიქრობდა არჩილ კორტა, — საზოგადოებისთვის დიდი სარგებლობაა“. უნინ სამსახურიდან მობრუნებულს შინ არ მოუწევდა გული, იქ სიცარიელე ეგულებოდა. სახლში, მარტოობისას, მონყენილობა ეუფლებოდა, სევდა იპყრობდა. მუდამ მშველელი, გამამხნეველები ხმის მოლოდინში იყო. ეგ ხმა კი არასიდან არ ისმოდა.

„ნეტავ იმ ნიგნის კითხვას თუ შეუდგა, — ფიქრობდა შინისკენ მიმავალი არჩილ კორტა, — მე რომ დაეუტოვე, იმ ნიგნის ცოტათი მაინც თუ გადაფურცლა“. სიამოვნებდა, დავალება რომ მისცა ამ დილით, სამსახურში ნასვლის წინ. საერთოდ, სიამოვნებდა ხოლმე, ჭკუას რომ დაარიგებდა ვინმეს, რაიმეს რომ უბრძანებდა. მის ნებას თუ დაჰყვებოდნენ, გულზე სიხარული და კმაყოფილების გრძნობა ეფინებოდა. ვინმე თუ შეეცდებოდა, ისიც ვკრიდა სიამოვნებას.

„ღვინო თუ დალია ნეტავ“, — ფიქრობდა არჩილ კორტა. გრძნობდა, რომ ჟანას თუ ამ მდგომარეობიდან გამოიყვანდა, მისთვის ეგ დიდი გამარჯვება იქნებოდა. დაკვირვების მომენტები და იქიდან მიღებული დასკვნები სადისკრტაციო თემის დამუშავებაში ფრიად სასარგებლო სამსახურს გაუნევდა.

ამასობაში, ამ ფიქრებში გართული სახლს მიუახლოვდა. გასაღები მოარგო კლიტეს. გადაატრიალა. შესული არ იყო, ფლოსტების ხმა მოესმა. ოთახში შესვლისთანავე სითბო იგრძნო. ქურთუკი გაიხადა. ჟანა გაფითრებული ჩანდა, უღონოდ მიწვალოგინზე. არჩილ კორტას ხალათი ჩაეცვა.

— რა მოგივიდა, შეუძლოდ ხომ არა ხარ? — ჰკითხა არჩილმა.

— ცოტათი კი.

— მაინც რა მოგივიდა?

— ვერ გეტყვი, რა მომდის. ნიგნს ვკითხულობდი, უცბად თვალთ დამიბნელდა.

— რამდენი წაიკითხე? — არჩილმა ნიგნი გადაშალა. ჟანას მეორე გვერდზე ჩაეკცვა ნიგნი.

— ცოტა წაგიკითხავს, — თქვა არჩილმა. — ნიგნი არახიდეს არ ჩაკეცო, ნაკითხულზე რაიმე ფურცელი ჩადევი. შეჩვეული არა ხარ ნიგნის კითხვას და იმიტომაც გახდი ცუდად. მალე შეეჩვევი, გული არ გაიტეხო.

— ვერ ვსუნთქავ, მიშველე. აღარ შემიძლია...

— ეგ ჭიქა გამოგეცალა. დაგელია, მე ხომ დამეპარე.

— შემეშინდა, ისიც გავიფიქრე, ხომ არ ეწყინება-მეთქი.

— ერთბაშად ვერ გაანებებ თავს სმას. თანდათანობით უნდა უკლო, — თქვა არჩილმა და თავადაც იგრძნო, რომ მეტად დიდაქტიკური ტონი გამოუვიდა. არჩილმა ჭიქა ტუჩთან მიუტანა ფანას.

— დალიე.
— ფანამ ჭიქა ხელში ვერ დაიჭირა. ერთ-თავად ცახცახებდა. არჩილი შეეშველა.
— დალიე, გამოუსწორებელი, ლოთო,
— გაეხუმრა არჩილი.

— მცივა, მცივა, არჩილ.
არჩილმა მკერდზე მიიხუტა ქალი. მერე ცალი ხელით პირი გაუსხნა, მეორეთი ჭიქა მიაყუდა.

— დალიე!
— გული მერევა.
— გაგივლის, გაგივლის, ფიქრი ნუ გა-
ქვს.

●
იმ ღამით არჩილი და ფანა ერთად იწვნენ, ერთ ლოგინში. დილა მოახლოებულზე არჩილი ჩვეულებისამებრ წამოდგა, სარკმელთან მივიდა და გადაბარდნილ მიდამოს მოავლო მზერა. დიდებულ გუნებაზე დადგა. მოეჩვენა, რომ ხმა, რომლის მოლოდინშიაც იყო მთელი ცხოვრება, ნელ-ნელ უახლოვდებოდა მის ყურთასმენას.

7.
— აქ როგორ მოგვაგენი, ვასკა! — წამოიძახა აღფთოვანებულმა ფანამ მერე ვასკას მივარდა და ბავშვივით ჩაიკრა მკერდში. პარკში მოსეირნე ხალხი ცნობისნადილით შესცქეროდნენ თითქოს ერთ სხეულად გარდაქმნილ ფანასა და ვასკას.

— გამოგიარე, ცარიელ ბოთლებს მოვაგროვებ-მეთქი, ვიფიქრე.

— ფანამ გვერდით მოისვა ვასკა. მარჯვნივ არჩილ კორტა იჯდა. იგი ირონიულად იღიმებოდა. ფანამ ქოჩორი გაუსწორა ვასკას, მერე ხალათის ზედალილი შეუკრა.

— ჩვენი დროის რომეო და ჯულიეტა!
— დამცინავე კილოთი ჩაილაპარაკა არჩილ კორტამ.

— ფანას სახეზე აღტაცება დასტყობოდა. ჯერ თვალები მოუწყლიანდა, მერე

ლოყებზე ღვარად წამოუვიდა ცრემლები.

დიდებული შაბათი დღე იდგა, უღრუბლო. პარკში დამსვენებლები თოვლიან ბილიკს მიჰყვებოდნენ, პატარები კარუსელზე ისხდნენ. მათი ფივილ-ხივილი აყრუებდა მიდამოს. პარკი მანანნალებით გაჭედილი რკინიგზის ბაქანიდან ორასიოდე მეტრის დამორებით მდებარეობდა. ამ პარკში რატომღაც არ შემოდიოდნენ მანანნალები, ვასკასავით რომელიმე მათგანი იშვიათად თუ შემოეხეტებოდა.

მზე საამოდ კამკამებდა თოვლზე. ხის ტოტებიდანაც უხვად ცვიოდა ნუბანდელი ფაფუკი თოვლი. ვოგო-ბიჭები, ასე 16-17 წლისანი პარკის კედესთან შეეგუფებულოყვნენ, იქ მდებარე გუბურას ზედაპირის გასწვრივ თოვლის გუნდის სროლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გუბურაში მოსრიალე იხვებს ერთი ამბავი აეტეხათ, თოვლის გუნდებს ტკარცალით ეგებებოდნენ. ერთი სიტყვით, მეტად მოშიზღავი პეიზაჟი იხატებოდა არჩილ კორტას წარმოსახვაში, ვასკას გამოეჩინა რომ არ გაეფუჭებინა ანეული გუნება. არჩილ კორტა ბუნების მშვენიერებით ტკბობის ტრფიალი იყო და, ცხადია, ქუჭყყინი მანანნალას სულში ჩახედვისა და იქ უფრო მიმზიდველი სამყაროს აღმოჩენის უნარს მოკლებული იყო. არჩილს არ შეეძლო ვასკას გაზინთლულ ტანსაცმელს მიღმა რაიმე ადამიანური ეჩილა.

— მაგ ჩანთაში რეები გიჩხრიალებს? — დამცინავე კილოთი აკითხა არჩილმა ვასკას.

— ცარიელი ბოთლებია, — მიუგო ვასკამ.

— ხალხი ოქროსა და დოლარებს აგროვებს, შენ კი ცარიელ ბოთლებს, — თქვა არჩილმა. — იქნებ საფეხებიც გაქვს.

— კი მაქვს ერთი ნახევარლიტრიანი. ოღონდ შენ არ გაგაფუჭებინებ. ფანა, არ დალეე?

— ა? — გაშრა ფანა. — ორი კვირაა პირი არ დამიკარებია.

— კარგი ერთი, — დარდიმანდულად თქვა ვასკამ. — მოდი, დავლიოთ. ის არაყია, იაფად რომ ვყიდულობთ.

— გასაგებია, მაგრამ... — ფანამ არჩილს გადახედა. სახეზე აღმური

მოკიდებოდა, სხეული აუტოკდა. — შენ გინდა დაღვევა, ვასკა?

— მინდა.

— მე კი არა, — ცალკობად თქვა ჟანამ.

— ჩვენი კანონის თანახმად მართალი არ ხარ ჟანა, — სიტყვებს სევდა ამოაყოფა ვასკამ.

— თუ გინდა, დაღიე, ჟანა, — გამომცდეელი კილოთი უთხრა არჩილმა.

ჟანა თავჩახრილი იჯდა ძელსკამზე. შეჭირვებით ამოიხიზრა. თითების სრესვა აუტყდა, ცახცახი აუვარდა. ვასკამ ბოთლო, ერთი მწვანე ვაშლი და ორი პლასტიკისის ჭიქა ამოიღო ჩანთიდან. ორთავე ჭიქა გაავსო. თავისი იღო და გადაკრა. ვაშლი ნერილ-ნერილად დაჭრა, ერთი ნაჭერი შეჭამა, დანარჩენები თოვლზე გამოსილ ქალღალღზე დააწყობოთლისა და ჭიქების გვერდით.

არჩილმა ჟანას გადახედა. იგი კანკალებდა. სინთლეს გადაეარა სახეზე და ამჯერად უკვე მკვედრის ფერი დადებოდა.

— დაღიე, ჟანა! — უბრძანა არჩილმა.

ჟანამ ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ჭიქას აკანკალებული თითები შემოაჭდა. მერე გადაკრა არაყი.

— შენ კი, Черножопый, ჩვენს კანონს რად არღვევინებ ამ ქალს?! — უეცრად მოემატა სითამამე ვასკას, რომელიც ორი-სამი წუთის წინ ძალზე შორცხვობდა არჩილის წინაშე. ეტყობოდა, არაყი ძარღვებში სწრაფად გაშლილიყო.

სითამამე უეცრად ჟანასაც მოემატა.

— ეგ დიდი კაცია, არაყს არ მიირთმევს, — თქვა დამამცირებელი ტონით.

არჩილმა გაოცებით შეხედა ჟანას — ის ისევ ორი კვირის წინანდელ ჟანას დამსგავსებოდა.

მეორე ჭიქის გადაკერის შემდეგ ვასკა არჩილის ლანძღვაზე გადავიდა. რა არ უნოდა.

— ვინ გკითხავს შენ, ჩვენ დაგლევეთ თუ არ დაგლევეთ. Черножопый ты, настоящий.

არჩილს სისხლი აუვარდა ტვინში. ნონასნორობა დაკარგა. ადგა, ვასკასაც უბრძანა ადგომა. მერე მარცხენათი ქურთუკის საყელო მოქაჩა, მარჯვენა კი ძლიერად ხეთქა სიფათში.

ჟანას ტირილი აუვარდა, კერძო ჯიბეებში ჩაენყო ხელი და შორიანხლო ნერვიულად მიმოიხიდა.

ვასკა ჟანას მიუჩინდა, მკლავი გადახვია და მოფერებით დაუნყო ლაპარაკი.

— რატომ მიგვატოვე, ჟანა?

ამის თქმა იყო და არჩილი მიუახლოვდა. მკლავზე დაადო ხელი, ნამოაყენა და ჯიკავჯიკავით გააგდო.

— რატომ მიგვატოვე, ჟანა? — ამბობდა შიშამდგარი ვასკა და უკან-უკან იხევდა. არყის ხშირი სმისგან დასუსტებული მუხლები ეკეცებოდა. — სირცხვილი შენი, ჟანა, რომ მიგვატოვე... — ვასკა იცრემლებოდა. — ახლა ჩვენ სხვა სახლის სხვენზე ვცხოვრობთ. უწინდელიდან გამოგყვარეს, რალაც რემონტი დაიწყეს. ახალ სხვენზე ლოგინი გაგიმზადეთ. ვფიქრობდით, დღეს მოვა, ხვალ მოვა, ზეგ მოვა. შენ არ გამოჩნდი. ყოველ საღამოს თითო ჭიქას ვავსებდით და შენთვის ვინახავდით. მერე ყველა ბოთლში ჩავასხით და შეგინახეთ.

ჟანა ხმამალა ქვითინებდა.

— ნადე, გაფუჭებულ კილოთი, თორემ კიდევ გცემ! — შიდახსა არჩილ კორტამ ლასლასით მიმავალ ვასკას. — ჟანა ამიერიდან არაყს დაემშვიდობება და ბედნიერად იქნება.

არ უწყოდა არჩილ კორტამ, თუ სად უფრო ბედნიერი იქნებოდა ჟანა, მის თბილ მყუდრო ბინაში თუ იქ, სხვენზე, მანანნალა ლოთებთან.

ჟანა ზღუქუნებდა.

ვასკამ ნაბიჯს მოუჭარა. ცოტა რომ გაიარა, ნაიქცა. გამვლელი შეეშველა და ძლივს ნამოგდა. მერე თვალს მიეფარა.

8

იმ ერთმა ჭიქა არაყმა ჟანას კვირაობით დანმენდილი სისხლი ისევ გაუბინძურა, ნერვებიც აუშალა. ძველებურად დაიწყო გინება. მეტყველებიდან გამჭრალი ბილნსიტყვაობა ისევ შემობრუნდა. რაც ყველაზე საზიანო იყო, არჩილ კორტას აზრით, ჟანას ორგანიზმი კვლავ ალკოჰოლს მოითხოვდა, შხამი — შხამს. ერთი სიტყვით, არჩილ კორტას თავიდან უწყევდა დიდაქტიკური მუშაობის ჩატარება, რაც კიდევაც სიამოვნებდა და კიდევაც — არა.



იმ საღამოს არჩილ კორტა იძულებული შეიქნა ფანას მუდარა შეესმინა და ნახევარლიტრიანი „კრისტალოვსკაია“ მოეტანა. სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ფანას სახსრების მტკრევა დაეწყო. სახეზე აღმური უფარდებოდა, ხან წითლდებოდა, ხან კი ცარცივით ფითრდებოდა. მეტყველებას კონტროლს ვერ უწევდა.

ფანამ იმ ბოთლიდან ერთი ჭიქა დალია. დანარჩენი არჩილ კორტამ გადამალა. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ფანამ ისტერიკა მორთო. გაჰყვიროდა, ვკედებოო. არჩილი ამ დროს აბაზანაში იყო, იქიდან გამოსული ტელეფონს მიეარდა, სასწრაფოსთვის რომ დაერეკა. ტელეფონი დუმდა. ნუ გემინია, უთხრა ფანას, მე ზობლისგან დაერეკავ. მეზობელთან გავარდა. იქიდან ათ წუთში მობრუნდა. ექიმი გამოვიძახეო, უთხრა ფანას. ფანა გაუხდელი ინვა ლოგინზე უტიფარი მზერა მიეპყრო სივრცისთვის. სიმღერა ნამოიწყო, ქუჩური, ვულგარული. მე კარგად ვარო, უთხრა არჩილს, ექიმი აღარ მჭირდებაო. ეს როგორო, ჰკითხა არჩილმა. როგორ და ძალიან კარგადაცო, უპასუხა ფანამ და ისევ მიაყოლა ძველებური გინება. ვაოგნებული იდგა არჩილ კორტა, თან ელიმებოდა.

— დალიე? — ჰკითხა ფანას.
— დავლიე!
— დასალევი საიდან გააჩინე ეგრე სწრაფად.

— შენი საქმე არაა. რომ გადამალიე, დავინახე.

— ხა-ხა-ხა! ჭკუის კოლოფი ხარ.
— ტელეფონი მაშინ გამოვრთე, აბაზანაში რომ იყავი. ვიცოდი, მეზობლისგან რომ დარეკავდი.

— წყალში ჩაყარე ჩემი ორი კვირის ნაშრომი და ეგ არის.

— რომელ შრომაზე მელაპარაკები?
— ხომ გამოგიყვანე ბახუსიდან.

— მე ერთმა ბრძენმა დამარიგა, თუ გინდა, რომ ბახუსმა არ შეგაწახოს, სულ უნდა სეაო. გაიგე?

— გავიგე, დიდი ჭკუის კოლოფი ყოფილა ის შენი ნაცნობი. გაუმარჯოს ბრძენთ.

— ცოტას დაეისხამ და იმ ბრძენის სადღეგრძელოს შევსეამ.

— აბა, შენ იცი. არ გამოგრჩეს.

9

მეორე დღით ფანა გაბევებული იჯდა სავარძელში. თვალები თითქოს გაყინოდა. ერთ ნერტილს მიმტკრებოდა ოთახის ზედა კუთხეში. ამ პოზაში იხილა არჩილ კორტამ იგი, როცა გაელვია. ხელ-პირი არ დაუბანია, ლოგინიდან ადგა თუ არა, მაგიდას მიუჯდა და კალამი მოიშარჯვა. წერას შეუდგა. „ლოთებზე ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ საკმაოდ ასკვნები გამოვიტანე. ლოთებს ჩვევით ბორძიკით სიარული. მუდამ თავისთვის რალაცას ლაპარაკობენ. ადამიანებთან ურთიერთობაში აგრესიულნი ხდებიან. მუდამ მათხოვრობენ. მოძრაობაში მუდამ სიზანტე ეტყობათ. შუღლიათ გაუნძრევლად ისხდნენ ერთსა და იმავე ადგილას; თვალები გააშტერონ და გაყინული მზერით უცქირონ სივრცეში ამოჩემებულ ნერტილს; ნათელიმონ ზეზეულად. ალკოჰოლის ორგანიზმიდან გამოსვლის შემდეგ ძალზე ნერვიულები ხდებიან“.

— რას წერ, არჩილ? — ყრუ ხმით ჰკითხა ფანამ, ისე, რომ არ განძრეულა.

— ლოთებზე დაკვირვების შედეგებზე.

— მე მაკვირდები?

— ჰო.

— ჰმ! — მწარე სინანულით ჩაიძვინა ფანა კორბუტმა. — მე რა, ცხოველი ვარ ზოოპარკის გალიიდან?

— გუშინ კი, დაახლოებით ასეთი იყავი.

ფანამ თავი ჩალუნა.

— რისთვის გინდა ეგ ჩანანერები? — ჰკითხა ფანამ. — ხაერთოდ, რას წერ? მე რომ მძინავს მაშინაც წერ?

— თემაზე ვმუშაობ.

— რა თემაა, ან ეგ თემა რაღაა.

— ყური დამიგდე. შეგიძლია მომისმინო?

— შემიძლია.

— თუ დაიღალე მოსმენისგან, მანიშნე და გაეჩერდები.

— რომ არ გაეჩერდე?

— როგორმე გაჩერდები. ახლა ყური დამიგდე.

არჩილის გამჭოლ შეხედვაზე ფანა კორბუტს სახის ნაკეთები აუკანკალდა.

გაიტრუნა, სავარძლიდან ნაშოინია, ნელში მოიკაკვა, დაიძაბა და სმენად იქცა.

— შენში ინტელექტი მინდა შევიყვანო. მხოლოდ მას ძალუძს ალკოპოლი გამოადვენოს შენი ორგანიზმიდან.

— რომ არ გამოადვენოს? — გულუბრყვილოდ იკითხა ჟანამ.

— ნუ ანგლობ. ნუხანდელი არაყი გალაპარაკებს.

— მაშ, შენ რაღა გალაპარაკებს? საერთოდ არ სვამ და... მაშ რა გალაპარაკებს, რას მალავ?

— ჰმ! — ჩაეღიმა არჩილს. — კითხვა მოთხოვნილებად რომ გექცევა, არაფერზე არ იფიქრებ. კითხვის მოთხოვნილება შეცვლის სმის მოთხოვნილებას.

— ჰო? — უმწეოდ თქვა ჟანამ, ღონემიხდილად.

— ადამიანი განწყობაა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განწყობა ქმნის მის სახეს.

— ჰო? — უფრო ღონემიხდილად, აღმოხდა მოსმენისგან გასავათებულ ჟანას. — კი, მაგრამ განწყობას ვინ შემოქმენს?

— უპირველესად შენ თვითონ უნდა შეუქმნა შენს თავს. მერე კი გარემომყოფნი შეგეშველებიან.

— ესე იგი, შენ?

— კი.

— გმადლობთ, არჩილ. გადაგიხდი სამაგიეროს.

— სამაგიეროს გადახდა არ დაგჭირდება, ჟინაიდან შენს დღეში მე არასოდეს ჩავევარდები.

— ა? — გამომცდელად შეხედა ჟანამ.

— ჰო, ჰო. მე ძლიერი ნებისყოფისა ვარ. შენ კი — სუსტის. როგორ მითხარი მაშინ, ლექსები არ დამიბეჭდესო, განვიცადე და სმა დავეინყეო. ნებისყოფა არ გეყო.

არჩილი თავისთვის აგრძელებდა. იგი ჟანასგან ზურგშექცევით იჯდა. მისი საუბარი მსახიობის მონოლოგს უფრო შვავდა.

— შეგიძლია თავი განაწყო კარგისთვის, — განავრძობდა არჩილ კორტა. — შეგიძლია ცუდისკენაც. საკუთარი თავი რასაც მთავაგონებს, იქითკენაც წაგივა ხასიათი. უნინაც და ახლაც ყველა ფილოსოფოსი მუშაობს ამ თემაზე, მაგრამ თემა მაინც არაა სრულყოფილად

დამუშავებული. და ჩემს სუკცესსა საბოლოოდ დავამუშავო.

— ჰო? — კვლავ მკენავლებული ხმა აღმოხდა ჟანას.

არჩილი შემობრუნდა.

— რა იყო, შეუძლოდ ხომ არ გახდი?

— შენ მიპნოზი ხომ არა გაქვს? — უკითხა ჟანამ.

არჩილ კორტამ შენიშნა, ჟანას ლოყებზე და შუბლზე ოფლის ცვარებმა ოქროსფრად გაიბრჭყვიალეს. შემდეგ ეცვარები ლოყებზე ჩამოილეარნენ და არჩილს მოეჩვენა, რომ ქალს თითქოს თეთრი მძივები ება ყელზე. ჟანა ცაფითრებულად და სიქაგამოცლილი მინოლილიყო სავარძლის საზურგეზე. ქალი დაეღალა არჩილის ჩახლართული საუბრის მოსმენას. არჩილი მიხედა, რომ ჟანას ოტისოდენა მოსმენის უნარი არ გააჩნდა. ქალს გული უღონდებოდა.

არჩილი კარში გავარდა. ათიოდე წუთიც არ იყო გასული რომ მობრუნდა. მალაზიიდან ლედი მოეტანა. ძალზე ცივი ბოთლები იყო. ბატარეასთან მიანყო ბოთლები. ერთი მათგანი გახსნა და ქალს მიანოდა.

— ვინ გითხრა, მოიტანეო? — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ჟანა.

— ცუდად გახდი და რა შექნა. ხომ ხედავ, ყოველივე თავიდან რომა დასაწყები. არ გაგესინჯა ვასკას არაყი...

— ნუ გეშინია, სიტყვას გაძლევე, ცდას ნარმატებით დავამთავრებინებ.

— ისევე ცამეტითოთომქეტი დღე დაგჭირდება და ალკოპოლისგან დაიცლები.

— და შენი ცდაც გამარჯვებით დაგვირგვინდება. მე დავგებმარები.

— მე რაში დამეხმარები! მე კი არა, შენს თავს დაეხმარები.

— გადავიტანს ამ ლუდს მე არ დავლევ, ისე გადავიტან კრიზისს. შენ კი ისაუბრე, გაავრძელე. მე კარვად გავხდი ახლა. მოგისმენ.

არჩილ კორტა მიხედა, ჟანა თავს ძალას რომ ატანდა. არადა ძლივსძლიობით იღებდა ხმას.

— კარგი, გავაგრძელებ. — თქვა არჩილ კორტამ, რომელსაც მაჩნდა, რომ ღოთი რაიმეთი უნდა დაინტერესო, მისი აზრი არყიდან უფრო მიმზიდველ თემაზე უნდა გადაიტანო. — დღევანდელი ადამი-

ანი განწყობილებასაა მოკლებული. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანი ბუნებას დასცილდა და ამის გამო ხელოვნური გახდა. პო, ბუნებას დასცილდა, ესე იგი, რელიგიასაც. შტაინერი კი ამბობს, ადამიანი ბუნების ნაწილიაო. რა იყო, ისევე ცუდად ვახდით?

— პო. სუნთქვა მეკერის, — თქვა ჟანამ. — შენ კი განაგრძე, საინტერესოდ ჰყვები.

არჩილ კორტამ განაგრძო. ჟანა ყვრი-
 მალეებს ისრესდა, თან გაფაციცებით
 უვადებდა ყურს არჩილ კორტას. იგი იმ
 ლექტორს ჰგავდა, რომელსაც
 სტუდენტები დაეთესა ერთის გარდა.

— ბუნებას დაცილებული ადამიანის
 სული გალარბებულია. დღეს ყველას
 დოლარი აკერია პირზე, ბუნება კი ყვე-
 ლას დააფიცდა.

— რატომ გგონია ასე? — შეეკამათა
 ჟანა, — აი, მაგალითად, ჩვენ ხშირად და-
 ვდივართ ტყეში. დავანთებთ კოცონს,
 შევწვავთ მწვადებს, ჩამოვასხამთ
 არაყს...

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა არჩილმა.
 — ისევე არაყისარ გაიხსენო. აი, ფერი ნავი-
 ვიდა.

არჩილმა გაფითრებული ქალი ხელში
 აიყვანა. ლოგინზე მიანჯინა. თხელი
 საბანი გადააფარა. მერე ოდნავ შემო-
 ბარი ლუდი ჭიქაში ჩაასხა.

— არა და არ დავლევ. — ჯიუტად
 იმეორებდა ჟანა. — რაც არ უნდა შემანუ-
 ზოს ნყურვილმა, არ დავლევ!.

●
 თვალემომოხუჭული, ინვა არჩილ
 კორტა ლოგინში, მაგრამ ძილი არ ეკარ-
 ებოდა. წარმოიდგინა, რომ უღრან ტყეში
 დაეხეტებოდა. ნელა შრიალებდნენ
 ხეთა ტოტები. ნეღლი ფოთლების
 სურნელი ულიტინებდა ცხვირში. ეჩვე-
 ნებოდა, რომ ამ სიმყუდროვეში ტბილი
 და საამო ხმა, იმედის მომცემი ხმა
 მოემართებოდა მისი ყურთასმენისკენ.
 მაგრამ ხმა იგი ძალზე სუსტი იყო, მინა-
 ვლებული და უნიათო და საბოლოოდ
 მაინც ეკარგებოდა უკიდევანო სივრც-
 ეში.

10

ოთხი დღე გადაიტანა ჟანამ
 უალკოჰოლოდ. თვალები გაუსწორდა,
 სახე დაუნყნარდა. როცა დაუსრულებ-
 ლიე სვამდა, თვალები უელამდებოდა.
 დიდი წვალების შემდეგ თავისი
 ბუნებრივი ფერი დაუბრუნდა, პირის
 კანი გაუნახდა. ბევრი კი ინვადა. მეორე
 და მესამე დღეს ოთახში სიარული აუ-
 ტყდა. ოთახის დალაგებაზე გული არ
 მისდიოდა. მეოთხე დღეს სახლი დააკო-
 პნიავა. ნიგნის კითხვა უჭირდა. კრინტს
 ვერ ძრავდა. სუნთქვაშეკრული
 მიმოდიოდა გულელდაკრეფილი.
 ტელეფონის ზარი რომ დაინკრიალებდა,
 გული გადაუქანდებოდა ხოლმე.
 სახსრები მემტვრევაო, სულ ამას გაიძ-
 ახოდა.

კრიჭა შეეკროდა, არჩილი ძალისძ-
 ალით ანაყრებდა. მეოთხე დღეს გამოკ-
 ეთდა, გუნება გაუხალისდა. რაც კი სახ-
 ლში ზენრები და ხალათები იყო, სულ
 დარეცხა. რაც გასარეცხი არ იყო, ისი-
 ნიც მიაყოლა. მოძრაობამ უშველა.
 რამდენიმეჯერ ისე გაოფლიანდა, შხაპის
 მიღება დასჭირდა.

სალამოჯამს დაუწყნარდა ნერვები.
 მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე არჩილის ნა-
 ნერები იყო მიმოფანტული. ადამიანთა
 ურთიერთობაში სულ უფრო ისადგურებს
 სიცივე და უნდობლობა, — კითხულობდა
 არჩილის ნანერებს ჟანა კორბუტი. —
 ადამიანები სტრესებმა მოიცივეს, მათ შიში
 თრგუნავს. ამის მიზეზი ის არი, რომ ისინი
 ყოველდღიურად შემზარავ ინფორმაცი-
 ებს ლეზულობენ მასობრივი ინფორმაციის
 საშუალებებით. ასე მაგალითად, ტელევი-
 ზია დღეში რამდენიმეჯერ უჩვენებს
 მკვლევებს, მინაზე დაგდებულ
 მოკლულებს, ხანძრებს, ომებს, ავარიებს.
 ამის შემყურე ადამიანს უფლებაა შიში და
 ეკარგება განწყობილება. ადამიანის და-
 შინება წინასწარ განზრახვით ხდება. შიში
 დამონების უტყუარი საშუალებაა”.

არჩილი სამსახურიდან რომ დაბრუნ-
 და, ჟანამ ეახშამი გაანყო. თავადაც არჩი-
 ლის გვერდით მიუჯდა სუფრას. ვახშმ-
 ობის შემდეგ საუბრის ხასიათზე დადგა
 ჟანა კორბუტი.

— სულ მინდა გკითხო, მაგრამ
 მომერიდა.

— ნუ მოგერიდება, — მიუფო არჩილმა, — მზად ვარ ყველა კითხვაზე გიპასუხო.

— არჩილ, რა ჩემი საქმეა, მაგრამ... ქალი რატომ არა გყავს?

— რომელი ქალი? — განცვიფრდა არჩილი.

— აი, ცოლს რომ ეძახიან.

— მყავდა და გავუშვი, — ცოტაოდენი პაუზის შემდეგ უპასუხა არჩილმა, — გაგვადე.

— ოჰო! რა უხეში თქმა გამოგივიდა. გააგდე რა, ძალი ხომ არ იყო?

— ლამაზი იყო ძალიან ბოლო ცოლი და...

— ბოლოო? ბევრი გყავდა?

— ბევრი.

— ლამაზები იყვნენ?

— ლამაზები.

— მერე, რატომ გააგდე?

— ეგ საუბარი საშერმისოდ გადავდეთ.

●

გვიან ღამით გამოაღვიძა ჟანა კორბუტმა არჩილ კორტა. მე შეუხედავი ვარ, არა? — ჰკითხა არჩილს. არჩილს სიცილი აუტყდა. ჟანა კი უწუმრად იცრემლებოდა.

11

არჩილ კორტამ ტელევიზორი ჩართო. მეორე არხზე საღამოს გადაცემის ცქერას იყო მიჩვეული. უმეტესად ტელეკომპანია პოლიტიკურ გადაცემებს უთმობდა დროს. უკანასკნელ საათს ფილოსოფოსები გამოჰყავდათ, გაპოლიტიკოსებული ფილოსოფოსები. ისინი ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ, მთავრობასა და არსებულ რეჟიმს აკრიტიკებდნენ, მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა. მთავრობა მაინც ძველებურად აგრძელებდა მუშაობას, პოლიტიკოსთა კბენას სულაც არ უგდებდა ყურს. ტელევიზორი საღამოობით ცუდად უჩვენებდა. დენი იყო სუსტი. ოთახში ნათურებს თუ ჩააქრობდნენ, მაშინ უკეთ უჩვენებდა ტელევიზორი. არჩილ კორტაც ვერ მოიტკცა.

ჟანა ვერა და ვერ შეეჩვია პოლიტიკური გადაცემების ცქერას. ისინი მას ძლიერ აღიზიანებდა. იმ

დღესაც, როცა არჩილს ნიალი აუვარდა.

— რაიმე მუსიკა მოვძებნოთ, სხვა რომელიმე არხზე, — თქვა ჟანამ, — ვერ ვიტან მაგათ სისულელეებს.

— ჯერ ეს ენახოთ ბოლომდე. ეგ ჭკვიანი ფილოსოფოსია, განყოფილების გამგეა ჩვენთან.

— განყოფილების კი არა, ორ ბატს არ მივებარებდი, — პირქუში სახით თქვა ჟანამ.

— რატომ გგონია ვერ?

— რასაა რომ ჩმახავს მიტინგები გავმართოთ. მეტი საქმე არა აქვს!

— ჩუ! მომასმენინე, — გააჩუმა არჩილმა.

ჟანა თითების ფშვინტას შეუდგა.

— თავს ძალა უნდა დაატანო, მოსმენის კულტურა გამოგიმუშავედა. თუ გონებას ნაეარჯიშებ და შენში ინტელექტს იპოვი, ალკოჰოლს საბოლოოდ გამოდენი და ბედნიერიც იქნები.

— ეგ რაღაა? — გულუბრყვილოდ იკითხა ჟანამ.

— რა რაღა?

— ინტელექტი.

— აკი ავიხსენი ამას ნინათ. ის, რაც შენ არ გაგანია. — ღიმილით თქვა არჩილმა.

— შენ? — ამრეზით ჰკითხა ჟანამ.

— რა მე?

— შენ გაგანია?

— ძალიან დიდი დოზით.

— და მერე რა ჯანდაბად გინდა? — ანცობისა და კეკლუცობის ხასიათზე დადგა ქალი.

— მჭირდება. აბა შენსავეთ შტერი ხომ არ ვიქნები, პატარა, ტანმორჩილი და შეუხედავი შტერი, — ალერსიანად დაუყვავა არჩილმა და მზარზე მკლავი გადადო. ჟანა გაიტრუნა.

— გჭირდება და გქონდეს, — ნანყენის კილოთი თქვა ჟანამ. — ვინ გართმევს ნეტავი.

— ეგ ისეთი რამეა, ვერაფინაც ვერ ნამართმევს. გეტყობა, შენც ფილოსოფოსი ხდები თანდათანობით, ისეთ კითხვებს მისვამ. შენთვის მართლაც ზედმეტია პოლიტიკა და ფილოსოფია. გიჯობს ქალურობა მაგრძნობინო.

— რა საშუალებით?

— ჩემთან უნდა დანვე დღეს.

— არა!

— აბა რომ თქვი, შენთან ნამოვალაო?!
 — ეგ როდის?
 — სულ პირველად.
 — ეგრე ბევრ მამაკაცს გაეყვივი.
 — მერე?
 — არაფერიც. არაყის არ ვუნვებოდი. არაყს რომ დამალეფინებდნენ, დავეთესებოდი ხოლმე. ათი წელია მამაკაცთან არ ვნოლილვარ. არაყი მიცვლიდა იმ სიამოვნებას. ყინვაც რომ ყოფილიყო, გამოვიპარებოდი და გარეთ გამოვვარდებოდი, მსუბუქად ჩაცმულიც რომ ვყოფილიყავი.
 — მერედა არ გციოდა? თბილებს რატომ არ იცვამდი?
 — თბილად ჩაცმა არ მიყვარს. არასოდეს არ ვყიდულობდი თბილ ტანისამოსს.
 — რატომ?
 — დილაობით სპირტს ვსვამდი ხოლმე და მთელი დღე ტანი მიხურდა. არ მციოდა.
 — გამოდის, რომ თბილი ტანსაცმელების ნაცვლად სპირტის რაოდენობა უნდა გაზარდოს სახელმწიფომ, — ამის თქმაზე სიცილი აუტყდა არჩილს. მან უნაამკერდზე მიიკრა. — აი, ამიტომ გითხარი, ჩემო მინიატურულ ქალო, ფილოსოფოსობას შენც იწყებ-მეთქი. შენ ის მითხარი, მერატომ არ გაემეპარე, მეც ხომ დაგალეენინე არაყი.
 — ვერ გეტყვი, რატომ არ გავიპარე. არც გავიპარები.
 — როდის დანებები ჩემთან? — ჯიქურ მიახალა არჩილმა.
 — ხომ ვინეტი შენთან? ის როდის იყო...
 — ის სხვა იყო. როგორც ქალი, როდის დამინებები-მეთქი.
 — როცა ვიგრძნობ, რომ შენდამი...
 — პო, გავიგე. რამდენი საუკუნე დაგჭირდება, რომ იგრძნო?..
 — რომ ვიგრძნო?
 — პო.
 — მოითმინე ცოტაც. არ ვიცი, რა მომდის. შენთან გრძნობის გარეშე არ შემიძლია.
 — სხვებთან შეგეძლო?
 — აკი გითხარი, ათი წელია, რაც მამაკაცთან არ ვნოლილვარ-მეთქი. შემდეგ კი... რომ დამალეფინებდნენ, ვეთესებოდი-მეთქი, ეგეც ხომ გითხარი.

— შენ ის მითხარი, მამაკაცები როგორ ურიგდებოდნენ შენს გაპარვას?
 — რომ მომაგნებდნენ მეორე ან მესამე დღეს, მცემდნენ. არც მე დავიკრეფდი მკერდზე ხელებს. ცხვირ-პირში ვუხათქუნებდი. რა გაცივებს, ცემა შემიძლია. მაინც მჯობნიდნენ. ისევე ნამათრევედნენ ძალისძალით, ჯიკავ-ჯიკავით. მე მაინც არ ვნებდებოდი. თავიდან, არაყს რომ დავლევდი, მამაკაცთან დანოლის სურვილიც მეზადებოდა. კიდევ რომ დავამატებდი, სურვილი ერთბაშად მიქრებოდა. კაცები რომ შეთვრებოდნენ, გავეპარებოდი. შემდეგ ლუდხანასთან, შენ რომ გავიცანი იქ, ისევე გამომიქრდნენ და უშინყალოდ მცემდნენ. სულ თვალეზამოლურჯებულნი დაედიოდი. ვერ წარმოვიდგენდი, სმას თუ თავს დავანებებდი. ეს რა ჯადო ნამისვი... ნასვამზე ასე შეგონა, აბრეშუმის ბილიკზე მივაბიჯებდი. მოჩვენება ყოფილა.
 არჩილი გაფაციცებულად უყურს ქალის საუბარს. თანაც განცვიფრებული შესცქეროდა მოსაუბრეს. ლოთის ფსიქოლოგიით დაინტერესებულ ფილოსოფოსს აოცებდა ქალისთვის შეუფერებელი მეტყველება და ლექსიკის არსენალი.
 — მოდი, გაკოცო! — მოულოდნელად თქვა ჯანამ ცოტაოდენი პაუზის შემდეგ.
 — აკი თქვი, გრძნობა რომ გამიჩნდება, მერეღა შეგიყვარებო?
 — შემეცოდე.
 — საზიზღრობაა.
 — რაა საზიზღრობა?
 — შეტოვების გამო კოცნა.
 — მოდი, მოდი! — გაიმეორა ქალმა. იგი კანკალებდა. თვალები უტყინციმებდა. საფეთქლებზე ოფლის ცვარმა ვერცხლისფრად გაიბრწყინა. არჩილი ადგილიდან არ ინძრეოდა. შიგნით მოზღვავებულ ველურ ნენრგიას უტიფრად იოკებდა და ცდის ჩამტარებლის სიჯიუტეს იჩენდა.
 — შენ არ თქვი, გრძნობა რომ დამებადება, მერეო? — მამაკაციური სურვილი მაინც ვერ დამალა არჩილმა, ხმა აუკანკალდა.
 — კოცნით დაეინყოთ. — ხმა აუკანკალდა უნანასაც. — ეგებ შემიყვარდე. — სიყვარულის გრძნობა თუ შემრჩა, უთუოდ

შემიყვარდები. თუ არ შემიყვარდი, არ გაგიკარებ. ჭკვიანი ხარ ძალიან და ეგებ შემიყვარდე.

— მოდი, ჟანა, მოდი, ჩემო მინიატურულ და შუუხედავო გოგო!

— ჟანა ყელზე ჩამოეკიდა ვეებერთელა კაცს. არჩილი ადგა. ჟანა კი ყელზე აყავდა ჩამოკიდებულს.

— იცი, რასა გთხოვ? — ჩურჩულით დაეჭყყანა ჟანა. — შენი ჭკვიანობითა და ნაწნავლობით ნამეტნავეად არ გადაამლაშო.



მარტო რომ დარჩა საკუთარ თავთან, დილაშობლობულზე, თავისთვის გაიფიქრა: „ათი წლის წინათ მამაკაცებს უწევოდა ლოგინში. რატომ მე არ ვიცნობდი მამინ? ან რატომ უწევოდა იმ მამაკაცებს?“ არჩილს ვერ გაერკვია, მისი ეს ფიქრი ავადმყოფური ამპარტავნობის ნაყოფი იყო თუ სიყვარულით გამოწვეული ეჭვიანობის შედეგი. იქნებ სამხრეთელი მამაკაცის ხასიათმა გაიღვიძა მასში, მამაკაცისა, რომელიც მუდამ ცდილობს, რათა ქალი ეკუთვნოდეს მას, მხოლოდ და მხოლოდ მას.

12

არჩილ კორტასთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ ჟანა კორბუტი ისევე ძველებურად გაიღვიძა. ძალიან აღელდა იმ დღეს და თავდავიწყებამდე დათვრა. ბევრი ეხვეწა არჩილი, მაგრამ ქალმა თავისი არ დაიშალა. ერთ ჭიქას დავლევო. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... გინების კორიანტელი დააყენა, ისეთი სიტყვები ამოუშვა, მამაკაცებიც რომ ურიდებინათ მათ წარმოთქმას. მეორე დილით არჩილმა ძალისძალით შეაგდო თვალეგვაბიფინებული ჟანა აბაზანაში. აბაზანიდან გამოსულ ჟანას სიმორცხვე დაეტყო. არჩილს თვალს ვერ უსწორებდა. არჩილი ჩამოჯდა. კრინტი არ ძრავდა, ძველებურად არ დაუცაცხანებია, რატომ გამოთვერიო. არჩილის დუმბილმა ძალზე გააღიზიანა ქალი. იგი მოულოდნელად აკივლდა.

— ღორი ვარ მე, გამოუსწორებელი ღორი!

— ჩუ! შენ კარგი ქალი ხარ, არჩილ!
— დამცინე, დამცინე! მე ნავალ, არჩილ!

— როგორ თუ ნახვალ!
— სამუდამოდ ნავალ. არ მინდა თავი შეგაძულო!

— არ შემძულდები. შენ ჩემთან უნდა იცხოვრო. ჩემი ცოლი უნდა გახდე.

— მანანნალა და ლოთის ცოლობა რაღად გინდა?! მე ხომ გამოუსწორებელი ლოთი ვარ, შენ კი — ნესიერი, განათლებული და ლამაზი კაცი. მე ნავალ, არჩილ!

— მე მიყვარხარ, ჟანა, შემიყვარდი, — ხმა გაეზარა არჩილს, — მე უშენოდ აღარ შემძლია!

— არ მჯერა! — ჩურჩულით თქვა ჟანამ.

— შენ ჩემი სიცოცხლე ხარ. — თქვა არჩილმა და მკლავები მოხვია ქალს. ჟანა გაიტრუნა. იგი ცახცახებდა.



ხმაიმველელი სულ ახლოს იყო, ეგრე ეჭვენებოდა. მოდიოდა და მოდიოდა ხმა იგი. მოდიოდა, მაგრამ არჩილამდე მაინც ვერ აღწევდა.

არჩილმა ისევე იგრძნო, თავის ერთ მხარეს ჯანყის საჭიროება, მეორეში კი ზნეობრივი რვეოლუციისა.

ნაწილი მეორე

1

— სულ მალე სადმე ქალაქკარეთ უნდა გავემგზავროთ. — თქვა არჩილ კორტამ. — შენ, ჟანა, როგორც გეტყობა, ბუნება გყვარებია, ბუნების წიაღში ხეტიალი. მეც ეგრე ვარ ბავშვობიდან.

— ბუნებაში ვარ გაზრდილი შვიდი წლიდან, — უპასუხა ჟანა კორბუტმა, რომელიც ის-ის იყო ტყიდან მობრუნებულიყო ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ. თვალეები აღმასივით უელავდა. პირისკანზე სასიამოვნო ფერი დასდებოდა. კარგა ხანი იყო, რაც სასმელს არ მიკარებოდა. სინაზე დაეტყო, ზნე გამოუკეთდა.

მეორე დღე უქმე იყო და დილიდანვე შეუდგნენ თადარიგს. ჟანა ტყის სიღრმეში აპირებდა ხეტიალს, არჩილ კორტამ

კი ნიგინი ნაიმძღვანა, მოახლოებული გამ-
ოცდისათვის ემზადებოდა, პარკში ჩამ-
ოვჯადები ძელსკამზე და ვიშეცადინებო.

ტყე პარკს ეკრა, პარკი კი — ქალაქს,
უფრო სწორად, ქალაქი პარკით მთაერ-
დებოდა. თანა კორბუტი ვერ ისვენებდა.
ეს უკვე მერამდენედ შემოიარა ტყის
ბილიკები. ეტყობოდა, სწრაფად დადიო-
და. ოფლს შუბლი დაეცეარა. არჩილ
კორტა პარკში ძელსკამზე ჩამოშჯ-
დარიყო. ნიგინს ჩაპკირკიტებდა. თანა
ტყიდან რომ მობრუნდებოდა, არჩილი
თავს ნამონედა, ცოტა ხნით ნიგინს განზე
გადაადებდა. მერე კი, თანა ისევ ბილიკს
რომ გაუდგებოდა, ნიგინს მოიმარჯვებდა.

იდგა მშრალი, მზიანი დარი, ზა-
მთრისას რომ არ ჰგავდა, ისეთი. ხეთა
ტოტებიდან მზეს თოვლი ჩამოებერტყა.
პარკის მარჯვენა მხარეს, სადაც შემ-
ოვლითი გზა გადიოდა, ეკლესია იყო აღ-
მართული. იგი მზიან ამინდში თვალსასი-
ამოვნოდ ლიცლიცებდა.

არჩილ კორტა მშვიდად იჯდა. ისევ ნი-
გინს ჩაპკირკიტებდა, მაგრამ თვალნი
ედგა ტყეში მოხეტიალე თანა. თან კითხ-
ულობდა, თან თანაზე ფიქრობდა. მას
უკვე გადავიწყდა თანას წარსული, ის
დღეები, როცა არავითა და ლუდით
გაბრუნებული ქალი ანგარიშიუცემლად
ნამორთავდა ბინძურ სიტყვებს. არჩილ
კორტა თანას გამოსწორებას საკუთარ
ღირსებად თელიდა და ეს ახარებდა, ეა-
მაყებოდა. ამის გაფიქრებაც კი დიდ სი-
ამოვნებას ანიჭებდა.

— გეყოფა სირბილი, არ გადაიღალო! —
მიძახა არჩილმა თანა კორბუტს,
რომელიც უკვე მერამდენედ აპირებდა
ტყის ბილიკს გასდგომოდა.

— ორგანიზმი არ უნდა გადაღალო.
ვარჯიში დიდებული რამ არის, მაგრამ
ზედმეტი არაფერი ვარგა.

— ყველაფერი შენ უნდა იცოდე, ჩემო
ჭკუის კოლოფო?

— ნიგინებში მაქვს ამოკითხული.

— ნიგინებს მეც კითხულობ.

— ვიცი, რომ კითხულობ. მე სამსახუ-
რში რომ ნავალ, ჩუმი-ჩუმი კითხულობ.
რატომ ჩუმი-ჩუმი?

— მეძინია, გამოცდა არ მომიწყო.

თანა შემოაბრუნა არჩილ კორტას
დიდაქტიკურმა განსჯადობამ, რომელიც

ზედმეტი მოძრაობით სხეულის გადაღ-
ლას შეეხებოდა. არჩილი ხარობდა, ქალი
თვინიერი და დამჯერი რომ ხდებოდა
თანდათან.

თანა არჩილს გვერდით მიუჯდა. ბევრი
სიარულისგან ლოყები განითლებოდა.
ჩამოჯდა თუ არა, სინითლემ გადაუარა.
მშვიდად იჯდა და სიერცემი იცქირებო-
და. არჩილმა ნიგინს განზე გადადო, ქალს
მკლავი მოხვია და მკერდზე მიიკრა. თავი
რომ ნამოსნია, თანას თვალეში შეაქცე-
რდა. „არა, ეგ სულ სხვა ქალია“ გაპკრა
ფიქრმა ანაზად. ამჯერად თანა უფრო
ნაკლებას კოვანიც მოეჩვენა. „სულ სხვა
ვინმეა“, გაიმეორა ფიქრში. ამგვარი
აზრები ბოლო კვირის მანძილზე ძალზე
ხშირად მოსდიოდა.

2

— არჩილ! — ნამოიყვირა თანამ.
იქნებოდა ლამის ორი თუ სამი საათი.

— რა იყო?

— გეძინა?

— ნახევრად.

— ნახევრად?

— ჰო, რა იყო?

— ამ სიტყვამ რა გამახსენა, იცი?

— რა გაგახსენა, არ იტყვი?

— ამ სიტყვის გარშემო ს-ულ
ვფიქრობდი. აი, გუშინაც ვფიქრობდი.

— რას ფიქრობდი და მერე რა დაას-
კვენი?

— რა კარგია, რომ ეგ სიტყვა ახსენე.
იცი, რას ვფიქრობდი? მენ, სუყველა ნა-
ხევრად გიყვარს.

— გაჩერდი ერთი!

— ნახევრად გიყვარს ადამიანები. ნა-
ხევრად გიყვარდა ცოლები. მეც ნახევ-
რად გიყვარეარ.

— რა აზრები მოგსვლია თურმე, —
გაფიცხდა არჩილ კორტა.

— არ გინდა, მთელი გულით რომ შეიყ-
ვარო ვინმე. რალაცის გეძინია, და კი არ
იცი, რისი გეძინია. ქალს გულთან ახლოს
არ უშვებ. მე მგონი, იმისი გეძინია, რომ
გიღალატებს. და თუ გიღალატა, და თუ
ამდროს არ გიყვარს, განცდა არ გეძინება,
ადგები და გაუშვებ. არ გინდა განიცადო,
მე მგონია, რომ ტკივილის გეძინია.

— და რა არის ამის მიზეზი შენი აზ-
რით?

– ის, რომ შენ ზედმეტად თავმოყვარე ხარ.

– ყოჩაღ, ჭანა! – დამცინავი კილოთი თქვა არჩილ კორტამ. – რაც შენ ფილოსოფიური ნაშრომების კითხვას მოჰყავი ხელი, ნამეტნავად ჭკვიანი გამხდარხარ, ნამეტნავად ჭკვიანი ქალი კი მტრისას...

3

მანანალები მობუზულები, დაჩივებულები და გაზინთულნი ლასლასით მზომოდოდნენ ჩამოსასხმელი ლუდის ჯიხურის შორიახლო. ეტყობოდათ, რომ ლუდის საყიდლად ხურდაც არ უჭყაოდათ ჯიბეში. წინა დღეს დაეხარჯათ, რაც კი ებადათ. გამვლულ-გამომვლელებს ეხეებოდნენ: გვიხსენი, მანეთი მაკლია. ისინი კი ამრეზით შეხედავდნენ, ნადი, იმუშავეო და გზას შეუჩერებლივ აგრძელებდნენ. ათასში ერთი თუ უწყალობებდათ ცოტაოდენ გროშებს. ის იყო, ნერვიულობისგან წრიალი აუტყდათ, არჩილ კორტამ და ჭანა კორბუტმა ჩამოიარეს. ჭანამ არც აცია, არც აცხელა, ჩანთიდან ბოთლი ამოასრიალა. მაგიდაზე დადო და არჩილთან ერთად შორიახლო დადგა. ნამში მანანაღათა მთელი ჯგროზგროვდა. ნეტარებით შესცქეროდნენ არყის ბოთლს.

– მარჯვნიდან დაიწყეთ ჩამოსხმა. – უბრძანა ჭანამ ლოთებს. მარჯვნივ თავებომბორა მანანაღათა იდგა. მას შავი სომბრერო ეხურა.

– მარცხნიდან აჯობებს! – დაიყვირა მარცხნივ მდგომმა თვალებამოღურჯებულმა ხმელმა კაცმა. – გინდათ, რომ მე არ მომიწიოს?!

– იქნებ არც მე მომიწიოს, – თქვა მარჯვნიდან მესამემ, რომელსაც თავი ბურთს მიუგავდა. თავებომბორამ პირველმა დალია და ტურჩები ნეტარებით ააცმაცუნა.

ხმელ კაცამდე არაყმა არ მიაღწია.

– ხომ გითხარი თანაბრად გაანაწილებეთი! – უყვირა მან თავებომბორას.

– მე ჩემთვის დავისხი, – მიუგო თავებომბორამ.

– შენი ჭიქა პირთამდე გაავსე და მე როგორ მომიწევდა! – საზარლად იჭექა ხმელმა კაცმა.

ჭანას ნერვიულობა დაეჭვებოდა, კორტასი რცხვენოდა, ძველი თანამეინახენი ჭიქა არაყზე რომ კინკლაობდნენ.

ხმელი კაცი ძალზე გაგულსებული ჩანდა, იგი თავებომბორასკენ მიიწევდა. მიუახლოვდა კიდევაც, საყლოში წედა. დანარჩენი ლოთები უკვე დაფანტულიყვნენ. არჩილ კორტა ჩაეარდა შუაში. ხმელმა კაცმა ვერ გამოზომა და მოქნეული მუშტი არჩილს მოხედა. ჩანდა, რომ ხმელი კაცი უწინ სპორტსმენი უნდა ყოფილიყო. საძინელი დარტყმის პატრონი გამოდგა. არჩილი მოცელილივით გაიმხლართა ატალახებულ თოვლზე.

– მიშველეთ! – იკივლა ჭანამ, – ეს რა ჩაიძინე, შეარყისგან გადარეულო! – ჭანა ხმელ კაცს მივარდა, ერთი მაგრადა გაუშალა სიფათში. ხმელმა ხურდა დაუბრუნა, ჭანა არჩილის გვერდით რომ დაინახა გაგორებული, იქიდან მოუსვა. ჭანა მყისვე ნამობტა. ეტყობოდა, არჩილს გული წასვლოდა.

– ვალერიანის წვეთები თუ გაქვთ ვინმეს?! – დაიკივლა ჭანამ.

– მაქვს, მაქვს! – გამოეპასუხა უცნობი მანანაღათა, რომელიც ეს-ესსა შემოხეტებულისყო ამ არემარეში.

– მოიტა ჩქარა!

უცნობმა პანაა შუშა ამოაძრო ჩანთიდან.

– აჰა! – თქვა და ჭანას გაუნოდა შუშა.

– ეგ რომ ვალერიანის წვეთები არაა!

– სპირტია, – თქვა უცნობმა მანანაღათამ.

– შენ ვინ მოგცა ეგ სპირტი? – გაიკვირვა ჭანამ.

– სოფელში ვიყავი და...

– იქ რა გინდოდა, სოფელში.

– იქაური ვარ...

– იქაური თუ ხარ, აქრას დაეთრევი! – და ლოყაზე გაულანუნა ჭანამ.

4

ხის ძირას მოხუცი იდგა, მოხუცი და კიდევ ორი გოგონა. მოხუცსაც და იმ ორ გოგონას პურის ნაფშენები დაეყარათ. შორიახლო პანია ჩიტები დაფრთხილებდნენ. გარშემო ჭლურჭლულით უელიდნენ წინ გამომწერილ ხელისგულებს, რომლებზედაც პურის ნამცეცები



ეყარა. ჩიტები ფრთხილობდნენ, ალბათ ადამიანთა ვერაგობის ამბავი კარგად მოეხსენებოდათ. თუმცა ის კი არ უწყობდათ, ყველა ადამიანი ერთნაირი რომ არაა. ჩიტების შეცდომა იმაში ჩანდა, ყველა ადამიანს ერთ ტაფაზე რომ ათავსებდნენ.

არჩილ კორტას დიდ სიამოვნებას გვრიდა მოხუცისა და ორი გოგონას ცქერა. მზიანი ამინდი იდგა, თოვლი მიმდნარყო. ზამთრის ბელურების ცქერამ ფიქრები აუშალა არჩილ კორტას. ბაქნთან თავშეყრილი მანანალა ლოთების გახსენება ტვინს უხერვტდა, საამო პეიზაჟს ნანილ-ნანილ აქუცმაცებდა.

ჟანა მოხუცისა და გოგონების გვერდით დადგა, ჩანთიდან ფუნთუშა ამოიღო. მოციცქნა და მერე დაფშენა. ხელისგულზე დაიყარა, მერე მკლავი შაერში გაიშვირა. ელოდებოდა, ჩიტები როდის დააფრინდებოდნენ ხელისგულზე. არჩილმა შენიშნა, ორთაგან ერთმა გოგონამ პირქუშად რომ გამოიხედა ჟანასკენ. ჟანას გუნება ნაუნდინა იმ გოგონას შურიანმა მზერამ, პურის ნაფშევები გადაყარა და არჩილისკენ გამოემართა.

— ცუდი გოგონა ჩანს, — უთხრა მან არჩილს.

— მშვენიერების ცქერის მონოპოლიას ენევა, — თქვა არჩილმა პათეტიკური კილოთი. — სულ მინდოდა მეკითხა... შენც ცქერით ტკობის ფინი განა არ მოგივიდა იმ დღეს?

— რომელ დღეს?

— ლოთებს ერთი ბოთლი არაყი რომ დაუდგი.

— შენ ეგრე დაასკვინი? შენ თუ სულ ცდებს ატარებ ადამიანებზე, მე რა, ამის უფლება არ მქონდა განა? მე იმ დღეს საკუთარი თავი გამოვცადე, ცდუნებას თუ გავუძღვებ-მეთქი.

● — ჟანა! — მოესმა ანაზდად ზურგსუკან.

შემოტრიალდა. ვასკა იდგა. არჩილი ბალის სიღრმეში გასულიყო.

— შენ? აქ როგორ გაჩნდი? — ჰკითხა ჟანამ.

— სახლიდან რომ გამოხვედით, დაეინახეთ და უკან გამოგყევით.

— ნაღი, თორემ არჩილი მოვა. აქვეა, ბაღში გაისიერნა.

— მოვიდეს, მერე რა!

— გცემს.

— არ მეშინია. ჩაქუჩი მაქვს ჩანთაში.

— ნუ სულელობ.

— არჩილმა შეგაშინა, არა? მოდი, დავლიოთ, ჟანა. არაყი მაქვს ჩანთაში, ჭიქებიც, პურის ნატეხიც.

— აღარა ვსვამ!

— კარგი ერთი სმას რა სჯობს. ლუდი მაინც დალიე. ლუდიც მაქვს.

— არც ლუდს არა ვსვამ.

— ბავარიისაა.

— აკი გითხარი, არ ვსვამ-მეთქი.

— ცოტა მაინც მოსვი, გეხვეწები.

— არა-მეთქი.

— ხათრი არა გაქვს? ოდნავ მაინც! სმას თავი თუ გაანებე, დაილუპები. მეცოდები არჩილის ხელში, ტვინს გაგიუთოებს. გეხვეწები, არ გამანბილო.

ჟანას თითქოს სხეული მოერღვა.

— ცოტას მოვსვამ, — ძლივს ამოთქვა მან.

ვასკამ ბოთლი გახსნა.

ჟანამ მოსვა. ნამიც არ იყო გავლილი, გული აერია და უკან ამოასხა. დარცხვენილი შევარდა ბუჩქებში. იქიდან რომ გამოვიდა, ვასკა აღარ დახვდა. არჩილი იდგა და ცინიკურად ელიმებოდა. მას კრინტიც არ დაუძრავს. ჟანას მიუახლოვდა.

— ჩიტებისკენ, ჟანა, ბელურებისკენ!

4

— გინდა მოგემსახურო. — უთხრა არჩილ კორტას ძალიან მოკლე ჭურქში გახვეულმა, მალაფხებებიანმა ქალმა, რომელიც მეტროდან ამოსულს პირდაპირ, მოულოდნელად ეკვია.

— ეგ რას ნიშნავს? — ჰკითხა გაცივებულმა არჩილმა.

— მოგემსახურები-მეთქი.

— საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში მუშაობ?

— რომელ საუკუნეში ცხოვრობ? ხელის აქნევით გაიკვირვა ქალმა. — ორმოცდაათი დოლარი მინდა. აქვე ვცხოვრობ.

ლოგინი სუფთაა, მეც სუფთა ვარ, შიში
 ნუ გექნება.

არჩილს თითქოს ცეცხლი მოეკიდა
 ტანზე, შიგნითაც. არასოდეს ჰქონია
 ასეთი შემთხვევა, რომ ქალს იქით გამო-
 ენიოს. მწარედ ჩაეცინა.

— დოლარის ნაცვლად რუბლს არ
 მიიღებ? — ჰკითხა არჩილმა.

— კი, — თქვა მეძავმა და იქვე ვალუ-
 ტის გაცვლის პუნქტის დაფას გახედა. —
 ასოცი ათასი.

— არ მცალია დღეს. ხვალისთვის გა-
 დავდოთ.

— ხვალ კვირაა, დასვენების-დღე მა-
 ქვს.

— რისგან ისვენებ ნეტავ!
 — ღმერთმა ექესი დღე შექმნა სამუშა-
 იო, მეშვიდე დასვენებისაა.

— ღმერთი ძალიან გნამს?
 — ო, ძალიან. მოეშვი ფილოსოფიას,
 იძლევი ორმოცდაათს?

— ამდენი არა მაქვს.
 — რამდენი გიქყავის? მდიდარ კაცს კი
 გავხარ. რამდენი გაქვს?

— ორასი რუბლი მხოლოდ.
 — ეგ ძალიან ცოტაა. კარგი, მოიტა,
 ჯანდაბას, ეგეც ხეირია შენგან.

— ხეირია თუ არაა ხეირი, აკი გითხარი,
 დღეს არ მცალია-მეთქი.

— რა მიზეზებს ეძებ, შენ ალბათ მამა-
 კაცობა არ გიყვარგა.

არჩილს ცეცხლი წაეკიდა თითქოს,
 ყურები აუნივლდა.

— აჰა! — თქვა არჩილმა და ჯიბე ამოი-
 ფხიკა.

— ბუდკა! — გასძახა მეძავმა სქელუას,
 რომელიც შორიახლო მიმოდოდა, თან
 მზესუმზირას აკნატუნებდა.

ბუდკა მეძავთან მივიდა. მეძავმა
 არჩილს მოცემული ფული გადახცა.
 ბუდკამ პალტო და კაბა აიწია და ფული
 ჩულქში ჩააცურა.

— ახლა კი ნავიდეთ, — უთხრა არჩილს
 მეძავმა, — არ გეშინია, რომ დაგეთესო?

— არ მუშინია. შენ ხომ ღმერთისა გნამს.
 — მნამს.
 სადარბაზოში შევიდნენ. მერე
 ლიფტში ჩასხდნენ.

— მყუდრო ოთახი კი გქონია. — თქვა
 არჩილმა და სავარძელში მოთავსდა.
 — გაიხადე! — უბრძანა მეძავმა.

— სწრაფად მე არ მჩვევია. ქალს უნდა
 მოვეფერო.

— შენც ერთი, მაგის დრო სადღაა. სტ-
 რიპტიზიც არ მომთხოვო!

მეძავმა პორნოგრაფიული ფირი ჩადო
 იაპონურ ტელევიზორში.

არჩილს ისევ მოეკიდა ცეცხლი.

— ჟანა, მოვედი მე.

— ასე გვიანობამდე სად იყავი?

— შეგობარმა დამპატიფა. საუბარს
 შევეყვით. რა არ მოვეყვით. შენ კარგად
 გეძინა?

— მკვდარივით. გუშინ თოვლს
 ეხვეტდი პარკში. მეეზოვედ დაეინყე
 მუშაობა. ოთხას მანეთს გადამიხდინა.
 მე არ ვიცი, შენ სად იყავი, იქნებ ქალთ-
 ან. მოდი, გაკოცო, მე მინც მიყვარხარ.

5

მეორე დღით არჩილ კორტამ ჟანას
 ხელი დააულო და ეკლესიაში წაიყვანა.
 ქალი ჰკვირობდა — რაღა ამ დღით
 მოუნდაო ეკლესიაში წასვლა. არჩილმა
 სანთლები შეიძინა. კანდელის სასანთლ-
 ეში ჩადო. ჟანამაც მას მიბაძა. მისი
 სანთელი არჩილის სანთლიდან ხელმარ-
 ჯენივ გადაიხარა არჩილმა ამოიღო
 სანთელი, გვერდით ანთებულ სანთელზე
 ბოლო მოუღწო და ისევ თავის ადგილას
 ჩააბრუნა.

— ასე ჰქმენ ხოლმე, — უთხრა არჩილ-
 მა ჟანას. — ბოლო უნდა მოუდნო. შენ კი
 ჯოხივით ჩააგდე. ახლა ჩუმად ილოცე.

ჟანამ თავი დახარა. შერცხვა, რომ
 ეკლესიაში მოქცევის წესები უცხო აღ-
 მოწნდა მისთვის „პირველადაა, ეტყობა“,
 გაიფიქრა არჩილმა. ფიქრი ჟანასთვის არ
 გავიყვანი. „პირველ დღეებში, როცა
 გავიცხანი“, — თავისთვის ფიქრობდა
 არჩილი, — უხეში და უზრდელი ჩანდა.
 ახლა კი როგორი თვინიერი და უმწეო
 გახდა. ჩემი დამსახურებაა. აღზრდაც
 ამას ჰქვია. ღმერთო, განდევნე სატანა
 ამ ქალისგან. თუ ჩემშიც შემოღწევა
 მოინდომა სატანამ, უფალო ღმერთო, არ
 შემოუშვა იგი. ღმერთო მამატივ ნუ-
 ხანდელი შეცოდება!

ბოლო ზარის ხმა მიწყდა. მღვდელმა
 სამლოცველოს კარები გახსნა. მრევლმა

თავი დახარა. მღვდელმა ლოცვა აღავლინა. გალობა გაისმა. მნათემ ჩამოიარა. იქაურობა საკმეველის სურნელით გაიჟღერა. მალე მღვდელმაც ჩამოიარა. არჩილმა, როგორც სხვებმა, ხელი გაუნოდა. არჩილი ხელის მტკვანზე ეამბორა ჟანამ. მსგავსი პროცედურის შესრულება ვერ მოისაზრა. მღვდელმა მკაცრად შეხედა მას. ნამიცი და ჟანა ჩვარივით ჩამოეკიდა მხარზე არჩილს. ცუდად გახდაო, ნაიწურულა ვილაცამ. მალე არჩილის გარშემო შეჯგუფდნენ მორწმუნენი. ისინი არჩილს მიეშველნენ და გულშელონებული ჟანა ეზოში გააყვანინეს. არჩილმა ძელსკამზე ჩამოსვა ფერწასული ქალი. მორწმუნე ქალებმა ვალიდოლი და ცხვირში საყნოსი აბი მიართვეს. ერთმა ნაკურთხი წყალი მოარბენინა. მერე მორწმუნეებმა პირველარი გადაინახეს და ეკლესიაში შევიდნენ.

— ნავედეთ აქედან! — ნაიწურულა ჟანამ.
 — რა დაგემართა? — მოფერებით ჰკითხა არჩილმა.
 — მემინია, — ხმის კანკალით მიუჯო ჟანამ.

არჩილმა მკლავი შეაშველა და ნამოაყენა ჟანა. „პირველადაა ეკლესიაში“, — ფიქრობდა არჩილი. — ურწმუნოა. ალბათ წარსული გაიხსენა, ცოდევები წარმოიდგინა. შე რწმენა უნდა დაეუბრუნო. თუ ამას მივალნივ, ყველა სიავე განიდევენება ჟანასგან“.

ჟიმკარს გასცდნენ, ხელმარჯვნივ გადახვნის გასვნივ ხელგამოშვერილი მათხოვარი ქალები ჩამკრივებულიყვნენ.

— გაღეშილა ეგ შეჩვენებული! — მიაცხა ჟანას ერთმა მათხოვარმა.
 არჩილი შემობრუნდა და ხურდა ფულები ჩამოურიგა მათხოვრებს.
 — მთვრალი კიარაა, გული შელონებია, ღმერთო უშველე! — თქვა იმ მათხოვარმა.

არჩილი გაყუჭდა, ფიქრს მიეცა. ნაშრომისთვის გუნებაში ჩაინიშნა: „თბილი სიტყვაც ფული ღირს“.
 — ჟანა, მითხარი, რა დაგემართა?
 ჟანამ ძლივს ამოთქვა:
 — გუშინ შენი ნაშრომი თავიდან ბოლომდე გადავიკითხე. სანთელი რომ

დავანთე ეკლესიაში, იმ შენი ნაშრომიდან ერთი ადგილი გამახსენდა. შენ წერ: „ქალაქში ცივა. ადამიანებს შორისაც მკაცრი სიცივე სუფევს“.

— ეგ რა, გულის წასასვლელი რამაა?
 — მერე ავრძლებ: „ქუჩაში, ხის ძირას ეგდო მთვრალი. იგი კობხად იყო ჩაცმული, წვეროსანი, სათნო სახის. პოეტს ჰგავდა, ან მხატვარს. ვერ დგებოდა. ნამოდგებოდა, დაეცემოდა. ნამოდგებოდა და ისევ... არაეინ მიეშველა. ამიტომაც ნაშრომისთვის „არსაიღან ხმა“ დავიკქმევია.

არჩილმა ჩაიციხა:
 — შენ რა, ქუჩაში დაყრილი ლოთები არ გინახავს?
 — ნუ გამახსენებ! — თქვა ჟანამ და ისევ ნაუვიდა ფერი.

არჩილმა შეაჯანჯლარა ჟანა, ყვრიმალეები დაუსრისა, მერე თავზე ხელი გადაუსვა. ლოყაზე ხელი მოუცაცუნა, მოეფერა.

— ჟანა.
 — რა იყო?
 — რა მინდა, იცი, გითხრა?
 — მე გისმენ.
 — ნარამარა იმეორე, კარვად ვარ-თქო და კარვად გახდები.

— მე კარვად ვარ! — აწურულდა ჟანა.
 — მე კარვად ვარ. მე კარვად ვარ...
 — ჰო, ეგერ. ახლა როგორ ხარ?
 — უკეთ. მადლობა, მადლობა, საყვარელო.

არჩილს ამ ბოლო სიტყვის გაგონებაზე გულს მოეფონა, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს შალამო ნაუსესესო.

— მეც კარვად ვარ. გპირდები, რომ ისეთ რალაცეებს არასოდეს დავენერ.
 — როგორ რალაცეებს?
 — სიცივეზე, ადამიანთა შორის გამეფებულ სიცივეზე. შენ თუ ჩემთან იქნები, გულის მოსაკლავებს არ დავენერ. ახლა როგორ ხარ?

— უკეთ.
 — კარგია, კარგი. რწმენა გადაგარჩენს, მხოლოდ რწმენა. ხშირად იმეორე: ღმერთო დიდებულო, შემოდი ჩემში და განდევენ სატანას!.

— კარგი. ღმერთო დიდებულო, შემოდი ჩემში და განდევნე სატანა! შემოდი ჩემში და განდევნე სატანა!

— „ღმერთო დიდებულო“ დაგავინყდა.

— ღმერთო დიდებულო, შემოდი ჩემში და განდევნე სატანა!..

— აი ეგრე! — ამაყად, გამარჯვებულის კილოთი ზემოურად თქვა არჩილმა. — ღმერთო დიდებულო, შენსკენ მოაბრუნე ყველა ძე შეცდომილი.

6

— ხორცი არ ჭამო! — უთხრა არჩილმა ჟანას. — არ იფიქრო, რომ ვკრიფანგობ. ხორცი კვირაში ორჯერ უნდა მიირთვა. ასე ნერენ ექიმები.

— რა საინტერესო პიროვნება ხარ, არჩილ. კანონებით ცხოვრობ მუდამ. რომ დავარღვიო ეგ დანერილი კანონები, რა იქნება?

არჩილი ლექციის კითხვას შეუდგა. ჟანა გაფაციცებით უკვებდა ყურს, თან კარადაში ნიგნებს არჩევდა. ხელში სველი ტილო ეჭირა და ნიგნების ყედებს იმითი ნმენდდა. ჟანა ცნობისნადილით ათვალაიერებდა ნიგნებს. გუმანიტ გრძნობდა, რომ არჩილი რაიმე ნიგნს ამოურჩევდა და, როგორც წინა დღეებში, ეტყოდა, ამის კითხვას შეუდექო. ისიც იცოდა, არჩილის ბიბლიოთეკაში გასართობი ნიგნები რომ არ იყო. ნეტავ ყველაზე „მსუბუქს“ ამოარჩევდესო, ფიქრობდა ქალი. უჭირდა არჩილის ნიგნების კითხვა. დილით, ინსტიტუტში რომ მიდიოდა არჩილი, თაროდან ნიგნს გამოიღებდა, გადაშლიდა მაგიდაზე და ჟანას დაუბარებდა, ჩემს დაბრუნებამდე ამ გვერდიდან ამ გვერდამდე წაიკითხო. საღამოს კი არჩილი ეტყოდა, წაკითხულის შინაარსი მომიყევიო. ჟანა იძულებული ხდებოდა არჩილის მიერ მონიშნული ტექსტი ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც წაეკითხა, ვინაიდან ისინი მეტად ძნელი გასაგები იყო მისთვის.

— შო, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო არჩილ კორტა. — შტაინერი ამბობს, ადამიანის ორგანიზმს ყოველნაირი მცენარის მიღება სჭირდებაო. ხორცი, ასე ამტკიცებენ ექიმები, ორგანიზმს აზარმაცებს და ადუნებსო. ინდოელები, მაგალითად, ვეგეტარიანობას არჩვენ,

ამტკიცებენ, ხორცი ავრესიულობას იწვევსო. გირჩევ ბოსტნეულის სალათებს მიეძალო.

— ყავა მოგიხარშო? — ჰკითხა ჟანამ.

— ჩაი აჯობებს. ჩაი თირკმლებს სწმენდს.

— ახლა ყავა დავლიოთ, — თქვა არჩილის დიდაქტიკით თავგაბეზრებულმა ჟანამ. — თირკმლების განმწმენდა ზვალისთვის გადავდოთ და თუ ჩაიმაც არ გიშველა, ქიმწმენდას ჩავაბაროთ.

— ოჰო! კარგია იუმორის გრძნობა რომ გეღვიძება თანდათან. ისე, შენს თირკმლებს კი მოუხდება განმწმენდა... ალკოპოლისგან.

— შენდა მაქვს განაგონი, არაგის არ უნდა დასცინო, ვინ იცის, ვის რა მოეღისო.

— გაგვხუმრე. იუმორი გაგახალისებს.

— იუმორი ახალგაზრდობიდანვე მიყვარდა. ერთი ებრაელი მასწავლებელი მყავდა სკოლაში, მან შემეყვარა. გაკვეთილის ბოლო-ბუთნუთში საღალაობო რამეებს გვიყვებოდა.

— იუმორის ნიჭია, — მისთვის ჩვეული ტონით თქვა არჩილმა. — შენ იგი ბოლო წლებში დაკარგე. არაყი ადამიანს აბოროტებს, ხალისს უკარგავს, კეთილს ავიწყებს, სამაგიეროდ, ბოლმით აესვებს.

— რაც შენ არაყს აგინებ, შეიძლება განწყალდეს, — სიცილით თქვა ჟანამ. — არაყი არ უნდა აძავო, ვინ იცის, სად ჩაგისაფრდება და გადაგხდის სამაგიეროს. ყველაფერი იცი და... ალბათ ისიც გეცოდინება, თუ ვინ შეარქვა არაყი. — ქალს კილოში ირონია შეეპარა, რაც კარგადაც იგრძნო არჩილ კორტამ. არყის ისტორიის მოყოლისგან მაინც ვერ შეიკავა თავი.

— პეტრე პირველს გაასინჯვინეს თურმე შინახაბი. ადრე არასოდეს დაუღვევია. რომ დაუჭამნიკებია, აღმოხდენია: Bot kak!

— რას მუბზნები? — სიცილით თქვა ჟანამ. — პეტრე რომ არა, სხვა ვერ შეარქმევდა?

— კარგი, მოვრჩეთ კინკლაობას, მე გავდივარ. ა, ეს ნიგნი, მეთავე გვერდიდან ორმოცდათექვსმეტამდე წაიკითხე, საღამოს გამოგკითხავ. აბა, საღამომდე.

7

— ვინაა ეგ ქალი? — ჰკითხა არჩილ კორტას ნიკოლაი გაიდამ, როცა ჟანა გავიდა მისთვის მიჩენილ ოთახში.

— მიყვარს ეგ ქალი მე, — მოკლედ მოჭრა არჩილმა.

— ოჰო! გიყვარს! — უაზროდ ნამოიყვირა ნიკოლაი გაიდამ, — გესმის, უყვარს! — მიმართა ეს-ეს არის საბილიარდოდან გამოსულ ადამ სენკევიჩს — ჩვენ ოფლში ვინურებთ, ფულს ვაკეთებთ, დღედაღამ ვმუშაობთ, ეგ წკენი სკოლის მეგობარი კი სიყვარულით ერთობა. მაგ ქალმა თუ შეგიყვარა?

— კი.

— უფულო და ღარიბი! უფულო კაცი დღეს ვის რად უნდა!

— არჩილ! — ჩაურია საუბარში ადამ სენკევიჩი. — პრაგმატულია ეპოქა. შენ კი ოცნებებში დაფრინავ. იცი, რისთვის დაგოძახებ?

— არ ვიცი, მაგრამ თუ მეტყვიით, მეცოდინება, — გაიმახსრა არჩილ კორტამ.

— გამოდენე თავიდან აბლაბუდები, — თქვა ნიკოლაი გაიდამ. ხომ გახსოვს, რა ახლო მეგობრები ვიყავით სკოლაში. ეპოქას ნაბიჯი უნდა აღწყო.

— სნორს გეუბნება, — მუდარით უთხრა ადამ სენკევიჩმა. — დღეს კაცს თუ ფული არა აქვს, დაიღუპა და ეგაა.

— რამდენის მოცემა გადაგინწყვეტიათ? — იხუმრა არჩილ კორტამ.

— თუ დაგვიჯერებ, მართლაც კარგ ფულს გაგაკეთებინებთ.

არჩილი თავჩალუნული უდგებდა ყურს.

— მარია! დაცვის ბიჭებს უთხარი, აუზიდან თევზები ამოიყვანონ. შენ კი შეგვინვი. ტანიას დამიძახე ერთი.

ტანია შემოვიდა. შავი კოლგოტკები და ძალიან მოკლე კაბა ეცვა. თმა ბურბუმელასავით დახუჭუჭებინა.

— გაანყვეთ სუფრა და სტუმრებს თხოვეთ, ეყოფათ თამაში. შენ კი, ჩემო ძმავო არჩილ, თავი წამოსწიე, მოვილხინოთ. რომ დალევ, ტვინი გამოიფერთხება ფიქრებისგან. ერთხელ ვიბადებთ...

სუფრას ათიოდე კაცი და ამდენივე ქალი შემოუსხდა. მდიდრულად ეცვათ, განსაკუთრებით ქალებს. ნახევრის თუ არა, თითო გადაკრეს, ისევ დახანგრძენი და მეორე და მესამეც მიირთვეს.

— შენ რატომ არ სვამ? — ჰკითხა ადამ სენკევიჩმა ჟანას. ჟანა განითლდა. მხრები აიჩეჩა. მორცხვად და უხერხულად იჯდა თითების სრესა დაინწყო.

— დალიე, დალიე, ხომ ხედავ არჩილმაც გატეხა ნაესი. სვამს. დაელოთ და მერე „Мы новые русские“ ვიმღეროთ! — დაიბუხუნა ნიკოლაი გაიდამ.

ქალებს განცხრომა დაეტყოთ და ნაყრებულზე. სიგარეტები გაიჩარეს კბილებში.

— დალიე, ჟანა, მიირთვი.

— არ შემიძლია, — თქვა ჟანამ. იგი თვალეგაშტერებული იცქირებოდა სივრცეში.

სტუმრებმა კიდევ დალიეს. ღრია-ნცელი ატყდა. მალე ცეკვაზე გადავიდნენ და ჟანაც გაუქრათ ყურადღების სფეროდან. ამათ ჟანა ოდნავ დაანწყინარა და დაამშვიდა.

ცეკვა დამთავრდა. სტუმრები და მასპინძლები სუფრასთან მოგროვდნენ. ჭიქები მიუჭახუნეს ერთმანეთს და გამოცალეს. კაცებიც და ქალებიც ძლიერ დათვრნენ. მთვრალეს სევდანი თვალებით შესცქეროდა ჟანა კორბუტი.

— აბა, მარია, ყველას გაუშალე ლოგინები, ზვალ დილით აქვე უნდა ვისაუზნოთ.

შუალამე გადასული იყო, რომ გამოეღვიძა. ისინი ცალკე ოთახში დაეწვიანაო. მძინარე ჟანას გადახედა. დაძინებას არ ცდილა, იცოდა, მაინც არ დაეძინებოდა. სარკმელს მიღმა თოვლი შრიალებდა. სიზმარი გაიხსენა. მამის სამშობლო დაესიზმრა. ცდილობდა მხესიერებაში აღედგინა ის ადგილები, სადაც კი ნაშყოფი იყო მამასთან ერთად. ფიქრმა დაღალა. ადგა. მუქი არ აუნთია. თბილად ჩაიკვა. ვეზაკრეფით გაიარა ორი დიდი ოთახი. აულაგებელი სუფრის დანახვაზე გუნება გაუფუჭდა. ღვინისა და არყის სუნი ეცასანოლებზე ნყვილ-ნყვილად მიგდებულებიყვნენ. კაცები და ქალები. ისინი გაუნძრევლად ინუნენ. მათი სხეულები ალკოჰოლს ებრძოდნენ, რაც შეჭირვებულ სახეებზე ეტყობოდათ. კაცებს ნუთითაც არ მოსდიოდათ აზრად,

გვერდით განსხვავებული სქესის ადამიანები რომ ენვათ.

პოლში გავიდა. გალიაში ჩიტები დაფრთხილებდნენ. ცოტა ხანს უცქირა და მალე ნელან ნახდენილი გუნებაც გამოუკეთდა. უხმაუროდ გავიდა ეზოში. სქლად ბარდნიდა, ფანტელები ირიბად ეშვებოდნენ ზეციდან. აუზთან შეჩერდა და ვერცხლისფერი თევზების ჯერ გაუყინავ წყალში სრიალს დაუნყო ცქერა. მხრებიდან ფიქრები ჩამოიფრთხა. მოშორებით აგურისფერ ეკლესიას მოჰკრა თვალი. ეკლესიის დანახვამ ისევ მამის სამშობლოში გადატყორცნა. იქაც ეკლესია იდგა, ბაბუას სახლის გვერდით. მას ხვარკარს ეძახდნენ. ბაბუას გასვენების დღეს იხილა იგი და შემდგომში ხშირად ესიზმრებოდა.

8

მეორე დღით მოყამულ ხასიათზე დადგა არჩილ კორტა.

— არჩილ, ნავიდეთ რა აქედან, — უთხრა ჭანამ არჩილს სწორედ მაშინ, როცა მასპინძლები სუფრის განყოფას შეუდგნენ.

— როგორ თუ ნავიდეთ, ჟანა. ვერა ხედავ, სუფრა იშლება. უზრდელობაში ჩამოგვერთმევა. არ მოიწყინო, გამზიარულდი.

ჟანა ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებდა, დაბნეული მიმოდიოდა და ადგილს ვერ პოულობდა, სტუმარ-მასპინძელთა ცოლებთან საერთოს ვერ პოულობდა.

— მარია! — დაუსძახა ადამ სენკევიჩის მეუღლემ მოახლე გოგოს.

— აქა ვარ, სარა მიხაილოვნა!

— მალაზიებში გაიქექცი. დაცვიდან რომელიმე ჯანმავარი ბიჭი აარჩიე, თან გაიყოლე. შამპანურები იყიდე, ეს-პანური შავი ლეინოებიც. თუ არის, „ხვატკარა“ ან „ქინძმარაულიც“ იყიდე. ხიხილალა და ორაგულიც მოაყოლე.

— გავიგე, სარა მიხაილოვნა.

არჩილი ნამოდგა. სარკმლიდან გადაიხედა. მოჩანდა თოვლით შესუდრული ხეები. მზე ამონვერილიყო აღმოსავლეთით. მანქანების ყრუ გუგუნე არღვევდა ტყის მყუდროებას. ირგვლივ ვეებერთელა აგარაკების სახურავებზე თოვლის საფარი ღლივლივებდა. არჩილს ისევ გაეყო-

ნა მზერა. ცდილობდა სტუმრებს არ შეემჩნიათ დალილობა და მონყენილობა. „ჟანა მართალი იყო, — ფიქრობდა არჩილი, — აქედან უნდა მოუღესვათ. მაგრამ უხერხული კი იქნება. რამ გადაადგვარა ეს ჩემი ძმაკაცები? ისინი ხომ ინსტიტუტში სწავლის დროს სულ სხვა ბიჭები იყვნენ. ნიკოლაი გაიდა, მაგალითად, ლექსებსაც წერდა, ადამ სენკევიჩი კი ვიოლინოზე უკრავდა. ეინა ნეტავ ეს აღვირახსნილი ხალხი, სად და როგორ გაიცნეს?“

— ერთი მითხარი, არჩილ, — ნამოიწყობა ადამ სენკევიჩმა. მას გვერდით ნიკოლაი გაიდა მიუჯდა. — რას საქმიანობ? ნუხელის კი ჰყვებოდი, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს. უზომოდ გამოვბრუყდი. რითი სულდგმულობ, ხელფასი კაპიკები გექნება.

— კი, ეგრეა, მაგრამ რასა იქმს კაცი. უნდა ვიკმარო.

— არ ვიცი, ნუხელის გითხარი თუ არა, აღარ მახსოვს. მოდი ჩვენს ფირმაში. სულს მოითქვამ.

— და იქ რა გავაკეთო? თქვენ ის მითხარით, რას საქმიანობთ? ისეთი რა ფული იშოვე, ადამ, ამხელა ავარაკი რომ ავიშენებია?

— ერთობლივი სანარმო გვაქვს, ჩვენ და ბელგიურ ფირმას. ქალის კოლგოტკებს ვუშვებთ. იცი, რით დაგასაქმებთ? ელექტრომატარებლებში ატარე, ყოველდღიურად. ბევრი მუშტარი პყავს. სარეკლამო ტექსტი მზადა გვაქვს.

— მე? — გამრა არჩილი.

— დღეში 40-50 მანეთს გავაკეთებ.

— მე? — გაოგნდა არჩილი.

— არჩილ, ნავიდეთ აქედან, — ნასწურწულა ჭანამ არჩილს.

— მე ვე არ მხებერხება! — ბრაზით გამოსცრა არჩილმა. ჭანას ხელი დაავლო და პოლში გავიდა.

— აბა, რა გვხებრხება? — დაუყვირა ნიკოლაი ადამს.

— როგორც ყველა ქართველი, — ენის ბორძიკით თქვა ადამ სენკევიჩმა, — ზედმეტად თავმოყვარე ხარ! გირჩევნია ჯიბეგახვერტილმა იარო, ოღონდ არ ივატრო.

არჩილი ჟანას აცმევდა ქურთუქს. თვითონ უკვე ჩაეცვა.

9

საგარეუბნო ელექტრომატარებელი ნელა გასრიალდა მოყინულ ლიანდაგზე. ჟანა სარკმელთან მიჯდა, არჩილის გვერდით. არჩილი თვლემდა, თვალები დაეხუჭა. „გაგვიმართლა“, — ფიქრობდა იგი, — გზის მიმართულებით რომ დაეხედით“. ჟანა სარკმელს მიეკრა, დათოვლილი მიდამოს თვალიერება სურდა, მაგრამ მუშა ყინულს დაეფარა. ზედ პანია წრეხაზილა იყო გაუყინავი და იქიდან გაჭირვებით ათვალიერებდა არემარეს.

რამდენ ფულს ხვეტენ ქალის კოლგოტკებით, — ფიქრობდა არჩილი თავისი სკოლისა და ინსტიტუტის ამხანაგებზე, — იქნებ ქალის ნიფხავებსაც უშვებენ და მე დამიმალეს. თუმცა ფული ხომ ფულია და რა მნიშვნელობა აქვს რითი იშოვი, ნიფხავით და ნეხვით. მე კი სულ ორასი მანეთი მაბადია. რომ დამიმთავრდება, რალა უნდა ვქნა? მერე ახალი ხელფასი მომისწრებს. მაგრამ რომ არ დაგვირიგონ ხელფასები? ახლა ხომ ეგეთი შემთხვევები იშვიათი როდია.

— რატომ შეკრთი? — ჰკითხა ჟანამ არჩილს.

— ისე! — ძუნნად მოქრა არჩილმა. ის კი არ გაუმხილა შიშის ყრუანტელმა რომ დაუარა.

— არ იტყვი, საით მივდივართ, არჩილ?

— ვიაროთ, ვიაროთ. მე მგზავრობისა და ხეტიალის მოთაყვანე ვარ.

— უსასრულოდ ვიაროთ.

— ერთი სოფელი ვიცი, უღრანი, გაუფალი ტყეებითაა დაფარული. იქ ჩავიდეთ და ვიხეტიალოთ.

ელექტრომატარებელი რომელიღაც ბაქანზე შედგა. ვაკონში ქალი და კაცი შემოვიდნენ. ტამბურში ფესაცმელები გაბურტყათ, მაგრამ თოვლი მაინც შერჩენოდათ თბილ ქუჩებზე, რომელთა ძირები კალომებში პუნდით ჩაყოფილი. ქალი და კაცი გასული საუკუნის ინტელიგენტებს უფრო ჰგავდნენ. კაცს შლიაპა ეხურა, ქალსაც, ოღონდ უფრო ფართოფარფლებიანი. ძველი ყაიდის ტანსაცმელი ემოსათ. ისინი ჟანასა და არჩილის მოპირდაპირე მერხზე ჩამოსხდნენ. როგორც კი მატარებელი დაიძრა, კაცმა თვალები

მილულა. ქალი მოუსვენარი ჩანდა, კაცის, პირიქით — დინჯი და სიტყვაძვირი. ქალი წარამარა იცქირებოდა ბარგისკენ, რომელიც ვაკონის კარსა და წინა მერხს შორის დაღლაგებინათ. ქალი სასაუბროთე მას ეძებდა თანამგზავრებთან, ეტყობოდა, მსუყე მუსიაფის მოყვარული იყო. კარგა ხანს იწრიალა და მაინც ვერ მოითმინა.

— ალბათ გიკვირთ, წარამარა რომ ვიხედები ბარგისკენ. — მიმართა უცნობმა ქალმა ჟანას.

— არა, არ მიკვირს. სიფრთხილვა საჭირო.

უცხო ქალს სახე გაუბადრა, თანამოსაუბრე რომ გამოჩნდა. ქალის გვერდით მჯდომმა კაცმა თვალები გამოახილა, მზერა მიმოავლო მოსაუბრეებს და სწრაფადვე მილულა.

— ეგ კაცი ვინაა, რუსს რომ ჰგავს და კიდევაც რომ არ ჰგავს? — ყურში უჩურჩულა უცნობმა ქალმა ჟანას.

— დედით რუსია, მამით ქართველი. — ჟანამაც ჩურჩულით უთხრა უცნობ ქალს. არჩილმა იგრძნო, მის შესახებ რომ იყო საუბარი. ადგა და ტამბურში გავიდა.

— დაასვენე ენა, — უთხრა ქალს კაცმა.

— შენ გაჩუმდი შენ ვინ გკითხავს...

კაცმა ისევ მილულა თვალები. არჩილი მალე დაბრუნდა და ჟანას გვერდით ჩამოჯდა. უცნობმა ქალმა საუბრის დემა შეცვალა.

— ეგ ზორაგი შვილიშვილებთან მიგვაქვს. მათი მშობლები დიდი ხანია რაც ქალაქში გადაბარგდნენ. ვილა რჩება ახლა სოფელში. ქარხანაში მუშაობდნენ უწინ. ახლა ქარხანა აღარ მუშაობს. შიმშილით ძვრებთა სული. ჩემი ქალიშვილის ქმარი გალოთდა. მინის ტარას აგროვებს და იმ ფულით არაყს სვამს.

— ახლა ვინ არა სვამს! — ამოიკნავლა უცნობმა კაცმა.

— შენ გაჩუმდი! — თვალები დაუბრიალა ქალმა. — ეგ ჩემი ქმარიც სვამს. არაყს რომ დალევს, გაუთავებლად ლაყბობს. იმიტომაც გაჩუმებ წარამარა. თუ აუშვა, იმდენს ილაპარაკებს, ტყინს გაგვიტრეტს.

— რა მნიშვნელობა აქვს, იგი ილაყბებს თუ თქვენ, — თქვა ჟანამ.

ქალს ამკარად არ მოეწონა ჟანას გამოხდომი. ნამით გაყურდა, მაგრამ დიდხანს კი ვერ აიტანა სიჩუმე.

ელექტრომატარებლიდან რომ ჩამოვიდნენ, ვინრო მოყინულ ბილიკს გაუყენენ. ტყისკენ მიემართებოდნენ. არჩილს სიმშვენიერის შეგრძნების უნარი გაუქრა, როცა უცნობი ქალის ნაამბობი გაიხსენა. «ეთქვით და ხელფასი არ დაგვირიგეს, სადღა ვაგროვო ცარიელი ბოთლები?»

— არჩილ!

— ა!

— რატომ შეკრთი? — ჰკითხა თანამ.

— ისე, — არც ახლა უთხრა ნამდვილი მიზეზი.

● ის ღამე თეთრად გაათენა არჩილ კორტამ. საგარეუბნო მატარებელში შეხვედრილ ქალზე და კაცზე ფიქრობდა, თუმცა მათ არც გაცნობია და აღარც დალაპარაკებია. ცხოვრების წესად ექცა ნაკითხულსა და ნანახ-განცდილზე გამუდმებით ფიქრი და ეგ ლღიდა და რეალობას ამორებდა. სისხამ დილით როცა საკრმელთან იდგა და ფიქრობდა თანამ გამოიხედა და ჰკითხა: — რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება.

— ვიცოდი, რომ არ დაგეძინებოდა.

სხვა არაფერი უთქვამთ. მხოლოდ ეგ იყო, არჩილ კორტას ბრაზი ნაეკიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი უკანასკნელ ხანს გრძნობდა: თანა არჩილის აზროვნებაზე გადადიოდა, ცხოვრების სიღრმეებში ნედომის უნარს იძენდა.

10

თანამ ჰკითხა, რა გჭირს, სულ რომ დუმხარ და ფიქრობ. პასუხი არ გაუცია. მოეყურა, თითქოს ვიღაცამ დაუძახა. თავდაპირველად იმ მშველელ ხმას მიამსგავსა, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ უახლოვდებოდა და მოდიოდა, და მაინც არ მოდიოდა. მერე იდუმალი ხმა გაარკვია, ადამს კენკვიჩისა იყო: «დაეშვი მინაზე!»

— თანა, არჩილ! — შემოესმათ ნაცნობი ხმა. არა, ეს არ იყო იდუმალი ხმა, ეს იყო ცოცხალი ხმა. შემოტრიალდნენ. შენობის კედელთან წვერმოშეებული კაცი იდგა. იგი უხმობდა არჩილსა და თანას. — ვინაა

ნეტავ? — თქვა თანამ. არჩილმაც იგივე გაიმეორა. წვეროსანმა ხელი დაუქნია.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა თანას.

— თანა მე ვარ. — გამოსძახა წვეროსანმა.

არჩილი და თანა წვეროსანს მიუახლოვდნენ.

— ეს შენა ხარ, ვასკა? — განცვიფრდა თანა.

— მე ვარ.

— აქ რას აკეთებ, გაქვავებული რომ დგახარ?

— მაღამოს ვყიდი, სოფლურ მაღამოს. არჩილ, შენ ნაწყენი იქნები ჩემზე.

— არა უშავს რა. წყენა დავიფიქროთ.

— ეგ რა მაღამოა, ვასკა? — ჰკითხა თანამ.

— მამაჩემის რეცეპტით ვამზადებ, ჩვენსას, სოფელში.

— სოფელში ცხოვრობ, ვასკა?

— კი, დავბრუნდი. მეურნეობას მოვკვიდე ხელი, თან ბალახებისგან მაღამოს ვამზადებ.

— ისამაგი? — ღიმილით ჰკითხა არჩილმა.

— მორჩა! წვეთს აღარ ვსვამ.

— დიდი ხანია? — ჰკითხა თანამ.

— თვეზე მეტია.

— წვერიც მოგიშვია, ძლივს გრცანით.

— მორწმუნე გავხდი. კლუბში დავედივარ, კვირაობით იქ ვიკრიბებით.

— კლუბში თუ ეკლესიაში? — ჰკითხა არჩილმა.

— რომ იცოდეთ, რა საინტერესო საუბრებს ატარებენ კლუბში.

— რა კლუბია? — ჰკითხა არჩილმა.

— აქვეა. ადრე კინოფილმებს უჩვენებდნენ, ახლა საუბრებს ატარებენ.

— რაზე გესაუბრებიან, რას გეუბნებიან? მოყვე, თუ კაცი ხარ.

— იელოვზე გვიყვებიან, ჩვენს მამალმერთზე.

— აბა, ქრისტე ვილა იყო! — გაფიცდა არჩილი.

— ქრისტე იელოვას შვილი იყო, მოციქული მამალმერთისა, დედამინაზე გამოგზავნილი. ასე გვიყვებიან იქ.

— კიდევ როდის უნდა მიხვიდე კლუბში? — ჰკითხა არჩილმა.

— კვირას, დილის ათ საათზე.

— იცი, ვასკა, რა უნდა ჰკითხოთ საუბრის ჩამატარებელს?

— რა უნდა ვკითხო? მითხარი და ვკითხავ.

— ასე უთხარი... ქრისტემ დაგვმოდღერა, არ იპარო, არ იცრუო, არა კაც კლავ, გიყვარდეს მოყვასი შენითა... შენი მტერიც შეიყვარეო და ასე შემდეგ.

— ამას ისიც გვეუბნება, ვინც საუბარს გვიტარებს, — თქვა ვასკამ.

— ჰოდა, იმ მოსაუბრეს ჰკითხე ერთი, იელოვამ რომელი მცნებები დაგვიტოვა-თქო.

— კარგი, შევეკითხები. ოღონდ ძმურად გთხოვ, ჩემზე ნაწყენი ნუ იქნები.

— კარგი, კარგი, არ ვარ ნაწყენი. იცი, რა გითხრა, იმ საუბრის ჩამტარებელს კიდევ რა უნდა ჰკითხო?

— მითხარი და ვკითხავ.

— ქრისტეს უამრავი სალოცავი გააჩნია-თქო. ერთი ჰკითხე, რომელი დაგვიტოვა-თქო იელოვამ? კლუბი მათ სალოცავი ჰგონიათ?

— შევეკითხები, ძმაო არჩილ.

— და კიდევ, იცი, რა უნდა ქნა?

— რა? — ბავშვური გულუბრყვილობით ჰკითხა ვასკამ.

— კვირას ჩემთან გამოიარე, სახლში. ქრისტეზე ნაკლებად სანატრესო და ჭეშმარიტ ამბებს, ქრისტეს მონაფეთა ნაღვანს გაგაცნობ. მერე დავსხდეთ და თითო-ოროლა გადავკრათ. თითო-ოროლას გადაკრა ქრისტეს არ აუკრძალავს, ადამიანურს უფალი არაფერს აუკრძალავს. იელოვა კი...

ვასკა გაფაციცებით უგდებდა ყურს არჩილ კორტას, რაც ემაყებოდა კიდევ მთხრობელს. უხაროდა, რომ მისი ნაამბობი ზეგავლენას ახდენდა ეს-ეს არის გამოსწორებულ ლოთზე. ვასკას რომ დაემშვიდობნენ, უთხრა კიდევაც ჟანას, ნეტავ მომცა იმდენი ძალა და მოცალეობა, რომ რაც ქვეყნად ლოთებია, ყველა გამომასწორებინაო. ჟანაც ხედავდა არჩილის ხასიათის თავისებურებას. არჩილს დასახული მიზნის მიღწევა უდიდეს ბედნიერებას ჰგვრიდა. იგი ამით სულდგმულობდა.

არჩილი და ჟანა ფეხით გაუყვენენ ქუჩას. ამ უბნის მთავარი ქუჩა ისე აიარეს, ხმა არ ამოუღიათ. ისინი უბნის მარჯვენა ნაწილისკენ გაემართნენ, სადაც

თოვლით შესუდრული ტყე-პარკი ეგულეობდათ.

— არჩილ! — სიჩუმე ყრუ ხმით დაარღვია ჟანა კორბუტმა. — ძალიან გთხოვ მომცე პირობა, რომ ვასკას არ ცემ.

— არ ვცემ! — ამაყად მიუგო არჩილმა.

— დედის სულს გეფიცები, აღარ ვცემ.

— რა უცნაური ფიცია.

— ასე იფიცებიან მამაჩემის სამშობლოში. მამას ჩვეოდა ეგრე.

ქუჩა გადაჭრეს და ხელმარჯვნივ ქალაქის განაპირა ტყე-პარკს მიადგნენ. ჟანა შედგა. თოვლით შესუდრულ ხეებს მიაჩერდა. — დიდხანს არ უტყვირო, — უთხრა არჩილმა, — თორემ ოცნებებში გადავარდები.

— მერედა, ცუდია?

— კარგია, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ. მტრისას, ოცნებამ თუ არ გაგვიარა.

— რომ არ გაშიაროს, რა მოხდება?

— შეშლილთა სახლში მოხვდები.

— ეგრე იცის? შენ საიდან იცი? ოცნებებს იმ სახლში ხომ არ მიუყვანიხარ ოდესმე?

— ხა-ხა-ხა. ჩემი დისერტაციის ერთ თავს ასე ჰქვია: „განწყობილების ცვალებადობა“. მეოცნებებს ეცვლებათ განწყობილება ხშირად.

— შენ ჩემი ჭკვიანი ვაჟაკი ხარ, — უთხრა ჟანამ, — ჭკვიანი და ყოვლისმცოდნე.

არჩილმა ქალს ლოყაზე აკოცა.

— მაინტერესებს, საიდან იცი ეგ ყოველივე? ნიგნებიდან?

— არა! — დაფიქრდა არჩილი. სახე დაუსევდიანდა.

— აბა საიდან?

— ცხოვრებამ მასწავლა.

— და არა ნიგნებმა?

— კითხვა გონებას ავითარებს. შენ ის მითხარი, რაიმე ნიგნი თუ ნაკითხავს, ჟანა?

— აღარ მახსოვს როდის ნაკითხე. ლექსებს რომ ვწერდი, მაშინ ვეტანებოდი ნიგნებს. მას აქეთ დიდი დრო გავიდა. შენ ბევრი გაქვს ნაკითხული?

— ბევრი. მუდამდღე ვკითხულობ. კითხვა მოთხოვნილებადაა გადამეცქა, — თქვა არჩილმა და ჟანას მხარზე გადაადო მკლავი. ტყის ბილიკს გაუდგნენ.

— მაინც რა ნიგნები გაქვს ნაკითხული?

– რომელი ერთი დაგისახელო, – მიუგო არჩილმა.

– რას ნერუნ, რაო, რა გვინდაო.

– იმასვე იმეორებენ, რაც უხსოვარ დროში დანერილა.

– როგორ თუ... რაო, იპარავენ?

– კი არ იპარავენ. ყველაფერი ბიბლიიდან მოდის, ან ინდურ-ჩინური ფილოსოფიიდან.

– ბიბლია რაღაა?

– პირველი გადაისახე, ღმერთს პატიება თხოვე. ბიბლია რომ არ იცი, ღმერთი რომ არ გნამს, იმიტომაც ხარ გზააბნეული.

– ბიბლია რომ იცი და ღმერთი რომ გნამს, იმიტომაც არა ხარ გზააბნეული არა? – გულნრფელად ჰკითხა ფანამ.

– არჩილმა სიტყვა ბანზე აუგდო.

– ბიბლია სახლში მაქვს. რომ დავბრუნდებით, მოგიძებნი.

– სად იშოვე, არჩილ, ბიბლია?

– ეკლესიაში ვიყიდე. კიდევ გადაინერე პირველი.

– აჰა, გადავინერე. შენ ის მითხარი, ეკლესიაში ვაჭრობა შეიძლება?

– არა, მაგრამ მაინც ყიდიან. შინ რომ დავბრუნდებით, ლოცვების წიგნსაც მოგცემ. მარტო რომ დარჩები, ილოცე ხოლმე.

– მარტო ვითომ რათაო? შენთან ერთად არ შეიძლება?

– იცი, რას გეტყვი? – ხმა გაუმკაცრდა არჩილ კორტას. – ღმერთსა და სახარებაზე როცა ვსაუბრობთ, ნუ იმასხრებ.

– გავიგე. ბიბლია გავიგე, რაც არის. ის რაღაა, ინდურ-ჩინური ფილოსოფია? მაგ წიგნებსაც ნამაკითხებ?

– ჯერჯერობით არა.

– აბა როდის?

– შენ ტვინში ხნულები რომ გაივლება, მას შემდეგ.

– როგორ უნდა გაივლოს ტვინში ხნულები.

– ხელი უნდა შეიყო და იქავო და იქავო.

– ტვინი?

– თუ გაქვს, კი.

– ორთავემ გადაიხარხარა. სუსტმა ქარმა დაუბერა და არჩილსა და ფანას ხისტოტებიდან ჩამობერტყილი თოვლის ნამქერები შეაყარა სახეში.

– იცი, რა მითხრა ერთხელ მენსავით ნასნავლმა კაცმა?

– აბა თქვი, რა გითხრა, – ცნობისნადილით ჰკითხა არჩილმა.

– ბავშვობაში ვისაც კლინიკური სიკვდილი არ გადაუტანია, მისგან გენიოსი არ დადგებაო.

– არჩილი კინაღამ ჩაიკეცა სიცილისგან. ფანაც დაგრია კისკისმა.

– მაინც როგორ?

– ტვინის ანთების მერე ტვინი იხსნება თურმე და მერე წინ ვერა ძალა ვერ დაუდგება. ასე მითხრა იმ კაცმა.

– ეგ ყველაფერი საიდანღა იცი, ხომ არ გაქვს გადატანილი?

– ვერ მატყობ, გადატანილი რომ არა მაქვს? – თქვა ფანამ. – აკი გითხარი, იმ კაცმა მითხრა-მეთქი.

– ერთმა კაცმა, ერთმა კაცმა, – კილოში ბრაზი დაეტყო არჩილს. – არ მიყვარს, როცა ქალები კაცებზე მიყვებიან, საერთოდ რომ მიხსენებენ.

– რა მოგივიდა, არჩილ!

– რა მომივიდა, არა! არასოდეს არ მიხსენო ვილაც კაცები.

– ეჭვიანობ?

– ეგ რა შუაშია! – არჩილი ყვირილზე გადასულიყო.

– დანყნადი. არასოდეს არ ვახსენებ. მე მარტო შენზე ვილაპარაკებ, შენზე ვიფიქრებ, შენზე, შენზე, – თქვა ფანამ და არჩილს ყელზე ჩამოეკიდა.

მთელი ღამე კომპარულ ძილში გაატარა. ხმა მიეძალა. მან უთხრა: „რატომ ნახვედით ჩემგან?“ „მე არ ნავსულვარ, – უპასუხა არჩილმა. – სხვები რომ ნაიფინენ, ეგ შენი ბრალიცაა.“

დილით ზარმა დაინკრიალა. ფანა ადგა. ცოტა ხანში შემობრუნდა. არჩილმა თვალები ამოიფშენიტა.

– ვინ იყო?

– ვასკა.

– რატომ არ შემოიპატიე?

– გატიალებული მოვრალი იყო.

– აკი აღარ ვსვამო.

– კლუბში ანი აღარ ვივლიო, ეგრე მითხრა.

— მე ვუთხარი, ეკლესიაში იარე-
მეთქი. ის კი კლუბიდან ნამოსული სატა-
ნასთან გამოცხადებულა.

11

ჟანა გულმოდგინედ ფურცლავდა
არჩილის ჩანაწერებს. ნაკითხულ ფურცლ-
ებს მაგიდის მარჯვენა კიდეზე აწყობდა.
გარკვეული ხელით არიყო დაწერილი, მაგ-
რამ ჟანა შეეჩვია და მაინც არკვევდა.

ნაშრომის ერთი ადგილი ორჯერ გა-
დაიკითხა, მერე შესამედაც. „განწყობი-
ლება ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში საესე-
ბით დაეკარგა ადამიანს. მათ გაუჭირდათ
მიზეულის გადაჩვევა. ცუდი განწყობი-
ლება შეექმნა მოსახლეობის დიდ ნაწი-
ლს. მცირე ნაწილი კი ლაღობს. ადამი-
ანი, რომელიც სხვის იმედზე იყო, ისევ
მონური ცხოვრების დაბრუნებას
მოითხოვს“.

ჟანამ კალმისტარი აიღო. ტუზზე მიიღო
მისი ბოლო და ფიჭოს მიეცა. მერე სუფთა
ქალღმერთი აიღო და წერას შეუდგა. მთელი
გვერდი ააჭრელა. ზოგ რამეში ვიანხმებო-
და არჩილს, ზოგში კი — არა. ისევ ჩაუფდა
ჩანაწერებს, კითხვა განაგრძო. „დღეს გამ-
უდმებით ეძებენ საუკუნის უბედურების
მიზეზებს. ეძებენ, მაგრამ ვერა და ვერ
პოულობენ. არადა, უბედურების მიზეზთა
მიგნება საესეებით ადვილია. იგი თვალთს-
ახილვლია. მხოლოდ ეგ არის, მისი დანა-
ხვა არ სურთ ხელისუფალთ. ვინც დღეს
ხელისუფლებაშია, სწორედ ისინი არიან
უბედურების გამომწვევენი. ყველა ისინი
ყოფილი კომუნისტები არიან და დღესაც
მაღალი თანამდებობები უჭირავთ. ისინი
უნინ რელიგიას ებრძოდნენ, ახლა ვითომ-
და რელიგიური გახდნენ. ასე და ამგვარად,
რელიგიასაც ჩირქს ცხებენ. მათ თავიანთი
რეჟიმის პერიოდში ადამიანი დაამორეს
რელიგიასა და ბუნებას, გაუუქმეს ადამი-
ანს სალოცავები, გაუჩეხეს ტყეები, დაუშრ-
ეს მდინარეები. ამის გამო ადამიანი
ხელოვნური გახდა. სულიერად გაძარცულ
ადამიანს არ ძალუძს მთელი მონდომებით
იღვანოს და შეიქმნას საარსებო
საშუალებები. აი, რატომ იქმნება
ეკონომიკური კრიზისები ყოფილი სსრკ-ს
ქვეყნებში“.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჟანა! — ნამოიძახა
არჩილმა სახლში შემოსვლისთანავე.

ქურთუკი და ბათინკები გაეხადა და ჟა-
ნას თავზე წაადგა. — რამდენი ნავიკით-
ხავს. ყოჩაღ, ყოჩაღ!

— კი, ბევრი ნავიკითხე. ახლა აღარ
მლღის კითხვა.

— თუ გაიგე ყველაფერი?

— რატომ გგონია, რომ ყველავერი ვერ
გავიგე? — წყნით თქვა ჟანამ.

— თავდაპირველად რომ ვერ
გებულობდი, იმაზე გითხარი. თანაც ორი-
სამი გვერდის ნაკითხვაც კი გვლიდა,
ცუდადაც ხდებოდი.

— ეგ თავდაპირველად.

— და ახლა კი უკვე დოქტორის ხარის-
ხსაც მალე დაიმსახურებ.

— დოქტორი შენი თავიც მეყოფა, —
გაულიმა ჟანამ.

— ახლა უკვე ჩემზე მეტსაც
კითხულობ. მგონი დისერტაციას შენ
დაიცავ ჩემს მაგივრად. ეგ რა დაგინე-
რია? მაჩვენე ერთი ეგ ფურცელი. კოხტა
ხელი კი გქონია. ნოველია?

— არა.

— მამ რაღაა? ლექსებია?

— ჟანას თვალები აუწყლიანდა.

— რატომ გამახსენე ლექსები. კარგი
დრო იყო ის დრო, — ქვითინით თქვა ჟა-
ნამ. — ეგ ავტობიოგრაფიაა. პო, ავტობი-
ოგრაფია მინდა დაწერო.

— რომელი სახელმწიფო მოღვაწე შენ
მყავხარ. ისევ ლექსებს დაუბრუნდი.

— სალექსებო სული აღარ შემრჩა, —
თქვა და აზღუტუნდა ჟანა.

— თუ ლექსები აგრერიგად გიყვარდა,
თავი რად დაიანებე?

— რად? ყველა რედაქტორი ერთსა და
იმავეს მეუბნებოდა, სულ თოვლი, სულ
გაზაფხული, სულ სიყვარულიო. თანამ-
ედროვე ადამიანზე წერეო. არ მიბეჭდა-
ვდნენ.

— მაინც უნდა გენერა.

— აი, ვთქვით, შენ რომ თემა დაგი-
წუნონ, მაინც გააგრძელებ მასზე მუშაო-
ბას?

— აუცილებლად, — მტკიცედ თქვა
არჩილმა.

— ყოჩაღ! რკინის ნერვები გქონია.

— აბა! შენსავეთ სუსტი კი არა. ლექსები
არ დაგიბეჭდეს და არყის სმა დაიწყე. დარდს
გაძლება უნდა. არყით მოთოკილი დარდია...

— კარგი, კარგი... შენ რომ ჩემს დღეში ჩავარდნილიყავი, ვნახავდი, რაც მოგივოდოდა. რამდენსაც უარს მეტყვოდნენ დაბეჭდვაზე, მთელი კვირაობით ვტიროდი. მერე ერთმა მირჩია, არაყი სტრესს ხსნისო.

— სიცრუეა ეგ, — თქვა არჩილმა და ჟანას ნანერს მიუბრუნდა.

— იცი, არჩილ, — უთხრა ჟანამ, როცა არჩილმა ნანერის კითხვა ჩაათავა. — კიდევ მინდა ერთ ადგილას დავინყო მუშაობა.

— კიდევ?

— შო.

— მერედა სად?

— აქედან მესამე ეზოში, მეეზოვედ. ხელფასი იქაც ცოტაა, მაგრამოდნა მინც შეგეშველები.

— ორ ადგილას განა შეძლებ? — დაფიქრდა არჩილი. — ჩემი ცოლი და მეეზოვე?

— რა უჭირს მერე. პარკშიც ხომ მეეზოვე ვარ, ვინდა მეხალე მინოდე, სულ ერთია,

— არა, არა! ჩემი ცოლი და მეეზოვე? დადგე და ბარი და ნიჩაბი ურტყა გაცემენტებულ ყინულს? ეგრე არ იქნება! გამვლელ-გამომვლელები ხომ უკანალზე დაგინყენე ყურებას. პარკში რომ მუშაობ, ის არ მომიწევნებია და ახლა...

— რა სისულელეს ამბობ, არჩილ? გრძელ კაბას ჩავიცვამ, ან შარვალს, ზემოთ კი ბუშლატს.

— ბუშლატს ქვემოთ და ზემოთ რას ჩაიცვამ, ეგ მე არ ვიცი. მე ვიმუშაებ შეთავსებით და შენ საერთოდ სახლში დაგსვამ.

— დიქტატორი ხარ შენ, არჩილ!

— კი ვარ!

— ეგეთი ვის დაემგვანე, არჩილ?

— ბაბუაჩემს.

●
იმ ღამით კომმარულ სიზმრებში ბაბუას მრისხანე თვალემა გიილევეს. ბრაზიანი კაცი იყო ბაბუა. სულ იმას გაიძახოდა, კაცმა სხვა ტომის ქალი არ უნდა შეირთოსო. კომმარულ სიზმრებს თავი რომ დააღწია, ბაბუას მუდამ მრისხანე თვალეებს გაექცა, ბაბუას სახლიდან გავიდა. გაიარა სამასი-ოთხასი მეტრი, ავიდა ოდიშის მთავორიან სოფელში. გორაკიდან ვაკეზე

გადაიხედა. იქ თეთრი და შავი თეთრმულა ცხენები ბალახს ძოვდნენ.

12

მაგიდაზე ბარათი იდო. დახედა. გაცემისაგან კინალამ გადმოუცვივდა თვალეები. „დღეს მიტინგია მიაკოსკის მოედანზე. მე იქ წავედი. ჟანა“. კარში გავარდა. მეტროს მიაშურა. ოციოდე წუთში მიაკოსკის მოედანზე ამოყო თავი. მოედანი ხალხით გაჭედლიყო. ჟანას დაეჭებდა მაგრამ იგი არსად ჩანდა. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ადამიანები. ხან ერთ ჯგუფს მიუახლოვდა, ხან მეორეს. იქითკენ ნავიდა, სადაც მიკროფონში გაპყვიროდნენ მთავრობის სალანძღავ სიტყვებს. არჩილი შიშმა შეიპყრო. მომიტინგეებს მრისხანე გამომეტყველება შექონდათ. მიუხედავად სიცივისა, გაუნძრევლად იდგნენ. ძეგლის გვერდით მუშახტეები ჩამომსხდარიყვნენ. ისინი ჩაჩქანებს არაკუნებდნენ ასფალტზე. მიკროფონი საცა გაემართათ, იმ ადგილზე ჩამოდგა. მიკროფონთან ლანდივით ქალი იდგა და გამწარებული გაპყვიროდა.

— შიმშილისგან ეიზოკობით, მთავრობას კი უცხოეთში გააქვს ფული!

— რატომ კედები მერე, — გაეპასუხა სათვალისანი ქალი. — მუშაობა არ გინდა, იმიტომაც გძია. გიცნობ მე შენ, დიდი ლოთი ვინმე ხარ! იმუშავე, ვინ დაგიშალა. ერთ ბოთლ არაყზე დაგიჭირავეს ალბათ.

— ვინა ხარ შენ, ვინ ოხერი! — გაცხარდა ლანდივით ქალი.

— მე? მე დემოკრატი ვარ! — უპასუხა სათვალისანმა ქალმა. ლანდივით ქალმა მიკროფონს თავი მიანება, სათვალისანს მივარდა და თმებით დაითრია. ამასობაში, ვიდრე მათ გააშველებდნენ, მიკროფონი ქერათმიანმა ქალმა ჩაიგდო. იგი ერთბაშად განინმატდა.

— შენ კომპარტიიდან ხომ არა ხარ? — ჰკითხა ქერათმიან ქალს მამაკაცმა, რომელსაც მუშახტის ჩაჩქანი ეჭირა ხელში.

— არა ვარ მე კომპარტიიდან. რომც ვიყო, მერე რა?

— კომუნისტებთან გვინდა საუბარი, ისინი დიდ იმედებს იძლევიან. ხელისუ-

ფლებიში რომ მოვალთ, მერე ამას და იმას გავაკეთებთო.

მასას ანონილი კაცი გამოეყო. მომდნარ თოვლზე ფეხი დაუსხლტა, მაგრამ მარდად ნამოხტა და მიკროფონთან მიიჭრა.

- კომუნისტები სამოცდაათი წელი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, მაშინ რა გავაკეთეთ. დაპირებები უყვართ. სადღაა ის კომუნისტი? არსადა, ავერ მაქვს ჯიბეში.

- ის ძველი იყო. ახლა ახლები არიან! - დასჭექა ვილაცამ მომიტინგეებიდან.

- კი, კი, კომპარტია გავაძღობს!

- ასე გეპირდებიან და...

- ყველა დაპირებებით მოდის, მერე კი...

- აგაფონოვი მოვიდა! - დაიყვირა ვილაცამ. იგი შავგვრემანი იყო.

- ერთი მაგისი!

- შენ ვის აგინებ, შე ძუქნას გავდებულო! - მიაყვირა გამხდარმა ჯეველმა.

- ვინც საგინებელია, იმას!

ჯეველი, რომელიც აგაფონოვის მცველი გამოდგა, შავგვრემანს მივარდა და სახეში თხლიშა. შავგვრემანს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. აგაფონოვს კი მიკროფონი ეჭირა ხელში და მშვიდად ლაპარაკობდა. მას ოვაცია მოუწყვეს. აგაფონოვი იმ წუთებში იმედის განსახიერება იყო. მან სიტყვა დაამთავრა, კმაყოფილებით მიმოავლო თვალი იქ შეგროვილთ და განზე გადაგა.

სქელუა მოვიდა მიკროფონთან. ნამეტნავად გაიჭაჭა. წინ რომ გადმოიხრებოდა, უკანალი უფრო დიდი უჩანდა. სულითა და გულით გაპყვიროდა.

- „რა უნდათ? - გაუელვა არჩილს. - მგონი მართლები არიან“. დაასკვნა და რალაცნაირად რევოლუციურმა ალგზნებამ დაუარა სხეულში. დაყვირება მოუნდა, მაგრამ შერცხვა. თავი თითქოს ორად გაეყო. ერთში - რევოლუციური ალგზნება დასადგურებელიყო, მეორეში - სირცხვილის შვერძნება. „სისულელეა“, - დაასკვნა ბოლოს.

არჩილმა ვა გაიკვლია. ჟანას დაექებდა გამწარებული. იგი არსად ჩანდა. მიდიოდა, ხალხში გზას მიიკვლევდა ძლივსძლივობით. ისევ ის გრძნობა დაუ-

ფლებოდა, თავი თითქოს ორად შექონდა დაყოფილი. ერთში არსებული ხელისუფლებისადმი შურისძიების გრძნობა დასადგურებელიყო, მეორეში კი - სისხლისღვრისადმი სიძულვილი.

- აბა, ჩამოდი მანდედან! - დაუყვირა ახლახან მიკროფონთან დამდგარ პროფესორს სქელუა მამაკაცმა. პროფესორი დემოკრატების მომხრე იყო. მას არ აცალეს ლაპარაკი. ბრბოდან ვილაცამ თოვლის გუნდა ესროლა.

არჩილი ამ ჯგუფს გაერიდა, ადგილი გამოიცვალა. მოედნის მარცხენა მხარეს, როგორც აღმოჩნდა, მონარქისტებს მოეყარათ თავი.

- მეფე გვინდა! - დაიღრიალა ერთმა.

- მეფეები საფლავებში წვანან, - გაეპასუხა არჩილი, რომელმაც დუმილი ვეღარ აიტანა.

- მეფეს მოგართმევთ მე თქვენ - ღრილით მოვარდა ლიმონისფერულვაშიანი მამაკაცი, რომელიც მოკრივეს უფრო ჰგავდა, - მხოლოდ კომუნისტები თუ უშველიან ქვეყანას!

- რა დროს კომუნისტებია! - გაფიცხდა არჩილი.

- აბა ვინ გინდა, შე საჯდომო შენა! - დაიღრიალა ლიმონისფერულვაშიანმა და არჩილს ყბაში სთხლიშა.

● - შენ ჯანყის მომხრე ხარ, ჟანა!
- ვარ.

- სისულელეა.

- მე მეცოდება ღარიბები. ქვეყანა ღარიბებით გაივსო.

- ლოთობისთვის იმიტომ კი არ განებებინე თავი, რევოლუციონერი რომ გამხდარიყავი. რევოლუცია სისხლია!

- რა გაყვირებს, არჩილ. ყრუ კი არა ვარ.

არჩილმა ისევ იგრძნო, თავის ერთ მხარეს ჯანყის საჭიროება, მეორეში კი ზნეობრივი რევოლუციისა.

- აკი გაიძახოდი, პოლიტიკას ვერ ეიტანო!

- ნუ მიყვირი-მეთქი, არჩილ!

- მეორედ არ დაგინახო მიტინგზე წასული, თორემ თავს წაგაცილი!

ყანა გაცივებისაგან შეკრთა, სმენად იქცა, თავი თითქოს მხრებში ჩაეკარგა.

ნანილი მესამე

1

— ეს რამ მოგაფიქრებინა, არჩილ?! — გაცივებით ნამოიძახა ჭანამ, როცა არჩილის ხელში არყის ბოთლი შენიშნა. არჩილი ქანაობდა, ფეხზე ძლივს იდგა. რის ფაიფავლახით გაიხადა ქურთუკი. ჭანა შეეძველა და საეპრტელში ჩასვა.

— გული ნუ შემიჭამე, ჭანა! — უჩვეულო ღრიალი აღმოხდა არჩილს.

— გალოთდები, იცოდე, მე რომ გავლოთდი, ისე გალოთდები.

— შენი საქმე არაა. რა მნიშვნელობა აქვს, ჯანმრთელი მოკედები თუ... კი, ... არაამსული ჯანმრთელი კედება, მსმელს კი არაყი კლავს.

— ეგ ვინ გითხრა?

— ვასკამ.

— სადაა ვასკა. მასთან დალიე?

— ჰო.

— როდის?

— დღეს.

— ვერ ხედავ რასა ჰგაეხარ, თვალები გეხუჭება.

— მერე რა... მშვენივრად ვარ ახლა.

— რა მოხდა მაინც დღეს, არ იტყვი? გეხვენები, მომიყუვი, — მოფერებით თქვა ჭანამ.

— დილით თემა დამინუნეს, — ენის ბორძიკით აღმოხდა არჩილს.

— რატომ დაგინუნეს, რა არ მოენონათ?

— მაგათი დედა ვატირე მე!

— ჩუ, არჩილ. ღმერთო ჩემო, პირველად მესმის შენი გინება... — თავისთვის ჩაილაპარაკა ჭანამ.

— მაგათი ცოცხალი და მკედარიც.

— ჩუ, არჩილ. რა დაგინუნეს-მეთქი.

— ჩემი ქართული გვარი არ მოენონათ. მაგათი ცოცხალი და მკედარიც...

— თვითონ ვინაა არიან?

— თავად? რუსი ებრაელებია პროფესორები, მაგათი დედა ვატირე.

— მერედა შენ რას გეორიან?

— სტალინის გამო ძიობდა შურს ქართველებზე. სტალინმა ხომ რევოლუციონერი ქართველები სულ ამოჟუფა.

რევოლუციონერი ებრაელების დედა ვატირე და ქართველი რევოლუციონერებისაც.

— კი მაგრამ, სტალინიც ხომ რევოლუციონერი იყო! რევოლუციონერებს რას ეწოდება?

— სტალინს თავის ნილად გამარჯვებული რევოლუცია უყვარდა მხოლოდ. სტალინის ყველაფერი...

— ნუ იგინები, არჩილ. ასე მგონია *ИТЬ С БОМЖАМИ ЖИВУ Я*. დაწყნარდი არჩილ. აი, ეგრე. მშენებლობაზე დაეინყოთ მუშაობა. მე კედლების მოხატვა მეხეხებება. მეტი არ დალიო.

— დაუღეე! — კბილები დაალრჭიალა არჩილმა.

— მაცივარში შევდგამ ბოთლს. მეტი აღარ დალიო. ვასკას დაემგვანე დღეს. მტრისას ვასკას თუ დაემსგავსე. ფეხებება და ნელის დაბოლოებას შორისაა მისი საქმე.

— ეგ რაღაა?

— მაგ სიტყვას ვერ ვიტყვი.

— დიდი ხანია უნმანურ სიტყვებს რაც თავი გაანებე? ჯერ ერთი ეგ. მეორეც, ვასკა ძალიან კარგი კაცია.

— აკი სულ აგინებდი.

— შეცდომას ჩავდიოდი თურმე. ვასკა ძალიან კარგი კაცია. რევოლუციონერების ცოცხალიც და მკედარიც.

— ნუ იგინები არჩილ. გთხოვ. ნუ დაღეე დღესი შემდეგ, არჩილ, გემუდარები.

— ნუ დაღეევო? არ იქნება. ახლა მე თოკზე დავდივარ და ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ დედამინახე.

2

— საით ნავიდა ის კაცი, ჭანა, საით ნავიდა?

— რომელ კაცზე მეკითხები, არჩილ?

— აი, აქ რომ იდგა ახლა. სახეგაბადრული ჩანდა, ილიმებოდა.

— ღმერთო ჩემო, მე არავინაც არ დამინახავს.

— როგორ არ დაინახე. მეუბნებოდა, შენს საშველად მოვედიო. საით ნავიდა ნეტა?

— ოო, მივხვდი. არჩილ, ადექი, ჩაიცვი, ჰაერზე გავიდეთ. გუშინლამ რომ ჩანექი, მერე აღარ ამდგარხარ.

— ჰაერი რა, ნამალია?

– ნამდვილად რომ არის. ტყეში გავი-
 სიერნოთ, ჰაერი მოგხდება, სუფთა
 ჰაერი. ტყინი გაგიფართოვდება. შენ ხომ
 დიდი ტყინი გქონდა.

– ნუ დამტყინი. ჩემს დღეში მყოფს არ
 უნდა დასტყინო. ვინ იცის, ვის რა მოეწონება.

– ეგ შენი თეორიაა.

– მე ახალ თეორიასაც შევქმენი.

– აბოდეებს. – ჩაილაპარაკა ჟანამ.

– ჰო, ჰო. ახალ ნაშრომს დავნერ და
 იქ ეამხელ ადამიანურ ბოროტებას. დამი-
 სხი ასი გრამი.

– არაყი ზოგს აბოროტებს, ზოგსაც
 კი აკეთილშობილებს.

– არაყი კეთილშობილური რამ არის.

– აბოდეებს. – თავისთვის გაიმეორა
 ჟანამ. – ადექი, ჩაიცვი, ჰაერზე გავიდე-
 ეთ.

– ო, ეს ჰაერი, ჰაერი ბუნებაა და
 იმიტომაა მკურნალი. დამისხი ასი გრამი.
 ბუნება ღმერთის შექმნილია და იმიტო-
 მაცაა დიდებული. რაც ადამიანმა შექმ-
 ნა ღმერთის ნებართვის გარეშე, ყვე-
 ლაფერი მავნებელია.

– რომელი მაგალითად.

– ატომი მაგალითად, სხვას რომ თავი
 გაეანებოთ. დამისხი ასი გრამი. თოფიც,
 მაგალითად.

– ოჰ, ღმერთო ჩემო. – აღმოხდა ჟა-
 ნას. სწრაფად ჩაიცვა და 5-10 წუთში
 ლუდი მოუტანა არჩილს.

– გახსოვს, ლუდით რომ გამოწყავდი
 სახსრების მტკრევისგან. სამაგიეროს
 მიხედი ხომ?

– დალიე, დაგანყნარებს.

– ამ მხრივ დიდი გამოცდილება კი გა-
 ქვს. ასი გრამი აჯობებდა.

– წვეთსაც არ მოგართმევ. ლუდი
 მხოლოდ. – შკაცრად თქვა ჟანამ. – სუ-
 ლაც არ მომწონხარ ეგეთი.

– როგორი? – ჰკითხა არჩილმა.

– არყისგან გამოთავყანებული.

– ადრე მოგწონდი?

– ძალიან.

– მაშინ როგორი მოგწონდი?

– ყოვლისმცოდნეობაზე რომ დებდი
 თავს. ასე მეგონა ყმანული იყავი, მამ-
 ლაყინა ბიჭი.

– და მერე მიხვდი, რომ ყველაფერი
 კი არა, არაფერიც არ მცოდნია.

– მაგას არ ვამბობ. ცხოვრება ნინაა,
 სიმართლე იზეიმებს.

– ცხოვრება ნინაა. – უდარდელი
 ტონით გაიმეორა არჩილმა. – ცხოვრება
 ნინაც და უკანაც ბინძურია.

– ნუ ფიქრობ ეგრე. როცა ვსვამდი,
 მეც ეგრე მეგონა.

– დამისხი ასი გრამი.

– ლუდი მხოლოდ!

– ლუდი უკანალში შეისხი. ასი გრამი
 არაყი-მეთქი.

– ღმერთო ჩემო! – აღმოხდა ჟანას,
 – მინდა წყლის ლოთივით იგინება.

– ახლა მომიტანე და სხვა დროს აღარ
 დავლევ. მივანებებ თავს. ახლა ძალიან
 მიჭირს.

– ადექი, აბაზანაში შედი. შხაპი გა-
 დაივლე, ჯერ ცხელი, მერე ცივი, და
 ნერვები დაგინყნარდება.

– ეგ ვინ გასწავლა?

– შენ, ჩემო საყვარელო.

– ჰმ. – უაზრო სიცილი აუტყდა არჩი-
 ლს.

3

– თუ ნაიკითხე, არჩილ, მე რომ ნიგნი
 დაგიტოვე. – თქვა ჟანამ და ტანსაცმ-
 ლის გახდას შეუდგა.

– რა უნდა ნამეკითხა, აღარ მახსოვს.
 – უთხრა არჩილმა და ლოგინში ნებურად
 გადატრიალდა.

– დილით ხომ დაგიტოვე ნიგნი. გვე-
 რდებიც მიგითითე, ნაიკითხე-მეთქი,
 კითხარი.

– რა ნიგნი იყო, აღარ მახსოვს. შენ
 რომ ნახვედი, ცოტა გადაეკარი. ცუდად
 გახვდი. რა ნიგნი იყო, გამახსენე. მერე
 ქალაქშიც ვიყავი ნასული...

– ჰაიდგერი. გითხარი პირველიდან
 მეთუ გვერდამდე ნაიკითხე-მეთქი.

– ახლა დაგბრუნდი ქალაქიდან.

– იქაც დალიე?

– დავლიე, აბა, რას ვიზამდი.

– ვისთან დალიე?

– ვასკასთან. ცოტა დავლიე, უკვე
 გამინელდა. ფული თუ გაქვს, ცოტაოდენ-
 ი არაყი მომიტანე.

– ფული არა მაქვს, ხელფასს ხვალ
 დაგიირიგებენ.

– ისეხე სადმე, ისეხე.

— როგორ მესაუბრებდი, არჩილ. ამას არ მოველოდი. დარდიმანდული საუბარი დაგრემდა, ნიგნი იკითხე გირჩევნია. ინტელექტი გადაგარჩენს. ტვინი არ დაიჩიუნგო.

— ამას რას ვხედავ, ამას რას ვხედავ. ჩემი გონი და სული შენში გადადის თანდათანობით. შენი კი ჩემში. შენ ისეთი განსწავლული გახდი, რომ ჩემი ნება რომ იყოს, ფილოსოფიის დოქტორობას მოგანიჭებდი.

— ნუ ბურდლუნებ, თუ ღმერთი გნამს, — გაცხარდა ჟანა. — ლოთისთვის ჩვეული ბურდლუნი დაგვენო.

არჩილი გაყუჩდა. ჭერს მიაპყრო თვალი, სახე დაუსევდიანდა.

— მალე მამარჩემის სამშობლოში ნავალ, საქართველოში. — თქვა მან, — ერთორ კვირას დავრჩები იქ და სმას თავს გავანებებ.

— იქ რა, არ სვამენ? — კითხა ჟანამ.

— მხოლოდ ღვინოს. არაყი გონებას ადუნებს.

— ეგ თუ იცი, თავი გაანებე.

— ეგ შენც იცოდი და მაინც სვამდი არაყს.

— თუ ღმერთი გნამს, მაგ პერიოდს ნულარ გამახსენებ. მე სამუშაოზე ვარ ნასასვლედი. აჰა, ეგ ნიგნი. პირველიდან მეათე გვერდამდე ნაიკითხე. მე ერთ საათში მოვალ. თუ არ ნაიკითხე, შავ დღეს დაგაყრი.

— აუცილებლად ნავიკითხავ, ოღონდ შენ ცოტაოდენი არაყი ნამოიდებენე.

— ჭირი შენ!

4

კომარულმა სიზმრებმა არ მოასვენეს. მთელი ღამე ინრიალა ლოგინში. ნანყვეტ-ნანყვეტად ეძინა. ცოტას ნაუძინებდა და გამოეღვიძებოდა, კიდევ ნაუძინებდა და ისევ. სხეული უზურდა შუალამის შემდეგ. ნარამარა ცივ წყალს სვამდა. ნაშუალამევს კი, როცა არაყი გამოუნელდა, სიცოცხლე ააკანკალა. არაყი რომ პქონოდა, დედას უტირებდა სიცოცხეს. არ პქონდა.

ეს მერამდენედ გამოეღვიძა. საათს დახვდა. ზუსტად სამი იყო. ბოლო ხანებში ამ დროზე ეღვიძებოდა. როცა არ სვამდა, სამიდან იწყებდა ნიგნის კითხვას.

უფრო უნინ კი, სიყმანეილები 9-ზე ეღვიძებოდა. მერე და მერე, ასაკი რომ შეემატა — ნსაათზე. მაშინ ფილოსოფიის ისტორიას კითხულობდა. ახლა კი 3-დან არაყის ნრუპვას იწყებდა, რა თქმა უნდა, თუკი პქონდა. გაეღვიძა თუ არა, პირველი ცოლი გაახსენდა, ლენა. მერე მეორე ცოლი ვიოლეტა, მერე მესამე ვალენტინა. მეორე და მესამეზე ფიქრი აბეზარი ბუზივით მოცილა და ლენას დაუბრუნდა. უყვარდა ლენაზე ფიქრი. კარგი კი იყო, შოლტვივით აშხვართული. შეეცადა ფიქრებისგან განთავისუფლებულიყო. არაფერი გამოუფიქდა. რამე უნდოდა ახლა პირველ ცოლზე ფიქრი, რომელსაც კარგახნის ნინათ დასცილდა. ჟანაზე გადაიტანა ფიქრი. ასე სჯობსო, დაასკენა თავისთვის. ჟანა ლენას შეადარა, მერე ვიოლეტას, მერე ვალენტინას. საცოდავად გამოჩნდა ჟანა მათთან შედარებით, კატას დაემსგავსა არა, არა, მე ვცდები, ჟანა ყველას სჯობს. — გაიფიქრა, მაგრამ ამ ფიქრმა სიმშვიდე არ მოპყვარა, პირიქით, ააფორიაქა. მერე უცნაური რამ მოიფიქრა, ნარმოიდგინა, რომ ჟანა ისევ გალოთდა და მანანა-ალეზს შეუერთდა. ისევ პირველი, მეორე და მესამე ცოლები ამოტივტივდნენ მხსიერებაში. ჟანა ყველაზე შეუხედავი გამოჩნდა მათთან შედარებით. ყველას დედა კი ვატირეო, გაიფიქრა. ლენაზე, პირველ ცოლყოფილზე ფიქრმა მაინც არ მოასვენა. ერთი ეპიზოდი გაიხსენა.

კაფემი ისხდნენ ამ ათი ნლის ნინათ არჩილი და ლენა. გვერდით მაგიდას ადგილობრივი მუტრუკები უსხდნენ. ერთი მათგანი მთალებით ნადირობდა ლენაზე. ლენამ მიმტან ქალს ლიმონათი შეუკვეთა. როცა მოუტანა მიმტანმა, ლენამ ბოთლს ხელი შემოაჭო და აღმოხდა, ძალიან ცივიაო. გვერდით მჯდომი მუტრუკი გადმოიხარა, ლენას მკლავი მოხვია და დაიღრიალა ცხელ მენიქებში. მერე აღარაფერი არ ახსოვს არჩილს, მან ის ღამე მილიციაში გაათია, მუტრუკმა კი — საავადმყოფოში.

-
- ჟანა!
- მე გისმენ.
- გავრბივარ.
- სად?

- ინსტიტუტი.
- რა გჭირს, სულ რომ გარბიხარ.
- მეჩქარება, ჟანა.
- ვიცი, სულ რომ გეჩქარება. სწრაფად საუზმობ, სწრაფად იცვამ. სულ გარბიხარ. მერე დრო მოგრჩება და არ იცი, დრო რითი მოკლა.
- ვინ?
- ვინ კი არა, დრო.
- დროის მოსაკლავად არაყზე უკეთესი ნამალი არ არსებობს. არაყი დიდებულია, იგი დროსაც კლავს დაჩვენც.
- ოო! შენ ფილოსოფიურ აღმოჩენას გაუმარჯოს.

5

კაფეს „ლოთების კაფეს“ ეძახდნენ. აქ მანანალებითვის ნყალწყალა ლუდი და სუროგატი არაყი მოჰქონდათ. იაფადაც ყიდდნენ და ქვეყნის მუშტრები ესეოდა. ჟანამ კაფეს კარი შეაღო, აღარ ახსოვდა, უკანასკნელად როდის იყო აქ.

- არჩილი ხომ არ დაგინახავთ აქ? - ჰკითხა მებუფეტეს.
- იყო აქ.
- რას სვამდა.
- მგონი არაყს. გარეთ გავიდნენ და მერე აღარ ვიცი რა დალიეს.
- საით ნავიდა ნეტა?
- მგონი ტყისკენ.

კაფეში ორი მანანალა შემოვიდა. ისე იყვნენ ძველმანებში შეფუთულნი, ძლივს დააბიჯებდნენ.

- ჟანას გაუმარჯოს. - თქვა ერთმა, მას ვიქტორს ეძახდნენ.
- რა გაყვირებს, ბრიყვო, - დაუყვავა ჟანამ - ქალს მონინებით უნდა ელაპარაკო. შენ ეგ მითხარი, ჩემი არჩილი ხომ არ დაგინახავთ?
- ტყისკენ მიდიოდა, კარგად ჩაცმულ ვილაც ტიპებთან.
- იმათთან სვამდა? - იკითხა ჟანამ.
- იმათ არ დაუღვლიათ, არჩილს ასმეედნენ.
- ვინ ტიპები იყვნენ ნეტა?
- ჯანდაბას მაგათი თავი. ჩვენ ნუეთიც არ დაგვისხეს.
- კიდევ ერთი მანანალა შემოვიდა.
- Опять божжюем? - მიაძახა მებუფეტემ.

ახალშემოსულმა მანანალამ ჟანას ასი გრამი არყის ფული თხოვა. ჟანამ არ დააყოვნა, საფულე ამოიღო და გახსნა. ვიქტორი მიეჭრა მანანაალას და ფული ხელიდან გამოსტაცა.

- შენ მატარებელზე დადიხარ სამათხოვროდ, - დაუყვირა ვიქტორმა. - შენი ზონა ისაა, ეგ კი ჩვენია.

მათხოვარს სახე მოერღვა.

კაფეში მანანალა ქალი შემოვიდა.

- რომელი საათია, შურა? - დამციონავი კილოთი ჰკითხა ვიქტორმა. შურა მიხვდა, ვიქტორი რომ ამასხარავებდა და უპასუხა:
- დამაცადე, ახლავე ნიფხავს ჩაეიხდი და გეტყვი დროს...

ჟანამ თავი დახარა. სახეზე აღმური მოეკიდა.

არჩილი გამოჩნდა. ტყიდან გამოლასლასდა. კაფემდე ვერ მოაღწია. თოვლზე გაიმშლართა. ჟანა სწრაფად გაიქცა არჩილისკენ.

- არჩილ! - დაიყვირა ვიქტორმა. - მეორედ არ დაგინახო აქ! მანანალობა რა შენი საქმეა, დაგვითმე ეგ ჩვენ. შენს საქმეს მიხედე. ძველებურად ნიგნები იკითხე.
- მოკვდა? - იკითხა ერთმა მანანაალამ და ატირდა.
- დანარჩენებიც ატირდნენ.

6

არჩილმა მაგიდაზე გაშლილ ბარათს დახედა და გადაიკითხა. ჟანას ხელი ეცნო. „ხელფასები არ დაარიგეს. ნავედი მიტირგზე. მემსახტებთან ვიქნები. მეც უნდა გავიფიცო. იქ გელოდები.“ გაბრაზდა - ბარათი ხელში გაუქვევდა თითქოს. „ისეუ მიტინგი. რამ გარეველოლუციონერა ეგ ქალი, გაიფიქრა არჩილმა, - ისეუ სმა უნდა დაეწყებინო, სხვა საშველი არაა“. კარი გაიხურა და მტრისკენ გაეშურა. მალე მოედანზე ამოყო თავი. ჯერ თვალები მიმოაცეცა. ჟანას დაეძებდა. ერთ მემსახტეს მოუჯდა საეციალურად ყინულზე გაშლილ მუყაოზე.

- რაო, რა მქვიაო? - ჰკითხა არჩილმა მემსახტეს.
- გრიშა, გრიშა მქვია. შენ?
- ხომ გითხარი, რაც მქვია. მემსახტე ხარ?

— მემახტებთან რაკი ვზივარ, მემ-
ახტე ვიქნები.

— რამ ალგაშფოთათ, რაზე მოიყარეთ
თავი?

— დაგვამშიეს, ცუკა.

— რა წარამარა გაიძახი ამ ცუკა-ს.

— ასე მჩვევია და რა ვქნა. — გრიშამ
გვერდით მჯდომს მუჯლუგუნი ჰკრა. —
ნუ ჩამოიძინე!

— იძინოს, რა გენალვლება. —
დაუყვავა არჩილმა. — თვალი მოატყუ-
ოს.

— აქ ძილის დროა ვანა! უნდა იყვი-
როს „მოგვეცით ხელფასი“. ნელან გა-
დაკრა და იმიტომაც ეძინება. შენ
სვამ?

— აბა არ ვსვამ?

— გინდა?

— რა?

— არაყი.

— სადღაა მაგის ფული!

— თუ ლატაკი ხარ, რატომ მიტინგზე
არ გამოდიხარ.

— რა უნდა ვიყვირო, შენი აზრით?

— ლოზუნგები. თუ არ იყვირებ, სვი ეგ
მონამლული არაყი და წყალწყალა ლუდი.

— მიტინგზე თუ ვიყვირე, კარგ ლუდს
დამალევიანებენ, თუ იცი?

— სადღაა ლუდი? — გამოიღვიძა
გრიშას გვერდით მჯდომმა მთვლემარემ,

— ყელი მიშრება, სულ უმატებენ და
უმატებენ ლუდს ფასს.

შორიანლო სამი ახალგაზრდა იდგა.
ისინი გაუთავებლად იცინოდნენ, კაცი
ვერ გაიგებდა, რა იყო საქირქილო.

— თქვენ რა, არ განუხებთ არყის და
ლუდის ხარისხი რომ გაუარესდა. — ჰკით-
ხა გრიშამ იმ სამ ახალგაზრდას.

— საერთოდ არ ვსვამ. — მიუგო
გრიშას ერთმა ახალგაზრდამ. — მეტი
საქმე არა გვაქვს იმით მოვიწამლოთ.

— ცუკა! — დაუყვირა გრიშამ. — აბა,
აქედან მოუსვით, ნარკომანებო.

— შენ თვითონ მოუსვი აქედან. წადი
და იმუშავე. აქ რას აგდებარ! განინმატ-
და ერთი ახალგაზრდა.

— რად ვიმუშავო, უხელფასოდ ვიმ-
უშავო, ცუკა.

— ცუკა-ც ხარ და ნუხეიც. — მიაყვი-
რა ახალგაზრდამ.

გრიშამ არც აცია, არც აცხელა, სწრა-
ფად წამოხტა და ახალგაზრდას ჩაქქანი
დრუზა თავში.

ახალგაზრდებმა მოკურცხლეს.

— რა მოხდა? — იკითხა გრიშას გვერ-
დით მჯდომმა მემახტემ, რომელმაც
ისევე ჩათვლია.

— ისეთი არაფერი. — მიუგო გრიშამ.

— რამე არა გაქვთ, ყელი მიშრება,
მახრჩობს ბახუსი.

— ბახუსით დამხრჩვეალი კაცი ვერ
არავის უნახავს.

— რას იხებებთ, — გაემასხრა არჩილი.

— სმირნოვსკაიას თუ კრისტალოვსკაიას?

— მომე ის შენი შინნახადი, გრიშა,
კემეროვოდან რომ ჩამოიტანე.

— კემეროვოდან ხარ, გრიშა? — გაი-
კვირვა არჩილმა.

— კი, კემეროვოდან.

— კემეროვოდან აქ რამ ჩამოგიყვანა,
შე კაცო!

— შიმშილმა და სიდუხჭირემ.

— შერე და აქ რაიმეს გირიგებენ?

— ვიყვირებთ მაინც.

— იყვირეთ, რამდენიც გინდათ. მთაურ-
ობა კი სუფრას უზის და ხიზილაღას, შავ
ღვინოსა და ფრანგულ კონიას აყოლებს.

— ეებს... კაცი კარგი ჩანხარ... რა თქვი,
რა მქვია?

— დაგავწყდა? არჩილი...

— ჰოდა, არჩილ, მართლა გაქვს შინ-
ნახადი ჩვენებური, რუსული.

— თითო გადაეკრათ.

— არა, მე აღარ ვსვამ.

— სვამდი?

— კი.

— თავი გაანებე?

— გავანებე.

— უკეთესს რას მიჰყავი ხელი?

— ხა-ხა-ხა.

— დიდი ხანია, რაც თავი გაანებე
სმას?

— ნუხელის, სამი საათის აქეთ
წვითიც არ ჩამიშვია.

— პო-პო-პო!

კაფანდარა თვალსევდიანი ქალი
მოვიდა. ხელში მოწნული კალათი ეჭირა.
გახსნა ის კალათი და პროდუქტები ამ-
ოალაგა: ძხვები, შამში, პილმენი, პური,
ყველი. მოყინულ ასფალტზე ქალადი



გაშალა. ორი ბოთლი „სტალინი“ ჩამოდ-
გა.

– გრიშა. – თქვა არჩილმა, – გადაე-
წყვიტე მეც გავიფიცო. ოღონდ ხეა-
ლამდე.

– ვითომ რატომ ხვალამდე.

– ამ თვალსედიანმა ქალმა ხვალაც
თუ გაიმეორა ეგ კეთილშობილური
საქციელი, გაფიცვას გავაგრძელებ.

– ხვალსხვების ჯერია. – მიუგო გრიშ-
ამ.

– ისე, სიმართლე უნდა გითხრა,
გრიშა. გემომილათ, არაჯობებდა?

– მთელი ცხოვრება არ ვმომილობ,
მაგრამ ამით რა გამივინდა.

არჩილი ჩაფიქრდა. მერე გრიშას
მიუბრუნდა.

– იცი, რა მინდა გითხრა. საზიზრო-
ბა არეულობა. იგი სისხლია.

7

არჩილი განაპირდა. სული შეეხუთა
დიდძალ ხალხში, ყურები გამოუჭედა
მოჩოქოლე მიტინგმა. აქეთ-იქით
მიმოდიოდა. ყინვამ ყელსა და წელზე
მოუჭირა. არც ამ ყინვას ეპუებოდნენ
მომიტინგეები. ყურებ და ცხვირებგანი-
თლებული იდგნენ და მთავრობას
აგინებდნენ. არჩილი თითებს ისრესდა.
მომიტინგეთა პირებიდან ამოსული
ორთქლი ღრუბელსავით დასწოლოდა
მოედანს. ზამთრის უნიათო მზე ანათებ-
და და ყინულის საფარი ოდნავ მოედნო.
როგორც იქნა, ჟანას მოჰკრა თვალი. იგი
ხალხს გამოეყო. გვერდით გამხდარი წვე-
როსანი კაცი მოემართებოდა. წვეროსანი
არჩილს მიეჭრა და დიდი ხნის ნაცნობივით
მისვალმა.

– არ იეჭვიანო, თუ კაცი ხარ, ჩვენ ახ-
ლახან დაემეგობრდით, რაკი ერთ დღეში
ვართ. ჩვენ უნდა შევექმნათ ერთიანი
მოქმედების კონგლომერატი. – პა-
თეტიკური ტონით თქვა წვეროსანმა.

– რა ეჭვიანობაზეა ლაპარაკი. მაგ
კონგლომერატი რას გულისხმობთ.

– მოსაზრებათა შეთანხმებასა და
ერთიანობას. ჟანამ მითხრა თქვენზე,
წარმოშობით ქართველიაო.

– ქართველები რა, ეჭვიანები ვართ?
არჩილს თავად გაუკვირდა
„ვართ“ რომ აღმოხდა. ადრე არასოდეს

დასცდენია. ეტყობა, თავის რომელიღაც
კუნტულში შემონახულიყო ეგ „ვართ“.

– ამაყები ხართ. – თქვა წვეროსანმა
– ეგ იქით იყოს და – წვეროსანი ძალზე
წერვილად და სწრაფად ლაპარაკობდა
– როგორც გავიგე, ნასწავლი ყოფილხა-
რთ. ხელიც მოგცარვიათ. დაგჩაგრეს
არა? იმიტომ დაგჩაგრეს, რომ ფული არა
გაქვს.

– და რა გავაკეთო? –
გულუბრყვილოდ იკითხა არჩილმა.

– დღეს ჟანა გავანერვიანეთ. შეგი-
ძლია შემოხვიდე ჩვენს პარტიაში.

– თუ გავნერვიანდი, – ცინიკურად
თქვა არჩილმა, – ფული მექნება? და არ
დამჩაგრავენ!

– ფული ჩვენ არ გვაინტერესებს.

– აბა, მაშ რა გაინტერესებთ?

– ხელისუფლებაში მოსვლა.

– რისთვის!

– ხალხის კეთილდღეობისათვის.

– მსგავსს გაიძახოდნენ უხსოვარი
დროიდან და გაიძახიან ახლაც. მაინც რა
პარტიაა თქვენი პარტია.

– ერთობა პქვია.

– და რას ითხოვს ერთობა?

– პრეზიდენტის გადადგომას.

– რას მეუბნები! – ირონიით თქვა
არჩილმა, – რომ არ გადადგეს თქვენი
მოთხოვნის მიუხედავად, რას შერებთ
მერე.

– ვაიძულებთ, რომ გადადგეს. ყოვე-
ლდღიურად ვიყვირებთ მიტინგზე „ძირს
პრეზიდენტი“. რა მოუვა?

– ვის?

– პრეზიდენტს.

– განითლება, ქამის მადაც დაეკარ-
გება, ძილიც და მაინც არ გადადგება.
ვთქვათ და გადადგა. ვინ იქნება
შემდეგი? თქვენ ხომ არა.

– ვნახათ. – დაფიქრების შემდეგ
თქვა წვეროსანმა.

– ახალი პრეზიდენტი გაასწორებს
გგონიათ ქვეყანას? ვიდრე გაპრეზიდე-
ნტდებოდა, ყველა გაიძახოდა, სამოთხ-
ეს შეგიქმნითო.

– მაგამი კი ხართ სწორი. ახლანდელი,
ვის გადადგომასაც ვითხოვთ, ჩვენ
ავირჩიეთ.

– და ახლა გინდათ გადააგლოთ?

– კი, გვინდა, პო.

— მერე თქვენ იმ ახალსაც გადაადგებთ.

— თუ არ ივარგა, კი.

— იცით, რა გითხრათ. არ ვერევი პოლიტიკაში იმის გამო, რომ ხალხი მმართველთა საბურთაო ხდება მუდამ. ამიტომაც მეჯერება რევოლუცია — გესლიანად გამოსცრა არჩილმა. და იქვე იგრძნო, მთლად გულწრფელი რომ არ იყო. ისევ ორად გაეყო თავი. თავის ერთ ნაწილში სუფევდა ზიზლი პრეზიდენტისადმი, მეორეში კი შიში დასადგურებელიყო და სწორედ იგი თრგუნედა პირველში შეპარულ ზიზლს პრეზიდენტისადმი.

— რას იტყვით, — ჩაეკითხა ნევროსიანი არჩილს. — ჩვენს პარტიას განათლებული ადამიანები სჭირდება. ჩვენთან, უმეტესად, უსწავლელებია — არჩილი უეცრად აღეგზნო და აენთო. იგი ჟანას მოუბრუნდა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში კრინტსაც არ სძრავდა. — ნადი ახლავე სახლში, ჟანა. თქვენ კი, მეორედ არ გამაგონოთ მსგავსი ბუტბუტი, თორემ ნიორივით დაგინაყვით თავს.

● გვიან ღამით ჟანამ გამოაღვიძა. უთხრა, გაბოდებდაო. რას ებოდებდიო, კითხა. ჟანამ უპასუხა: ხან გაიძახოდი, მიდიო, დასცხეთო, ხან კიდევ — სისხლი არ დაღვაროთ, თქვე ქვეანებოო.

არაფერი უთქვამს. ადგა, მაცივრიდან არყის ბოთლი გადმოიღო. დალია. ო, როგორ ესია მოვნა, თავი ერთ მთლიან თავად ექცა.

8

ზევული კიბით ჩაეიდა ქვემოთ. ქუჩას გაუყვა. ძალიან ციოდა, სცივესთან ერთად უიმედობისა და უსასოობის ატმოსფერო სუფევდა. ასეთ ამინდში ყველა სვამს ჩრდილოეთში, კაციც და ქალიც. იქვე კაფეში შეეიდა, არაყი დალია. მაგიდასთან იჯდა და ფიქრობდა. „რამ ამაღლა ხალხი ყველგან, ყველა სახელმწიფოში. მკონი ფსიქოტრონულის ბრალია. ყველგან აერცვლებენ და ადამიანებს აგვიჟებენ“. კიდევ მოითხოვა არაყი. რომ დალია, ბუტბუტი აუტყდა. თავის თავს

ელაპარაკებოდა. აქ ყველას აქვს ეგ ჩვევა. მარტო შედიან კაფერესტორებში, სადა ლაცხომ უნდა ილაპარაკო, თუკი დალევ. „რელიგიამ უნდა გადაარჩინოს და სწეულელები ადამიანი, ფიქრობდა. რელიგიამ უნდა დაუბრუნოს ადამიანი ბუნებას“.

სამი ახალგაზრდა დაადგა თავს. ზევით აიბედა. ერთმა ბოთლი ჩამოდგა. სომხური კონია იყო.

— მიშაა ჩემი სახელი. — თქვა იმან, ვინც ბოთლი ჩამოდგა.

— პენრი.

— გენა. — გაეცნო მესამე.

არჩილმა სამთავე იცნო. მუშახტემ ნარკომანები რომ ეძახა და კინისკერით გააგდო, ის ახალგაზრდები იყვნენ.

— თქვენ იმ დელს... — ნამოიწყო მიშამ, რომელიც იმ სამში, ალბათ ყორობდა. — იმ ნევროსთან საუბრობდით. ჩვენ შორიახლო ვიდექით და ყველაფერი გავიგონეთ. კონია კი დალიეთ. ბარმენ, დასაყოლებელი მოიტანეთ. პო, ყველაფერი გავიგონეთ.

— კი, ვსაუბრობდით, — თქვა არჩილმა.

— ჩვენ ძალიან მოგვეწონა თქვენი აზრები.

— მაინც რომელი?

— რევოლუციის საწინააღმდეგო. მკონი ჩხუბიც მოგივიდათ.

— სიტყვიერი მხოლოდ. — არჩილმა კონია კი დალია და კიბორჩხალა დააყოლა, რომელიც ეს-ეს არის მოეტანა ბარმენს.

— გასალახები არიან ეგ რევოლუციონერები, — თქვა პენრიმ. ფული გაქვს, ჭამა-სმა არ გაკლია. მაშ, რა ერევოლუციონერებათ.

— რევოლუციის მომხრენი ვინ არიან?

— იკითხრა არჩილმა და თავად გასცა პასუხი. — ან მთლად დამშეულები, ან გაზულუქებულნი სიმდიდრისგან, რომელთაც თანამედებობა მოუწდათ დიდი ფულის შოვნის შემდეგ.

— არ გეთანხმები, — ჩაერთო საუბარში გენა. — აი, მაშაჩემს არასოდეს არ მოუხდებდა თანამედებობა, არადა დიდი ფული კი აქვს. ასეა მიშას მამაც, პენრის მამაც.

არჩილს კონია კი მოეკიდა.



— ერთი სიტყვით, ჩემო ძმებო, რევოლუციონერების დედაც ვატირე და კონტრევოლუციონერებისაც.

— კონტრევოლუციონერებში ვის გულისხმობთ? — მწყრალად იკითხა მიშამ.

— იმით, ვისაც ახლანდელი რეჟიმი უჭირავთ.

— პრეზიდენტს.

— ფეხებზეც არ მკიდია ეგ თქვენი პრეზიდენტი. — ენის ბორძიკით თქვა არჩილმა.

— პრეზიდენტი არ შეგვიგინო, მამაჩემი მისი მეგობარია.

— პენრის და გენას მამებიც? — ჰკითხა არჩილმა, რომელიც უკვე ძლივს ლაპარაკობდა.

— პენრის და გენას მამები მამაჩემის მეგობრებია.

— პენრის და გენას მამების მეგობრები ვინლა არიან.

— ისინიც მდიდარი ბიძები არიან.

— მაშ, ნვეროსანს რას ერჩით, იგი ღარიბია. ფულიც უნდა და თანამდებობაც. მე ყველა ფეხებზე მკიდია, ნვეროსანიც და თქვენი პრეზიდენტიც, მისი მეგობარი თქვენი მამებიც.

— ეეე! — აღშფოთდა მიშა. — ნუ გვიგინებ პრეზიდენტს. ჩვენს კონიას კი ხუხავ, თან პრეზიდენტს გვიღაძღვავ.

— აჰა. — არნახულად განრისხდა უზომოდ დამთვრალი არჩილი. — ეგ თქვენი კონია კი უკანაღმე მუცხით.

ჯერ მიშამ გაარტყა ყბაში, შემდეგ გენამ უთავაზა კეფაში, უკნიდან. პენრი კი გაფითრებული იდგა.

● მაგიდაზე ჩამოედო თავი არჩილს. თვლებში. კაფეში პენსნეიანი მოხუცი შემოვიდა. ბარმენმა დამლაგებელს გადაულაპარაკა, ჩვენი აკადემიკოსი მოვიდაო, აკადემიკოსმა ფორთოხლის ნვენი მოითხოვა. მერე ბარმენს ჰკითხა:

- ვინ არის ეგ ლოთი?
- პირველადაა აქ.
- მერედა ლორივით რად გაიღებ?
- დარდი აქვს, ალბათ რამე.
- დარდი მთელ მსოფლიოს აქვს და მთელი მსოფლიო უნდა გალოთდეს?!

— არ უნდა გალოთდეს, პატივეცემული, — თქვა ბარმენმა და ჩაიცინა. — გემით იმგზავრეთ, პატივეცემული? მაშინ ხომ თქვით, მივემგზავრებო.

- ვერ ნავედი.
- რათა?
- ფული არ მეყო ქრუიზზე.
- ფული არ გეყოთ? — გაკვირდა ბარმენი.

9

საგარეუბნო მატარებელი მოჰაისკის მხარეს მიჰქროდა. არჩილი სარკმელთან იჯდა. ოცნება მოეძალა. მართლაც და დიდებული პეიზაჟი გადაშლილიყო. ჯიბიდან კონიას ბოთლი ამოაცოცა. ოცნებებმა უფრო იმძლავრეს, რაც ცოტაოდენი გადაჰქრა. პეიზაჟი კიდევ უფრო გამშვენიერდა. სანახაობამ წარსული დღეების ქალაქური ქუჩები ჩამოაცილა მენსიერებას და იგი სულაც გააბრეშა. კიდევ მოსვა ბოთლიდან. ან უკვე თავი ორად აღარ ეყოფოდა, იგი გამთლიანებული და მკვრივი გახდომოდა. მთელი მისი არსება მშვენიერებას მოეცვა.

— прелеся, нет? — მოესმა ქალის ხმა. მიხედა. აქამდე არც კი შეუნიშნავს, თუ როდის და როგორ მოსჯდომოდა გვერდით შავ ქურქში შეფუთული მანდილოსანი.

— სწორედ რომ! — უპასუხა არჩილმა. — მოჰაისკი მიემგზავრებოთ? — ჰკითხა ქალს.

- სერეპოვოში.
- კარგი ადგილია?
- ზღაპრული. ბაქნიდან ხუთი ნუთის სავალზეა. ბილიკით უნდა იარო. ბილიკი ტყეშია ჩაფლული. არ ყოფილხართ სერეპოვოში?
- არ ვყოფილვარ, არა.
- დრო თუ გაქვს, ჩემთან ნავიდეო. ერთი ბოთლის ფული კი გექნება.
- ბოთლი ავერ მაქვს, ჩანთაში.
- მორჩა და გათავდა. კარტოფილი, ხახვი და სოკო ბლომად მაქვს.

მატარებელი შედგა. არჩილი და უცნობი მანდილოსანი ბაქანზე ჩამოვიდნენ და ტყეში ჩაფლულ ბილიკს დაადგნენ. არჩილმა მაშინ იცინა. კონიაც

და შაშხი ქალს გაუნოდა. მან ჩანთაში ჩადო.

— მოიტა, ჩანთას მე ვატარებ. — თქვა არჩილმა.

— არა, არა! — უთხრა ქალმა, — შენ, სტუმარს როგორ გაკადრებ.

არჩილმა ირგვლივ მიმოიხედა. ოპოო — სიამით ამოისუსნოდა.

— ჭირსაც წაუღია ქალაქი.

— რა თქვი? — გამოურკვე ქალი, რომელიც გამუდმებით აფირობდა რალაცაზე.

— აქ კარგია-მეთქი.

— დარჩი ჩემთან, აქაურობა თუკი მოგნონს.

ხუთსართულიანი შენობების რიგს მიადგნენ. მარჯვენა და მარცხენა მხარესაც ჩამსკრივებულიყვნენ. მანდილოსანმა უთხრა არჩილს:

— მე ამ სახლში შევალ, ჩემი დაქალი ცხოვრობს. მალე გამოვალ და მერე ჩემთან წავივალ, აქედან სამი წუთის სავალზე ვცხოვრობ.

— კარგი. ჩანთას მე დავიჭერ.

— არა, არა. სტუმარს როგორ გაკადრებ.

მანდილოსანი ხუთსართულიან სახლში შევიდა. უცადა არჩილმა ათი წუთი, მერე ოცი, მერე ორმოცი. მანდილოსანი გაუჩინარდა. არ გამოჩენილა.

არჩილი მორიგ საგარეუბნო მატარებელს გაჰყვა. არც უკითხავს, თუ საით მიდიოდა საგარეუბნო მატარებელი. ისევ სარკმელთან დაჯდა. თოვლით გადაპენტილ მიდამოს ვაცქეროდა. არც აქეთ მიმოუხედავს, არც იქით.

— თქვენ სად ჩადიხართ? — მოესმა მანდილოსნის ხმა. მოიხედა. ცისფერთვალეებიანი მანდილოსანი იყო, სახემკრთალი, გამხდარი.

— ვერ გეტყვით, სად ჩავალ. საერთოდ კი რა თქვინი საქმეა, სად ჩავდივარ. შეიძლება საერთოდ სულაც არ ჩავიდე. — გესლიანად თქვა არჩილმა.

— Вы что, думаете? — ჰკითხა მანდილოსანმა.

არჩილმა თავი მხრებში ჩარგო.

●
„რატომ მოვექეცი იმ ქალს უხეშად? — ფიქრობდა არჩილი. ეს ფიქრები თავის ერთ ნაწილში მოგროვილიყო. — ის ქალი

კი, კონიაკი რომ დამითესა, დამძალი თესლიდანაა აღმოცენებული. მათთვის, მართლაც რომ საჭიროა რევილუცია. ვთქვით და მოხდა რევილუცია. მაგრამ ხომ შეიძლება რომ იმ ღვთისნიერ ქალს მოხედეს უღმერთო, ხელმწიფე ქალისთვის ვაკუთენილი ტყვია. ის ქალი, რომელმაც კონიაკი დამითესა, მოსაკლავია, მაგრამ რომ მოკლა, ისეთი მშვენიერი არ გამოჩნდება. მანდილოსანი, ვისაც მე უხეშად მოვექეცი საგარეუბნო მატარებლის ვაგონში, აი, სულ ახლახან”.

10

— კიდევ გტკივა მხარი? აი, ფული, არჩილ, ხელფასი ავიღე დღეს. ნახევარს შენ გაძღვე. ახალი ქურთუკი იყიდე. შემოგახიეს იმ ნაძირალდებმა არა? ნუ მანჭავ სახეს, გული მიღონდება. ჰო, ქურთუკი იყიდე. ის სამი ახალგაზრდა ყოველდღე დადის მიტინგზე, მიტინგის დამშლელთ ეხმარებიან. შუბლზე რად იდებ ხელს, თავი გტკივა?

— თავში მტკივა, თანა!

— თავში თუ თავი? — გულუბრყვილოდ ჰკითხა თანამ.

— თავში. ასე მგონია, თავი ორადაა გაყოფილი.

— გეჩვენება, არჩილ. რა შევლის მაგას?

— თავის გამთლიანებას? არაყი. არაყს რომ დავლევ, მთლიანდება.

ამ დროს ზარი დაირეკა.

— ტიხონ სევასტიანოვი. — თქვა თანამ, — ჩვენი სახლმმართველი.

სახელაჟღაჟა კაცი შემოვიდა.

— გაუშარვოს პატივცემულ სევასტიანოვს. — მიესალმა თანა.

— პლაკატი მოვიტანი. — თქვა სევასტიანოვმა. მერე პლაკატი გაშალა.

„ძირს პრეზიდენტი“. ენერა პლაკატზე. თანა და მისი სტუმარი პლაკატს დასცქეროდნენ, მაგიდაზე გაშლილს. არჩილმა ამით ისარგებლა, ბოთლი ამოაცოცა ბალიშის ქვეშედან და მოსვა. ტიხონი შემობრუნდა და თქვა:

— გახსოვს, თანა, ის სამი ახალგაზრდა, უტიფარი მბუტუკი. როგორც კი მიტინგს დავინწყებთ, თავიანთ პლაკა-

ტს გამლიან: „გაუმარჯოს პრეზიდენტი“.

— ძირს პრეზიდენტი — ამოთქვა არჩილმა.

— აი, ეგ მესმის! აი, ეგ მესმის! — იმეორებდა ტიხონ სევასტიანოჩი, — ჩვენი პლაკატი „ძირს პრეზიდენტი“ სულ გამლილი უნდა იყოს.

— გაუმარჯოს პრეზიდენტი! — ნაიბურდლუნა არჩილმა, რომელსაც კიდევ დაეღლია არაყი.

— გეყოფა, არჩილ! — მკაცრად თქვა ჟანამ. — გეყოფა-მეთქი დაცივნვა!

● მთელი ღამე ბორგავდა არჩილი.

— ძირს პრეზიდენტი! — დაიყვირებდა.

მერე კი:

— გაუმარჯოს პრეზიდენტი!

გარიყრაყზე არჩილი ოდნავ გამოფხიზლდა. ცუდად რომ იგრძნო თავი, ისევ დალია არაყი.

— გაუმარჯოს არაყს! — დაიყვირა მან.

— არჩილ, მთლად ნუ დაეშვი. — უთხრა ჟანამ.

არჩილმა მიუვო:

— არაყი სპობს რეველუციურ ხურუმის გამომწვევი მიზეზს.

● დილით ადრე ადგა. როგორც ჩვეოდა ხოლმე სარკმელთან დადგა. ეზოს და იქ გამართულ სპორტულ მოედანს ათვალეირებდა. ეზოში მეზობლები ძაღლებს ასეირნებდნენ. მოდიოდნენ, მიდიოდნენ, მიმოდოდნენ. ადამიანები ერთმანეთს კრინტსაც არ სცემდნენ. ძაღლებს ელაპარაკებოდნენ.

ნაწილი მეოთხე

1

ავტობუსმა სენაკის ქუჩები გაიარა, მერე მარცხნივ გაუხვია, მთავარ გზატკეცილზე და ზუგდიდისკენ ქნა პირი. არჩილი სარკმელს მიტმანსოდა. აპრილის თქემი უშენდა ავტობუსის სახურავზე, ავრეთვე სარკმლებზე. თქემს სივრცე დაენისლა. როგორც კი ავტობუსი

ტრასაზე გავიდა, მგზავრები ერთბაშად ალაპარაკდნენ.

რიგრიგობით შყებოდნენ ანეკდოტებს, დანარჩენები კი სიცილით იჭაჭებოდნენ, ანუ კდოტის მთხრობელის გარდა. სულ მალე გაზაფხულის თქემშაც გადაიარა. ცა ერთბაშად მოისარკა. არჩილ კორტა სარკმლიდან გაცქეროდა ჩამავალ მზეს, რომელსაც მთელი მიდამო გაებდღვრილებინა. მშვენიერ გუნებაზე დააყენა ჩამავალმა მზემ და მისგან აღისფრად შეფერადებული გორაკების ცქერამ. გორაკები უკვე ამწვანებულეყენენ, ისინი გზის მარჯვენა მხარეს აღმართულიყვენ. ხალისი მოეფონა გულზე. პაერიც ლბილი ეჩვენა. ზამთრის ქურთუკი ჩამოფრენისთანავე გაეძრო. სიცილ-ხარხარით აღსავსე ავტობუსი ზუგდიდისკენ მიისწრაფოდა. ავტობუსი ზობს რომ გაცცდა, მზე გორაკს მიეფარა, ცის კამარაზე კი მისი ნამგალისხელა რკალილა დარჩა. მალე ღრუბლის ნარჩენი ფთილები ნამოზოზინდნენ და ის რკალიც დაფარეს. რამდენიმე ნუთიც და მზე სავსებით გაქრა. ყურს უგდებდა მგზავრთ, მათს მასლაათს, მისთვის თანდათან უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა მივიწყებული მამის მშობლიური ენა, რომელიც, მისდა გასაკვირად, თავის პატარა კუნჭულში როგორღაც მთლიანად შემონახულიყო. ყველა სიტყვას, მართალია, ვერ გებულობდა, მაგრამ საერთო აზრი კი ესმოდა, საუბრის შინაარსი გაეგებოდა. სწრაფად მოიღრუბლა ისევ, ამინდი შეიცვალა, თქემში დაუშინა, ავტობუსის სახურავზე საამოდ ადუდგუნდა. იჯდა სარკმელთან და ჩუმად იცინოდა. ელიმებოდა მგზავრთა ოხუნჯობაზე. მხსიერება ნელ-ნელა თავისუფლდებოდა უამური მოგონებებისაგან, რომელნიც დიდი ქალაქის ყოფას ჩაეკირა მის თავში. როგორ უნდოდა და ენადა, მგზავრებს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ რცხვენოდა მამის მშობლიურ ენაზე რუსული აქცენტით საუბრისა. თავს, რომელიც ორად ეყოფოდა უეტარი სტრესების დროს, გამთლიანებულად გრძნობდა, გაორების გრძნობაც თანდათან უქრებოდა. აჟ უნდა დავრჩე და ვიცხოვრო! — გაუელეა ფიქრმა და სიამე მოგვარა. ეს აზრი მყარად ჩაუჯდა ტვინში და

უფროვე გაუმტკიცდა მაშინ, როცა აუტობუსი მოედანზე გაჩერდა და მგზავრთაგან დაიცალა, ფეხით გაუყვა სკვერს, რომელიც კარგა მანძილზე გაჭიმულიყო ქალაქის შუაგულში. ზოლივით განოლილი სკვერი ბოტანიკურ ბაღს შეუერთდა. იქ გათავდა. მიდიოდა ბაღის ბილიკზე, რომელიც ვეება, ბებერ ხეებში იყო ჩაფლული.

2

დილით გვიან გამოეღვიძა. ორი საათი ღრმად ეძინა. კომპარული სიზმრები აღარ უნახავს. თვალეები რომ გამრახილა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ხელახლა დაიბადა, ხელახლა მოველინა სამყაროს. მამიდამ, შინაბერა მანდილოსანმა, რომელიც საკმაოდ ცობერებულებიყო, ცხელი ხაჭაპური და ცივი რძე შემოუტანა. ჭიჭის დანახვაზე არაფერ გაახსენდა, მაგრამ უნინდებურად ჟრუნატელს არ დაუვლია ტანში. ითმინა, მაგრამ არაფერ გაახსენებამ არ მოასვენა. ნამით თავი ორად გაეყო. ერთში არაფერ ხურუმი მძინებარებდა, მეორეში კი — აქ დავრჩები და ვიცხოვრებ. ეს ყოველივე, გაორების პროცესი ნამიერი გამოდგა. თავი მალე გამოთლიანდა და აქ დავრჩები "ჩაეკირა მყარად. არატომ ნავიდა აქედან მამაჩემი დიდი ქალაქში" — დაუსვა კითხვა საკუთარ თავს. პასუხი ვერ იპოვა. რძე მოსვა. დიდად ეამა ხაჭაპური. დედაც აცნობდა ხაჭაპურს, რუსის ქალი, მამის რეცეპტით. მამიდამ კიდევ შემოუტანა ორი ნაჭერი ცხელი ხაჭაპური. შენ შემოგველოს შენი მამიდაო, უთხრა და მარჯვენა ხელი თავს ზემოთ დაუტრიალა. ამას „შემოგველოს“ ვეძახითო. მერე თქვა მამიდამ, ხაჭაპური მხოლოდ ცხლად უნდა მიირთვაო. მერე კიდევ თქვა, მე მარტო რად დამტოვეთო ყველამ, ჩემმა ძმისშვილებმაო.

— ნუ გეშინია, მამიდა, მე აქ დავრჩები.

— შენ გაიხარე, შვილო. — ატირდა მამიდა. — მკლავს მარტოობა. ვერ ავუდივარ ამხელა ეზო-კარს, ნელში ვწყდები. ორი ძროხა მყავს, ქათმები ბევრი, ორიც თხა. ვერ ვუვლი. საძოვარი აქვეა, ა, იმ გორაკზე და მას იქითაც.

ამ საუბარში იყვნენ, ჭიანჭელასავით ნერილი ქაბუკი რომ შემოვიდა. არჩილთ-

ან გამოქანდა და გადაკოცნა. არჩილმარკინასავით მაგარი ხელი შეიგრძნო.

— შენი ბიძაშვილია, ჩემი და მამაშვილის ძმისშვილი.

— აუჰ, რამხელა გაზრდილა. ჩამოჯექი, არ გქვია შენ!

— ბოჩო.

— რას საქმიანობ, ბოჩო? სწავლობ, მუშაობ თუ...

— იზოდრომზე ვარ, — თქვა ბოჩომ და დაფივით შავ უღვამზე ხელი მოისვა. — ცხენებს ვუვლი.

— გაჭენება თუ იცი.

— პირველი თანრიგის მხედარი ვარ.

— ოჰო! კაცი შენ ყოფილხარ. მე თუ მასწავლი ქენებას.

— ვასწავლი, კი, მაგრამ... ჯერ არ მჯდარხარ ცხენზე?

— არ ვმჯდარვარ.

— ოხ, ეს როგორ! — გაკვირდა ბოჩო. კინალამ არ ვადმოუცვივდა დიდრონი, ქუთუთოებს მომჯდარი თვალეები. არჩილი აივანზე გავიდა, მერე კიბის საფეხურებზე ჩაირბინა. ჭიშკარს მიანყდა. სიმყუდროვე სუფევდა ქალაქის ქუჩებში. აქა-იქ ამ სიმყუდროვეს ნავახოთა ყრუ ყვედა თუ დაარღვევდა. ეზოს გაღავნის გასწვრივ ალუჩები აფეთქებულიყვნენ. მათი სურნელი საამოოდ ულიტინებდა ცხვირში.

3

სალამო ჭამს, არჩილის ჩამოსვლიდან მესამე დღეს, ცამეტი-თოთხმეტი წლის შოლტვივით გოგო მოვიდა და მორცხვად თქვა, თქვენს ძმისშვილს მამაჩემი ეპატიყებაო. ვახშმად ინვევდენ არჩილს. მამიდა განინშატდა, ჩემი არჩილი არ სვამს, მამაშენის ამბავი რომ ვიცი, და ალვეინებსო. არჩილმა თქვა უცნობეთან სტუმრობის მოყვარული არა ვარო. ისევ მამიდამ დააძალა, ჩვენთან ვგეთი ნესიაო.

— ის კაცი, ჩვენი მეზობელია, — დაამატა მამიდამ, — ქარხნის დირექტორია. კეთილი ვინმეა.

"ალბათ თავისი ქარხნის პროდუქციის რეალიზება სურს და ამ საქმეში ჩემი ჩართვა უნდა. — გაიფიქრა არჩილმა. — მაგრამ ის კი რა იცის, მერე არა ვამეგება რა მაგ საქმის". ამ ფიქრით მიჰყვებოდა

ქუჩაში მორცხვ გოგონას, რომელიც გა-
ლაენით შემოვლებულ ეზოში შეუძღვა.
არჩილმა შენიშნა, აგურის გალავანში
პატრონის ბოთლის ნამსხერვეები ჩაეცე-
მენტებინა.

არჩილმა ეზოდან ხელმარჯვნივ
ეკლესია შენიშნა. სასიამოვნოდ გრილი
სალამო იდგა. დასალიერში ჩაფლული
მზე ბარაქიანად ანათებდა მიდამოს.
სახლის პატრონი, ღიპიანი კაცი აივანზე
შეეგება არჩილს.

— მობრძანდით, მობრძანდით. ჩვენს
გაცნობას გაუმარჯოს. მე კარლო მქვია.
მამაშენის თანაკლასელი ვარ.

— სასიამოვნო. მე არჩილი მქვია, —
თქვა არჩილმა და ფიქრი აეკვირბა: „რა-
ღაცაში სურს ჩემი გამოყენება,
ოღონდ ეგ არის, კი არ ვიცი რაში“. ეს
ფიქრი ჭვალევით გაუჯდა თავშიც და
გულშიც.

სასტუმრო ოთახამდე სამი დიდი ოთ-
ახი გაიარეს. სასტუმრო კი ვეებერთელა
იყო, იმ წინა სამი ოთახის ერთად აღებული
ფართობით. კედელზე ნაირნაირი
ფანები ეკოდა, ნანადირევთა ტყავები და
კიდევ სხვადასხვა სახის მორთულობანი.
არჩილი კედლებს ათვალიერებდა და თან
ყურს უგდებდა მასპინძელს.

— რომელი ღვინო დავლიოთ?

— თქვენი ნება იყოს. საერთოდ კი
ალარ ვსვამ უკანასკნელ ხანს.

— ცოტა მაინც უნდა დალიო. ყველა-
ნაირი ღვინო მაქვს. რომელით გაგმა-
სპინძლდე.

— ჩვენებური რამე.

დიასახლისმა, რომელიც მხოლოდ
ახლა გამოჩნდა, სუფრა ხორაგით დატვი-
რთა.

— მიირთვიოთ, მიირთვიოთ. — დაუსრუ-
ლებლივ გაიძახოდა დიასახლისი.

არჩილს ის „ჩემი გაღიყენება უნდა“
უხერხტავდა ტყინს. ღვინომ რომ შეუღი-
ტინა, ჯიქურ ჰკითხა:

— კარლო ბატონო!

— დიას, გისმენთ.

— ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდე-
ბათ რამემში! თუ დაგჭირდით, მე მზად
ვარ.

— რა დახმარება!

— იქნებ ბიზნესი გსურთ მოსკოვში.

— არავითარი. საამისოდ მე იქ ხალხი
მყავს. — რატომ დაგპატიყვე? გიკვირს,
გატყობ.

— გამოგიტყდებით, კი მიკვირს.

— გატყვი, გატყვი. ბევრი ფული მა-
ქვს, ბევრი. ბევრი მაქვს ნაშოვნი. ბევრი-
სთვის ნამირთმევია. ახლა გავცე მინდა
ნანართმევი. ლარიბებს მინდა დაეუბ-
ნარო. გატყობ, არ გიღიხის. მინდა დაგე-
ხმარო, მეტი არაფერი.

— კი მაგრამ... ბატონო კარლო, ხომ არ
აჯობებს ის ნანართმევი იმათ დაუბრუ-
ნით, ვისაც ნაართმევი.

— ჰმ! — გავცინა მასპინძელს. — მე
რომ ნავართვი, იმათაც სხვისთვის
ჰქონდათ ნანართმევი, იმ სხვებს კიდევ
სხვებისთვის. სადღა ვუძებო ის ძირეული
სხვები.

— ის ძირეული სხვები შიმშილობენ
დღეს, ყველგან, აქაც და იქაც. ცოდევა
ის ხალხი.

— გამოდის, რომ ვერტმფრენში უნდა
ჩავანყო ნაშოვნი ფული და ლარიბთა
უბნებში მიმოვღაწიო.

— თუნდაც ვერე შეიძლება დაურიგო.

— კი, კი. მაგრამ შეშინია ერთმანეთი
არ დაკლან მიმოვანტული ფულების
გაყოფისას. ერთმანეთის დაკვლას ისევე
სიდეუხჭირემში ყოფნა ურჩიოთ.

თავაზირილი იჯდა არჩილი. კარლოსაც
დაელუნა თავი. ძნელი ჩასანდომი იყო, თუ
რამჩააზრეწინა თავიანარჩილს, ან კარლოს.

4

ამ ცხენს რას ეძახითო, ჰკითხა არჩი-
ლმა თავის ალალ ბიძაშვილს ბოროს. შო-
ლტისასო, უპასუხა ბორომ. ეგ რალას
ნიშნავსო. ბორომ აუხსნა:

— ვერა ხედავ, შოლტევით რომ არის.
მოქნილია, მარდი. ვერა ხედავ რამსიგ-
რძე ფეხები აქვს.

ახალგაზრდა მანდილოსანი გამოჩნდა
საჭენებელ ბილიკზე. აბჯანდში არც
გაუყვია ფეხი, ისე შეახტა ულაყს, მარ-
დად, მარჯვედ. არჩილი ნეტარებით შეს-
ცქეროდა. ქალიშვილიც ცხენსა ჰგავდა
თითქოს, ნვრილი, გამხდარი, ისიც ჯიშო-
ან გრძელ ფეხებზე იდგა. ცხენი ნაბლი-
სფერი იყო, მანდილოსანსაც ნაბლისფერი
თმები ჰქონდა. მან ჩორთით დაიყვანა

ცხენი, ლაგამს ხან მოქაჩავდა, ხან კიდევ ფრთხილად მიუშვებდა. დიდებული სანახავი იყო, თუ როგორ მართავდა მანდილოსანი ქკვიან, ცხოველთა შორის უჭკვიანეს ცხოველს.

ქალიშვილმა ყალყზე შეაყენა თავისი ულაყი და არჩილსა და ბოჩოს მიესალმა. შოლტისამაც დაუქნია თავი მანდილოსნის ულაყს.

— გამაჭენებინე შოლტისა. — შეეხებენა არჩილი ბოჩოს.

— როგორც გენებოს, — უპასუხა ბოჩომ.

არჩილმა ფეხი აბჭანდაში გაჰყო. ბოჩომ ხელი შეაშველა, უბიძგა. მერე ცხენს გავაზე მოუთათუნა ხელი.

— ლაგამი ხან მიუშვი, ხან კიდევ მოქაჩე. მხოლოდ ჯერ არა, ჯერ მე გაგიძღვები ცოტაზე, შოლტისა შეგეჩვიოს.

ბოჩომ აღვირი მარცხენა ხელში ჩაიბლუჯა. ცხენს გაუძღვა. 50-60 მეტრი ატარა ეგრე. ქალიშვილ მხედარს რომ მიუახლოვდნენ, აღვირს ხელი უშვა და არჩილს მიანოდა. ქალიშვილმა აღვირი მიუშვა, პეიო შესძახა თავის ულაყს და ჩორთიდან ჭენებაზე გადაიყვანა. არჩილმა იფიქრა, მეც გავაჭენებ, მანდილოსანს მხარს მივიცემო. აღვირი ზომაზე მეტად მიუშვა. ცხენი უკანა ფეხებზე შედგა, ერთთავად გაჯიქდა, დაიფრუტუნა და არჩილი ბურთივით მოისროლა. ბოჩო მიექრა ფეცხლად. ამასობაში ქალიშვილ მხედარს წრე შემოეცლო და ულაყი ბილიკზე დაგდებულ არჩილთან მოსხლეთით შეაყენა. არჩილმა ქალიშვილს შეხედა. ცისფერი თვალები გაშლილ ნაბლისფერ თმებში ნაკვერჩხალივით უელავდა ახალგაზრდა მანდილოსანს.

5

მამიდამ კვიცილი მორთო, არჩილი კოჭლობით რომ აიყვანა ბოჩო კორტამ, მისმა ალალმა ბიძაშვილმა. თავში ხელებს იცემდა მამიდა, ლოყებს იხოკდა, როგორც ჩვევით აქაურ მანდილოსნებს. ეგ რა მოგსვლიაო, შვილო. მერე სულ იმეორა, ამას იქით არსად გაგიშვებო, მარცხიან-ფათერა კიანი ყოფილხარო. მთელი კვირა უხელდა ჭაჭის არყით მუხლსა და მხარს, ორთავეს მტკივანს. ზედ რალაც ბალახებს უფენდა,

რომელთა საიდუმლო მარტო მანდილოსანს იცოდა. ცივი რძითა და ცხელი ხაჭაპურით კვებავდა. ის ერთი კვირა წვეთი მაგარი სასმელი არ გაუკარებია არჩილ კორტას. აივანზე ჩამოჯდებოდა, კედელზე მიშენებულ ტახტზე. მერე სიარულს მოჰყვებოდა. გასცქეროდა კაცისონის დათოვლილ მთებს. გამუდმებით ფიქრობდა ნაბლისფერთმიან, ცისფერთვალემა ქალიშვილზე, რომელმაც ცხენიდან გადმოგდებულს გაკვირვებული დიდრონი თვალებით უმზირა. ალბათ ის უკვირდა ქალიშვილს, მონიფული მამაკაცი ცხენიდან რომ გადმოვარდა. ამის გაფიქრებაზე სიროცხილით იწვოდა არჩილი. ისე კი, ახალ სამყაროში ყოფნამ დაამშვიდა. გუნება გაუნახლისდა, თავიც გაუმთელდა, გაორების გრძნობაც საბოლოოდ გაუქრა და მყარად ჩაუჯდა გადამწყვეტილება — „მე აქ დავრჩები და ვიცხოვრებ“, რომელსაც ნამდაუნუმ იძუორებდა. აღმოაჩინა და დარწმუნდა, რომ სულიერი დაცემა ალკოჰოლის უზომოდ და ხშირად მიღების ბრალი ყოფილა.

●
თუნუქის სახურავს წვიმის წვეთები დაეცა. ის-ის იყო ძილი თვალებს უხუჭავდა, წვიმა რომ დაიწყო. ორ-სამ წუთში თავსება არაკუნდა თუნუქის სახურავზე. მალე დელგამად იქცა მიდამო, სივრცე, რომელსაც სარკმელს მიმდგარი გასცქეროდა. გაახსენდა დღევანდელი დღე, ის ნაშუადღევი უფრო სწორად, რომელიც ეკლესიაში გაატარა, თავის ბიძაშვილებთან და მათ თანატოლებთან. ისინი შევარდენის თვალენისანი იყვნენ. გარს უვლიდნენ სამოქალაქო ომში უნინ დაჭრილ და ამ რამდენიმე დღის წინათ გარდაცვლილი ძმაკაცის კუბოს, რომელიც რამდენიმე წუთით ეკლესიის ეზოში დაესვენებინათ. არასოდეს უნახავს ისეთი დამწუხრებელი სახეები, როგორებიც მათ შქონდათ. არასოდეს უნახავს სიკვდილის ეგზომ განცდილი ადამიანები. სიკვდილის გახსენებამ შიში მოჰკვარა. ასე ახლოს უნინ არასოდეს უნახავს სიკვდილი და ახლა, სარკმელთან მიმდგარი მწარედ განიცდიდა მას. განიცდიდა და უდარებდა აქამდე განცდილ შიშებს.

იმასაც გრძნობდა, რომ სიკვდილის ცქერით განცდილი შიში ერთგვარად ეხმარებოდა კიდევ, იმაში ეხმარებოდა, რომ 1992 წლამდე, ე. ი. საბჭოთა პერიოდში მისდაუნებურად თავში ჩადებულ ყალბი ფილოსოფიის დებულებებს უქარწყლებდა. თუნუქის სახურავზე წვიმა უფრო ძალუმად დედგუნებდა. სიერცე წვიმის ხაზეებს დაესერათ და მუზობელთა სახლებიც აღარ ჩანდნენ.

6

მოცეარული მინდორი დილის მზეს ნითლად გაებრდელიალებინა. ნელ-ნელა შრებოდა ცვრიანი ბალახი. მიწას თავისებური სუნი აუვიდა და იგი იგრძნო არჩილ კორტამ. შუკას მიუყვებოდა. მჭიდრო დასახლება იყო, იქით და აქეთ მხარეს სახლები მიჯრით ჩამწკრივებულიყვნენ. ერთ ეზოში შეიხედა არჩილმა. ახალგაზრდა ქალმა ჭიდან წყალი ამოიღო და ვედრო ყელიანი კოკის პირზე გადმოაპირქვავა. ქალს არ გამოუხედავს. მეორე ეზოში, ხელმარცხნივ საშუალო ტანის ჩასკენილი კაცი ვაზის გაფოფრილ ლერწმ დასტრიალებდა. კაცს საახალწლო ჩიჩილა კივით თეთრი ხუჭუჭი თმები აქონდა, კისერზე ჩამოშვებული.

სოფელი, რომელიც ქალაქის გაგრძელებას წარმოადგენდა, ძალიან პატარა იყო, რამდენიმე კომლილა ცხოვრობდა იქ.

ნელა მიდიოდა. მზე თანდათან ზევით მიინედა. სხივები პორიზონტალურად განოლილიყვნენ მიდამოზე. სოფელს იქით დიდი სოფელი მოჩანდა. გორაკიდან ამოსული მზის სხივები დიდ, გამილი ფარდასავით ეფინა სოფელს. სხივები თვალს ჭრიდნენ არჩილ კორტას. შუკის ერთ მხარეს, აივანზე გადმომდგარი ხმელ-ხმელი კაცი მეორე მხარის სახლის აივანზე გადმომდგარ მამაკაცს ხმაბალლა ელაპარაკებოდა, რაღაცას უმტკიცებდა ხელების ქნევით. ცოტა რომ გაიარა არჩილმა, ისევ შეუღიტირა ცხვირში აყვავებული ტყემლებისა და ალუბლების სუნმა.

ჩრდილოეთი გაიხსენა, საცა ის დაიბადა, გაიზარდა და ამჟამადც იქ ცხოვრობდა. იქაურ ადგილებს აქაურს ადარებ-

და, იქაურ ნებსებსა და ტრადიციებს – აქაურს. ყველაზე თვალში საცემი ის იყო, რომ არც ერთი აქაური მაცხოვრებელი ძალთან მოსიერნე არ უნახავს. იქ კი ქუჩა, სკვერები თუ ბალები ძალეებითა და მათი პატრონებით ივსება ყოველ დღით. „რას უნდა ნიშნავდეს ძალის ასეთი სიყვარული?“ – გაიფიქრა არჩილმა და თავისთვის უცნაური დასკვნა გამოუტანა ძალთა მუპატრონეებს. „ძალლისა და საერთოდ ცხოველის უზომოდ სიყვარული ადამიანისადმი ზიზღის ერთგვარი კომპენსაციაა, ალბათ“.

ეს რომ გაიფიქრა, ირგვლივ მიმოიხედა. დუქანთან, გარეთ გამოდგმულ მაგიდასთან მამაკაცები ისხდნენ და ძალიან შვე ღვინოს სვამდნენ. ალბათ ლოთებიან. – გაიფიქრა. აქ სამოქალაქო ომი იყო. სამოქალაქო ომის შემდეგ ადამიანები ლოთებიან“. გზას განაგრძობდა, ფიქრში აქაურ და იქაურ ლოთებს ერთმანეთს უდარებდა. აქაურები, რომ შეთერებიან, ლილინებენ და ანექლოტებს პყვებიან, იქაურები კი ერთის მოსმით ცლიან დიდ ჭიქებს და შემდეგ საკუთარ თავთან ლაპარაკობენ.

„ომი საშინელებაა, ფიქრობდა არჩილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ომს მიზანი არა აქვს“. დუქანს კარგა მანძილით ვასცილდა. გორაკს აუყვავა. ნახირი გამოჩნდა, გორაკზე შეფენილი. ტანმოჩილ ძროხებს მოხუცი მიერეკებოდა. მოხუცი პეუ-პეუს ძიხხდა, თან ჯოხს მოულერდა რომელიმე ანც საქონელს, რომელიც კი ნახირიდან თავს გამოყოფდა. არჩილ კორტამ მარჯვენა ხელისგულით შუკაში ლელესავით მომდინარე მზე მოიჩრდილა და მზერა ვინრო ბილიცს ააყულა. მერე იმ ბილიკს აუყვავა თავადაც. რამდენიმე მეტრი რომ გაიარა, შედგა. უჩვეულო სიამე მოეფინა გულზე. „არა, აქედან არსად არ წავალ“ – გაიფიქრა. ნახირს გასცდა, ბილიკი ხელმარჯვნივ ჩადიოდა, მეორე ტოტი კი გორაკისკენ მიემართებოდა. მიდიოდა და ქრისტეს ათ მცნებას იმეორებდა. სამჯერ გაიმეორა, პირველიდან მათეთს ჩათელით. და უცბად სატანოსტების მცნებები შემოეჭრა, ისინიც ათნი. გონება აემღვრა. ერთ ეზოში მოხუცს მოჰკრა თვალი, იგი შეშას ხერხავდა. ეგებ ცუდი ფიქრები მოვიცილოო და დაუკით-

ხავად შევიდა ეზოში, მოხუცთან გასაუბრების ნადილით.

მოხუცმა ქისა ამოიღო და თუთუნის გახვევას შეუდგა. ეტყობოდა, ამკარად არ მოენონა უცხო ენის კილოზე მოლაპარაკე არჩილ კორტას სტუმრობა. გაბუტულივით იჯდა კუნძზე და თუთუნს ახრჩოლებდა.

— მარტო ცხოვრობ? — ჰკითხა არჩილმა მოხუცს.

მოხუცი დუმდა. მოწვეა რომ დაამთავრა, ისევე ჰკითხა არჩილმა მოხუცს, მარტო ცხოვრობო.

— აქოში იყო. — ყრუდ თქვა მოხუცმა. — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მოხუცმა ჰკითხა არჩილს. — შენ ჩვენებური ენა რატომ არ იცი, მამაშენის ენა.

— მე? — შეცბა არჩილი. სირცხვილის გრძობამ მკერდი აუნვა. — მე აქ არა ვარ გაზრდილი.

ისევე ჩაფიქრდა მოხუცი, მერე თქვა:

— კაცი, რომელსაც საკუთარი ერის მიმართ ზიზღი გაუჩნდება, დაღუპულია, იგი ავად ხდება და კვდება. შეეცადე შენი ენა შეიყვარო.

●
„მე აქ დავრჩები“, — გაიფიქრა არჩილმა. ცოტა ხნის შემდეგ საკუთარ თავს უთხრა გესლიანად და რისხვით: „შენ არსად არ დარჩები, არც აქ და არც იქ. ამ მინიდან რომ იყო ამოზრდილი, იგი არსადაც არ გაგიშვებდა. სხვის მიწაში ხარ გადარგული და სწორედ ამიტომ იქაც არ გიჩერდება გული. არსად არაა შენი მისაჯაჭვი მიწა“. ასეთი მსჯავრი გამოუტანა საკუთარ თავს. მერე სტრესის შენელება მოუნდა. შევიდა დუქანში და ორი ბოთლი „იზაბელა“ დალია.

7

— ვერა და ვერ ვიზამ, — უთხრა არჩილ კორტამ შავულვამას, რომელსაც აბელს ეძახდნენ. აბელი გაკვირვებული შესცქეროდა თავის მეგობარს, რომელსაც ლაფლაფა ლოყები ჰქონდა.

— კარგი, შევეშვათ. — თქვა ლაფლაფამ. ალბათ ფული ეცოტავა.

— კიდევ 200 დოლარს ნაგვიმატებთ, — უთხრა შავულვამამ არჩილს. ეტყობოდა,

შავულვამა მთავარი ბიზნესმენი იყო სხვა დანარჩენებში.

— ფულზე არაა საქმე, მე მაგ საქმის კაცი არა ვარ.

— რა დიდი საქმე გგონია. ერთი ცისტერნა სპირტია. მძლოლის გვერდით დაჯდები, საზღვარს გააცილებ. საბუთები უტყუარია.

— აბა, მამ რისი გეშინიათ! ადექით და თქვენ თვითონ ნაილეთ.

— ჩვენზე, შავგვერებზე ნადირობენ პირდაპირ, დიდ ფულს მოგვთხოვენ.

— ადექით და მიეცით თქვენც.

— მერე ჩვენ რაღა დაგვრჩება, დიდი ფული თუ მიეცით.

— არ შემძლია, არა.

— გესმის, გევა, არ შემძლიაო. — შემოუბრუნდა აბელი ლაფლაფას. გევა ფიცი ჩანდა, აბელი კი დენჯი. საუბრის დროს თვალს არ უხნორებდა არჩილს, მინას უცქერდა.

— დიდი ხათრი კი მაქვს თქვენი, მაგრამ ვერ ვიზამ მაგ საქმეს. ისე კი, მიკვირს, რა განსხვავებაა მე ჩავუჯდები მძლოლს თუ თქვენ.

— რუსებს საერთოდ არ აკავებენ. შენ ხომ რუსს ჩამოჰგავხარ.

არჩილს წყნა დაეტყო.

— ბევრჯერ დავუკავებიფართ. ერთხელ ნასვამობაზე. — ყვებოდა არჩილი. — ტყავი გამაძერეს. ნასვამ-მთვრალეების მეტი აქ რაა...

— შეიდასი დოლარი თუ გეცოტავა, ათასამდე ავიყვანო.

— არა-მეთქი, ვერ შევძლებ, აკი გითხარით.

— ნამოდი, აბელ! — გაფიცდა გევა. — მშიშარა ყოფილა. ნავედით.

●
ის ღამე თეთრად გაათია. აქ ჩამოსვლიდან პირველად შეერყა საფუძველი „აქ დავრჩები“-ის. თავიც პირველად გაეყო აქ ჩამოსვლის შემდეგ. ერთში დოლარები ტრიალებდნენ, მეორეში კი შიში და სირცხვილი დაბოგინებდა.

8

ბოჩომ მოძებნა არჩილ კორტა, ბაღის სიღრმეში. ვიღაც უცნობმა ხალ-

ხმა მოგაკითხაო, უთხრა. არჩილი ბოჩოს გამოკვეცა.

— ჩვენ პარტია „ეკვეთეს“ წევრები ვართ; — თქვა ლიპიანმა ახალგაზრდა კაცმა და არჩილს მაგრად ჩამოართვა ხელი — თქვენთან საუბარი გვსურს.

— მე ვისმენთ.

— ამჟამად ჩვენი ამოცანაა პრეზიდენტის გადაგდება. — დაიწყო ლიპიანმა. ლუპავს ქვეყანას.

— ალბათ იფიქრეთ, რომ მე დიდი კაცი ვარ და შემიძლია პრეზიდენტი გადავადგო. — ლიპილით თქვა არჩილმა.

— არა, მაგაზე არაა ლაპარაკი. ჩვენ სხვა თხოვნა გვაქვს. თუ არ დაგვზარდები მოსკოვის უცხოეთის საელჩოებში უნდა მიიტანო ჩვენი საჩივრები.

— და ვის უჩივით?

— პრეზიდენტს.

— მერე და რა შედეგი ექნება?

— ექნება. ჩვენ ნინანდელი პრეზიდენტი სწორედ ამ მეთოდით გადავაგდეთ. საელჩოებში ვაგ ზავნეთ კაცები.

— საკუთარ პრეზიდენტს უჩივლეთ სხვა ქვეყნების საელჩოებში, არა? არ ყოფილხართ კარგი ხალხი. თქვენს საქციელს ჩაშვება პქვია და სხვა არაფერი.

— ჩაშვებო! — ნამოხტა ყველაზე ახმახი. შენ ვინ ყოფილხარ.

არჩილი წამოდგა. კიბზე ჩაირბინა და ბალჩის კენ გაემართა.

ანედ შეიმოსნენ. ქალაქში მდგომარეობა დაიძაბა. პროვინციებიდან დამშუული ხალხის დენას ბოლო არ უჩანდა. ისინი პენსიებსა და ხელფასებს ითხოვდნენ მთავრობისაგან. მთავრობა დაპირებით ისტუმრებდა მთხოველებს. დაპირებას კი ვერ ასრულებდა, ვინაიდან არაფერი არ ებადა. ჟანა ყოველდღე მიტინგებზე გარბოდა. არჩილი კი დღეს არ აცდენდა, იაფფასიან არაყს მიაგნო და სვამდა და სვამდა. მთელი დღე ძილად იყო მიგდებული და სულაც არ აღადრდებდა, ჟანა თუ სად დარბოდა. ჟანა თავისი მცირე ხელფასიდან ყოველდღიურად არყის ფულს აძლევდა. ქალაქის მკვიდრნი ერთთავად ნერვიულნი და დაძაბულნი ვახდნენ. მათ ბოლმა მოუძალათ. ფასების გაძვირებამ მთლად მოუშალა ხალხს ნერვები. ამას ისიც ემატებოდა, რომ ტელევიზია უიმედობას ქადაგებდა, აქაოდა რეალურები ვართო. გადაცემებში ისიც ითქვა, რომ მალე, ივლისის რომელიღაც რიცხვში კატასტროფა მოგველისო. ამას გარდა, ხალხი გაანამა რეკლამების ცქერამ, რომლებიც დღეში უთვალავჯერ მეორდებოდა. კი, სასარგებლო იყო ეს რეკლამები, ვინაიდან ადამიანები მათი გამოოსობით გებულობდნენ, თუ რა და რა საქონელის შეძენა შეიძლებოდა ამა თუ იმ მაღაზიაში, მაგრამ ამ სარგებელს ქარბობდა რეკლამათა საზიანო მხარე, კერძოდ, ის, რომ ისინი ანადგურებდნენ ადამიანთა ფსიქიკას. ასე მაგალითად, ჟანა ისტერიულ კვილს ტუხდა რეკლამების ცქერაზე და ტელევიზორსაც გამორთავდა ხოლმე. არჩილი კი ინვა და ეძინა და ტელევიზორიც ფეხებზეც არ ეკიდა და ისიც, ჟანა რომ კაპახობდა. ამ სურათის შემყურე ჟანამ გადაწყვიტა არჩილთან ერთად თავის მშობლიურ სოფელში გამგზავრებულნიყო და ერთი-ორი კვირა ნერვები დაეწყნარებინა. ჟანა, რომელიც ლოთობისათვის თავმინებების შემდეგ ერთხანს საქმოდ გამშენიერდა, ისევ მოირღვა. მას ძალიან აღადრდებდა არჩილის ყოფა, რომელსაც ბოლო ხანებში ცხოვრების ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა, განსაკუთრებით მამის სამშობლოდან დაბრუნების შემდეგ. ერთადერთი იმედს ჟანა თავის სოფელში ერთი-ორი

ნაწილი მეხუთე

1

დადგა მაისი. ნაზამთრალი მინა უცვლად აფეთქდა, როგორც ეს ჩრდილოეთში ჩვევია. ოთხ-ხუთ დღეში ტყეები მწვ-

კვირით დასვენებაზე ამყარებდა. ვერე ფიქრობდა: ეგებ არჩილს გუნება გამოუკეთოს სოფლის იდილიამ, წერვები დაუწყნაროს და სმასაც თავი მიანებოს.

2

საგარეუბნო მატარებლიდან გადმოვიდნენ თუ არა, წელში გადრეკილი მოხუცი შემოხვდათ, ჟანას მამა გერასიმა კორბუტი და აგრეთვე მისი მეუღლე მარია კორბუტი, რომელიც გერსიმესგან განსხვავებით, ასაკის მიუხედავად, სარგადავალაპულივით იდგა. სოფელი ლუგოვია ტყეებშია ჩაფლული სოფლის ცენტრში რამდენიმე ნაეაჭრო ჯიხური დგას. აქ ირიან თავს სოფლები და დიდხანს მასლაათობენ და იმითი იჯერებენ გულს, კლავენ დროს. გაზაფხულის სურნელი იგრძნეს მომხდურებმა ჩამოსვლისთანავე. ვაფოთლილი ტყე უღრანი გამხდარიყო. გერასიმ კორბუტი ძალზე თბილად შეხვდა სიძეს, ძველი ნაცნობივით მოიკითხა. მერე სახლისკენ ნარუძღვა არჩილსა და ჟანას. სახლში შევიდნენ თუ არა, ქალაქური ამბების მოყოლა თხოვა სიძეს. არჩილს ეამა აქაურობა, პირველი წუთებიდანვე იგრძნო გლეხური სითბო და გულკეთილობა გერასიმ კორბუტისაგან. არჩილმა სიტყვაძუნობა არჩია და მოხუცს თხოვა სოფლის ამბები მოეთხრო მისთვის. მოყოლა რა დაიწყო გერასიმმა, არჩილს მყისვე გაუელევა ფიქრმა: „მე აქ დავრჩები და ვიცხოვრებ“. ჟანას მამა კი ყვებოდა და ყვებოდა. არჩილს მოხუცის ნაამბობი წერვებს უწყნარებდა. აღმოაჩინა, რომ ჟანა, რომელიც უნინ შეუხედავი ეგონა, ახლა გამშენიერებულიყო. ძალიან უყვარდა ახლა ჟანა, ისე ძლიერად, როგორადაც არც არასოდეს ჰყვარებია. ყველა უნინდელ ცოლეს ჟანა სჯობდა, ან უკვე ჩუმი და სიტყვაძუნნი. ის დღეები კი, როცა ჟანა სართულიან გინებებს ნამორმოხვდა, დავიწყებას მიეცა.

— რა ვითხრა, რა! — ვინაგრძობდა მოყოლას გერასიმ კორბუტი. — დაცარიელდა აქაურობა, რამდენიმე კომლილა შემორჩა სოფელს. ეს გოგოც გამექცა, ხეტიალი აუტყდა. Очень много бомжей! რა პქონდა სახეტიალო ჟა-

ნას. ძროხები გვყავს, ღორებიც, ცხენებიც. იშრომე და იცხოვრე. არა, არ უნდათ! ჩვენებურებს ჯიშით მოსდგამთ ხეტიალი. უნინ მუბატონე გლეხს მამულიდან არ გაუშვებდა. მერე კოლმეურნოები ჩამოაყალიბეს. არც თავმჯდომარე გაუშვებდა გლეხს სოფლიდან. გლეხი მინას იყო მიჯაჭვული. ახლა კი თავისუფლება გამოაცხადეს და მანანნალებით გაივსო ქვეყანა. სამხედრო სამსახურშიც კი არ მიდიან. შენ თუ გიმსახურია ჯარში?

— მე? არა!

— ეს როგორ! სამხედრო სამსახურის გავლა ხომ აუცილებელია. — ისე გაიკვიორვა და სახემუნებულმა თქვა გერასიმ კორბუტმა, თითქოს არჩილს უმძიმესი დანაშაული ჩაედინოს.

დიდხანს ისაუბრეს. გერასიმ კორბუტმა მოჰყვა მეორე სამამულო ომის ამბები. დიასახლისს ამასობაში სადილი გაემზადებინა. მაგიდაზე დააწყო სოკოს სუპი, მოხრაკული სოკო, ბლინები, ღორის ქონით შემწვარი კარტოფილი და შინ გამომცხვარი პური.

— მინის აღება თუ შეიძლება აქ არენდით? — იკითხა არჩილმა.

— რამდენიც გინდათ. — თქვა გახარებულმა გერასიმ კორბუტმა. — დარჩით აქ და იცხოვრეთ.

— ეგრემდე ვქმტ. — უპასუხა არჩილმა.

— თქვენ გაიხარეთ, შეილეთ. — ცრემლი მოერია მარია კორბუტს. — მომკლა ჟანაზე დარდმა.

3

განვიმდა. ათი-თხუთმეტი წუთის წინ კი მზე ანათებდა. შუა მაისი იდგა. ციკლონი შემოჭრილიყო ჩრდილოეთიდან. წვიმაში სეტყვა გაურია, მერე თოვლქყაპში გადავიდა. ქარი აღმოსავლეთიდან უბერავდა და ღრუბლებსაც იქიდან ერეკებოდა. მალე ბილიკები ფიფქებმა დაფარეს მაისის თოვლი კარგა ხანია არ გვახსოვსო, ბუზღუნებდნენ სოფლები. მონადირეებმა, რომელთაც დაფიფქულ ბილიკზე ფეხები უცურდებოდათ, რის ვაი-ვაიგლახით ჩაიარეს. მერე შედგნენ და მწევართ მოუხმეს. რომ შეჩერდნენ — ორ-სამ წუთში თოვლით შესუდრულ ხეებს დაემსგავ-

სნენ. ისინი უღრანი ტყიდან მოემართებოდნენ. ერთმა თოფიც გაისროლა და მწვეარნიც მალე მოსუნსულდნენ.

— ნამეტნავად უჭმური ამინდი დადგა. — ჩაილაპარაკა გერასიმ კორბუტმა. — რომ მცოდნოდა, სახვლიოდ გადაედებდი ნაკვეთის მობარვას. ვიფიქრე, ვიდრე მარია დღეობის სუფრას გაგვიშლის, ცოტას ნავიმუშავებთ-მეთქი. აბა შენ იცი, არჩილ. სიდედრის დლეობაზე თავი უნდა ისახელო.

— მაინც რითი? — ჰკითხა არჩილმა. — თქვენებურად უნდა ითამაძოთორემ ერთ-ორს რომ დაღვევენ მეზობლები, თავგზა ეზნევათ.

— ეგრე ჩვევიათ! — ეგრე უნინ არ იყო ეგრე. ახლა დაიწყეს. გაიხსებენ სასმისს და ჰაიდა, კიდევ გაავსებენ და... ნერვიულები გახდნენ.

ამასობაში თოვა ისევ წვიმაში გადავიდა. მერე ერთბაშად გადაილო და ცაც მოისარკა. შინისკენ გაემართნენ. სახლში რომ დაბრუნდნენ, სუფრა განყოფილი დახვდათ.

— აბა, აბა! — იყვირა გერასიმ კორბუტმა. — სუფრას შემოვუსხდეთ. გავთბეთ ცოტათი. მერე მასპინძელმა გამოაცხადა, დღევანდელი სუფრის თამადად იუბილარის სიძეს ვასახელებო. სტუმრები ხარბად ილუკემბოდნენ და არც გაუფონიათ თურა თქვა გერასიმმა. მელოტმა, წერილკისერა მამაკაცმა თქვა, ადრე ვარ ნასასეღელი და დიდი ჭიქით გადაკრა არაყი. სუფრას კიდევ სამი მამაკაცი და ოთხი ქალიშვილი უჯდა, კიდევ ოთხი ვაჟი.

არჩილი სიდედრის სადღეგრძელებლად მოემზადა. წერილკისერამ კიდევ გადაკრა, მალე უნდა ნავიდე და ჩემს წილს ერთბაშად ამიტომაც ვსვამო. ქალიშვილებმა და ვაჟებმა არჩილს ახედეს. ჟანამ, რომელიც არჩილის გვერდით იჯდა, ნიკაპი ასწია და სვენად იქცა... არჩილმა ძალზე სადა და მოკლე სადღეგრძელო წარმოსთქვა. წერილკისერამ თლილი ჭიქა აიღო და კიდევ ერთხელ გადაკრა არაყი. მალე უნდა გავიქცეო, თქვა ენის ბორძიკით. ვაჟებმა მოკრძალებით შესვეს. კიდევ ორ სადღეგრძელოს გაუძღეს მესუფრებმა. კიდევ რომ შესვეს, ერთბაშად არჩილდნენ. გრძელკი-

სერამ მაგნიტოფონი ჩართო. სუფრაზე ან დაჯდა და ჩათვლიმა. გერასიმ კორბუტმა ყურში ჰკითხა, არ მიდიხარო. წერილკისერამ პასუხის გაცემაც ვერ მოახერხა.

გერასიმ კორბუტი დარცხვენილი იჯდა.

— უნინ არ იყო ასე, — დაიწყო თხრობა გერასიმ კორბუტმა. — ახლა ადამიანები გამხეცდნენ.

ხმაური უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა ორი ვაჭი და ორიც ქალიშვილი ნამოდგნენ და ცეკვა გამართეს. გერასიმ კორბუტი კი ცდილობდა თხრობა გაეგრძელებინა, მაგრამ სუფრის წევრთა ხმაური მალე ღრიალცელოში გადავიდა. ერთადერთი, ვინც უსიტყვოდ იჯდა, გრძელკისერა იყო. მას ეძინა.

4

— მაგარს არაფერს მიირთმევთ? — იკითხა მებუფეტემ, როცა ყავა მოიტანა ერთჯერადი პლასტმასის ჭიქით და მაგიდაზე სწრაფად ჩამოდგა. ჭიქა გაცხელებულიყო.

— მაგარს? არა. — მიუგო არჩილმა. — ეგ ჭიქა ხომ ყავის არაა. ყავის არა გაქვთ, ფინჯანი.

— სადღაა! სულერთიანად მოიპარეს. პო, მაგარს არ ეტანებით?

— კი, ოღონდ ხანდახან. — ეგ კარგია. აქ უზომოდ სვამენ. თქვენ, ქალბატონო, რაიმე წვენი ხომ არ მოგართვათ? რა ჰქვია თქვენს ქალბატონს?

— ჟანა. — მიუგო არჩილმა. — ა, ჟანა. გიცანი უკვე. რაიმე წვენს ხომ არ მიირთმევთ-მეთქი.

— ვერ ვიტან წვენს. — თქვა ჟანამ. — კი, მე ჟანა ვარ.

— გამარჯობა, ჟანა. სადა ხარ, რომ არ ჩანხარ. სოკო გვაქვს. მალე შემოვლენ ყიამყარალები. პოლე ჩუდებს აქ უყურებენ. ტელევიზორი ყველას აქვს, მაგრამ აქ იცლიან თავს. თავმოყრის მიზეზს ეძებენ. სვამენ და სვამენ. ხუთ ნუთმი შემოვლენ.

— აქ ძალიან ცხელა. — თქვა არჩილმა. — სარკმლებს გამოვალებ.

ხუთი ნუთიც არ იყო გასული, მართლაც გაიგეს სოფლის კაფე. ტალახიანი

ფეხებით შემოვიდნენ. იქვე შეუდგნენ ფეხსაცმელების გაბერტყევას.

- ეგ გარეთ ქენით! - დაუყვირა მებუფეტემ.

ტელევიზორი ჩართეს. მერე მაგიდაზე ბოთლები ჩამოადგეს.

- ეგ თვითნახადი გაიტანეთ. აქ აკრძალულია შემოტანა.

მებუფეტემ იატაკს ჩვარი გაუსვა, ტალახიანი კვანძები წმინდა.

პოლე ჩუდესიც დაიწყო. ნამყვანის საუბარზე გაუთავებლად იცინოდნენ. ერთმა შუახნის მამაკაცმა ორი ჭიქა გაივსო და არჩილს და თანას დაუდგა მაგიდაზე.

- ჩვენ არ ვსვამთ. - უთხრა არჩილმა.

- გთხოვთ, მიირთვიეთ. - თქვა შუახნის მამაკაცმა. - ჩვენ კეთილი ხალხი ვართ. მიირთვიეთ.

არჩილმა გადაკრა. თანამ არ გაიკარა არაყი. თავი რომ გაუხურა არაყმა, არჩილმა მეორე ჭიქაც გადაკრა. მესამე თვითონ მოითხოვა გვერდით სუფრიდან.

●

გუშინდელმა „სიკეთემ“, რომელიც კაფეში შესთავაზეს, ღამით არ დაძინა. „ორიოდ სიტყვით შენიშვნა უნდა გეთქვა ლოთებისთვის. - ფიქრობდა არჩილი. - თუმცა ფუჭი იქნებოდა შენიშვნის მიცემა. ვისაც კი ვედავე, ყველა მართალი გამოდგა, ჩემს გარდა. სარკმლიდან გასცქეროდა აყვავილებულ ტყეს. „ბუნების სიმშვენიერეს - ფიქრობდა არჩილი - სრულიად არ ესადაგება ადამიანის ზნეობრივი მდგომარეობა, ყოველივე ეგ შენი და შენისთანების ბრალია, არაფერში რომ არ ერევი, იმიტომ. ცხოვრების მიღმა არჩევ ყოფნას. გეშინია, უკეთურთ საქციელი რომ დაუნუნო. შენ მხოლოდ თანას გამოსწორება შესძელი, ძალიან ცოტაა ეგ“.

თანა და მარია სამზარეულოში დაწალიჩობდნენ, საუზმეს ამზადებდნენ, ალბათ. როგორ მოუნდა არჩილს ქალაქში გამგზავრებულიყო და მანანნალებთან ერთად გამოსულიყო ბახუსიდან. რაღაც ნაირი მადლია მანანნალებთან ურთიერთობაში. ისინი უპრეტენზიო ხალხია. მაღალ მატერიალზე ისინი არასოდეს არ

საუბრობენ. არადა დაღალა განათლებულბთან ურთიერთობამ. ამ ტელევიზიამ მთლად გამოუჭედა თავი. გამოდიან ეთერში მაღალი რანგის ინტელიგენტები. ყველა გონივრულად ესაუბრება ხალხს. ცხოვრება კი უფრო და უფრო უკან მიდის. ლაპარაკობენ ინტელიგენტები ღამაზად, ცხოვრებაში კი არაფერი არ იცვლება სასიკეთოდ. ინტელიგენციასა და ხალხს შორის კვლავინდებურად დიდი უფსკრულია. ფიქრმა დაღალა არჩილი. ვაიგონა თუ როგორ შემოვიდა სამზარეულოში გერასნიმ კობრუტი. თქვა, საადრეო კარტოფილი მოვიტანო ბოსტინიდან.

ძალიან მოუნდა ამ დილით ქალაქში გაეღა და პირის გასველება. ოჰო, რა დიდებული ლუდია კაფე „გზაჯვარდინში“. ჩამოსასხმელია, სულ ქარვასავითაა, ერთობ კამკამებს. ბოლო ხანებში ჩვევდა ექცა: ქალაქში რომ არის, სოფელი მოენატრება და პირიქით, სოფელური იდილით ნერვებდანყნარებულს ქალაქური გნიასი ენატრება.

5

სავაჭრო ჯიხურს მიადგა. ლუდი მოითხოვა. სოფელში უგემურ ლუდს ასხამდნენ, მაგრამ ძალიან სწყუროდა და სხვა გზა არ ჰქონდა, ყელი უნდა გაესველებინა. ის იყო, გამყიდველისთვის ფული უნდა გაენოდებინა, უკან ორი კაცი მიადგა. ერთი უშველებელი ახმახი იყო, მეორე ჩია, გამზდარი, დაღეული და სუსტი ალნაგობის. ჩიას ზურგზე ზურჯინი ჰქონდა მოკიდებული.

- მესამე იქნები? - ჰკითხა ახმახმა.
- რატომ მესამე, იქნებ პირველი. - მიუგო არჩილმა.
- ახმახს სახე დაეჯღანა.
- დადე ფული - უთხრა მან.
- ვერ გავიგე.
- Ha трихл ჩვენ ხუთ-ხუთი დავევით. მესამე ხუთი შენ დაამატე.
- არ გინდათ. მე დაგპატიყვებთ.
- ორთავეს გაუკვირდა, ახმახსაც და ნელში გადრეკილსაც.

გამყიდველს ფული ჩაუთვალა. მან კი არყის ბოთლი მოართვა. „რუსსკია“ იყო. ახმახმა ბოთლი გახსნა. ჯიხურთან მიდგმულ მაგიდაზე ჩამოადგა. ნელში გადრეკილმა ხურჯინი მოიხსნა, იქიდან

პურის ნაჭერი და ხახვი ამოიღო. ახმახმა სამ ქიქამი ცოტა-ცოტა ჩამოსახა. არჩილმა გადაჰკრა. საზიზლარი არაყი გამოდგა, ნავთის გემო დაჰკრავდა. ის იყო, ხახვის დაყოლება განიზრახა, ახმახმა ბოთლს დააელო ხელი და მოკურცხლა. ბოთლახუტებული გარბი და ჩიამ, ნელში გადრეკილმა საზარელი ყვირილი ატეხა.

— Подинок! ჩემი ფული დააბრუნე. ჩია ტიროდა.

— არ იცნობდი? — პკითხა არჩილმა.

— კი. იქმადანაა.

— იქმა სადღაა?

— აქედან მესამე გაჩერებაზე. აქ ხშირად დადის. ეგეთი რამ ჯერ არ უკისრია.

— რამ გადარია! კარგი. კიდევ ერთ ბოთლს ავიღებ.

— შენ გაგახარა ღმერთმა. — დამძიმებული გული აუჩქროლდა ნელში გადრეკილს.

●
 იმ ღამით კომმარულ ძილში ის მშველელი ხმა ჩაესმა, მუდამ რომ შორიდან ახლოვდებოდა და მაინც არ მოდიოდა მის ყურთასმენამდე. იმ ღამითაც ეგრე იყო. ნამეტნავად გულგატეხილი ხარ. — ჩაესმა ის ხმა. მერეალისტი ვარ. — მიუგო მან.

ნაწილი მეექვსე

1

პარკის შესასვლელთან ქალი და კაცი შენიშნა, იქ, საცა საზაფხულო კაფე იყო. დიდი სიცხე იდგა ქალაქში. ცხელი ბული ტრიალებდა. ღია კაფეში ნაყინსა და ცივი სასმელებს მიირთმევდნენ. ქალმა ხელი დაუქნია არჩილს. ვინ უნდა იყოსო, გაიფიქრა. ქალს ნაცნობი სახე კი ჰქონდა, მაგრამ კაცისა ვერა გაეგორა. იგი ფეხებს ვერ იმორჩილებდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, მისი თავი აგერ-აგერ გაგორდებოდა მინაზე. არჩილი ქალისა და კაცისკენ გაემართა.

— ვერ მიცანიით? — პკითხა კაცმა.

— ნაცნობი სახე კი გაქვთ, მაგრამ...

— ნიკოლია გაიდაის მეუღლე ვარ, ტატიანა. შეგიძლიათ ტატა დამიძახოთ. ვერ ვიტან ტატიანას რომ მეძახიან. სენ-

კევიჩების აგარაკზე იყავით ნარსულ ზამთარს.

— ააა, გამახსენდით. ბოდიშს გიხდით ნიკოლია როგორ არის?

— ნიკოლია? — შეცბა ქალი. კარგა ხანს დუმდა. — აი ნიკოლია. — გვერდით მდგომ მამაკაცზე მიუთითა არჩილს. იგი დაიბნა.

— მასხრობთ ალბათ.

— უუ-უუ! — აღმოხდა ტატიანას გვერდით მდგომ მოქანავე კაცს.

— რა დაემართა? — იკითხა არჩილმა.

— პარალიჩი დაემართა. ნიკოლია პარკში გაისეირნე. შენ ჰაერი გჭირდება. ასე თქვა ექიმმა.

— რა დაემართა ნეტავ? — სინანულით თქვა არჩილმა.

— ინერვიულა.

— ნიკოლაის სანერვიულო არ უნდა ჰქონოდა.

— გაიტაცეს, ნიკოლია, პარკში გაიარე-მეთქი, ჰაერი შენი მკურნალია. პო, სამი თვე ჰყავდათ. სამასი ათასი დოლარი მოითხოვეს. მივეცი და გამოუშვეს. რომ გამოკეთდა, ქამა აუტყდა. უზომოდ ქამა.

არჩილი გაოგნებული იდგა. ნიკოლია სტვენა-სტვენით მიმოდოდა შორიახლო.

— ხომ გითხარი, პარკის სიღრმეში გაისეირნე-მეთქი. — დაუცაცხანა ცოლმა. — აქ კარგი ჰაერია, სუფთა. — მერე არჩილს მიუბრუნდა ტატიანა. ჩამოესხდეთ, ნაყინზე დაგპატივებთ. რა გჭირთ, არჩილ, ფეხები გტკივათ?

— რაზე შემატყუეთ?

— ფეხები გერევათ.

— არყის ბრალია.

— რომ არ სვამდით.

— ხშირად მიწვევს სმა. ასეა, ზოგს ფული ართმევს ფეხებს, ზოგს არაყი.

— არყის სმა სისულელეა. არჩილ, თუ არ დამზარდებთ, ქენით სიკეთე. აგარაკზე გამომყევით.

— იქ რა უნდა გავაკეთო.

— ღამე დავისვენოთ. ნიკოლაის სახლში ნავიყვან. ხვალ დღლით ადრე აგარაკის მყიდველი მოვა. იქ უნდა დავხედე.

— აგარაკს ყიდით?

— კი. საზღვარგარეთ მიწა ნახვლა.

— ნიკოლაისთან ერთად? ალბათ სამკურნალოდ არა?



-ნიკოლაის დედამისი მოუელის:თუ გინდა, ერთად წავიდეთ, ანტალიაში.

-??

● იმ ღამით ისევ გაუხსენა ძველმა სენმა. თავი ორად გაეყო. ერთ ნაწილში გაყიდული აგარაკის ფულები და შავი ზღვის ტალღები შრიალბენდნენ, მეორეში კი სირცხვილის გრძნობა საავდრო ღრუბელივით დაზოზინებდა. მერე ფიქრი აეკვიატა და არ მოასვენა. „ნიკოლაის ცოლი უნდა მოკედეს“. ამის გაფიქრების შემდეგ ისევ გაიყო თავი ორად. ერთში: „ნიკოლაის ცოლი მოსაკლავია“. მეორეში კი: შიში.

2

კაფე „გზაჯვარედინში“ შაგიდას უჯდა და ლუდს წრუპავდა. გვერდით შაგიდასთან ორი კაცი იჯდა. ერთს მექსიკური სომბრერო ეხურა. ალბათ ძალიან მოსწონდა, არც მოუხდია. ვინრო ჯინსი ეცვა, ნელზე ბალთებიანი ქაშარი შემოურტყა. მეორე ჯმუხი მამაკაცი იყო. პალსტუხი ეკეთა. ნვერი სუფთად გაეპარსა. სომბრეროიანს თვალები უღლავედა სახეზე. ჯმუხს კი გაცილებით სათნო გამოხედვა ჰქონდა.

-სიცხე კია, მაგრამ ლუდი ძალიან ცივია და სახსრების ანთება იცის. - გამოელაპარაკა ჯმუხი არჩილ კორტას. - მე გამაცია ერთხელ...

არჩილმა დუმილი არჩია. მხრების აჩქევით მიახვედრა ჯმუხი და სომბრეროიანი, მაგარი სასმელის ფული არ მიტყავისო. ისინიც მიუხედნენ.

- ორმოცგრაფუსიანი ფობს. - თქვა ჯმუხმა. ოფლს გამოედენის ერთბაშად გაგაგრილებს. ოლონდ ეგ არის, არაყი კი უნდა იყოს ცივი. ბარმენ, ერთი „სმირნოვსკაია“ და დასაყოლებელიც რამე.

- რას ინებებთ დასაყოლებლად. - კისერი წაიგრძელა ბარმენმა.

-ხიზილალა, ბუტერბროდით, მუსიკა, მუსიკა! ჩართეთ ტელევიზორი. რაიმე სამხიარულო კასეტა აარჩიეთ.

- არის ბატონო! - დადნა ბარმენი.

ჯმუხი და სომბრეროიანი არჩილის მაგიდაზე გადმოსხდნენ და ძალზე შინაურულად გაუბეს საუბარი.

- უფულობას უჩივი ალბათ. - უთხრა ჯმუხმა არჩილს.

- ვინ, არ უჩივის ახლა მაგას.

- აი, მაგალითად, ჩვენ არ ვუჩივით. კარგა ბლომად გვაქვს.

- ლმერთმა შეგარგოთ, რაც გვეკუთვნით იგი.

- რაც არ გვეკუთვნის, ისიც გვაქვს.

- აი, მაგაზე ვერაფერს გეტყვით. - თქვა არჩილმა და ჯმუხს თვალბში შეხედა.

- გვაქვს, კი, ბლომად გვაქვს. მინდა, შენც გამოვინიოთ.

-??

- ბეერი თანაც.

- ბიზნესი არ გინდა. ერთ ნუთში შეგიძლია 200 000 დოლარი ჩაიჯიბო.

- ეგ როგორ?

- კაცი უნდა მოკლა.

- კარგი, ნუ მემასხრები - ხარხარი აუტყდა არჩილს.

- არ გემასხრები. მართლა გეუბნები.

- ვიცი მასხრობ. თუ არ მასხრობ, გეტყვი, რომ სროლა არ ვიცი.

- სროლას გასწავლით, ეგ არაა დღეს პრობლემა.

და ისევ გაიყო თავი ორად.

- და რა დაგიშავათ?

- უინ რა დაგვიშავა?

- აი, იმან, ვისი მოკვლაც გინდათ.

- ლორია და ის დაგვიშავა.

- ღორი უნდა მოკლა?

-ჰო, დიდი ფული თუ გინდა.

-აკი გითხარით, მე მაგ საქმის არა გამეგება რა. მაინც რას აშავებს?

- ორას მეტრზე კონიაკის ქარხანა გაგვიხსნა. ჩვენ ცალკე გვაქვს. ნედლეულს იაფად შოულობს და მზა კონიაკსაც იაფად ყიდის. გაგვაკოტრა.

- თქვენც ნაკლებფასიანი ნედლეული იშოვეთ.

- ეგრე არაა. შენ ისა თქვი, გინდა თუ არა დიდი ფული!

- კაცს ვერ მოეკლავ, ვერა!

- იცი, რა გითხრა, - თქვა სომბრეროიანმა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სულ დუმდა. - შენ არაყი მოგაკლავს მაინც. ჯობია ფული იშოვო და დაგრჩეს, თუ მოგკლეს, შეილებს მაინც დარჩებათ.

● ის ღამე ფუჭოცნებებში გაატარა. ერთმ 200 ათასი დოლარი ედო ჯიბეში. ეს თანხა დაურჩავს სამ ცოლთან თითო-თითოდ მიტოვებულ ბავშვებს, ორ გოგოსა და ერთ ბიჭს. ამის გაფიქრება იყო და მისი გონება შიმში და სირცხვილის გრძნობამ გათანგა.

3

შუალამე გადასული იყო, რომ გამოეღვიდა. სამზარეულოში ფეხაკრეფით გავიდა, ჟანა რომ არ გაეღვიძებინა. მაგარი ყავა მოხარბა, მაინც არ დამეძინებო, გაიფიქრა. ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თავი თითქოს ორად კი არა, ათასად დანაწილებულიყო და შიგ ქაოსი დასადაგურებოდა. „რატომ დავიბადე, ნეტავ არ გავჩენილიყავი“. — ფიქრობდა არჩილ კორტა. მიხვდა, რომ ამ აზრს მამასთან მიჰყავდა. ფიქრის სხვა რამეზე გადატანა სცადა, ვინაიდან აზრი, რომელიც აეკვიტა, მამის ხსოვნას ჩრდილს მიაყენებდა. იქვე ჟანას სიგარეტის კოლოფი იდო. იქიდან ერთი ღერი ამოიღო. მოსწია. ხველება აუტყდა. რა მოვდისო, უთხრა საკუთარ თავს. მერე ჩაუჯინდა: სიგარეტს ხომ ყველა ჩვეულებრივი ადამიანი ენევა. შენც უნდა მოსწიო, უნდა ისე იცხოვრო, როგორც სხვები ცხოვრობენ, ჩვეულებრივი მოკვდავნი.

● მაგიდაზე ჩამოდო თავი. თვლემდა. ჟანა ნაადგა თავზე. იგრძნო და თვალეები გამოახილა.

— საიდან მოიტანე ახლა ეგ არაყი.

— მმმ! — ჩაიდუღუნა არჩილმა.

— გადამალული გქონდა, ალბათ. ვხედავ, მონევა ც დაგინყია. — მწყრალი ტონით ამბობდა ჟანა. — დაგლუპავს არაყი. დროა საქმეს მოკიდო ხელი. მშენებლობაზე ნაღი, ან ვაჭრობაში. სხვებზე უკეთესი რატომ გგონია თავი! სჯობს საქმეს მოკიდო ხელი-მეთქი. — ეს იყო რუსი ქალისთვის ჩვეული მბრძანებლური, ტყუისდამბრიგებლური ტონი, რომელიც, ალბათ უაღრესად საჭიროა იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ.

4

ფურა ჩამოდგა. მოედანზე ღია სავაჭრო ფარდულები იყო გაშენებული. რამდენიმე ფარდულს სამრეწველო საქონელი ჩამოურჩავს. ფურა მძლოლ-ექსპედიტორებმა გადმოტვირთეს. ფარდულების მეპატრონე განკარგულებას აძლევდა როგორც მძლოლ-ექსპედიტორს, ასევე გამყიდველებს. ცოცხლად, ცოცხლად, გაჰყვიროდა იგი. ფურა დაცარიელდა და გზას გაუდგა. ახლა მერე ფურა ჩამოდგა. აბა, შენ იცი, არჩილ, დაუყვირა მეპატრონემ არჩილ კორტას, რომელიც ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობდა. მძლოლმა ზედნადები გაუნოდა არჩილს. სამი ყუთი კარტოფილი, თქვა მან, ორი სტაფილო, ორიც ქარხალი, სამი ყუთი ვაშლი, სამიც თურქული პამიდორი. არჩილმა საქონელი ჩაიბარა, ზედნადებზე ხელი მოაწერა. ფარდულების მეპატრონემ ყვირილ-ჯაჯღანით გული რომ მოიჯერა, „ვოლვოში“ ჩაჯდა და გაუჩინარდა. ის იყო პირველი მუშტარი გაისტუმრა არჩილმა, ქუჩაში ნაცნობ სახეს მოჰკრა თავალი.

— ბოჩო! — აღმოხდა მას — აქ საიდან.

— ჟანამ მომხსნა ელა. — მკვეთრად თქვა ბოჩომ. ეს რა მიგიქარავს.

— რაზე მკითხები, ბოჩო!

— რაზე? — ჩვენს გვარში ვაჭარი არავინ ყოფილა. შენ გვარს არცხვენ და ეგ არის. — ესა თქვა და გაუჩინარდა. იგი რომ გაქრა, არჩილმა სხეულის ერთ ნაწილში მამისა და ბოჩოს სისხლის დაცლა იგრძნო. ამის გაფიქრებაზე ყურები აუწივლდა, გული შეუღონდა. მერე ალარაფერი ახსოვს.

● სახლამდე ძლივს მიიღწია. იგი ორასიოდე მეტრით იყო დამორებული იმ მოედნიდან, საცა არჩილი ვაჭრობდა. პირში ვალიდოლის გემოს გრძნობდა. კარი შეაღო თუ არა, ისევე ნაუვიდა გული. მერე ალარაფერი ახსოვს. ლოგინზე მიეგდო. საღამოს ჟანას თითების ცაცუნმა გამოარკვია. თვალ რომ გამოახილა, დაინახა ჟანა, რომელიც სანოლთან ჩაჩოქილიყო.

— არ ინერვიულო საყვარელო. მე ყველაფერი ვიცი. ბოჩომ ჩემთანაც თქვა ის,

რამაც შენ ცუდად გაგახდა. მეტად აღარ იმუშავებ. ეს მე გაიძულე. ჩემი ბრალია. ბორომ მეც გამომლანძლა. მე ვიმუშავებ შენს მაგივრად, მესამე ადგილზეც ვავფორმდები. არ ინერვიულო, გეხვეწები. არ მომიკვდე, არჩილ. შენ დამანახე კრიალა ზეცა, ზევით ამახედე. როცა ესეამდი, ცისთვის არასოდეს შემიხედავს. სულ ნუ ფიქრობ, არჩილ საყვარელო. ნუ ხარ გაბრაზებული სახელმწიფოზე. რაც არ უნდა აკრიტიკო სახელმწიფო, იგი მაინც იგივე რჩება, ადამიანის დამორჩილების მანქანად.

5

ჩრდილოეთური მოკლე ზაფხული სწრაფად გაქრა თვალსა და ხელს შუა. ოქტომბრის მინურულს ჯერ სუსტად მოფიფქა, მერე კი ბარბაქიანად მობარდნა. ერთ თოვლიან დღეს არჩილ კორტა ჩამოსასხმელი ლუდის არჩილურთან მიდგმულ მაგიდასთან იდგა, იქ, საცა ამ ერთი წლის წინათ ჟანა გაიცნო. მაგიდაზე არაყი დაეღვა და დინჯად სვამდა. ძველი ლოთებიდან თითო-ოროლა გამოჩნდა. იქ თქვეს, ძველებიდან ბევრი გარდაიცვალაო, ზოგი კი ლოგინად ჩავარდნილიყო.

მანანალები კიბის საფეხურზე ტალახიან თოვლზე ჩამომსხდარიყვნენ. გამვლელ-გამომვლელებს ფულს თხოვდნენ. არჩილმა დაინახა, ტყიდან სომბრეროიანი გამოვიდა, პირდაპირ მისკენ გამოემართა.

არჩილმა დაუყვირა:

— აკი გითხარი, მაგ საქმეს ვერ ვიზამეთქი. შემეშვი, გეუბნები, თავი დამანებე.

— კარგი არაყი მაქვს. ნამოდი, ერთად დაველიოთ. რასაა რომ სვამ, სუროვატს. ნამოდი, მოვილაპარაკოთ.

— ისე გავიაროთ. „რასპუტინი“ დაველიოთ, გერმანული ჩამოსხმაა. ეგ ნავაყი არაყი ამ ნავავებს დაუტოვე.

სომბრეროიანმა მკლავი გამოსდო. ტყისკენ აიღეს გეზი, სომბრეროიანმა ხეზე მუყაო მიაკრა. მუყაო ნრეებით იყო დასერილი.

— აჰა, რეეოლვერი. რამდენიც გინდა ისროლე. — თქვა სომბრეროიანმა. — მე

კი ბოთლს გავხსნი, დასაყოლებელსაც გაგიშვადებ, ისროლე და ისროლე.

არჩილმა გაისროლა. 1-სა და 2-იანის რაიონში მოარტყა.

— ყოჩაღ! — ნამოიძახა სომბრეროიანმა.

არჩილმა დიდი ჭიქა გამოსცალა, ძეხვი და პური დააყოლა. მერე მუყაოს დაუმიზნა და გაისროლა.

— ოჰო. მგონი ცხრიანს მოახვედრებ.

შენ მგონი სნაიპერი ხარ და გვატყუებდი.

— ნამოიძახა სომბრეროიანმა და ხისკენ გაიქცა.

— სომბრერო! — დაიყვირა არჩილმა.

სომბრეროიანი შემობრუნდა.

— არ გაინძრე. ზურგიდან არ მინდოდა მესროლა. ჯიბისკენ ნუ მიგაქვს ხელი, თორემ ხელათ გაგათაყებ. მომეცი პირობა, რომ იმ კაცს არ მოჰკლავთ.

— ვინ კაცს?

— ვის მოკვლასაც მთავაზობთ.

— კარგი, არ მოეკლავთ. დააგდე რეეოლვერი.

— შენ რომ გაქვს ხელში, ჯიბიდან რომ ამოაცოცე, ჯერ ის გადააგდე, თორემ მოგკლავ.

— ჰმ. შენ სახარება ნავიკითხავს თუ არა. არა კაც კლაო რომ წერიო.

— კაცს არ ვკლავ მე. — დაიყვირა არჩილმა. დაყვირება იყო და სომბრეროიანმა გაისროლა. ერთმა ტყვიამ ყურთან გაუზუნა არჩილს, მეორემ მარცხენა მხარი გაუკანრა. არ დააყოვნა, ეგრევე გაისროლა. სომბრეროიანი ჩაიკეცა. არჩილი მივიარდა თვალებში ჩახედა. რეეოლვერი გვერდზე დადო და ქვითინით უთხრა:

— თქვენი ორასი ათასი დოლარიც გადარჩა და ის კაციც. იძინე ახლა.

6

— იაპონური ზღაპრები გიყიდე, არჩილ და კიდეე „უჰანიშადები“. მეტროში თვალი გადავაველე, ძალიან ბრძნული რამ არის. ახლავე დაინყე კითხვა. რა გჭირს, არჩილ, მთვრალს არ გაეხარ თითქოს.

— დაბომბეს ერაყი. — წაიდუდუნა არჩილმა. — სამყაროს დასასრული ახლოვდება.

- ნეტავ რაში გენაღვლება.
- ისერიან, ისერიან!
- გაბოდებს და ეგ არის. სხვა რამეზე იფიქრე, გეხვენები.
- ოცდახუთი კაცი მოკლეს!
- გაჩუმდი, გეხვენები, იაპონური ზღაპრები ნაიკითხე, თუ გინდა „უპანიშადები“.
- კლინტონს ვილაც შეძავი ჰყოლია...
- ნიგნებს გადააღვლე თვალი. დიდი სიბრძნეა მაგ ნიგნებში.
- ვერ უშველა სიბრძნემ ადამიანს.
- ნუ აბოდებ, გეხვენები არჩილ.
- ეგ ვინაა, კედელზე რომ ადის? რაო, რას ამბობს? შენი მშველელი ძმა ვიქნებო, არა? ასე არ თქვა მაგან? შო, ასეთქვა, ვინაა ეგ კაცი.
- გაჩუმდი, არჩილ. - ხმა გაებზარა ფანას. მერე ცრემლები წასკდა.
- ვინაა ნეტა ეგ კაცი. რაო, რაო? მხარში ამოგიდგებიო! ვერა ვხედავ უკვე. გაქრა, გაქრა, რა კეთილი ვინმე იყო. ყველას რომ გვაიმედებს და მერე რომ უჩინარდება, რას ნიშნავს ეგ ნეტავ!

● რატომ ახრჩობდი ამ ქალს, რას ერჩოდი! - ჰკითხა ექიმმა არჩილ

კორტას და ჩაქუჩი მსუბუქად მიარტყა იდაყვზე.

- მინდოდა გადამერჩინა.
- სიკვდილით? - გაოცდა ექიმი.
- გამოვა? - ჰკითხა ექთანმა ექიმს.
- ვნახოთ. - მერე არჩილს მიუბრუნდა.
- ვიფიქრე, ჩემი სიკვდილის შემდეგ ისევე გალოთდება-მეთქი, მეძაობასაც დაინყებს-მეთქი. სიკვდილსაც გააჩნია თავისებური ხიზლი.

● ორმა თეთრხალათიანმა მუტრუკმა არჩილ კორტა სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩასვეს, ფანას კი კარი ცხვირწინ მიუხურეს. მანქანა რომ დაიძრა, თმებგანწილმა ფანამ თოვლში ჩაიჩოქა და კივილი მორთო. ქროდა ძლიერი ქარი, რომელიც მალე ქარბუქად იქცა. მის ზუზუნს გამწარებული ხმა ერთვოდა. ეს ფანას კივილი იყო.

სალამოზე ქარიშხალი ჩადგა, ცა მოისარკა. მეზობლებმა დაინახეს თმაგანწილი და მობარბაცე ფანა, რომლის კივილი წელანდელზე გამოკვეთილად გაისმოდა დამყუდროებულ სივრცეში.



მთლიან მთელი კლდეებიც იმ
დასუსტ, მთავრადვე ადრეულობა
დასუსტ უნდადომ იღონებდა ამ
მთელს თოვლსაც ფანაშივე ვაბ
მთელს ფანას ვაბ თოვლითურც მ
მთელს მთლიანს თოვლითაც - თოვლს

ქალიც ამოიწვეს, ვადადნ
თავს თუ მათგანს ანც მთავრს თ
საფასმ მთლიან მთელს თოვლითაც

თოვლს იღონებ მთავრადვე მთლიანს
მთავრაც თოვლიც მთავრადვე თ
საფას თოვლიც მთავრადვე თ
თოვლს თოვლიც თოვლიც მთავრად
თავრაც თოვლიც მთავრადვე თ
თავრაც თოვლიც მთავრადვე თ

მთლიან მთელი კლდეებიც იმ
დასუსტ, მთავრადვე ადრეულობა
დასუსტ უნდადომ იღონებდა ამ
მთელს თოვლსაც ფანაშივე ვაბ
მთელს ფანას ვაბ თოვლითურც მ
მთელს მთლიანს თოვლითაც - თოვლს

ქალიც ამოიწვეს, ვადადნ
თავს თუ მათგანს ანც მთავრს თ
საფასმ მთლიან მთელს თოვლითაც

თოვლს იღონებ მთავრადვე მთლიანს
მთავრაც თოვლიც მთავრადვე თ
საფას თოვლიც მთავრადვე თ
თოვლს თოვლიც თოვლიც მთავრად
თავრაც თოვლიც მთავრადვე თ
თავრაც თოვლიც მთავრადვე თ



მარიამ კიმიზური-წიკლაური

●
ჯერ გაზაფხული არც შემოსულა...
ლარნაკში დამკვწარ შარშანდელ იას
დაუკონცელი მარტის დღეების
სევდა ლაქვარდში ფარფატით მიაქვს.

●
ჯერ გაზაფხული არ შემოსულა...
ნადრეგია ეს მონატრება,
ყოჩიუარდების კრიალოსანი
ჩამოიძარცვლა ჯვრის მონასტრმა.

●
როგორც მზის ჩასვლის დიდი ტყეული,
ჩემს სტრიქონს შენზე ოცნება კვებავს.
ცრუობს ლექსი და ღამის ყმული
დაღლილ სევდისგან იფერებს ქებას.
სიმართლეს ვერც ვინ ვერასდროს პოეებს,
საღლაღ მზე იქნებ ნამდვილად ჩადის.
ვინ მიაშავა, ვეთაყვა, პოეტს
სიმართლე ანდა ქვეყანა ცხადი.

●
ცა მიწას ნეტა რად გაებუტა?
ერთი პეკლისთვის ისევ იჩხუბებს?
მზეს თუ ენება, რომ გაებუტა
შენი ხსენება დილის სიჩუმეს.
მზეს თუ ენება, ყველა ყვაილი
შიშველ წვივებზე შემება კოცნად

●
შემოამწიფდა ზაფხული ტანზე
გზისპირზე მაღალ, წყნარადმდგარ ასკილს.

●
ღამის ბინდები ჯერაც სტკიოდა
მზიდან ამოსულ პაწია დილას.
წვივიდან ლურჯი სისხლი სდიოდა
ბარდზე გაყარულ ნისლების ფთილას,
ლულეში ჩამდგარ ფეხშველა ძეწნას
ალარ უნდოდა ცისკენ გაფრენა,

მზე ერთხელ კიდევ მოილოვინებს,
ია, გამხმარი ფოთლების ჩერებში
უშვილო მდიდრის კარზე მივადებულ
ჩვილივით მოგვთხოვს აყვანას ხელში.

ქარი კი მიქრის... ჩადედებული
ნისლით ამოვიღე ხვე-ხუცებს ლყავს,
საით წაიღებს ამ გაზაფხულებს —
ითი მოქარგულ პაწია ლოცვანს?..

არსით და ყველგან, ყველგან და არსით.
წამის სიმზარის ცხადში მხედვარი.
ცრემლის მჭვირვალე სიამის გარსით,
დაუწერელი სიტყვის მხედარი,
თუ არმობილი სამყაროს მუცლით,
გამეტებული არის ნაყოფი,
არც სიცოცხლეში და არც სიკვდილში
ჯერ არ ნამყოფი...

და სიქალწულე დილის არილის
მოძველებოდა ლაქვარდის კონცხად.
რა ახლო იყო ხომალადე წუხელ,
რად დამიძალა ტყივილი მუზამ
ან ვარსკვლავივით რად მოწყდა უკეს
ცრემლი — დაღლილი თვალების ღუბა.

მშვიდად უკრავდა ობობა თარზე
და ქსელში ება პეპელას ფრთებით
გამოფიტული მზის სხივის ნასკვი.

მერცხლებს ლაქვარდის ნაწნავი ეწნათ
და სამყურებზე სურდათ გაფრენა.
იდგა სოფელი, საყდარი ანდა
კიდობანივით ჩანდა გარეჯი.
დილის სილურჯეს ცოხნდა ზანტად
ხნულში ჩამჯდარი ნისლის კამჭი.

მოვა საღამო ლურჯი ტივებით,
 მოდგება ქართლის უჩინო ნაპირს,
 და მწუხრის სტვირი ძველ მოტივებით
 მორეკავს ცახე ვარსკვლავის ნახირს.
 ჩამოწველიან ხავსე ცურების
 ნამსა და მანანს ტუხტი და დეკა,
 შავნარიანი მთვარის ურეში
 მოიჩარდახებს ბაკშიან თექას.
 ამოეჭრება ცისყარს კიჭივით
 მთას ასხლეტილი პირველი სხივი.
 ამოზეაედება ლურჯი კიჭინით

ვარდკაჭაჭების შეშლილი ღიმი.
 მზისა და მთვარის დეენაში დაღლილს
 მომენატრები ჩემი არჩივი.
 და ნისლეებს, ქართლის მინდვრებზე
 დახრილს
 ლექსივით დაჰვეფს ბედის არწივი.
 გაიყოლიებს შორს ნისლი კვიცებს
 ვით ტრფობას სიხმრის მკერდზე
 ალესილს,
 ჩვენ ერთმანეთის მკლავებზე გვიწევს
 მარტოობისგან მკვდარი ალერსი.



ბიორბი პაპუაშვილი

ლაშქარბერი რუმანი

მოთხრობა

ზამთრის სემესტრის უკანასკნელი გამოსცდიდან დაბრუნებულ ბიძინას სიფრიფანა კონვერტი დახვდა. საქართველოდან იყო. აილო, გახსნა და მხოლოდ ორიოდ სიტყვა შერჩა ხელთ: „უთურგა მახკლეს, მანდ რას უზიხარ? მზია“.

უთურგა მოკლესო? ლმერთო, როგორ ეშინოდა ბიძინას ამ მკვლელობისა. ცოდნით კი იცოდა, ნამდვილად იცოდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოკლავდნენ უთურგას. ნეტავ არ მოეკლათ! ნეტავ გადარჩენილიყო!

ბიძინა ახალა რომანის წერას ამთავრებდა, სადაც დაგმობილი და გამათრახებული უნდა ყოფილიყო უგონო შურისძიება და მოულოდნელად კი თავად აღმოჩნდა შურისძიების ორომტრიალში. მზიას მაინც არ მიუწერა ეს წერილი! თანაც როგორ იწერებოდა: მოკითხვა, სალამ-ქალამისთვის სიტყვას არ ხარჯავს და პირდაპირ გულში საცემად აუწყებს: „უთურგა მახკლეს, მანდ რას უდგებარო? თუ „რას უზიხარო“ სულერთია“.

ბიძინამ ერთხელ კიდევ ჩახვდა წერილს და ქალღმერთის ნაგლეჯი კონვერტიანად ლოგინზე მიადგო. თავდაც საწოლზე ჩამოვარდა, მხრები სტეპში ჩამოვარდა ბებერი არწივივით უღონოდ ჩამოყარა და მწარე საფიქრალს მიეცა.

დაუდევარი კაცი იყო ბიძინის უთურგა, გავლენიანი და უტყუარ-ფიქრი. თავისას რომ დაიფიქრებდა, ვერას გადაათქმევინებდა კაცი. ახლაც არ ინება ახალ ხელისუფლებასთან შემორიგება და აკი მოკლეს კიდევც.

— ბიძინავ, მანდ რას უზიხარ უქმად?! — ჩაესმა ბიძინას თავის მამის ხმა, — ადე, აი-სხი იარაღი და შური იძიე!

შური იძიეო? როგორ არ უნდოდა ბიძინას შურისძიება! ეს სიტყვა დაღვდა მის გულს. რა ცეცხლში ჩაუვარდა მისი ახალი რომანი და რა უღალბათოდ დაყირავდნენ მისი აზრები. ფიქრი ერთი ყოფილა და საქმე შორე. როგორც კაცი ფიქრობს, საქმეც ისე რომ მიემართებოდა, რაღა უნდოდა კაცობრომბას?! აყვავდებოდა და დამშვენდებოდა. სინამდვილეში კი ყოველივე წინ გველობება და ხელს გვიშლის აღმასკლაში. ვეპ, სოფელი, რამივან ხარ, რას გვაბრუნებ, რა

ზნე გჭირსა, ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადგმცა ჩემებრ სტირსა“.

„ახლა არ მაპყვე დიაცებრ ნუნუნს!“ — შემოესმა მზიას ხმა.

რალა მაინცა და, მაინც მზიამ მოსწერა, სხვა ბიძამელებიც ხომ პყავდა? თავად უთურგასაც ხომ გააწინა ქალმავებრი? მაგრამ ისინი, ალბათ, გლოვას ეძლევიან. თანაც იციან, რომ მზიასი დიდი თავაზა და სიყვარული აქვს. მზია დასავით თანშეზრდილია და სიტყვაც მეტი ეთქმის. თანაც ორივენი — ბიძინაც და მზიაც უთურგას კერაზე გაიზარდნენ და ახსოვდათ ბიძის სიამაღებლობა, რიხიც და აღერსიც. აი, ახლაც მოესმა უთურგას ხმა:

— მზიავ, რად მაინყინ? ჩემ ბალღებმ ხომ არა გავნეს?!

არა, მოკლავს, უთუოდ მოკლავს უთურგას მკვლელს! შურისმაძიებელი სხვა არა-ეინ პყავს, ბიძინას გარდა. თავს არავის და-აჩაგურებებს. არვის აფიქრებინებს, უგვარ-ტომოაო.

ბიძინა ნამოვდა. საწოლქვეშიდან ძველი ჩემოდანი გამოათრია, გახსნა და ხევისურული ტალავარი ამოიღო. ბოლოს ხანჯალი და დამბარაც ამოიღო. ჩაიცვას? არა, ასე არ იგარგებს! ჩემოდნითვე ნაიღებს და საქართველოში როცა გადავა, იქ შეიმოსება. მაგრამ ახლა ხომ მთებზე დიდი თოვლი იქნება, საით გადავა, ზეგმა რომ არ ჩაჩეხოს?!

— ზოვისა როგორ გემინია, მამაშენის შვილს? — შემოესმა დედის ხმა.

— დედი, შენც ამას მიჩვენე? მეგონა, ჩემი სიცოცხლე ძვირად გიღირდა და შენ კი...

— შერცხვნილი სიცოცხლე არად ღირს, შვილავ!

მამ, თუ ასეა, დღესვე წავა ბიძინა. დღესვე ბილეთს აიღებს და სალამოს მატარებელს გააყვება. ნაღრიკი ჩავა, გროზნოში თუ სადაც იქნება, იქიდან ავეღობ მთაბრუნებს სამშობლოში გადასვლას. თუ ლმერთს სნადია, მთებს გადააღწევს, თუ არადა, ხომ არ დასძარბავდე და ვაჟკაცობას ხომ არ მოუყვინებენ?!

— ბიძინავ, ხომ არ შატკივდა, შვილავ, კერასთან მიინი! — გაახსენდა უთურგას მობუზუნე ხმა და გულში ცრემლები ჩაეღვარა.



მამ, აღარ არის ძია უთურგა? მამ, ვე-
ლარ ეტყვის ემაგ სიტყვებს? მამ, მოკლეს
მტრებმა? მერე ბიძინა? ბიძინას რაღას
ეუნებინან? არად ჩაადგეს? ასე გამოდის
ბიძინამ ყოველივე უკან ჩაალაგა და
ჩემოდანი დაკეტა. ვაჟა, ბილეთს აიღებს და
სალამოს მატარებელს გაჰყვება უთოოდ.

– ხევესურ ვოჟ ის გახლავს, ვისაც თავს
ნაკოდ უჩნს! – შემოესმა ბენინას ხმა.

ბენინამ ხომ არ მოკლა, იმ ძაღლთა
პირმა? ან იქნებ... ჩავა და იქ შეიტყობს ყოვე-
ლივეს.

სახალხო ვაგონის ბილეთი ადვილად
იყიდა. ჩაჯდა და... ვაი, რა ცუდად ნაუხდა
ის ახალი რომანი იქ მხოლოდ შურიძიება
უნდა დაგმობილიყო, აქ კი—

ვაგონში მის წინ ლამაზი ქალი იჯდა და
ცდილობდა, საუბარში ჩაეთრია. ყოველ შე-
კითხვაზე მუხნად პასუხობდა ბიძინა და
ხოგჯერ კი სულაც ნაუყრუებდა ხოლმე.
სხვა დროს? სხვა დროს ლამაზ ქალებთან
საუბარი სიცოცხლეს ერჩია. ცა ეხსნებოდა,
როცა ლამაზ ქალს დაინახავდა. ახლა კი
რატომაც მზიას მიამგვანა ეს ქალი. როცა
დაიპარაკებდა, სხვა ქალი იყო, მაგრამ
როცა გააუზმებოდა და ბიძინა კი თვალს
მოარიდებდა, მზიად იქცეოდა ხოლმე და
შურისძიების დაჩქარებას მოითხოვდა მრის-
ხანი შუბლით.

რატომ უნდა იყოს ქვეყნად კაცისკვლა,
როცა ამისთანა მარგალიტები იბადებიან
კაცთა თვალის საამებლად და გულის გასა-
ხარად? იყავი შენთვის, გყავდეღს ლამაზი
ქალი და ისწავლე ანდა იმუშავე შენი ქვეყ-
ნის გასამშვენიერებლად. ღმერთის თავისი
სახის მსგავსი ადამიანი იმად დაუბადებია,
დედამინა რომ გაასამოთხოს. თუცა შური-
ძიებაც და სამართლიანი სისხლის აღებაც
თავად უფლის ბრძანებაა. „მაგრამ მტერს
მტრულად მოექცე, თვითონ უფალმა ბრძა-
ნაო“, – გაახსენდა ვაჟას პოემიდან.

ვაჟას არ სწამდა უაზრო შურისძიება.
ამას რიგით კაცს ათქვეყნებს და შემდეგ
უმტკიცებს, რომ უტონია ასეთი შეგონება.
ბიძინასაც ეს უნდოდა, თავის რომანში ეთ-
ქვა, თანაც ახლებურად. ვაჟას ნათქვამს არ
უნდა დამსგავსებოდა. უფრო ახალი სიტყვა
უნდა ყოფილიყო ქართულ ლიტერატურა-
ში. აქ კი... არა, არა, გადაწყდა: შური უნდა
იძიოს!

მეუთუე დღეზე უნია თავისი ქვეყნის საზ-
ღერებს ბიძინამ. ამ ხნის მანძილზე ნაწილ-
ონწყალება არ უნახავს. ღამით ძილი არ
ჰქონდა და დღისით მოსვენება. კაცის კვლის
ფიქრი ანუხებდა. ის ლამაზი ქალი
რომელიც სადგურში ჩაეკადა და მის ნა-
ცვლად ვილაც ბერტონი დედაკაცი ამოვი-

და... მაგრამ სულერთი იყო, თვალსაზრ-
სით მოარიდებდა, მაინც მზიად გადაიქცეოდა
ხოლმე და საყვდურობდა: „უთურგა მახ-
ლეს, მანდ რას უზიხარო?“

მოკლეს და მოკლავს ისიც უთურგას
მკვლელს! არ შეარჩენს, არ შეარჩენს. არა,
არა, არა... მაგრამ რითა განსხვავებდა
თავისი წინაპრებისაგან ბიძინა? ნუთუ
ლენინგრადის უნივერსიტეტში ამდენ ხანს
იმიტომ ისწავლა, რომ ბოლოს კაცის
მკვლელი გამხდარიყო? მამამისიც უაზრო
შურისძიების მსხვერპლი შეიქმნა და ბიძინა-
სიც. ნუთუ თავადაც ამ ტრადიციას ემსხვე-
რპლებდა? მერედა, ის რომანი? ვაი,
დედილაე!..

ლარსამდე გზები გაეხვეტათ და მან-
ქანები მოძრაობდნენ, ზემოთ კი, თერგის
ხეობაზე, ისეთი დიდი თოვლი იდო, არათუ
მანქანას, ცხენსაც გაუჭირდებოდა სი-
არული.

ბიძინამ ტანსაცმელი გამოიცვალა, ხე-
სურული ჩაიცვა, სატყვარი შემოიკრა, დამ-
ბანა უბეში ჩაიღო და ყინვისგან უღვამშ-
ვეტირხლული ბორძიკით შეუდგა დარიალის
აღმართებს. აქ ერთხელ ილია და გრიგოლ
ორბელიანი შეხვედრათ ერთმანეთს. ილია
თურმე აღმა მდიოდა და გრიგოლი კი დაღ-
მა ეშვებოდა. ამ გზით პუშკინსაც უმოგზაუ-
რია და ტოლსტოისაც. გორკის ხომ ფეხით
გადაუვლია ამოდენა უღელტეხილი. ეს ნმი-
ნდა ადგილია და სისხლი არ უნდა დაიღე-
აროს, მაგრამ ლერმონტოვი ხომ დუელში
მოკლეს და თვითონ პუშკინიც? უსამართლ-
ობა იყო, მაგრამ როდის იყო, სამართალს
დაექებდნენ? ხომ დაიღვარა უმანკო სისხლი
ბინძური ადამიანების გულგასახარად?!
ბინძურთა სისხლი მით უფრო არდასანდო-
ბა. მართალია, მინას შუე ლაკად დააჩნდე-
ბა, მაგრამ „ვისაც ჩვენ არ ვებრალბებით, ჩვენ
შევიბრალოთ რისადა?!”

იოფლი-იჭირვარამა ბიძინამ, სანამ გვე-
ლეთამდე მიადნეკდა. აქ მეტი ველარ შეს-
ძლო თავშესაფარი ითხოვა გზისპირა
მოსახლისაგან.

ცხელი ხინკალი მიართევს დაღლილ-
შეციებულს. ექიპიტაურიც ბლომად
ჰქონდათ. სტუმარი ღვთისააო, და არა დაი-
შურეს რა. სამოცდათხედმეტი წლის შუა-
ტანის გამხდარი და ნვერცამეტა მასპი-
ძელი თავადაც ეძაღებოდა სასმელს და
სტუმარსაც აძაღებდა.

– დაიღე. ვაბებუი. გაცეებულ იქნებოი.
ბოლოს ამ თოვლ-ყიამათში გზის შებმის
მიზეზიც ეკითხა მასპინძელმა, მაგრამ ბიძი-
ნამ არა უპასუხა რა. მარტო ის დაურთო:
სტუდენტი ვარ, სესიები დამიმთავრდა,
ჩემობა მომიხატრა და ნამოვედოი.

მასპინძელი გრძნობდა, ბიძინა რომ დიდ ტკივილს რასმე განიცდიდა, მაგრამ აღარა უთხრა რა. ეს კი იყო, დანერვილებით უამბო იმ მკვლევლობაზე, რომელიც ამას წინათ ხეცსურეთში მომხდარა.

— ბატარა ბაღს მუკლავს თემის ტოლ კაცი.

— ბაღს? — ვეღარ მოითმინა ბიძინამ და ფიზიკურებით ნაეკილა ბრაზი.

— ჰო, შეილო. მაგ ბაღლის მამასა და იმ თომასა მტრობა ჰქონიათ. მამას გაუჭეხებია და როცა ბერიკაცი საჭირო ადგილზე გასულა მოსასაქმებლად, თოფი დაუკრავს.

— რა ერთი წლისაა ბაღლი?
 — ცამეტის.

ენყინა ბიძინას. მოსისხლედ ცამეტი წლის ბიჭის მეტი რატომ არაეინ გაუჩინა მამაზეციერმა? ბაღლის სისხლში როგორ გაისვაროს ხელი? არადა, ცოდვა დაუძმომდებდა საიქიოს კარს. ან ვინლა იცის, რომ საიქიოა და სულეთის ქვეყანა? აკი კომუნისტები ამბობენ, სულაც არ არსებობს ის ქვეყანა. ვაჟა?.. ვაჟას კი სჯერა და ამბობს კიდევ, „მანამ, მარად მინამებია მუდმივ სიცოცხლედ სულისაო“, მაგრამ ვინლა უჯერებს ვაჟას? ნუთუ ვაჟა უფრო მჭკინია, ვიდრე დანარჩენი მთელი ქვეყანა? ეგ არავინ იცის. ყველას კი თავისი თავი ჰგონია ტყინით გავესილი.

წელმონყვეტილი შევიდა ყაზბეგში დალილი-დაქანცული ბიძინა. ქანცვანყვეტისგან კი არ დაირისხა, იმან მოულო ბოლო, ცამეტი წლის ბიჭს რომ მოუკლავს ბიძამისი. როგორ გამოიღოს ხელი ცამეტი წლის ბაღლზე? მერე, იმ რომანს რაღას ეტყვის, ასე დიდ იმედებს რომ ამყარებდა მის გამოქვეყნებაზე? ბნელში ნათლის სვეტად უნდა გამოჩნდესო, ვაჟას პოემებივით, და მოულოდნელად კაცის მკვლელი ხდება მისი ავტორი. ამბობენ, ერთხელ ვაჟასაც გადაუნყვეტიაო კაცის კვლა. ვამოქცეულა და თოფშემართული ჩასადრებია ვილაც ბოროტ მტყვევეს. მის მოლოდინში პირიმზე შეუნიშნავს და ალერსობა დაუნყია. იმდენი უაღერსია თურმე იმ პრანჭია პირიმზეს, თავისი დანაჭადი გადააიყინდა და უვნებლად ჩაიარა ნიშანზე დასმულმა მტყვევემ. არც ბიძინა მოკლავს! ბაღს რა მოაკვლევინებს? არ უღერის ასეთი შურისძიება! გარეუღება სადმე ნაცნობ ოჯახში და ზევეებს მოიმიზეზებს. მერე გადავა ხეცსურეთში. მანამდე ბრაზი გაივლის და შურისძიების ცუცხლი მინელდება. მინა გრილია და ადამიანსაც აგულგრილებს.

— ბიძინა, შენა? — შემოხვდა ხეცსური დათო არაბულა.
 — გამარჯობა, დავითო!

— გამარჯობა, ბიძინა! როდის ხამობხედა?

- ახლად მოვდივარ.
- ნაივდეთ კოლასთან!
- კოლა ვინლა?
- ჩემ დედიმასთან.
- ნაივდეთ.
- დალილი იქნები. პურიც გემშევა?
- „მე პურ არ მინდა, დედაო, გული შამკერია რადამე.“ — გაახსენდა.
- არა მინდა რა, კრიჭა რამ შაკრულ მაქ.
- გაიყინოვ?
- არა.

ნიკოლას სახლში მიყვანა დათო .რაბულმა, იქავ, თერგვიდურზე ბანიანი სახლი ჰქონდა ნიკოლას, რომელიც დროულად გადაეთოულა და ყველასგან გამოირჩეოდა. იქავ ძროხები უბლოდნენ ბოსლიდან და ფუნის სუნი გამოდიოდა.

უნდობდა შეხვდა ნიკოლა უცხო ახალგაზრდის გამოჩენას, მაგრამ როცა დაეითომ დადინჯებით გააცნო, მაშინლა გაეხსნა პუბლი:

— შურის საძიებლად ამოხველ რუსეთიდან? — თეითონაც სისხლში იყო გასერილი და გაუხარდა, თანამომდე რომ შეემატებოდა.

ბიძინამ არა უპასუხა რა.
 — ვაჟაკურ წეს ეგ არი, შეილო. მიპატივების პასუხად ჯორკოზე ჩამოჯდა ბიძინა და სატყეარი მუხლებშუა გაისწორა.

— ზოვები იქნება დიდ. ამ ზოვებ საით ნაუვალ? — გაიძნელა საველი ბიძინ.მ და შეეცადა მისი კილოთი ელაპარაკა.
 — ვოჯაკ ზოვს როგორ შეუმიხედვის? — გაიკვირა ნიკოლამ.

— მე გადაგაყვანა. ნაგიძლევები და გადაგიყვანა. — გამოცოცხლდა დავითო.
 — დალილი ვარ, — გამოსაველი მოძებნა ბიძინამ.

— დაისვენე და მაშინლა ნაივდეთ.
 — ჯერ პატარ პურ შექამოთ, დაიძინოს, დაისვენოს და ერთ-ორ დღეში გავგზავნოთ! — თქვა ნიკოლამ და ქრსა ნიკაპზე სამი ღერი თმა რომ ჰქონდა, ერთი მათგანი კინალამ მოინკმინტა, მერე გაბუსტული ცხვირი მოისრისა და ბიძინას მიუბრუნდა: — იქით თუ დიდი ყინებია?

— ყინეები დედიო, მაგრამ თოვლი არ არის. თოვლი აქ დამხვდა.

მხოლოდ ის ღამე გაათენა ბიძინამ ნიკოლას ოჯახში. მერე დილას სხვაგან გადაიბარგა, ხეცსურეთში გადასვლა რომ აღარ ეხესებინათ, მაგრამ დავითმა და მისმა მეგობრებმა იქაც მოძებნეს და გააგებინეს, რომ ყველაფერი მზად იყო ხეცსურ-

ეთში გადასასვლელად. სწოს ხეობაზე ავი-
ვლით, ჯუთას ავალთ და იქიდან გადავლა-
ხავთ, ჭაუხს დაბლა რომ საცალფებოა. თუ
ზვავი ჩავიტიანს, ვაეკაცობად ჩავვეთვლე-
ბაო.

დაღონდა ბიძინა, ფრიად დაღონდა. მიხვ-
და, რომ ყველას სისხლი სწყუროდა, მაგრამ
მეტე გზა არ ჰქონდა: უნდა დაჰყოლოდა მათ
ჩრქევას. არადა ჯაბნად ჩათვლიდნენ და
გონჯად მონათლავდნენ, როგორც ხევ-
სურები, ისე მოხვევნი და ამ კუთხეებში
აღარ შემოესვლევინებოდა.

— მაინც რად მოკლეს ბიძაჩემი, ხომ ვერ
მაცნობებთ? — იკითხა ხანგრძლივი დუმლის
შემდეგ.

ათასგვარი აბდაუბდა უამბეს დავითო-
მა და მისმა მეგობრებმა, მაგრამ ბიძინამ
სათანადო დასკვნა მაინც გამოიტანა:

ბოლშევიკების შემოსვლა არ გახარებია
უთურგას, თავისი ავტორიტეტი გამოუყენ-
ებია, დამყოლი კაცები აუშხედრებია და კახ-
ეთიდან გადმოსულ ქაქუცა ჩოლოყაშვილთ-
ან სდომეშია შერეთება საბჭოთა საქართვე-
ლოს წინააღმდეგ. საბჭოთა საქართველოსი
კი არა, იმ ხალხის წინააღმდეგ, ვინც ხელი
შუღყო საქართველოში საბჭოთა ხელისუ-
ფლების დამყარებას. ჩვენი ქვეყანა
დამოუკიდებელი უნდა იყოსო, როგორც ეს
უნინ ყოფილა. მართალია, ოდესღაც თურ-
ქსა, სპარსსა, მონღოლსა, ბერძენსა თუ
არაბებს მოსვენება არ მიუციათ საქართვე-
ლოსთვის და ყველას სათავისოდ
მოუნდომებია, მაგრამ საქართველო მაინც
დამოუკიდებელ ქვეყნად სცნობდა თავს და
ასეც უნდა დარჩენილიყო ბოლომდე. აჟად
თუ კარგად, ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყ-
უდნოდესო, როგორც ილიას მოხვევე მოითხ-
ოეს.

მთავრობას სცოდნია უთურგას დიდი
გავლენა და სახელი. სცოდნია, მის ერთ სი-
ტყუას რა დიდი გავლენა და მნიშვნელობა
ქონებოდა ხევსურთა გადმოსაბირებლად და
თავიანთი ერთგული წინააღმართის დაუფ-
ალეზბით მასთან მოლაპარაკება. წინობას
კი მოლაპარაკების ნაცვლად ეშმაკობა
უხმარია, თავისი ცამეტი წლის ვაჟიშვილი
გაუქმებია და, როცა უთურგა საჭირო
საქმეზე გამოსულა დამით, უკრავს თოფი
და... არა, ეს არ არის კაცობა!.. ხომ შეიძლე-
ბოდა, უთურგას მოლაპარაკებოდნენ და
სიცოცხლე არ მოესპოთ? ამით ბიძინასთ-
ვის აბალი თავსაღონ არ გაეჩინა. ის ხომ
რომანს წერდა, რომელშიც სისხლის აღება
უნდა ყოფილიყო დაგმობილი. ბოლშევიკე-
ბიც ხომ ამ აზრს იცავენ? ნავიდეს და ეახლ-
ოს ბოლშევიკებს? ხომ არ აჯობებს, დანერი-
ლებით უამბოს წინაოლას არაკაცობაზე და

გააორგულოს მისი ერთგული? მაგრამ
გაუგებენ კი? დაუჯერებენ? იქნებ თვითო-
ნევე მონაცვეს ეს საქმე და ესეც სხვებთან
ერთად ვირის ბაბანოში გამოამწყვდობენ?
მერე კი შორეულ აღმოსავლეთში ამ-
ოაყოფინონ თავი? არავინ არის სანდო ამ
დასანველ ქვეყანაში.

— მერე, მერე? — ფიქრიდან გამოერკვა
ბიძინა.

— ამ დღეებში გავემგზავრებოთ. ახალცი-
ხეს აგატარებთ. კარტუჩით ავივლით, ჯუთას
მივალთ და ხევსურეთს გადავიყვანთ. მერე
კი შენ იცი და შენმა კაცობამ!

ბიძინამ ამოიხიზრა და მატარებელში გა-
ცნობილი ლამაზი ქალი გაახსენდა. მერე კი
მზიას სიტყვები ჩაესმა ისევ: „უთურგა მახკ-
ლეს, მანდ რას უზიხარ?! არა, ნაჰყვებოთ...
გადაეა ხევსურთს, მაგრამ შურს იძიებს თუ
უსისხლოდ დაბრუნდება, ეს სხვა საკითხია.

— როდის ნავიდეთ?

— ხვალ დიას მზად დეა იყავ!

ნეტავ ეგ არ ეთქვამთ ერთი დღით მაინც
გადავლით ნასვლის ვადა. არადა, რიგიანა-
დაც ვერ მოუფიქრებია, რა მოიმიქმედოს.

მეორე დილას სწოს ხეობაზე მიდიდა
რამდენიმე ცხენოსანი. მათ შორის ბიძინა.

— ძველად აქ ყოფილა დიდი გზა, არა,
ბიძავ? — იკითხა დავითოს გასაკონად.

— დიდი გზა რა ბედენაა, თუ სიკეთეს არ
მოგვიტანს...

— სიკეთეს დანახვა უნდა. ჩვენ, ქართ-
ველები, არცერთი მეფის ერთგული არა
ვეყოფილვართ, ისტორიას რომ ვუკვირდები.
— ბიძინამ იფიქრა, ლენინგრადში არავის
გამგზავნიდა, საბჭოთა ხელისუფლებამ რომ
არ ყოფილიყო. თავადების იყო ყვე-
ლაფერი.

— მაგას რად ამბობ? — იწყინა დავითომ,

— ვახტანგ გორგასალი, აღმაშენებელი,
თამარი, ერეკლე... განა თავისი ხალხის
ერთგულებით არ იბრძოდნენ?

— იბრძოდნენ, მაგრამ... გორგასალი
ილიის ქმედანის შეჯარებით მოკლეს,
თამარს ამაზოხს უწყობდნენ. ერეკლე კი ში-
ნაურებმა გაყიდეს. თანაც ტახტის წართმე-
ვეას უპირებდნენ არავითხელ. შენ თუ
გგონია, ყველანი რიგიანადა დაფასებდნენ,
მართალი არა ხარ.

— აღმაშენებელი?

— განა აღმაშენებელს კი ცოტა ჭაბანყ-
ვეტა გადახდა შინაური შუღლის ასალგამ-
ვად? მაგასაც ისარი სტყორცნეს გულში.
მედალიონმა იხსნა. არც ყვიჩალებს ჩამოას-
ახლებდა, თავისი ხალხის იმედი რომ
ჰქონოდა.

— ეგ ყველაფერი უნივერტეტში ხომ არ
გასწავლეს?



— იქ არ უსწავლებიათ. თავად ვისწავლე- ისტორიულად რუსებმა სთხოვდნენ შემწეობას ჩვენი წინაპრები. ახლავა მიიღეს და აღარ სურვობენ. აი, როგორია ჩვენი ხალხი: „ძალღსაო ძვალთ არც ეხეროდან და არც ეთმოდან“. „აჟი ძალი არც თავად შაშქამს და არც სხვა შაშქამებს“.

— ძალღსა თათებში მოგდებულნი ძვალთ თავადვე უნდა და ცხობს არ დაუთმობს.

— თქვენ იცით. მე კი შურს ვიძიებ, მაგრამ მაგვით შორს ვერ წახვალთ.

— აბა, მაგვით წავლთ შორს, დიაცებრო ვიტიროთ და გულს ხელი ვიკრათ?

ფერდობზე გაჭრილ ზხანვრელზე ცხენებს უჭირდათ და ფეხის ოდნავი დასხლეტით ხეაფში ელოდებო ჩაჩუმებურა. მაინც არ შეშინდნენ, გული არ გაიტიხეს და მაინც ააღნიეს ჯუთას. იქ დაეთოს ბიძასთან დაისვენეს, ჩობანყაურმით დანაყრდნენ და ფიჭობურს მიეძალნენ.

— დღეს ვეღარსად წახვალთ, ბაღლო, — განაცხადა დაეთოს ბიძამ — ნვერულვამშეგანგულვამა და ლოყებდალაფეფებულვამა ბებერვამა ხევისურამა, რომელსაც ცხვირის მარჯვენა ნეტოსთან უშველებელი მეჭეჭი აჯდა. — ხვალ დიღას კი აქათ გადაივლი, არხოტს გადახვალ, იქით გადაივლი და რომკას ამოპყოფ თავსა. როგორც გენადოს, ისე ირჩიე. ოღონდ ცხენ ჩლიკი არ მიუნვდებოს. ფერხით გადასვლა გირჩევენაე მარტო.

— გამყოლ არ უნდა? — იკითხა დაეთომ.

— არა, — გადაჭრით უპასუხა ბიძამისმა, — გამყოლ არ უნდა. ისიც სისხლში ჩაჯარდების. თავად იძიოს შური.

ბიძინა მიხედა, რომ უღეთოდ განირეს კრავით უცოდველი ქაბუკი, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

მეშვიდე დღეა, თავის სოფელში დაბორილობს ბიძინა. სოფელმა იმავე დღეს შეიტყო მისი ჩამოსვლა და წამოიჯაგრა. ავად კი არა, კეთილი განზრახვით ელოდებიან, როდის იძიებს შურს ხანაქებო მისსეული.

დღე ღამდება და ღამე თენდება, მაგრამ სიკვდილი არ ჩანს. სიკვდილი, რომელიც სოფელს აუნყებს, რომ სისხლის აღების ნესი ჯერ არ მოსპობილა და კანონს არ სცნობენ. კანონი ვინც შექმნა, მათვე გამოიყენონ, როგვით ადამიანებს კი სისხლის აღების ადათ-წესის დაცვა უნდა სჩვეოდეთ. ასე იყო ძველთაგან და ასეა ახლაც. კომუნისტები კი არა, ვინც უნდა შემოვიდნენ, ამ ადათ-ჩვევას ვერ გააუქმებს საქართველოში და მით უფრო მთაში, განსაკუთრებით, ხევისურეთში. სისხლი სისხლის ნიღ.

ბიძინამ უსულგულოდ მოისმინა შხიას ალგზნებელი საუბარი უთურგას მკვლელობაზე. ეს უსულგულობა იმით იყო გამონვეული, რომ კაცის კვლა არ ენადა ბიძინას. სისხლის აღება დრომოქმულ წესად მიარჩნდა და საქმეში კანონის ჩარევას ამჯობინებდა. მართალია, არც კანონისა სჯეროდა, ნაპოლონ ბონაპარტეს შემდეგ, მაგრამ სისხლის აღება მაინც ველურ ჩვევად ეჩვენებოდა. თუმცა უთურგა... უთურგა ისე ძვირადღირებული კაცი იყო, მისი სისხლის ერთი წვეთიც კი მილიონი ღირდა.

კანონით, წინოლას შვილზე უნდა ეძია შური ბიძინას, ის იყო მკვლელი, მაგრამ იცოდა, რომ მან მხოლოდ შამის ნაქეზებით ჩაიღინა დანაშაული და არც კი იცოდა, რას იქმოდა. უმჯობესია, თავად წინოლა მოკლას ბიძინამ და არა მისი ვაჟი, რომელიც მცირეწლოვანია. თუმცა წინოლას ბინძური სისხლი სულაც ვერ ანაზღაურებს უთურგას თუნდაც ერთ წვეთ წმინდა სისხლს. მამ, რაღად მოკლას და რად დაიდვას კაცის კვლის ცოდვა?! არა, არ სურს მკვლელობა! მით უფრო წინოლას მკვლელობა არ უნდა გახდეს — იმ გერჯისა და არაკაცისა.

წინოლას ოჯახმა, როგორც კი ბიძინას ჩამოსვლა გაიგო, თავისებური თადარიგი დაიჭირა. ვაჟიშვილი ბოსელში გამოკეტეს და ვარეთ აღარ უშვებდნენ. თავად წინოლა კი შიმშირული და მხეწობამდარი ლენკოვანაქამივით დადიოდა ნათესაებებში. ნათესაებებს, თითქოს პირი შეეკრათო, არ ჰყურებდნენ და გულთ არ უსწავდნენ. მართალია, თავიანთი სისხლი და ხორცი იყო, მაგრამ უთურგას სინძინდე იმდენად ცნობილი იყო მთელს თემში, რომ სიტყვას ვერ აბრუნებდნენ წინოლას საამებლად. სისხლი დაიდო და ზღოს საკუთარი სისხლითაო. მართალია, მის სისხლში ჩვენიც ურევია, მაგრამ სხვა გზა არ არის და ვერც რით ალუფდგებოთ ნინ.

უაზროდ დაეხეტებოდა თოვლისა და ყინვამი ბიძინა. წელზე სატყვარი ეკიდა და ქამარში დაშმახა ჰქონდა გაჩრილი, მაგრამ მათი არსებობა არც ახსოვდა. ის უფრო თავის დაუმთავრებელ მოთხრობაზე ფიქრობდა, როცა ერთხელ მოსისხლის კარი გაიღო, იქიდან მკერდაგაღელი წინოლა გამოვარდა და წინ აღეშარათა:

— მამწყინდა მალეა. მამკალ, თუ კაცი ხარ!

ბიძინას თავისთავად გაეცა ხელი დამბარისკენ. დამბარამ თავისთავად მიიშვირა ლულა წინოლასკენ, სასხლეტიც თავისთავად წამოედო თითისა და თავისთავად იგრიალა. შეტორტმანდა წინოლა, მკერდიდან სისხლი გადმოედინა და გულალამა გაიშხლართა.

რა ჰქნა? ეს რა ჰქნა ბიძინამ. კაცი მოკლა! ნუთუ მართლა კაცი მოკლა? ეგებ არაკაცი, მაგრამ მაინც ადამის ძე იყო.

— შენ არა რა გიქნია, სისხლი აიღე და ცხო არაფერი. — დაამშვიდა ძალიან მახლობელმა ხმამ. ეს თითქოს თავად უთურგა იყო ანდა ბიძინას მანა.

ბიძინამ დამბაზა ისევე ქამარში ჩაიხარა და შინ აღარ წასულა, ისე გასწია ჯუთის გზით ჯერ ყაზბეგისაკენ და მერე კი, რაკი ტანსაცმელს გაშრივლიდა, საღვინეგრადოდ გაემზადებოდა.

წინაოლას მკვლელობამ რაღაც ჩანსყვიტა ბიძინას გულში. ქვეყანა შეაჯარა და ყოველივე მისთვის გაასულერათა. ის სისხლი მაინც როგორ ჭიაფრად გადმოედინა! თითქოს გველი ამოუფიქროს მკერდიდან. თითქოს გულ-ღვიძლი ამოუჭამაო იმ გველმა წინაოლას და ისე ამოქვარა. მარტო წინაოლას ამოუჭამა თუ ბიძინასაც? წინაოლას გულში თუ მკვლელი იჯდა და სიკვდილს იმსახურებდა, ბიძინაც ზომ ახლა უკვე მკვლელია?! არა ხარჯიხვია თუ თოთო ნუკრისა, კაცის მკვლელია. მართალია, წინაოლა კაცი არ იყო, მაგრამ განგებას რაკი მოლაპარაკე ორფეხად შეუქმნია, კაცად ითვლება. ასეთია დეტის ნება. ევე, ვინ იცის, რამდენი არაკაცი დაძვრება დედამინაზე და ქვეყანას კი მილიარდობით კაცი ეთვლება. ბიძინა ვისაც კაცს უწოდებს, ღმერთმა რომ უსმინოს, ერთი მილიონი კაცი არ შემორჩება დედამინას. მილიონი კი არა, არც მისი ნათადი. დახარჩენი? ნახირია, პირუტყვი, საქონელია, უფიქრელი ბრბოა, რომელთათვისაც კაცის კვლა და სადღი ერთურთის თანაბარია. ვინც ორ ფეხზე დაიარებიან და თავიანთ გაჭირვებას შეგჩივიან, განა ყველანი კაცნი არიან? უმეტესობას ქაჯი უზის გულ-გვამში. სხვა კაცის ვალია, ქაჯი განდევნოს მისი გვამიდან და არა სიცოცხლე. წინაოლას მაშინ ქაჯი ჩაუძვრა სულში, როცა უთურგა მოაკვლევინა. ჩაუძვრა და აღარ ისურვა ამოსვლა. ბიძინა კი არათუ მიეზმარა ქაჯის ამოდევნაში, დამბაჩით მოკლა ადამის ძე და მისი ქაჯი, ვინ იცის, ბიძინას რომ არ ჩაუძვრა? ამის შემდეგ როგორღა უნდა გააკეთოს კეთილი საქმე ან იმ რომანს როგორ დაამთავრებს?

ნუთუ დამთავრდა ყოველივე? არა, არ დამთავრებულა. ახალი მთავრობა შეიტყობს მამას და სიკვდილით დასჯის. მერედა, რატომ? შური რად იძიო. მამა-პაპის წესი რად დაიცავიო. მამა-პაპის წესს თუ არ დაიცავს, მამ, ვისი წესილა ინამოს კაცმა?! ამაზედა, მარჯვენა არ მასჭერ, უკვე მისდევი მა რადა?! — ეს მხოლოდ იჯახს შეეძლო გაემართლებინა. მამა-პაპათა წესი არ

დაიცვა ალუდამ და მაინც ხალხის გული მოინადირა. მართალია, თემმა უარყო და სამუდამოდ განდევნა თავისი წიაღიდან, მაგრამ ხალხმა — დღევანდელმა მკითხველმა შეიტკბო და შეიყვარა. ჯოჯოლაშაც და არღვია თემის ადათ-წესი და ხალხის საყვარელ გმირად გადაიქცა. თუმცა ჯოჯოლაშ ერთი წესი თუ დაარღვია, მეორე დაიცვა. სტუმარ-მასპინძლობის მარად უკვდავი წესი ინამა და თავადაც უკვდავებას უზიარა. ბიძინასაც მსგავსი რაღაც ენადა თავის რომანში, მაგრამ აღარ დასცალდა. ველარც დაწერს და თუნდაც დაწეროს, ის აღარ გამოუვა, რაც მას ენადა.

— ბალო, შენ მარტო მამა მოგიკლავ და შეილი კი სამზეოს დადის. — უსაყვედურა ქოსა მოხვევამ.

— განგებ არ მოვკალ. ეგებ რა კაცი დადგეს ის ბაღი და ჩვენზე უკეთ შეიტკბოს ამ ცხოვრების უკვლამართობა.

— მტერიც გინდა, რო კარგი კაც დადგეს?

— რა მტერი, რის მტერი? ისიც ქართველია. მამამ შეაცდინა და მეც მტრად გაევხბე?

— ენახოთ, რას გიზამს ის პატარა ბაღე?

— რას მიზამს? მომკლავს? მომკლას და გამათავოს!

— უარესს იზამს.

— სიკვდილზე უარესი რაღაა?

— არის.

არის. მართალია. სიკვდილზე უარესი ბევრი რამ არის და ერთ-ერთი უკვე დაემართა ბიძინას. სიკვდილზე უარეს დედშია ახლა, მაგრამ ვინ გაუგებს?.. პაი, რა მოკლე და მუხთალი ყოფილა ნუთისფელი! ბიძინამ როდის მიანიჭა სიცოცხლე, ასე ურცხვად რომ ნაპვლითა და გაააგდომ? არც წინაოლამ მიანიჭა თურგას, ასე უღმერთოდ რომ წაართვა. დააცდიდა და ღმერთი დასჯიდა, თუ დამნაშავე იყო. არის კი ღმერთი? ეგებ არც არის და თავს ეიშყულებ? კომუნისტები ამტკიცებენ, ღმერთი არ არისო, ეგებ ასეა და არ გვსურს, ვინამოთ. მაგრამ ვინ საიდან იცის, არის თუ არა? ღმერთი რომ ასეთი ადვილი სახილველი იყოს, ბაღელის სროლას დაუსწყებდნენ. ღმერთი მაღალია და მიუწვდომელი. კაცი ისწრაფვის, მაგრამ ვერაოდეს მისწვდება, რადგან, კაცი რაც უფრო მაღლა იწეხს, მით უფრო მოცი წავა ღმერთი.

— რომ არ მომკლა, რა იქნებოდა? — ამოიხობრა ბიძინამ.

— ეგ არ უნ გეთქვა!.. ჯაბან იქნებოდა მამინ. ყველა დაგცინებდა.

— ახლა?

— ეხლა ვოცაკი ხარ.
— არა ვარ ვაჭკაცი. მხდალი დიაცი ვარ! ადამიანი უნდა აზროვნებდეს და ისე მოქმედებდეს. უაზრო მოქმედება პირუტყვის საქმეა.

— პაველი, მოდიან! — სარკელში გაიხედა მასწამებელმა და შიშისგან სახე მოედრიცა.

— ვინ მოდიან? — საქმელს მიუახლოვდა ბიძინა. — ჩემს დასაჭერად წამოსულან, — ჩაილაპარაკა და გადაჭრით განაცხადა, — ცოცხალი თავით ხელთ არ ჩაგუვარდები და რაც უნდათ, ის მიქნან.

— სახბორეში დაიმალე!

— არ დავიმალეები. პირდაპირ გავალ. სამივეს მოვკლავ და აქედანვე ლენინგრადში გავიქცევი.

— დაიმალე და გაივლიან.

იქნებ მართლა გაიარონ, მაგრამ დამალვა რა კაცის ხელობაა? ხელები ასნიოს და უსიტყვოდ დანებდეს? ციხეში ჩასვამენ და დიდხანს აყურყურებენ. შეიძლება, დახვრიტონ კიდეც და ის რომანი დაუმთავრებელი დარჩება. ნავე, დაამთავრებს და თავადვე ჩაბარდება მთავრობას. უნდა დაამთავროს, რათა გაიგონ, რომ ველურობა კაცის კვლა და შურისძიება. ვერც ის ქვეყანა და ვერც ის კაცი ვერ გაიმარჯვებს, რომელიც კაცის კვლით აპირებს სამართლიანობის დამყარებას, მთა და ბარის გასწორებას. ან ვის რად უნდა გასწორებული მთა და ბარი. ქვეყნის სილამაზე მთა და ბარშია. რაც ღმერთს გაუჩენია, ასე უნდა იყოს. უფლება არა გვაქვს, ღმერთის კანონებს წინ ნავუვიდეთ.

— თუ არ დაიმალევი, გადი, გაჰხედე, თორც, ბალღებ გულ გაუხეთქევენ. — მეორე ოთახზე ანიშნა ბერიკაცმა.

— თქვენ გადით იქით და ახლავე გავეგებინებ, რომ ამ ოთახში ვარ.

— ბალღებ დამიხოცვენ ეგ ნყულები!

— გადით-მეთქი! — ბიძინამ ხელისკერით გააგდო მეორე ოთახში და დამბაჩა მოიმარჯვა. ეინრო სარკმლიდან უსწორა ერთ მილიციელს და უსულოდ დასცა ძირს.

— აქ არის! — დაიყურეს შემკრთალი ხმით და მშხანები დაყარეს კარებს.

მოულოდნელად მთელი შეიარაღებული არმია შემოვიდა ეზოში. მაინც მოასწრო ბიძინამ. მეორეს ესროლა და მეორეც მოკლა. ვაჭას ბაკური გაახსენდა. დააპირა,

კარი გაეღო და გაეარდნილიყო, მაგრამ აღარ დასცალდა. მკერდში საშიშელი ჩხელეტა იგრძნო. ხელი მიიღო და სისხლით დაუსველა. მუხლებში ღონე გამოეღია და დაბარბაცდა. მაინც მომაგრდა, კარს ურდული გამოუყარა და ჩახლულელი ხმით დაიძახა: — დაჭრილი ვარ, ნულარ ისერთი! — კარი გააღო და დამბაჩა გარეთ გადააგდო.

მილიციელები მაინც იგვიანებდნენ და ეერბედადნენ შიგნით შესვლას. ამასობაში გონი მოეცა ბიძინას. ბანზე ასაძროხს თვალი დაადგა და აძრომა დააპირა. ენერგია მოიკრიბა და შოი, საოცრებზე, ამას რას ვხედავთ, აძერა კიდეც.

— ბანზე ამბერალა! — დაიძახა იმ მილიციელმა, რომელმაც პირველმა გაბედა შიგნით შესვლა.

ყველამ ბანიდან დაურბინა.

დაჭრილმა ბიძინამ სატყეარი იმიშულა, მაგრამ უფროსის რეკოლუციურიდან ნასროლმა ტყვიამ მიაჯა ვადაუმტკრია.

— გადააგდეთ ეგ ძაღლიშვილი!

ორმა კაცმა ფეხებში ნასტაცა ხელი და თავდაყირა გადააგდო ბანიდან. თავით დაეცვა, მაგრამ მაინც არ მოკვდა. ლენინგრადული ძველი ჩემოდანი გაახსენდა, რომელშიც დაუმთავრებელი რომანი იყო.

— ახია ჩემზე, ახი! — ხრიალით აღმოხდა და პირიდან სისხლი ამოუვიდა.

ღუმელს ამჯობინებენ დღეს ხეცსურები, ბიძინას შველულობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდება. არც მხოველები იღებენ ხმას. თითქოს ყველა ტყუის ბიძინას წინაშე.

— მე მახსოვს, როგორ მოკლეს ბიძინა. ტყვიამ თავზე გადამიხუზუნა. პატარ ბალღი ვიყავ და ხიდზე გადავიდოდი. — მიყვება ერთი ნახევსურალი მოხევე, — ბანიდან რო გადააგდეს, ეგვეც დავინახე. თავის ხელი იტაცა და, ვაი, დედაო, დაიძახა.

— დედა თუ ჰყავდა?

— რად არ ეყოლებოდა? ახალგაზრდა დედა ჰყავდა. ბიძინამ ძელები მინიდან მოთხარა, ხანი რომ გავიდა, თავის სოფელში აიტანა, იქ დაფლა და ნიში აავტო. გამვლელ-გამომვლელს ავედრებდა, რომ ბიძინა უბრალო იყო. ლეთის კაცი იყო და ბოროტმა ადამიანებმა შეაცდინეს. ღმერთმა გაანათლოს, თუ გაანათლებს!



ნამი, ქვეული მარალისობად

ნოველა

პროლოგი: „ხელმოკლე დაქვითვებულ მოქალაქეთა დასაქმებისა და დახმარების ფონდი“; დამეთანხმებით, პოპულისტურად ელერს, რადგან მივეჩვიეთ იმ გარემოებას, რომ კეთილდღეობადი საქმეების უმეტესობის უკან ახგარება იმალება, სწორედ ამიტომ, ამ ფონდიდან, თუკი მისი საქმიანობა დასახელების შესაბამისი იქნებოდა, არათუ სარგებელს, არამედ დევნისა და უსიამოვნების მეტს არ მოველოდი, რაც გამართლდა კიდევაც, მაგრამ უკან არ დამიხვევია, ქალისთვის უჩვეულო სიმამაცით, ბევრჯერ რისკით ვძლევდი ძლიერთა ამა ქვეყნისათა დანოლას. მატერიალური დაინტერესება რომ მინიმალური იყო, ეს დღეისთვისაც აუხსნელი ამოცანაა ზოგიერთებისათვის და ბევრი ეჭვიც დაბადა. მაგრამ ამ ეჭვის მატარებლებს ვერ გაუგიათ და ვერც გაიგებენ, რომ მე, ბელგიის სამეფოს სრულუფლებიან მოქალაქეს, ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ფირმის ადვოკატსა და ამავე ფირმის მენეჯერის მუდღელს ფინანსური პრობლემა დიდი ხანია აღარ მანუხებს და ჩემს მშობელ ქვეყანაში იმ ხელმოცარული უცხოელებივით არ ჩამოვსულვარ, რომელთაც სახლში არაფერი გამოუდით და ამ საკანონმდებლო ვაკუუმში ცდილობენ გზის გაკვლევას.

— ადეტი, შეილო, მოგიკვდა მამა, თენდება და აღარაფერი დაგხვდება... საბნის გადაძრობა არ დაქირვებია, გაახილა თვლი, ჩაებუტა მამას, ერთი დაამთქნარა და ლოგინზე წამოვდა. გული ამოუჯდა კაცს, სურდა, რომ ბავშვს ეტარა, ეჭირვეულა, როგორც ძალითგაღვიძებული ბავშვები იქცევიან, მაგრამ ტირილი კი არა, უკმაყოფილების ნატამალსაც ვერ ამჩნევდა თავის თვალხატულა გოგოს. ცრემლი მოადგა... გულჩვილობა დასჩემდა მას შემდეგ, რაც საყვარელი მუდღელე მშობიარობას გადაყვა და სამი წელიწადია, მხოლოდ სიზმრებიდან ესაუბრება და თავის პირმშობე ზრუნვის მოუკლებლობას ევედრება.

— ჩაიცივი, მამიკო გენაცვალოს, მანამდე კი ჩაის მოგიდულებ, თონის პური დაგვრჩა და ის მიაყოლე;

ზედმეტი თხოვნა არ დასჭირვებია, ნამოდგა და ნატყუაუნდა პატარა ფეხებით, ტანსაცმელიც თვითონ მოიტანა, ჩაიცვა, თოჯინებიც გამოაწყო, თავის სათამაშო პატარა სატყევიც ჩაიხედა:

— მამიკო, ხო ლამაზი ვალ?
— კი, შენ შემოგველე, შენზე ლამაზი არავინაა ამ ქვეყანაზე! ამ სიტყვების წარმოთქმისას ბურთი მოანვა ყელში, გრძნობდა, როგორ ეჭიდებოდა თავისი პატარა გოგო წართმეულ, დაკარგულ ბავშვობას, უხაროდა და გული უკვდებოდა ერთდროულად, როცა თავისი ფერია თოჯინებთან გადაჭარბებული სერიოზულობით თამაშობდა. არა, ეს თამაში არ იყო, არამედ, საკმაოდ გააზრებული ზრუნვა, ღვთის მიერ ბოძებული დედობრივი სანყისის გამოვლენა. ეს მამასთან დამოკიდებულებაშიც ჩანდა. განა რა შექმლო ციქქნა გოგოს, მაგრამ თავისი პანანა ხელებით ხან პურის ნაჭერს მიანვდიდა მშობელს, ხან ჩაის ჩქიქს გამოულებდა. დღის ბოლოს კი, მამასთან ერთად ნახეტიალები, მასზე უფრო დალილი, მიეკრობოდა ტკიპასავით და მიეცემოდა უმფოთველ, უსიზმრო ძილს.

ღარიბული საუზმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ჩაიცვა თბილად, ჩააცვა პატარასაც, აიღო ხელში უმველებელი ჩანთა. ბოლო დროს სანარმოში მიღებული ტრანემა, რამაც შრომის უნარი დააკარგინა, სულ უფრო ახსენებდა თავს გამჭოლი ტკივილით. ახლაც გაკრა დენივით მთელ სხეულში, მაგრამ დააძალა თავს, ხელი ჩაკიდა პატარას და გაუდგინე გზას გარიჭრაჟის ბინდებუდში.

არა უშავს, კარგ დროს გამოვიდნენ, შეიძლება და პატარა სვირის ნახვა...

— მამა, აი კიდე ბოთლი, — ჩაიჭლურტულა სირინოზის ხმით ფერია და პანანინა ფანარი მიანათა გზისპირს.

— ყოჩაღ, მამიკო, შენს თვალებს ვეწაცვალე, რა მეშველებოდა უშენოდ!



თხოვნაც არ დასჭირვებია, მიცუნცუნ-
ლდა, დაინარა და ორივე ხელი ჩასჭიდა
ბოთლს, ჩარჩენილი ლუდი გადმოასხა და
დღურთა ჩანთაში.

- მამა, მეც ნამოვიღეფ, ლაჲ- შეეხე-
ენა პატარა გოგო, - შენიშნა, როგორ და-
მძიმდა ჩანთა და როგორ გაუჭირდა მა-
მას სიარული, რაკილა სულ უფრო ხში-
რად უნაცვლებდა ხელს ყავარჯენსა და
ტივრთს. სანამ პატარა ურიკა პქონდათ,
ისე არ იღლებოდა კაცი, ფერიაც მამას-
თან ერთად ექაჩებოდა ბორბლებზე შე-
მდგომ ტვირთს, მაგრამ ორი დღის წინ
ვიღაცამ ცხვირწინ ააცალათ ერთი ნაპით
მიტოვებული საზიდარი...

რომ აღარ მოეშვა ბავშვი,
იძულებული გახდა დაეტყუქსა ხმამალა.
მამისგან მალად ტონს მიუჩვეველი,
გულამოსკენით ატირდა გოგო.

ბედად, შემადქცევისგან გა-
დარჩენილი გრძელი სკამი გამოჩნდა.
ჩამოსხდნენ და მოითქვეს სული. გული
უკედებოდა კაცს, - თავისი არ ეყოფოდა,
ბავშვიც რომ დაასაქმა? მაგრამ დამტ-
ოვებელი არ ჰყავდათ და იძულებული
იყო ტკბილი ძილისთვის ნაერთშია თვალ-
ნატულა და თან ეტარებინა ლუკმაპურის
სამოწყენლად. ისიც, მამისთვის გულსაკ-
ლავი გულმოდგინებით ეხმარებოდა, მა-
სთან ერთად იმალებოდა ნაცნობის და-
ნახვისას და სახლში მოთრეული ჩანთის
დაცლასაც არ ანებებდა.

ვერა და ვერ შეჭლო ფეხის მოკიდება,
- ჯანმრთელი არ სჭირდებოდა
„რეფორმების“ მამების მიერ იავარქმნილ
ქვეყანას და ინვალიდს ხელს ვინ გაუნ-
ედიდა! ყველგან ზრდილობიანი და
თანამგრძობი უარით ისტუმრებდნენ.
ისევ და ისევ ხეტიალი პანანა თანამეშ-
ვსთან ერთად...

სხვები რომ იღვიძებენ, ისინი უკვე
შინ არიან. ჩაის ტილო უჭირავეს გოგოს და
ამმრალეებს მამის მიერ გარეცხილ ბოთ-
ლს. აბა, გაურეცხავს ხომ არ გაატანენ,
მითუმეტეს, პატივს სცემენ, - პირდაპირ
სახლში აკითხავეთ მანქანა და მიაქვს
მათი ნაღვანი. ღმერთმა უშველოს!

ხელი არ გაუნვდია არასდროს, სანამ
პირში სული ედგა, გადანყვეტილი
პქონდა, თავმოყვარეობის ფასი ესწავლ-
ებინა შვილისთვის. იმედ პქონდა, მამის
ბედი ასცდებოდა და საკუთარი თავის
თავად მიხედვის უნარი დიდ სამსახურს
გაუნედა. არც საძრახისი საქმე ჩაუდე-

ნია, მიუხედავად უკიდურესზე
უკიდურესი მდგომარეობისა.

რომ მორჩება მამის დახმარებას, სუ-
რათებიანი წიგნი აქვს, ათვლიერებს და
წიგნის გმირებთან ერთად დამოგზაურ-
ობს ზღაპრების სამყაროში. კითხვა არ
იციის, მაგრამ მამის მემკვიბოთი ზეპირად
იციის ნაბეჭდის შინაარსი. აგებს ოცნებე-
ბის კომპებს, ებმება თავგადასავლების
ორომტრიალში, ხოლო ზღაპრულ სამყ-
აროში ყოველი მოგზაურობის დასასრულს
ერთადერთი ოცნება ეუფლება: თეო-
თონაც იყოს ერთი პატარა სამეფოს
დედოფალი, რომ აღარ მოუწიოს მამიკ-
ოსთან ერთად გარეყრაჟზე ხეტიალი.

კაცმა არ იცის, რამ შეყარა იმდენი
კამეჩისტოლა ძაღლი. მშვირებს თითქოს
ორმაგი ძალა შემატოდათ. სიცვიის, ში-
მშილის, ცემის, მართლა ძაღლური ცხ-
ოვრებისგან მიყენებული ჯავრის ამოყ-
რა, ალბათ, ახლა გადანყვეტეს ერთბაშ-
ად, - გამაყრუებელი ყოფაგინასით
ეცნენ თავიანთი საფლობელოს
უნებლიე დამრღვევთ. დაფეთებულმა
მამამ ერთი-ორჯერ მარჯვედ იხმარა
ყავარჯენი, მაგრამ ცალ ხელში ბავშვით
მალე მიხვდა, რომ ვერაფერს გაანყობ-
და ოთხფეხთა მიერ მოწყობილი არმაგე-
დონის წინაშე. ძალა ნელ-ნელა ეცლებო-
და, ფეხზე დგომა უჭირდა, ნაკბენებს
არად დაეძებდა, ოღონდ ხელში
ატატებული თვალნატულა გოგო ეხსნა
როგორმე, რომელსაც ვერ კეეგო, რას
ერჩოდნენ ზღაპრებიდან კეთილად და-
ნახული ცუგები...

ძალა და არაქათი საბოლოოდ გამო-
ეცალა; შეეგუა იმ აზრს, რომ მალე
საყვარელ მეუღლესთან ერთად, ზეცი-
დან მოუღებოდა თავისი პატარას ცქერა;
ერთადერთი აზრილა ამოძრავებდა,
როგორმე გონება არ დაეკარგა და გა-
დაერჩინა ატირებული, მამას ჩაბლა-
უჭებული გოგონა.

ბოლო ძალა მოიკრიბა, ბავშვი
ასფალტზე დაანვინა და მთელი ტანით
გადაეფარა, ხელებით კი სახე დაუშალა,
რათა არა მხოლოდ ფერია, არამედ მისი
სილამაზეც გადაერჩინა...

ტიკიელმა საბოლოოდ მიატოვა, აღა-
რაფერს გრძნობდა სისხლის გუბეში
მცურავი. კაცები მოვარდნილიყვენ და
გაავებული პირუტყვები უკვე გაეყარათ.
ვიღაცამ რალაცა პკითხა, მაგრამ



არაფერი ესმოდა, ხედავდა გახსნილ ცას, საიდანაც თვალისმომჭრელი ნათელი იღვრებოდა და საოცარ სიმსუბუქეს ანიჭებდა მას. მხოლოდ ერთი ნამით, ერთადერთი ნამით შეჩერდა ზეცად მიმავალი, თვალი შეავლო შიშისაგან დაფეთებულ, მაგრამ უვნებლად გადარჩენილ პატარა ანგელოზს და სახეზე შეეყინა თბილი, კმაყოფილებით აღსავსე ღიმილი...

ეპილოგი: ცხოვრებამ ბერი რამ მასწავლა. სიძნელების გადალახვა არაა ჩემთვის უცხო, მითუმეტეს, ჩემი საქმიანობიდან, პროფესიიდან გამომდინარე, დიდი ხანია შევეჩვიე პრობლემებს და მათი დაძლევისაც აღარ მეშინია. ვგრძნობ, რომ იმ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც მე ვარ, ძალიან ძნელია ჩემი უსამართლოდ დაჩაგრვა. მეხსიერების რეგულირებაც კარგად ვისწავლე – ყველაფერ უსიამოვნო მოსაგონარს შემიძლია დავიწყების მტკერი ნავეყარო, ოღონდ არსებობს გარემოებები, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია და ასეთი ტკბილ-მწარე მოგონებებით მთელი დარჩენილი ცხოვრება უნდა გაატარო. არ ვიცი, რა ასაკიდან იწყება ბავშვის მახსოვრობის ფორმირება, მეც ეპიზოდურად მაგონდ-

ება ადრეული ასაკის ამბები, მაგრამ მაშაჩემის თბილი, შუბითა და სიყვარულით აღსავსე უკანასკნელი ღიმილი არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. დროდადრო შემახსენებს თავს ეს ნამი და მეც თავმუშუკავებლად, ბავშვივით აქვითინდები ხოლმე. მეუღლეს და შვილებს ესმით ჩემი, იციან, რომ ამ დროს მარტო მსურს ყოფნა და თუ ჩემს ახლომახლო არიან, უხმოვ და უსაყვედუროდ გადაიან ოთახიდან. მადლობელი ვარ მათი... და კიდევ ერთი უცნაური ფაქტი: არ ვიცი, ეს თვითშეგონების შედეგია თუ არა, მაგრამ მამის სიკვდილის თარიღზე, ღამე საოცარ სიზმარს ვხედავ: მიახლოვდება მამაჩემი, სახეზე ისევ ისეთი დაუვინყარი, თბილი ღიმილი აქვს გამოსახული, და, მიუხედავად იმისა, რომ მის ასაკს დიდი ხანია გადაეპიჯე, მეფერება და ქკუას მარიგებს. შორს, ისე რომ სახის გარჩევა არ შემიძლია, თავდახრილი დგას ჩემთვის უცნობი ქალი, უხმოვ მთბოვს პატივებს იმ დანაშაულზე, რომელიც მას, ვგრძნობ, არ მიუძღვის და მოახლოებას ვერ ბედავს, ისე მესიყვარულება შორიდან... ცრემლმომდგარი ვიღვიძებ, ვანთებ ორ სანთელს, გამოვიღებ ხოლმე კარადიდან მამის სახსოვრად დარჩენილ ყავარჯენს და დიდხანს, დიდხანს ვეფერები.



მანა ძიშვა

„ენა მწერლის ბალაპარია...“

მიხეილ ჯავახიშვილის ნერილები ქართული ენის შესახებ

„დამარბულ არს ენა ქართული დღემდე მორედ მოსლიესა მესისას სანამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთთან ამხილოს ამით ენითა... რამეთუ ყოველი საიდუმლო ამახსენას შინა დამარბულ არს“ - ჩვენი მორველი ნინაპრის მიერ გაცხადებული ეს მესიანისტური იდეა ნათლად მოგვანიშნებს ქართველი კაცის დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი.

ენა და სახელმწიფოებრიობა მუდამ განუყოფელი იყო ერთმანეთისაგან. ამიტომაც ასოცირდება ენასთან, მემატიაინის ცნობიერებაში, უძველესი ქართული სახელმწიფოს შექმნა:

„ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამაჲ განაგრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისა...“¹

ქართულ ენაზე აქედრებული ნირვალეცვა უფრის საძირკველს ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას. „ქართულად ფრიადი ექვეანა ალირაცებების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ვამი შეინიერვის და ლოცვათა ყოველი აღერტულებების“ - სიაშაყით აცხადებს გიორგი მერჩულე.

მამული, ენა, სარწმუნოება - ეს სამი პიოზოზი მუდამ უმაღლეს ღირებულებებს წარმოადგენდა ჩვენში: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგურჩა ჩვენ მამა-პაპათაგან, მამული, ენა და სარწმუნოება“. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოფილის ხელით არ უნდა შევიხოს“.

ბრძენკაცს უთქვამს: „ღვინის ნასახდენად ნყალია მოგონილი, ხალხის დასალოპავად - ენის გარყვნა“². ეს ქვეშაირიტება კარგად ჰქონდა შეგნებული ათასი ჯურის მომხდურს, ამიტომაც პირველი იტრინი ენაზე მიმქონდათ. საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ენამ გადაიტანა ღირსეული ბრძოლა ბერძნულ, სპარსულ, თურქულ მსოფლიოსთან. განსაკუთრებული სამიროება კი XIX ს-ში, სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ შექმნა. მართალია, ზემოხსენებულმა კულტურებმა გარკვეული დალი დააჩინეს ქართულ ენას, მაგრამ მან მაინც შესძლო თავის გადარჩენა და ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კულტურის იმ რჩეულ მოღვაწეთა ძალისხმევით მოხდა, რომელთაც დაიცვეს ერის საუნჯე.

თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიტყვის უპირველესი ქომავნი ქართველი

მწერლები იყვნენ, რომელთა შორის გამოირჩეული ადგილი მიხეილ ჯავახიშვილს უკავია.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას ნაზირებ მკითხველს, პირველ რიგში, მწერლის მხატვრული ენის სიმადრე და ხატოვანება იყრობს. ამაზე არერთხელ თქმულა და დანერილა. მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანია მ. ჯავახიშვილის თეორიული ნაზრევი ქართული ენის რაობის, მისი მოვლა-პატრონობისა და მწერლების მოვალეობის შესახებ.

მ. ჯავახიშვილი ზემინეწით ფლობდა ქართულ ენას და ღირსეულად აფასებდა მას, უმდიდრეს ენად მიაჩნდა. „მოქნილობა“, „ფერადოვნება“, „ღონე და გრივლობა“ - იმ, ქართლის დამახასიათებელი ნიშნებით - არაერთხელ აღნიშნავს კიდევ. ხშირად სიაშაყსაც ვერ ფარავდა:

„ზოგი ხალხის სალიტერატურო ენა ახლად იდგამს ფეხს, ქართულმა კი დიდი ხანია, რად დულის უმთავრესი პროცენი დაასრულა და უკვე XII ს-ში ისეთი ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა (ეფუხისტყალსანი), რომელსაც ლექსით, სინათლის, მოქნილობის, სიზუსტის და გამჭვირვალეების მზრე ვერც ერთი ეპოქა ველარ გაუთანანსორდება. ახლადველ ქართველ მკითხველს კარგად ესმის იაკო ხუცესის ქართული (მენს), გერმანელი კი საშუალო საუკუნეების გერმანულს უცხო ენასავით სწავლობს. ჩვენს პირობებში ეს მოვლენა ენის ჩამორჩენა კი არ არის, არამედ უდიდესი სიკეთა.“³

ასევე აღფრთოვანებული იყო ქართული ალფაბით:

„ექვეანაზედ არაიხსარ აქეს ქართულისთანა სრულყოფილი ალფაბეტე. ჩვენისთანა ფონეტიკური ტრანსკრიპცია მიუღწეველია სხვა ერებისთვის. ქართულთა ისე იწერება, როგორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება. ეს არის უმთავრესი თვისება და მშვენიერ ქართული ალფაბეტის.“⁴

მ. ჯავახიშვილს ისიც შესანიშნავად აქეს გათავისებული, რომ „ენა დასრულებული და სამუდამოდ ჩამოყალიბებული რამ არ არის. იგი გამუდმებით განიცდის დულისა და ცვლილებას.“⁵ მართალია, ქართულმა ენამ დიდი ხანია დაასრულა ფორმაციის მთავარი პროცენი, ნელი დული მიანიც არ შექრებულა. და „ნურცოდესმე შექრდება“⁶ - აცხადებს მწერალი, უნაიდან ეს, მისი აზრით, ენისა და ერის სიკვილის მომსახებელი იქნებოდა.

ამგვარ „დულს“ კი განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება, უნაიდან, მ.

ჯავახიშვილის აზრით, ლექსიკის ცვლილება ორი გზით ხდება: შიგნიდან და გარედან და ის პირდაპირ კავშირშია ერის განვითარებასთან: „თუ ერი ბუნებრივად და თავისუფლად ვითარდება, შიგნიით ანუ ორგანიული პროცესი, სჭარბობს გარეშეს, უცხოს. ხოლო თუ ერი თავისუფლად ვერ ვითარდება, მკეპნიკური ანუ გარეშე უჭარბობს და სჩატრავს ორგანიულს.“⁵

მწერალი იხსენებს იმ დროს, როდესაც ქართული კულტურა და ლექსიკა ბერძნულ, არაბულ, თათრულ და სპარსულ სამყაროთა ზეწოლას განიცდიდა: „მკრამ ქართულმა ყველას გაუძლო და თითქმის უცვლელად შეინახა თავისი საძირკველიც და ხასიათიც“⁶.

მიხელო ჯავახიშვილის აზრით, ყველაზე დიდი საფრთხე ენას 1801 წლიდან დაემუქრა, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა:

„იმ ხანებში XIX ს. პირველ ნახევარში - ქართულ ენას ზაფრანის ფერი დაედო, მოკრუნჩხა, მოდუნდა, თითქო დამბლა დაეცა, თითქო სიკვდილი მოეჭყვინა“⁷ - ნერს ავტორი და ტრავგედიის უმთავრეს მიზეზად ერის „მოდუნებულ სულს“ ასახელებს.

მძიმე ვითარებაში ჩავარდნილ ხალხს მხსნელი სჭირდება. ასეთ მესიად მიხელო ჯავახიშვილს ილია ჭავჭავაძე ნახებდა, რომელსაც, მისი აზრით, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ქართული ენისთვის განული ლეანლისათვის ეკუთვნის უკუდაცევის ძეგლი: „უბედალო ჯარი იშვიათად იმარჯვებს ან გამარჯვება იგვიანებს. მაგრამ ისტორია ზოგჯერ დროს მიაშველებს ხოლმე მედროშეს. საჭიროა დიდი შემოშქმედნიც, ან თავდაპირველად შემოშქმედი, რომელიც სანიშნუროდ მოსს შესოვს ეპოქისათვის. და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე. ილია ჭავჭავაძეს ერგო ამ ლაშქრის ნინამდლოლობა.“⁸

მ. ჯავახიშვილის ენისადმი მიძღვნილი წერილებიდან ერთი უმთავრესი პრობლემა იკვეთება: როგორ უნდა ეუფლებოდეთ და ეეპყრობოდეთ თანამედროვე ქართულს. ავტორი გრძნობს, რომ დღევანდელი ქართული ზრდასა და განვითარებას განიცდის, რადგან ცხოვრებაც სწრაფად ვითარდება და ენაც მის შესატყვისად ეძებს შესაფერ ლექსიკას, ტერმინებს, მაგრამ სწრაფ ზრდასთან ნაკლიც ბევრი ახლავს.

მწერალი თანამედროვე ქართულის მთავარ სიგონჯედ იმას მიიჩნევს, რომ ინტელიგენციის ენა „მოკრუნჩხა, დაიხლართა, დამშიმდა, აღარც ძველი ნათელბა მერჩა, არც გამჭირვალბა, არც მკაფიობა და მოქნილობა. რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსდა ჰყოფნის.“⁹

მ. ჯავახიშვილის აზრით, ამ უბედურებაში ლომის წილი ქართულ ინტელიგენციას უძევს, ვინაიდან „ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც

იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყენება და ლპება, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს.“¹⁰

მწერალი აცხადებს, რომ დროა მოვეშვათ ყველაფრის სხვისთვის გადაბრალებას და „ნამდვილი ბრალდებული ჩვენს თავსა და გულში ვიპოვოთ. უნდა გაათავდეს სხვის უსაბუთო მხილება და დაინყოს საკუთარი ბრალის აღიარება და ვინც ამ სამართლიან გზას ვერ დაადგება, ის ვერც ოდესმე განიკურნება.“¹¹

... და იწყება ბრალდებათა მთელი სერია. მ. ჯავახიშვილი არ ინდობს არავის, განსაკუთრებულნი სიმკაცრით კი მწერლებს უტყვის.

ენა რომ ხალხის საკუთრებაა, ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია ცნობილია. ენას ხალხი ქმნის და ასაზრდოებს. მაგრამ, ისიც უდაო ჭეშმარიტებაა, რომ სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებაში უდიდეს როლს მწერლები ასრულებენ. შეიძლება ასეც ითქვას: სალიტერატურო ენა იგივე ხალხური ენაა გადამუშავებული სიტყვის ოსტატების მიერ. იგი თავისი ბუნებით საერთოეროვნულია.

მშვენივრად ამბობს ვ.ვა. „მწერალს უპირველესად ყოვლისა, საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს, ვინაშენ ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვთქვათ, - მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“.“¹²

ასევე ფიქრობს მიხელო ჯავახიშვილიც: „ენა მწერლის ბალაზარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამუცხა ცხენსა ჰკავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიჭყვეა და ვერც დაიჭრება.“¹³

თუკი ნიჭი მწერლისათვის განმსაზღვრელია, არანაკლებ ნიჭად მიაჩნია ავტორის ენის სრულფასოვანი ფლობა: „თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმინევენი იცის ქართული, ის მუდამ აჯობებს ქართულის უცოდინარ ძლიერ მწერალს.“¹⁴

ამგვარად, ნათელია, რომ ლიტერატურულ ასპარეზზე გამარჯვებაში მ. ჯავახიშვილი ენას აკუთვნებს უმთავრეს როლს. ამასთან დაკავშირებით მწერლის კიდევ ერთ მშვენიერ გამოხატვას მოვიტანთ:

„ნაშოლური ამბობდა: ომის მოსაგებად ვერ ფულია საჭირო, მერე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისათვის ვერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“-ო.“¹⁵

მაგრამ, კარგი ქართული თავისთავად არ მოდის. ავტორის აზრით, საჭიროა განუწყვეტელი ვარჯიში, რომელიც ყოველგვარი გამარჯვების სანიშნად არია. მწერალი მუდმივად უნდა იმედინებდეს ლექსიკას და ეს უპირველესად ხალხურ ენაზე დაყრდნობით უნდა ხდებოდეს. ჭეშმარიტი მწერალი ყოველდღიურ ენობრივ უღუფას უნდა იღებდეს ლექსიკონიდან, სასულიერო ნიგნებდან და ეპოსიკონიდან - მიაჩნია მ. ჯავახიშვილს. ენის დასახვეუნად თავდაუზოგავი შრომის ცოცხალი მცალი-

თიკ ხომ თავად იყო: „გარემოებამ ორჯერ გამარუსა და ისე დამაბინჯა ქართული, რომ საყვედურად ძლივსა მესმოდა. მაგრამ როცა გადავწყვიტე მწერლობითვის შედეგად ხელი, ქართულ წიგნს შერეკდელი, ზოდზედა სამი ზაფხული გავატარე ქართლში, მივიწყებულიც აღვიდგინე და ახალიც მრავლად შევიძინე. მას აქეთ ამ სისტემას მაშინაც კი არ ვუღალატე, როცა ხანგრძლივ ჩამოვმორდი მხატვრულ პროზას.“²¹

წერილში ავტორი უნდობლობით ეკიდება ფურნალისტების ქართულს, „ღარიბია“, „მოუქნელი და ბნელია“-ო, ამიტომ ამგვარი ქართულის კითხვა-ვარჯიშობას მე მიჩვენინან ლექსიკონი და ვისრამიანი ვიკიბო“-ო.²²

წიგნი და ხალხი - ეს ის ორი წყაროა, რომელსაც მწერალი უნდა დაეფლოს იმისათვის, რომ ენის საიდუმლოებას ჩანსედეს! - ასეთია მიხილ ჯავახიშვილის დასკვნა.

განსაკუთრებული გულისტკივლით ჯავახიშვილი საუბრობს იმ მწერლებზე, რომლებიც სუსტად ფლობენ ენას. ამ თემას საგანგებოდ რამდენიმე წერილიც უძღვნა.

წერილში „ქართული ენა“ ავტორი კვლავ ახსენებს მწერლებს, რომ მათი უპირველესი მოვალეობა ენის პატრონობაა. ბოლო ეს უდიდესი მისია რომ აღსაზღვრონ, პირველ რიგში, თავად უნდა იყვნენ მისაბამი. სინამდვილეში კი რა ხდება? „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული“- აცხადებს მ. ჯავახიშვილი.

უმთავრესი უბედურება, რაც ქართველ მწერლებს სჭირთ, ავტორის აზრით, პროვინციალიზმია. თანამედროვე მწერალი აიოლად მიდის იმ „ცოდნით“, რომელიც გამოაკლდა თავისმა პროვინციამ, და მისი გმობილიც ამ პროვინციით განისაზღვრება... ამის გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ ადვილად შეიძლება ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების ადგილი... ყველა თავისი ფარგლით სწერს. და ამ ეკლურ ღრინაცელში იკარგება ის ენა, „რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა.“²³

მ. ჯავახიშვილი წინააღმდეგი არ არის პროვინციიდან შემოტანილ ცალკეულ სიტყვებშია. აღნიშნავს კიდევ, რომ ბევრი კარგი რამ მოიძებნება ჩვენს განაპირა ადგილებში²⁴,-ო, მაგრამ მისი ღრმა რწმენით, „ეს შენაკადები უნდა ჰხვდებოდეს მთავარ მფინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა უქვია.“²⁵

ავტორის აზრით, დიალექტის ხმარება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუკი მას თემმა შეესაბამება. სამგალითოდ დასახელებულია ენაგასა და ენაზგასის შემოქმედები:

„მათიას, ელგუჯას, თუ გოგოლაურს რომ ლიტერატურული ენით ელაპარაკნათ, ეს დაუშვებელიც იქნებოდა და სიყალბეც,- ისევე როგორც ბოლდ აფშონას და შილა ლუდუშაურის დიალექტით გვეწერნა. ეს თვტყუარ ტრეპტატები ან პოემები“ ასტრალურ“ ან „ურბანულ“ ქვეყანათა შესახებ.“²⁷

იმისათვის, რომ მწერალი თავის სიმალეზე დაედგეს, მ. ჯავახიშვილი აზრით, „ერთი პირობაა საჭირო: აკადემიური მუშაობა რამდენიმე ხნის განმავლობაში, რაც... მისაღები უნდა იყვეს იმათთვის, ვისაც სწამს მწერლობა, როგორც ღვაწლი და უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე.“²⁶

ამგვარ პასუხისმგებლობაზეა საუბარი წერილშიც „სალიტერატურო ქართული სათვის“, სადაც ავტორი კვლავ შეახსენებს მწერალს, რომ იგი „შოვალეა თავის ნაშუშვეარი ენის მიხედვით უნაკლად შესრულის.“²⁷

მიხილ ჯავახიშვილი იწონებს მაქსიმ გორკის ინიციატივას, რომელმაც არ დაინდო რუსი მწერლები და მათი ენის სიგონჯე გაბედულად ამილია.

დროა ხმა ჩვენც ავიმალლოთო! - აცხადებს ავტორი და დამაბინჯებელი წინააღმდეგების დემონსტრირებას ახდენს. სანიშნოდ ტიციან ტაბიძის პროზა აუღია. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ჯავახიშვილი მოტანილი ნიმუშებს თავის კომენტარსაც ურთავს. აი, რამდენიმე მაგალითი:

„ძველი წყლის ტრანსპორტის მუშა“ (ენი იყო ძველი, წყალი თუ მუშა?);

„დაწვდება გზა“ (ვერ გავიგე);
 „თხების ყველათ მოება“ (ვერც ეს გავიგე);
 „თაქვე დაეშვა ქალის წინ“ (ეს ნამდვილი თაქვე დაშვებაა ქართულისა, ქალის წინ კი პირქვე დაეშობიან)²⁸ და ა. შ. მაგალითები ბევრია და მათი ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანდა.

წერილის ბოლოს ტონი ოდნავ შებრუნებულია: უცოდველი არავინაა, მეც შაქვს შევდომები, საქმე ისაა, რომ მით ბრძოლა გამოიუცხადეთ. „შეცდომის მიხედვით მხოლოდ გულნამძევეცაა ენაზედა“-ო, - აცხადებს მწერალი.

მ. ჯავახიშვილი ენის შებღალვას არაკის პატივს, იქნება ეს მწერალი, ინტელიგენტი თუ რიგითი მოქალაქე. მწერლის განსაკუთრებულ აღმფრთხილებას იწვევს ქართულში შემოჭრილი უამრავი კუთხური სიტყვა. ეს სენი ქართულ თეატრსაც შეუჭრიო. ამ სატყუარზეა ლაპარაკი წერილში „ქართული ენა ქართულ თეატრში“.

„ქართულ თეატრში ნამდვილ ქართულ ენისა და ქართულ კილოს მაკერათ ყოველნაირ კილოკავსა და გამოთქმას გაიგონებთ. ერთი ჩონბატურული უქცევს, მეორე მორამაწულათ, მესამე ქართულური (და არა ქართულათ) და მეოთხე კიდევ რუსულათ. მაგრამ კილოს ვილა ჩივის, საანაბრო გრამატიკული კანონებიც კი არა სწამთ და ყოველ ნაბიჯზე ისეთ შეუსაბამობას ნამოსევთან ბოლმე, რომ ქართული ენის მოყვარულს ორივე თითი მუდმივ მზად უნდა ჰქონდეს ყურების დასაცობად“²⁹ - ვკითხულობთ სტატიაში.

არანაკლებ სუფთავენ ეწინააღმდეგებებიც, რომლებიც აჭრელებულია ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „ლაფტკა“, „ფლანგი“, „სირისტ“,



„ენა მწიროსი ბალაპარია...“

„ტუმანი“ და ა. შ. მამონი, როდესაც „თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლია ორი და სამი ქართული დავახევედროთ“²⁰.

ავტორი გულუსტკიევილი აღნიშნავს, რომ ენის კანონების ცოდნა საუაღლებულოდ აღარავის მიაჩნია. ენას ამახინჯებენ ყველგან - ოჯახში, ქუჩაში, დანესებულეებში. თვით სასამართლოშიც ხშირად მოისმენთ ასეთი სიტყვების „სეტყვას“. „ფეროტელი“, „ჩისტკა“, „სოკრამჩენიე“, „უბორკა“, „ბირფა ტრუდა“, „სატრუდნიკი“ და ათას სხვა გაუგებრობასა და სიგონჯესს.

დანესებულეებში იშვიათად მიიღებთ ქართულ ენაზე დასმულ შეკითხვებზე პასუხს ქართულადვე თანამშრომლების უმრავლესობამ ხიჩრანად არც ქართული იცის, არც რუსული. მათ შეტყველებას ჩვენმა წინაპრებმა მოჰკრან ყური, „ნებაყოფლობით უკანვე ჩასცვიდეღიან საფლავებში“²¹, ირონიულად შენიშნავს ავტორი.

ამგვარ არუს-ქართველ“ მოჭალაქვებს მ. ჯავახიშვილი „პიბრიდებს“ უწოდებს, რომლებიც „ქართულ ენას და კულტურას უშაღდებენ ლათინურ და ირლანდიული ენების ბედს, ე. ი. ნელ-ნელა მარბავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას - მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს.“²²

ამ უბედურებას მხოლოდ საქმის ქართულად წარმოება ვერ უშველის. „კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს სერვას და მინერ-მონერას, მაგრამ ეს ენა მიანიშნავს მკვდარი. ნუთუ ქართულსაც ასეთი ბედი მოვლის? ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკისა და ვაჟასი?“²³. „კითხულობს შემოფორთხული ავტორი და არ სურს ამის დაჯერება, ვინაიდან იმდენ კიდევ არის. ქართული ენა „ხალხის ნებაყოფლობამ, უკვდავების აღიღომ და სიცოცხლის ნყურვილმა“²⁴ შეიძლება გადაარჩინოს! - ღრმად სწამს მ. ჯავახიშვილს. ეს რწმენა სხვაგანაც არაერთხელ გამოუთქვამს: „არც ვრი ნაბდება, არც ენა დაეცე-მოა“²⁵, თუშეა იმასაც შესანიშნავად ამჩნევდა, რომ „ხიდათი მაინც არსებობს და დამრღვევი ძალაც მუშაობს.“²⁶

ამ „დამრღვევი ძალის“ წინააღმდეგ ვალაქქრებაა ნერილი - „კონსერვატორიის პოლიტიკოსები“, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა.

სტატიიდან ვიკებთ, რომ საქართველოს კონსერვატორიის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით (დეკანი რიადნოვი), სიმღერის განყოფილების პირველი ორი კლასიდან განუდევნიათ ქართული, როგორც არამუსიკალური ენა და მის წევლად შემოიღოთ იტალიური.

მ. ჯავახიშვილს ეს ფაქტი ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია და ცდილობს საზოგადოებას თვალთ აუხილოს იმ უდიდეს საშიშროებაზე, რომელიც ამ „გამოსვლის“ უკან იმალება. ამის-

ათვის კი, თავდაპირველად, მწერალი კონსერვატორიის მესვეურთა მიერ ქართულის უგულვებლყოფის ე. წ. ოციცალიწურ ვერსიას განიხილავს. ნერლიში ვკითხულობთ:

„მუსიკალობა მეტად ვრცელი ცნებაა და სუბიექტურიც, როდესაც ენის უცოდინარს უმისი უცხო საუბარი, ის ვერც კი ზედება, თუ სად თავდება ერთი სიტყვა და სად იწყება მეორე მისთვის ეს საუბარი წარმოადგენს ხმოვან და თანხმოვან ბგერათა ქაოსს და ექნებ უკვირდეს კიდევ, თუ ამ ენის საშუალებით როგორ შეიძლება აზრთა გაზიარება. მუსიკალობა შეგნებისა და შეგნების სფეროს ეკუთვნის და ტყუილად ნურავინ ეცდება, რომ აქ მხოლოდ გარკვეული ფორმულებით გადაასწავდეს კითხვა... სიმღერის განყოფილების პროფესორთა საბჭო დაეკავშირებინებ, რომ რუსული ისევე მუსიკალურია, როგორც იტალიური? და აბა სცადონ მოკვში იტალიური ენის შემოღება გერმანული უფრო მუსიკალურია, ვიდრე ქართული? აბა დაეცის-ახელონ „მატიცვემულ პროფესორებმა“ თუ იქ სამშობლო ენას უარყოფენ და იტალიურად ამღერებენ მონაფეებს. რასაკვირველია ამის დამტკიცებას ვერ შესძლებენ, რადგან ეს არ არსებობს, დარაც სხვაგან არ არსებობს, ის ჩვენში უნდა შემოიღონ.“²⁷ ანუ სხვა სიტყვებით: რუსეთსა და გერმანიას ეროვნული ჩაგვრის უღელი კისრებენ არ ადგას, ხოლო ანექსირებულ საქართველოში კი ეროვნული ფასეულობათა ნგრევა ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება.

თუმცა, მ. ჯავახიშვილი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ „ამგვარ დიპლომატიამ“ განვრთნილი ქართველების შექცევაში შეეცანა არც ისე ადვილია: „ჩვენ კარგად ვვასოსვს ათასგვარი „დიპლომატია“, რომლითაც ენას გვართმევდნენ ძველად და თუ ამ „ახალ შედაოგოცაში“ ძველი სიმღერა გავიგონოთ, ნუ დაგვტრახაბებს მომღერალი პოლიტიკოსები“²⁸ - ირონიულად შენიშნავს ავტორი და საშინელ ბრალდებას უყენებს ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ცარიზმის ველიკორუსული შოვინისტური პოლიტიკის პირდაპირ გამგრძელებლად მიიჩნევს. ამტორი „კონსერვატორიამ გატარებულ „სასიმღერო პოლიტიკას“, მ. ჯავახიშვილი „პოლიტიკურ სიმღერას“ უწოდებს და ამ „სიმღერის“ დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვს.

ჩვენის მხრით კი დავამატებთ, რომ ამგვარი „სიმღერა“ დღესაც გაისმის საქართველოში. საშავალითად ისიც იცნობება, რომ ქვეყანაში დღემდე არ არის მიღებული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ხოლო მათი კი, კისაც ეს ხელუნიფება, ისევე დიდი მიხვილ ჯავახიშვილის სიტყვებს შევახსენებდით:

ენის შენახვის „უღელი და განძი მთელი ხალხის სახიდავია. ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავის ენა კულტად გადააქციოს და მისი ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიზაბოს.“²⁹

ლიტერატურა

1. ქება და დიდება ქართულისა ენისა; „ქართული მწერლობა“, ტ. I, გვ. 47, თბ., 1987 წ.
2. ლეონტი მროველი. „ცხოვრება მეფეთა“, ქართული მწერლობა, ტ. I, გვ. 58, თბ., 1987 წ.
3. გ. მერაულე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ქართული მწერლობა, ტ. I, გვ. 591, თბ., 1987 წ.
4. ი. ჭავჭავაძე. „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ ერისთავის კაზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზე“, ნანერების სრ. კრებული ცხრა ტომად, ტ. IV, გვ. 26, თბ., 1927 წ.
5. მ. ჯავახიშვილი. „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“, გაზ. „კომუნისტი“, № 156, 6 ივლ., 1935 წ., გვ. 3.
6. მ. ჯავახიშვილი. „არც გამარტივება, არც გართულება“, რჩ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 289, თბ., 1964 წ.
7. მ. ჯავახიშვილი. „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“, რჩ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 337, თბ., 1964 წ.
8. იქვე.
9. იქვე.
10. იქვე, გვ. 338.
11. იქვე, გვ. 339.
12. იქვე, გვ. 339.
13. იქვე, გვ. 348.
14. იქვე, გვ. 355.
15. იქვე, გვ. 354.
16. იქვე.
17. ვაჟა-ფშაველა. „ნიჭიერი მწერალი“, თხზ. სრ. კრებ. ხუთ ტომად, ტ. V, გვ. 259, თბ., 1961 წ.
18. მ. ჯავახიშვილი. „როგორ ვმუშაობ“, რჩ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 391, თბ., 1964 წ.
19. იქვე, გვ. 392.
- 20-22. იქვე.
23. მ. ჯავახიშვილი. „ქართული ენა“, რჩ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 280, თბ., 1964 წ.
- 24-28. იქვე.
29. მ. ჯავახიშვილი. „სალიტერატურო ქართულისათვის“, გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ. № 99, 28 აპრილი, გვ. 3.
- 30-31. იქვე.
32. მ. ჯავახიშვილი. „ქართული ენა ქართულ თეატრში“, „საქართველოს მოამბე“, № 3, 15 ნოემბერი, 1909 წ. გვ. 4.
33. მ. ჯავახიშვილი. „ისევ ქართული ენის შესახებ“, რჩ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 285, თბ., 1964 წ.
- 34-37. იქვე, გვ. 286.
38. მ. ჯავახიშვილი. „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“, რჩ. თხზ., ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 373, თბ., 1964 წ.
39. იქვე.
40. მ. ჯავახიშვილი. „კონსერვატორიის პოლიტიკოსები“, გაზ. „ქართული სიტყვა“, № 28, 25 მაისი, 1924 წ. გვ. 1.
41. იქვე.
42. მ. ჯავახიშვილი. „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“, რჩ. თხზ. ექვს ტომად, ტ. VI, გვ. 374, თბ., 1964 წ.

თბილისი, ჩვენი ღაღათბილისი!..

ან. მ. სექტემბერს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა პასუხი ამავე გაზეთში 15 მარტს გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაზე „შენიშვნები ენციკლოპედია თბილისის“ გარშემო“. პასუხს ხელს აწერენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემო ბერიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ მისინჯაძე და ქართული ენციკლოპედის ისტორიის რედაქციის გამგე, ენციკლოპედია „თბილისის“ მუშა ჯგუფის წევრი შოთა ციციკიძე. ამ ავტორებს ნახევარი წელი დასჭირდათ, რომ შეეთხზათ უკადრისი პასუხი ჩემზე, როგორც „უნიკონურ, ცრუ და თაღლით“ ავტორზე, რაც არ უნდა ეკადრებოდეს არც მეცნიერებათა დოქტორს, არც პროფესორს, რა ნაწიელიც არ უნდა იყოს აბსოლუტურად მართებული კრიტიკით. სხვა საქმეა „მუშა ჯგუფის“ წევრი, რომლისგანაც ბოლნისელებმა გასაკვირი არ არის. ჩემს პასუხში ამ ლანძღვა-გინებას მე არ აყვები. კამათში ლანძღვა-გინებაზე გადასვლა სისუსტის უპირველესი ნიშანია. მე მხოლოდ თანმიმდევრულად ეუბან-სუბეგ ავტორთა მიერ ჩემდამი დასმულ კითხვებსა და ბრალდებებს და დაე, მკითხველმა განსაჯოს, ვის უფიციოებასთან, თაღლითობასთან და სიცრუესთან გვაქვს საქმე.

პირველი ბრალდება ჩემს მიმართ არის: „ზნეობრივად რამდენად მისაღებია, რომ გამოუცემელი ნიგნზე იბეჭდებოდეს კრიტიკული მასალა ჩვენზე თანამშრომლის მიერ“. გიპასუხებთ: უზნეობა ის იქნებოდა, მეცლია ამდენი შეგნებული „შეცდომა“ წასულიყო ნიგნში თბილისის შესახებ და მხოლოდ შემდეგ ამომელოხნა. მით უმეტეს, რა დროს? რამდენიმე სომეხმა ვაი-მეცნიერმა, რომლებსაც არაფრად ედარდებათ ქართველებთან მეგობრობა, ევროპაში გამოსცეს ყოველად თავზედფარი რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიების საქართველოში“, რომელშიც უტიფრად არის მიტაცებული თბილისისა, შესხეთ-ჯავახეთისა და სხვა რაიონების ეკლესიები, აგრეთვე რამდენიმე სომეხმა ვაი-მეცნიერმა, რუსებთან ერთად, მოსკოვში გამოცემულ „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ტომში სომხურად გამოაცხადეს თეთი ისეთი შესანიშნავი ქართული ძეგლები, როგორცაა მცხეთის ჯვარი, ანანურის მონასტერი, ციხე-სიმაგრე და მრავალი სხვა რამ. იმავე სომეხმა, ისევე და ისევე რუსების ნაქნებუნთ, ჯავახეთის, ამ ძირძველი ქართული სახელმწიფოებრიობის აკენის, ნაგლეჯის მიზნით, მისი „ავტონომია“ მოითხოვეს... აი, სწორედ ამ დროს, ჩვენიან გამოშავალ ენციკლოპედია

„თბილისში“ იბეჭდება მასალები, რომელიც უჩვეულოდ უხვად წარმოაჩენს დღეს უკვე თბილისში არარასებულ ან ყოველად უმნიშვნელო უამრავ სომხურ ეკლესიას (ქართულში კი არა, თვით სომხურ ენციკლოპედიაშიც რომ არ უნდა მიდიოდეს), ამასთან ერთად, თბილისის რიგ სხვა ნაგებობას (ხიდებს, შენობებს, უბნებს) უსწაროდ არქმევს სომხურ საბელეებს, რამდენადაც შეუძლია, ჩქმალაეს მათ ქართულობას... ერთი სიტყვით, ჩვენი მტრების ზემოაღნიშნული მცდელობის თანმხედრად მოქმედებს, მათ ნისქილზე ასხამს წყალს. აი, ყოველივე ამის გასვლისთვის უნდა მეცლია ენციკლოპედია „თბილისში“ და ეს იქნებოდა, თურმე, ზნეობრივი, ზემოაღნიშნული დოქტორების, პროფესორების და მუშა ჯგუფის წევრების აზრით. ამას გარდა, გაზეთში სტატიის გამოქვეყნებამდე ამ ყოველად დაუშვებელი „შეცდომის“ შესახებ მე მოხსენიებთი ბარათებით მივმართე ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს, ბატონ ა. საყვარელიძეს და „თბილისის“ თანაგამომცემელს, ფირმა „ჯორჯიალინგის“ განურაგლურ დირექტორს ბატონ ი. გაგუას, მაგრამ ვერ მივაღწიე რა სასურველ შედეგს, იძულებული ვაგხდები, აღნიშნული სტატია გამოქვეყნებინა „ლიტერატურულ საქართველოში“.

საბედნიეროდ, ჩემი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ბევრი რამ გასწორდა, თვით ზემოაღნიშნულმა ჩემმა ოპონენტებმაც საწარაოდ გაასწორეს თითქმის ყველაფერი და ახლა ექვსი თვის შემდეგ, მოსულიერდნენ და მუშტების ქნევა დაიწყეს.

ჩემს მიმართ დასმული შემდეგი კითხვა გამოხატულია ზემოაღნიშნულ პროფესორთა და მუშა ჯგუფის წევრის შემდეგ სტრაქონებში: „იქნებ ვადაქორიამ წარმოგივადგინოს რაიმე საბუთი, სადაც მკადათოვის კუნძულის ორბელიანის საბელი ენოდება, ვაი, რომ ვერაერს წარმოგივადგენს“. წარმოგივადგენთ, ბატონებო, ნამდვილად წარმოგივადგენთ მრავალ საბუთთაგან ერთს, მაგრამ ერთობ მრავლისმეტყველს: გთხოვთ, გადამალოთ ქართული საბუთოთა ენციკლოპედიის VI ტომის 341-ე გვერდი, მოძებნეთ სტატია „მადათოვის კუნძული“ და ამოკითხოთ შემდეგი სტრიქონები: „მადათოვის კუნძულის ძველი საბუნდოდებებია – ახალი ბალი მიედნისა და ორბელიანის კუნძული“ და როს იცოდეთ, ვინ აწერს ხელს ამ სტრაქონებს? იგივე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემო ბერიძე, ზემოაღნიშნულ კითხვას რომ მისვამს...

დიახ, „მადათოვის კუნძული“ ენციკლოპედია „თბილისში“ გადაკეთდა „ორბელიანების კუნძულად“ და ახლა მუშტების ქნევა ამის გამო სრულიად უადგილოა იმ სომხური ტოპონიმის შესანარჩუნებლად.

„მნაცაკანოვის ხიდის“ გამო ჩემი ოპონენტები პროფესორნი და მუშა ჯგუფის წევრი ჩემს ლაზილვასთან ერთად [ამ საკითხზე ავტორის მსჯელობა ნამდვილი აბაღუბდისა და სიცრუის ნაზავს წარმოადგენსო] თავს იკლავენ, რომ როგორმე კეთილშობილური ფერებით შეამკონ სომხები ვაჭრის ქმედება, მაგრამ საბოლოოდ იმაზე მეტს ვერაფერს ამბობენ, რასაც მე ვწერ, რომ მნაცაკანოვმა შეისყიდა ყოფილი „ახეთის ხიდი“, რომელიც №10 ნელს დაწვრილდა. აბა, მოუსმინეთ მათ: „მნაცაკანოვმა 21 ათას მანეთად შეისყიდა ხიდი, რომელიც კერძო მენარმეებმა ააგეს და ქალაქს აჩუქა“ (???- აბა, ჯობს ხომ ვერ ჩაიდებდა და თავის მიერ დაწვრილყო ქირით ხიდზე გავლას ხომ არ აუკრძალავდა თბილისელებს?! - მ.ვ.) მე მივმართავ ძველ და ახალგაზრდა თბილისელებს, გაუფორიანთ თუ არა ოდესმე „მნაცაკანოვის ხიდი“, რომლის ტოპონიმდაც დაშკვიდრებას ლამობენ ეს „პროფესორნი“ და ღირს თუ არა ამ გვარის თბილისში უკვდავყოფა მხოლოდ იმისთვის, რომ ვაჭარმა შეისყიდა სხვის მიერ აშენებული ხიდი, ხოლო ეს და მომდევნო მშენებელი სრულ დაიწყებას მივცით?

ჩემი ოპონენტების შემადგომი მსჯელობა და ზედ დაყოლებული ჩემი ლაზილვა ეძღვნება „თბილისში“ უმნიშვნელო სომხური ეკლესიების უხვად მიცემისა და ქართლის მიქმალვის გამართლებას.

მკითხველისათვის რომ გამეგებინებინა, თუ რა ტიპის სომხური ეკლესიები მიდიოდა ენციკლოპედია „თბილისში“, სტატიაში მე ვწერდი: „თბილისში“ ახლა მიდის აგრეთვე ტერმინები: „სურბ გეორგის ეკლესია“, „სურბ კარაპეტას ეკლესია“, „სურბ ნიშანი“, „სურბ სარქისის ეკლესია“, „ლეთისმშობლის სომხური ეკლესია“, „ვანუსი (ფაშაბანკის) ეკლესია“, „სურბ მინასის ეკლესია“ და ა.შ. და სხვა მრავალი“.

ამის გამო ჩემი ოპონენტები წყველასკრულით მიწერენ: „აქ ავტორი თაღლითობს, იგი ჩამოთვლის 10 სომხური ეკლესია და ამთავრებს - ა.შ. და სხვა მრავალი“. მკითხველი იფიქრებს 2-3 ათეული ეკლესია კიდევ ყოფილაო არა და, სულ არის 16-17 ეკლესია“.

ჯერ ერთი, მე ჩამოვთვლი არა ათ, არამედ შვიდ ეკლესიას: 1. სურბ გეორგის, 2. სურბ კარაპეტას, 3. სურბ ნიშანის, 4. სურბ სარქისის, 5. ლეთისმშობლის, 6. ვანუსი და 7. სურბ მინასის ეკლესიებს და შემდეგ რვაყოლებ „და ა.შ. და სხვა მრავალი“, რისთვისაც ჩემი დოქტორები და მუშა ჯგუფის წევრი „თაღლითს“ მიწოდებენ: „მკითხველი იფიქრებს, 2-3 ათეული ასეთი ტერმინი კიდევ ყოფილაო“.

მეორეც, ორ დოქტორს და ერთ მუშა ჯგუფის წევრს მხოლოდ ჩემი ჩამონათვალი კი

ვერ დაუთვლიათ ზუსტად (შეიძლება სომხურ ნებიათ), არამედ ენციკლოპედია „თბილისში“ თავიანთი მიცემული სომხური ეკლესიებიც. მე მივებმარებულ მათ და დაუთვლი, სულ რამდენ სომხურ ეკლესიას და მათთან განუყოფლად დაკავშირებულ ტერმინს აძლევდნენ ისინი „თბილისში“: 1. ემნიაძისნი წმ. გიორგის ეკლესია, 2. ვანუსი, 3. ზორკინანა, 4. სურბ მინასი, 5. წმ. სტეფანეს მონასტერი, 6. ლეთისმშობლის (ჯიგრაშენის) ეკლესია, 7. „შამხორცი“, 8. ძორაბაშის სურბ გეორგის, 9. ხოჯავანის, 10. ჯიგრაშენის-იბ. ლეთისმშობლის (ჯიგრაშენის) ეკლესია, 11. თუქენაშის ეკლესია, 12. კრწანისის ლეთისმშობლის ეკლესია, 13. მონღისის ლეთისმშობლის ეკლესია, 14. მონღისის წმ. გიორგის ეკლესია, 15. ნორაშენის ლეთისმშობლის ეკლესია, 16. სააკაშენის ეკლესია, 17. სურბ კეკორტის ეკლესია, 18. სურბ კარაპეტის ეკლესია, 19. სურბ ნიშანის, 20. სურბ სარქისის, 21. ქაშაანთ ეკლესია, 22. ციხედიდის სურბ გეორგის ეკლესია, 23. შიქელ მთავარანგელოზის ეკლესია, ე.ი. უკვე ორ ათეულზე მეტი, რასაც ისინი არ უშვებდნენ (მკითხველი იფიქრებს, 2-3 ათეული ასეთი ტერმინი კიდევ ყოფილაო“, ამით გარდა 24. ვაშიბ (მწიწრულობანი სომხური ეკლესიისათვის), 25. სუფსარქისი (სომხური საეკლესიო დღეხანსაული), აგრეთვე დღემდე ქართველებთან სადავო ეკლესიები, 26. ბეთლემის (ფეთხანის) მაცხოვრის შობის ეკლესია, 27. კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია, 28. წმ. ორმოცეთდა ეკლესია და ბოლოს, თუ რამ არ გამოგვრჩა, 29. სომხური მონოფიზიტური საეპისკოპოსო, სწორედ ის ტერმინი, რომელზეც ჩემი ოპონენტები მეკითხებიან: „სად, რომელ სიტყვანში ნახა ეს ზოგადი ტერმინიო“. აი, ეს 29 სომხური საეკლესიო ტერმინი (ციმორებით, თუ კიდევ რამე არ გამოგვრჩა), რომელიც ენციკლოპედია „თბილისში“ უნდა გასულიყო, ბატონებო, და მიიღებთ თითქმის ზუსტად იმ 2-3 ათეული სომხურ საეკლესიო ტერმინს, რასაც თქვენ ასე ძლიერ იცხადებთ. ვინ გამოდის თაღლითი, მე თუ ისინი, ვინც წერს: „არადა, სულ 16-17 სომხურ ეკლესიას ვაძლევდითო“ (ვითომ, ეს 16-17 სომხური ეკლესიაც ცოტა იყოს ქართული ენციკლოპედიისთვის!).

საბედნიეროდ, ენციკლოპედია „თბილისში“ ჩემი კრიტიკული განხილვის შესატყვისად გაუქმდა ბევრი ამ ტერმინთანა და ახლა ყოველ შემთხვევაში უფრო მეტი სომხური ეკლესია აღარ მიდის, ვიდრე ქართული.

ჩემთან კამათის აზარტს ატანილი ოპონენტები, ოღონდ თავი გაიმაართლონ, ჩემთან ერთად აბურჩად იგდებენ ცნობილ ქართველ ისტორიკოსს და მწერალს პლატონ იოსელიანს, აგრეთვე ცნობილ ქართველ მწერალს ალექსანდრე ორბელიანს. პლატონ იოსელიანის საპირისპიროდ მათ მოჰყავთ ვახუშტი ბატონიშვილის სტრიქონები თეიმურაზის გარდაცვალებასთან და აღავერდს და კრძალვასთან დაკავშირებით. არადა პლატონ იოსელიანის ცნო-

ბა კრწანისის ლეთისმშობლის ეკლესიაში თეიმურაზ I-ის დროებით დაკრძალვის შესახებ არაფრით ენინააღმდეგება ვახუშტი ბატონიშვილის ზემოაღნიშნულ სტრეიტინგებს. და მაინც, ეს ჩვენი ოპონენტები დაცინიით წერენ: „ეის დაუჯეროთ? ვახუშტი ბატონიშვილს თუ კომპეტენტურ პ. იოსელიანს თუ კიდევ უფრო კომპეტენტურ ვადაჭკორიას?“

როცა პლატონ იოსელიანს ასე ახსენებთ, ბატონებო, როგორც იტყვიან, თირში წყალი უნდა გამოივლით, არადა, მეფე თეიმურაზის კრწანისში დროებით დაკრძალვის ფაქტს არავითარი გადამწვევით მნიშვნელობა არა აქვს „კრწანისის ლეთისმშობლის ეკლესიის“ წარმოდგენასთან დაკავშირებით „სომხურ-გრიგორიანულად“. რას ეწერდი და ვითხოვდი მე? იმას, რომ ასე უაპელაციოდ რომ აცხადებთ კრწანისის ეკლესიას „სომხურ-გრიგორიანულად“ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, რატომ არაფერს ამბობს ქართულ სამშობლო ენციკლოპედიაში თეიმურაზ ბერიძე ნახსენებ ქართულ წმინდათაგანის ეკლესიაზე, რომელიც იმავე კრწანისში მდებარე და რატომ არ გადამოსცემს იქვე პ. იოსელიანის ცნობებს თუნდაც ასეთი ფორმით: „პლატონ იოსელიანის მონაზრებით, ეს ეკლესია თავიდან სომხურ-გრიგორიანული კი არა, მართლმადიდებლური იყო, რომ იგი, ეკლესია, ექვემდებარებოდა სიონის საკათედრო ტაძარს“, როცა სხვა სტატუტში იგი, ეს ეკტორი, ასე უხვად იყენებს პ. იოსელიანის ცნობებს ისე, რომ არც კი ახსენებს მასს? სხვათა შორის, ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, თ. ბერიძის ეს წერილი კრწანისის ეკლესიაზე საფუძვლიანად გადააკეთდა და იგი, ეს სოფელი, სულაც არ გამოიყურება სოფლად, რომელიც მხოლოდ სამშენისა იყო, და იგი კრწანისის საკათალიკოსოს სოფელიც უყოფია.

არადა, პლატონ იოსელიანის დაცინვას როგორ კადრულაობენ?

ასევე ეს ექტორები აბუზად ივდებენ ისეთ ცნობილ პიროვნებასა და მწერალს, როგორც ალექსანდრე ორბელიანი. არც შეეხება ალექსანდრე ორბელიანის ამ გადმოცემას, იგი თავის მასალას შურმარულზე გაგონილი მონაწილეებით ავრცობდნენ.

ამასთანავე, ეს დოქტორ-პროფესორები თავიანთ სტატემაში ირქობოდნენ ისენიებენ აგრეთვე ი. აბაშიძისა და რ. მეტრეველის მიერ გამოცემულ პირველ ქართულ ენციკლოპედიას, არაერთხელ დაცინიით უწოდებენ რა მას „პატრიოტულად განწყობილ ენციკლოპედიას“. ევლადფერი ყვილაფერი და, ის მაინც უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ არის ამ ქვეყნად წმინდა ცნებები, რომელთა დაცინვა კი არა, ისე ჰაიპარად ხსენებაც კი არ შეიძლება. მათ შორისაა პირველი ქართული ენციკლოპედია, რომელმაც თაობათა უსოფენ დიდი ხანუკვარი ოცნება განახორციელა!

ხშირად ეს ექტორები ამბობენ იმას, რაც მე არ მითქვამს და შეევიბიან იმას, რაც ჩემს სტატემაში სულაც არ არის.

მათ თუ დაუჯერებთ, თითქოს მე ვწერდი, რომ არტემ არარატაციანცმა გწმთავისუფლა ალა-მაჰმად ხანის ელჩი, რომელიც 11 სექტემბერს დაენია გაქვეულ პატრონს და უკან დააბრუნა იგი.

ასეთი რამ არსად მიწერია. მე ვწერ: ერეკლე II-ის მიერ დატყვევებული ელჩი, „ორი დღის შემდეგ გააპარეს ძმებმა მამანაზარებმა“. არავითარი არარატაციანი, არავითარი გამოდევნება, დანება და უკან დაბრუნება ალა-მაჰმად ხანისა.

არტემ არარატაციანთან დაკავშირებით კი მე ვწერ: „თბილისიდან გააღწია ვინმე მელიქ არარატაციანცმა, დაენია აფრულ სპარსელთა ლაშქარს, დაარწმუნა ალა-მაჰმად ხანი, ერეკლეს საოცრად მცირე ჯარი შეყავს“. ხოლო ალა-მაჰმად ხანის გაქცევაზე მე არას ვამბობ, აღენიშნავ მხოლოდ: „ალა-მაჰმად-ხანმა უკან, სპარსეთში დაბრუნება გადაწყვიტა“, სადა არის აქ ხელბარი 11 სექტემბერზე და შორს ნახულ სპარსეთის ჯარზე? რატომ ტყუიან ოპონენტები?

როგორც ისინი ამტკიცებენ, 1985 წელს დაწერილი და ახლა მიჩნეული სტატემა „თბილისის სომხურ წყაროებში“ გურამ მაისურაძეს ეკუთვნისო და მას არარატაციანი ნახსენებაც არა შეყავს. მათ, ალბათ, იმედი აქვთ, ეს სტატემა უიმედოდ დაკრეფულია და არასაც გვირდა, იმას ვიტყვი. უნდა გაუწმინდო იმედი: ეს სტატემა არსებობს. იქ სიტყვა-სიტყვით აღნიშნულია ასე: „ასაყრადღებოა, რომ თბილისის აღებისა და აოხრების შესახებ სომხურ წყაროებში დაგვამოხილა სომეხი მელიქის (არტემ არარატაციანცის) გამოცემლობა, რომელმაც ალა-მაჰმად-ხანის ჯარებს გზა გაუყვალა თბილისისაკენ“. აღნიშნულ სტატემას გაეპარალებთ და ყველა დაინტერესებულ პირს მივართმევთ, რათა შეამოწმონ, კრძოდ, ნახსენებია თუ არა იქ არტემ არარატაციანი.

ხოლო იმაზე, თუ რატომაც ასე უაზროდ ორად გახლენილი სტატემა „კრწანისის ბრძოლა“ და „ტახტახმელი ბრძოლა“, რომელიც მხოლოდ ვაიხოვია კრწანისის ომისა, რატომ აბნევენ მკითხველს და რაღა „ტახტახმელის ბრძოლაში“ წერენ სომეხი პირების ღალატზე, ამის შესახებ ჩემი ოპონენტები არაფერს ამბობენ, „მორცხვად“ დუმან.

და კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: 1985 წლის შემდეგ ბატონ გურამ მაისურაძეს აზრი შეუცვლია, მას საგანგებოდ შეუსწავლია არარატაციანის ლალატის ევრისა და მისულა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ ყოფილა მოღალატე, რადგან ალა-მაჰმად-ხანის მიერ განხორციელებული ნგრევა და ხოცვა თბილისის მას, როგორც გაჭარბათა წრის წარმომადგენელს, ხელს არ აძლევდა.

ამ არცთუ დამაჯერებელ არგუმენტზე არაფერს ვიტყვით, მხოლოდ იმას აღენიშნავთ,



რომ არც ერთი ნამდვილი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი მთელი საუუნის ვასლის შემდეგ თავს არ შეინუებდა XVIII საუკუნეში ჩადენილი და თვით სომეხი მემკვიდრეების მიერ ალი-არბული ლალტის ფაქტის ხელახლა შესწავლილი XX საუკუნეში, თუ ამას თვისტომის შეზღუდული სახელის აღდგენის ძლიერი სურვილი არ აიძულებდა.

ახლა რაც შეეხება სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომს, რომლის შესწავლის საკითხს ეს დოქტორ-პროფესორები დიდი ეჭვის ქვეშ აყენებენ და იმით ვერმუქრებიან (მე თუ მთელ ქართველ ხალხს), რომ ამ ტერმინს – „სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომს“, არათუ ენციკლოპედია „თბილისში“, არამედ ენციკლოპედია „საქართველოშიც“ არ მიეცემთო (და ამას კვლავ ჩემი ლანძღვის ფონზე აცხადებენ: უფიცი ვადაქორია მხოლოდ ა. ქუთათელის რომანის მიხედვით მსჯელობსო ამ ომზე).

აფერუმ თქვენს ქართველობას, აფერუმ თქვენს ისტორიკოსობას, აფერუმ თქვენს დოქტორ-პროფესორობას, იმას რომ ამტკიცებთ, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომზე მხოლოდ არალაც ლიტერატურა“ არსებობს და ისიც „მეშუარული ხასიათისო“. მაშასადამე, თქვენ არ იცნობთ, არც კი გაგივიათ დიდი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები – „საქართველოს საზღვრები“ და „დებოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხურ ურთიერთობაში (XIX-XX სს.)“.

ბატონი ივანე ნერს. თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას, რასაკვირველია თავისდაუნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრები თვან ვამოაფხიხლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ, მოულოდნელად საქართველოს საზღვრები გადმოლაგეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყო. ბ-ნ ჩალხუშანიის სტრატის რუსულ-სომხურ გაზეთში ამავეის ერთი თვით უწინარეს მოთავებული ცნობა, რომ სომხე-ქართველთა შორის ომია და ძლევაშოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარების მიერ აღებულ იქნებო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისთვის მოთხოვნილი საზღვრების მოხაზულობა და სატამბოლი ვაშორცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის საზღვრებშია მოთავსებული, დასასრულ, სომეხთა საომარი მოქმედების მთელი მსვლელობა სრული სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობას და ხელმძღვანელობას: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო“.

„თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკეთილებსდა მიუხედავდაც სომხ-

ეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს საზღვრების გადმოლაგვას არ დაერდნენ და ჩვენი დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად მათ მაღი მომსახურებთ შემდეგში“. ამას ბატონი ივანე 1919 წლის იანვარ-მარტში წერდა. ხოლო შემდეგ, 1925 წელს აღნიშნავდა:

„წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფრო გენერალ უორკერთა შეთანხმებით 1918 წ. დეკემბრის დამდგეს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პარით საქართველოს ულტიმატურად მოსთხოვა ქართლის საზღვრამდის დაეხია (Закарпатинские земли), და რადგან ქართლად სომხები გორის მახრასას სთვლიან, ცხადია ეს ულტიმატუმი ტფილისის დაცლასაც გულისხმობდა და, ამგვარად ეს მოთხოვნალება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიურ, ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას ლაშობდა“.

ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში (მისი რედაქტორი აკადემიკოსი ქალბატონი მარკოლორთქიანიძე) ნათქვამია: „ამგვარად, ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის მდიდარი მემკვიდრეობიდან, რომელიც თავისი შინაარსით, საკითხისადმი მცენიერული მიდგომით, ამბის პირუთენელობითა და სტილის სისადავით, შესაფერის ადგილს და იკავებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის საქმეში“.

თქვენ კი, ეს ორი დოქტორ-პროფესორი და ენციკლოპედიის ისტორიის რედაქციის გამგე ამტკიცებთ, რომ „ეს არის რალაც ლიტერატურა“, და ისიც „მეშუარული ხასიათისი?“ და იმუქრებთ კიდევაც, რომ ენციკლოპედია „თბილისში“ არაა, „საქართველოში“ აი შეიტანთ ამ ომს? და ბედავთ დამცველად დაუდგეთ სომხეთის აშკარა აგრესიას, რასაც იგი, რუსეთის ნაქვებით, დღესაც აგრძელებს სხვა ფორმებით (ჯერჯერობით) და რიგი სომეხი „მეცნიერების“ თეორიული და კისტორიული“ შესაზმადებელი მოღვაწეობით? მეტიც, თქვენ მითუტყვებდნენ შეცდომად დაუტოვეთ „სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის“ მოქმედებული ენციკლოპედია „თბილისს“.

ჩემი ოპონენტების ორიენტიაციაზე კარგად შეტყუვლებს ის ფაქტები, რომ ტერმინ-სტატიაში თბილისური „ქვიფის“ შესახებ ქართული სიტყვა ვერ მოუწახავთ და მოქვიფეებს სომხურ „ჯანუფჯანს“ ათქმევიანებდნენ, ხოლო თბილისურ ქორწილს ილუსტრაციად ურთავდნენ მხატვარ ჰაჯიბეგოვის სურათს, რომელშიც მექორწილები ზიხილპიპილოებიანი ქომბით არიან შემოსილინი...

შეგრძელებს განსაკუთრებით წარმოაჩენს ჩემი ოპონენტების ორიენტიაციას მსჯელობა ვანქისა და მთაწმინდის უბნების შედარების დროს. ისინი



წერენ: ვანქი ერთობ პირობითი უბანი არ იყო. აქ იდგა საქართველოს სოხორი რელიგიური ცენტრი - ვანქის (ფამა-ვანქის) ეკლესია. რაც შეეხება მთანმინდას, ვერ გავიგეთ, რატომ არის იგი კლასიკური ისტორიული უბანი? ეს არც კალაა, არც აბანო უბანი, არც ისანი". ე.პ. კლასიკური უბანის განმსაზღვრელად მათ მარტოოდენ სიძველე მიაჩნიათ.

ეს მსჯელობა ძალიან ნაავგავს გ. დანელიას ფილმში რუბინა-ფრუნჯისას მსჯელობას იმის შესახებ, რომ სომეხების წვალი საუკეთესოთაგანია მთელს მსოფლიოში.

თურმე ისიც საჭიროა, ამ დოქტორ-პროფესორებს განუთარგოთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულ ამ უბანში, რომელიც თბილისის ცენტრად იქცა, „იდგა“ (და დღესაც დგას!) უდიდესი მნიშვნელობის მშენებლობები და უკუნივთი, რომ აქვეა ყოველი ქართველისთვის უფრო ფასის, დიდ მოღვაწეთა პანთეონი, რომ ამ უბანში „დგას“ ოპერისა და ბალეტის სახელებითქმული თეატრი, კონსერვატორია, საკონცერტო დარბაზი, რაც მას ქართული მუსიკალური ცენტრის მნიშვნელობას ანიჭებს, რომ აქვე „დგას“ მსოფლიოში ცნობილი რუსთაველის თეატრი, რომ აქ „იდგა“ კავკასიის მმართველი მეფის ნაცვალის სასახლე, რომელიც ახლა ჩვენს მოზარდთა აღზრდის ცენტრია, რომ აქ „დგას“ პარლამენტისა და მთავრობის სასახლეები და თბილისის მერია, „დგას“ აკადემია ანუ საქართველოს სამეცნიერო ცენტრი, აღმართულია უნიკალური ფუნქიკულირი, მდებარეობს რუსთაველის უმეცნიერესი პროსპექტი, უზენაესი სასამართლო და ა.შ. და სხვა მრავალი. და, ალბათ, ისიც უნდა შევავებინოთ მათ, რომ ეს ყველაფერი ცალცალკე თუ ერთად აღებული ქვემარტივი ქართველისთვის შეუდარებელს ხდის ნებისმიერ სხვა „ცენტრთან“ - თამა-ვანქა, აელაბარ-ისახანთან.

გთხოვთ, დაუკვირდეთ ჩემი ოპონენტების დასკვნით მსჯელობას: არ უნდა დავიფიქროთ, რომ სომეხები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ... თბილისში თითქმის ქალაქის დაარსებიდანვე, დიდი ღვაწლი დასდევს მის აღმშენებლობას, ეკონომიკას, კულტურას..."

აქ იმ ზოგიერთი სომეხის მთელი პრეტენზიებიც გათავისებული ჩვენს ოპონენტთა მიერ: ვითომც ცუდი იქნებოდა, რომ აქ არ ცხოვროვოთ, ვითომც „თითქმის“ მათ დააარსეს ჩვენი დედაქალაქი, ვითომც უმათოდ ქალაქი ვერ ამშენებოდა, ეკონომიკა და კულტურა არ განვითარდებოდა...

სომეხებს აქვთ საკუთარი მაღალი კულტურა, მაგრამ მას არ მოუხდენია რაიმე

გავლენა ქართულ კულტურაზე - სიტყვიერებაზე, მუსიკაზე, ქორეოგრაფიაზე, თეატრზე, კინოზე, სპორტზე.

საქმის სრულ უყოფინრობას ავლენენ ჩვენი ოპონენტები, როცა უაპელაციოდ აცხადებენ: „რა იცის ვადაჭკორიან მენციკლოპედია საქართველოს“ სიტყვანში რა არის? თუ მას სიტყვანი ის პკონია, რედაქციაში რომ უდევს, ძალიან შემეცდარა. ისტორიის რედაქციის სიტყვანი არის... კიდევ ასობით ტერმინი, რომელიც მის სიტყვანში არ არის".

ეს არის ენციკლოპედიურ საქმეში, მეტი რომ არ ვთქვათ, დილტანტების მსჯელობა, სიტყვანის რედაქცია არის ის რგოლი ენციკლოპედიაში, სადაც ყველა დარგობრივი რედაქციიდან პატისინად და დროულად უნდა შემოდიოდეს ტერმინად გასართიანებლად, რასაც თავის ტექნოლოგია აქვს. ყველა დარგში რომ ასობით ტერმინი“ გადაშალოს და სიტყვანის რედაქციამ „არ იცოდეს“ რა არის ამა თუ იმ დარგის „ავტონომიურ“ სიტყვანში, ასე საქმე არ გამოვა. ალბათ, ამიტომაც, რომ ისტორიის რედაქციის ენციკლოპედია „თბილისის“ სიტყვანში, მისი შედგენის შემდეგ, რედაქცია მართლაცდა „ასობით“ ტერმინის ამატებდა და ამატებდა ყოველკვირულად თუ არა, თვეში ერთხელ მაინც, თუ როგორ მოქმედებს ეს გარემოება ისედაც შემჭიდროებულ ვადებში მოსაშაზადებელი ტომის შედგენის პროცესზე, ადვილი ნარმოსადგენია. თურმე, „საქართველოს“ მორიგი ტომების გამოცემასაც იგივე საფრთხე ემუქრება...

და, ბოლოს, არ შეიძლება არ შევეხო იმას, რომ ეს ჩემი ოპონენტები დაფინებით მხარალებენ სომეხთმოდულეობას. ეს არის მტნარი სიცრუე! ახლგაზრდობიდანვე და ახლაც მე ყოველთვის მყავდა მეგობრები სომეხთა შორის. დღესაც ნამდვილი მეგობრობა მაკავშირებს სომეხთან, რომელთანაც შემოქმედებით თანამშრომლობა მაქვს. და, საერთოდ, როგორ შეიძლება გატლდეს მეზობელი, თანაც შენსავე ბედში მყოფი, რომელიც შენს სიხარულსა და ჭირ-ვარაშს იხიარებს? მავრამ ლაპარაკია კეთილ მეზობლებზე, ვინც მამად მიგაჩნია და ვისაც აგრეთვე მამად ვგულები. საქმეს აფუჭებენ ერთეულები, ქვენა გრძნობებით შეპყრობილი, რომლებსაც შენი კარგი ანუხებთ და მის მიტაცებას ეწნარაფვიან, რომელიც ბოროტად გედავებთან ეწნის სისხლობრიველში, ნამგვარში, რამიც სული გაქვს ჩაქსოვილი, თანაც სრულიად უსაფუძელოდ, უტიფრად, შეურაცხადად. მეც მხოლოდ ასეთებს ვეხები, რომელიც ჩვენს მეზობლობას, სიყვარულს და მშობას სიხარბისა და ავისმოსურნეობის ქარს ატანენ.

დრო არსებობაა

როდესაც ჟურნალისტებმა სთხოვეს ა. აინშტაინს ორი წინადადებით ეთქვა თავისი აღმორჩინის შესახებ (რაც არც თუ ისე ადვილი იყო), ა. აინშტაინმა უპასუხა ერთი წინადადებით: „მე შევეცადე და შემტკიცებინა, რომ თუ არ იქნებოდა გარემომცველი სავნები, არ იქნება არც დრო და არც სივრცე“ო. ე. ი. დროსა და სივრცეს აზრი და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სავნებთან მიმართებაში. ფიზიკური დროსაგან განსხვავებით, ადამიანის საკუთარი დრო ანუ დრო განცდაში მოცემული, არ შეიძლება გამოიღოს იქნას. ყველას თავისი საკუთარი დრო აქვს არსებობისა, ადამიანები თავად ქმნიან საკუთარ დროს, თავიანთი არსებობის გამოართლებას; მაგრამ ქმნიან სხვადასხვა გზით და ფორმით: სიკეთის ქმედებით, გონიერებით თუ სულის გამძვინვარებით. დრო ქმნადობა სულის სრულყოფისა და არა გამძვინვარება საკუთარი სულისა, არა „დაწყვეტილი კაცის მდგომარეობა“, როგორც ამას სიორენ კორკეგორი შენიშნავდა.

ადამიანის საკუთარი დრო არ არსებობს დამოუკიდებლად ადამიანებისაგან. ეგზისტენციალისტები დროს განიხილავენ, როგორც ადამიანის არსებობის მართიად დამახასიათებელს. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ადამიანის არსებობა და მისი საკუთარი დრო ერთმანეთს ეთხზევა. ადამიანის არსებობის დრო მასთან ერთად კვდება, რძებთან უსიციოებლო სავნები, ისინი ხომ ადამიანზე უფრო დიდხანს არსებობენ (უილსონის ერთ-ერთი რომანის გმირი ქალის ავიაკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ, ნახულობენ მის ძვირფას ტყვიის ჩანთას, ჩანთა გადარჩა... «Моя сунд нежданно» - წერს ბროდელკი თავის ერთ ლექსში).

ისტორიული და სუბიექტური დრო ანუ განცდის დრო თავისებურად თანაარსებობს ლიტერატურაში. კრძოდ: ეხედებით ცალკეული ფაქტების, მოვლენების გამოყოფას, გამოცალკევებას საერთო დროიდან და ამით, თუ შეიძლება ითქვას, „ჩასმას“, „დამაგრებას“ მხატვრული ნაწარმოების სივრცეში. მწერალი იყენებს დროს ან შეუქმნული ან განერკობითი სახით. იგი ხშირად პროტესტს უცხადებს ისტორიულ დროს; მისთვის მთავარია წარსულის აღდგენის მცდელობა, რომლის გარკვეული ეტაპები მისთვის ადგილი აქვს დროში ნახტომებს, რომელთა შესახებ თ. მანი აღნიშნავდა, რომ ეს ნახტომები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს.

მხატვრულ ნაწარმოებში წამი შეიძლება გრძელდებოდეს საკმაოდ დიდხანს. რონალდ

ხარვუდის ნაწარმოების „ერთიანი ჩრდილები“-ს გმირის ჯორჯის უძილობის დრო საოცრად ხანგრძლივია. გადის წლები, სანამ მე დავიძინებო - ამბობს ჯორჯი. მუჰამედის შესახებ ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ალათიან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ დაბრუნებულმა მუჰამედმა აღმოაჩინა, რომ მისი საწოლი ჯერ კიდევ თბილი იყო, და დოქი, რომელიც მან წასვლის წინ ნააქცია, არ იყო დაცლილი. შესეს გმირი, რომელიც არის ტყეში გაჩვევითი, გრძნობს რომ მისთვის აქ დრო გაჩერებულია.

გოეთეს ფაუსტის არსებობის დრო ძიება პირველსაწყისისა, მოთხოვნა უდება სამყაროს საიდუმლოთა შემეცნებისა ერთბაშად. სულის მიყიდვა მეფისტოფელისადმი ხომ საკუთარი დროის ძიებაა. ფაუსტს არ სურს ვაგნერისამებრ იყოს მხოლოდ „მატლი ნივნისა“. ეს არის მეტად მომხიბვლელი და მტკივნეული დრო - დრო ფაუსტის არსებობისა.

რიჩარდ ბახის თოლის - გონათღს ლეინგსტონის დრო - ეს სწრაფვაა სიმაღლისაკენ; ფრენის სიმაღლე, სისწრაფე მისთვის არსებობის მიზანია, მშვენიერებაა, სიამოვნების განცდის დროა, რადაც საოცრად დიდი, რაც გაუგებარია სხვა თოლიებისთვის.

მწერად გადაქცეული კაფკას გმირი შიშს შეუპყრია: ვითუ ვერ შეამჩნირო და გასარსონ. მას თითქოს თავისი მომავალი უშუშეკრობა უფრო აწუხებს, ვიდრე მწერად ყოფნა; სამსახურში დაიგვიანებს, რას ეტყვის პატრონს, დაითხოვენ. მისი დრო შიშის დროა.

კობე აბეს ნაწარმოების - „ქალი ქვიშაში“ - გმირის არსებობის დრო არის ხანგრძლივი და საშინი მცდელობა, როგორმე თავი დააღწიოს ჯოჯობეთურ ტყვეობას.

ეგ ზუპტეის პატარა უფლისწულის დრო აღსაესა მიშით: არ შეჭამოს ბატკანმა მისი ყვავილი, და თუ შეჭამა, მაშინ ჩაქრება მისთვის ყველა ვარსკვლავი.

მარკესის რომანი, მარტოობის ასი წელი“-ს გმირებისათვის დრო თითქოს გაჩერებულია, წრეშია ჩაკეტილი, მათი საკუთარი დრო სიმარტოტევა. მარკესის გმირს - მოხუც პოლკოვნიკს დრო მოლოდინად გადაქცევიდა - წერილის მიღების მოლოდინად; ნუთუ ყველამ დაივიწყა? იქნებ ვინმემ გაიხსენოს? მისი მოლოდინი ერთდროულად ტკივილიც არის და იმედიც.

მეტად უცნაურია დაზრდინის ფილმის „ტარტაროს უდაბნოს“ გმირების (სახეებდროების) არსებობა უდაბნოში, მათი მოლოდინი ისინი ოცნებობენ, რაც შეიძლება მალე მოვიდეს მტერი (თუმცა ისიც უკიდრია, თუ ვინ არის



იგი), სისხლისღვრა მონატრებიათ; აუადმყოფური მოლოდინი მათ აბსურდულ ყოფად ქცეულა.

როგორი სიძულელით აღესილან სამუელ ბექეტის პიესის („კლოს მოლოდინში“) გმირები ერთმანეთის მიმართ, მაგრამ მაინც ერთად არიან მარტოობის შიშით ერთმანეთს გადაჯაჭვულნი. მათი არსებობა მარტოობის შიშით, ყოველდღიურობის უაზრო განმეორებაა; იგი მტანჯველი მოლოდინია ვინმე გოდოს (მხსნელის) მოსვლისა. მაინც ვინაა გოდო? იქნებ სახელი უმღებიათ? თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია იგი მოვიდეს, იხსნას ისინი მარტოობის შიშისაგან, ფეხზე წამოაყენოს შინაზე მხოხავი ვლადიმირი და ესტრატონი. „ათუთ ყველაფერის უღელმე დაეკარგეთ, ველარც კი გაგვიცინია!“ მათ იცინა, რომ „ეს საშინელი დანაკლისია“. არა და ისინი ხომ ადამიანები არიან. „ჩვენ ხომ ადამიანები ვართ“ – ამბობენ, და უღელმედიან ვინმე გოდოს, თავიანთ მხსნელს.

მაგრამ რა არის მოლოდინი? მარტინ ჰაიდეგერს ნერდა: „მოლოდინს უყვე იმთავითვე გახსნილი უნდა შექნებდეს ის პოზიციონტი და გარემო, რომლისგანაც რალაცის მოლოდინი შეიძლება (მ. ჰაიდეგერი – „ყოფიერება და დრო“, გვ. 502). ისე საოცარი სიტყვაა „მოლოდინი“. მას უფრო დიდი დატვირთვა აქვს, ვიდრე სიტყვა „ლოდინი“. სიტყვა „ლოდინი“ შეტად აბსტრაქტულია, ნაკლებად იმედიანია. მოლოდინი ხომ ჩვენს ცენ სვლას ნიშნავს, იგი მოსვლის ნიშნით მნიშვნელობას.

ჩემი ყოფა დუმილიაო – წერს ბერგმანის ფილმის „პერსონას“ გმირი თავის მეგობარს. დრო დუმილად ქცეულა მისთვის. მისი დუმილი თავისებური პროტესტია თავისი თავისადმი, გულცივიობისადმი საკუთარი შეილის მიმართ.

ფრანგული ფილმის – „შიშის საფასური“ – გმირის დრო მთლიანად ანწყობია მიქცეული. დრო აქ შიშის განცდის ნიშნით განიცდება. გმირს უნდა კედევ თავი დააღწიოს შიშის დროს წარსული მისთვის თითქმის არ არსებობს. მომავლის იმედი კი მხოლოდ ანმიერ გაიჯღვებს და უშაღვე ქრება. შეტად ხანგრძლივია გმირის შიშის დრო, იგი თავისი სიძლიერით მაყურებელსაც საკუთარ დროდ განაცდევინებს.

ბერგმანის ფილმის – „მარწყვის მელი“ -ს გმირი, დოქტორი ბორგი უყურებს ქუჩის საათს, მას ისრულად არა აქვს. როგორ? უსრო საათი? ან იმ ოქროს საათს აქვს ისრები, დედამის რომ სურს ანუქოს ბორგს. „რა მნიშვნელობა აქვს ისრებს – ამბობს დედა, და მართლაც, ბორგისათვის ანმყო ხომ მთლად მოგონებამა ჩაძირული. მოგონებაა მისი ანმყო, მოგონება კი საათს არ საჭიროებს: იგი თავადაა დრო. მოხუცი დედის მოგონება კი, სხვა არაფერია, თუ არა ყუთში ლამაზად ჩანყობილი ვარდაც-ვლილი შეილების სათამაშოები. დედა ახლაც მისალოც ნერილებს უგზავნის თავის შეილებს.

პრუსტის გმირები არსებობის დაკარგულ დროს ეძებენ, მესხიერებით ავსებენ გახლეჩილ

დროს. მესხიერების დრო არის პრუსტისა და მდელი საკუთარი დრო, მოგონება ფარავს ანმყოს. ბატონ სევანს მისთვის უცნობი კომპოზიტორის სონატაზე მისმინლმა ერთმა ნაწვეტმა მოაგონა ერთ დროს ქუჩაში ნანახი მშვენიერი მანდილოსანი, რომელმაც მოხიზლა, და იმ, ბატონი სევანი ახლა თვალნათლევ ხედავს მას, თითქოს მის გვერდით დგას. სევანი ბედნიერია, იგი თავის მოგონებამა შეყვარებულა.

„კომბრე“-ს გმირი იგონებს: როდესაც მან მოსვა ერთი ყლუმი ჩაი და ერთ დროს ვასინჯულ ნამჭეხარს მიადო ტუჩები, იგრძნო ნაცნობი სუნი თითქოს ჩაის ჭურჭლიდან ამოტივტივია კომბრე თავისი შემოგარებით, მოედნით, ბაღებით, მლაზიებით, წარსულის მოგონებამ მოიცვა იგი, მესხიერება სასიამოვნოდ სუნთქავდა მასში.

თომას ვულფი რომანში „დროისა და მდინარის ამბავი“ არაჩვეულებრივი სითბოთი აგონებს თავის გმირს წარსულს. „და ახლა იქ, პატარა მოედანზე ვაუცოცხლდა ის ჯადოსნური სამყარო, ძველ ფრანგულ ქალაქში... დაკარგული სახეები დაუბრუნდა და გული გავესო დროის იდეუმალებით, მილიონსახიანი დროისა, რომელიც მუდამ თან გვედევს ჩვენს წუთისოფელში“. „სიცოცხლე ბგერი დედა, დლიდან დღემდე...“ საკუთარ არსებობაში დავიარებით“ – ამბობს ჯეიმს ჯოისი. სტივენის მონოლოგი სხვა არაფერია, თუ არა არაცნობიერის, შემთხვევითი ასოციაციების უწყვეტი ნაკადი. „ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს, ახლაც აფენს საკუთარ ჩრდილს...“ „მომავალი, წარსულის ორეული, შემოიღია დავიანობა საკუთარი თავი, ანარეკლი იმისა, რაც მამის ექნები“ (ჯ. ჯოისი – „ულისე“, გვ. 202).

ფოლკნერისათვის დრო მოცივნების, მესხიერების დროა, არსებობს მხოლოდ „არის“ და არა ის, რაც „ყო“. მაგრამ რა არის ის, რაც „არის“ ქვენტინისათვის „არის“ ეს ისაა, რაც „ყო“ წარსულში. იყო ოჯახის უბედურება, რაც მისთვის საშინელ მოგონებად განიცდება, რომელიც ანმყოშიც მოქმედებს. ეს „ყო“ დამლუპველია ფოლკნერის გმირებისათვის (ჯანსხვავებით პრუსტისაგან) თუთ სიტყვა „ყო“ ფოლკნერისათვის ყველაზე სვეტიანი სიტყვაა. ქვენტინისათვის საკუთარი დრო სხვა არაფერია, თუ არა ყოველდღიური სიკვდილი, რომელიც მას ასე შეყვარებია და თვითმკვლელობაც ლოგიკური შედეგია დროის სისასტიკისა.

შეტად მნიშვნელოვანია ქვენტინის შეკითხვა მესაათესადმი: „ვაქეთ კისიეთი საათი ამდენ საათებში, რომელიც სწორად აჩვენებს დროს? მესაათე შეკითხვამ არ პასუხობს. ქვენტინის მამა კი შენდგომ იტყვის: „ყველა საათი თავის დროს უჩვენებს“.

კავაბატასთან წარსული და ანმყო არსებობენ ერთდროულად, და როგორც კავაბატა წერს, მას, განსხვავებით ფოლკნერისა-

გან, ჯოისისა და პრუსტისაგან, არ ახასიათებს ასოციაციების გაცრა. მისთვის მთავარია არატრადიციული მუხტი.

ა. კამიუსათვის მთავარია შეიცნო ანმყო, თუ აღამიანმა თავისი ანმყო შეიცნო, ეს იმას ნიშნავს, სხვას არაფერს უნდა ელოდეს. ტიპესაში მცირედ ჩასვლისას ა. კამიუს უთქვამს: „საჭირო იყო ხელუხლებლად შემომენახა განცდათა სიახლე... ამ ცის მოგონება არასოდეს დამიკარგავს“.

პირადად ჩემთვის ანმყო საოცრად დიდია, უსაზღვროა. იგი მდიდარია ნარსულის მოგონებებით, რაც ცნობიერების არეში მოხვედრილა ცნობიერად თუ არაცნობიერად, დაღუქილა და შემდგომ ამოტივტივებულა ანმყოში განსხვავებული სიძლიერით. მაინც რატომ იყურება ადამიანი ნარსულისაკენ? ალბათ იმიტომ, რომ ანმყო მას ხშირად არ აკმაყოფილებს. ნარსულის მომენტები, სულერთია იქნება ეს სასიამოვნო თუ უსიამოვნო, როგორღაც მასუბობს ჩემს ანმყოს. მოგონება ჩემთვის არ ფარავს ანმყოს, მაგრამ იგი ავსებს, თავისებურ ხიბლს მატებს მას. ანმყო დიდია იმიტომ, რომ მასში თანაარსებობს მომავლის მოლოდინი. ჩემთვის ანმყო თავისებური მომავალია იმ პერიოდში, რომ მომავლის არრდილი ჩემს განცდაშია. მომავალი მოდის, იგი გზაშია. თვით სიტყვა „მომავალი“ გამოხატავს სელას ჩემსკენ. მე მას ელოდები; ის უსასრულო სელაშია, შეიძლება გზაზე წაიბორძიკოს კიდევ, მაგრამ საოცრად ძლიერია თავისი ილუზორულობით. ეს აძლევს ანმყოს სიცოცხლის საზრისს.

სწორედ ანმყოში ეგებება ნარსული მომავალს. ანმყოს უდიდესი ნაწილი ჩემი ნარსულია, რომელსაც ანმყოში ვცოთხლობ. როგორ სწორად წერდა ფრომი: „მე – ეს არის ის, რაც მე ვიყავი“.

ანმყოში თავისებურად თავს იყრის ნარსული და მომავალი. ქართულ ენაში არსებობს სიტყვა „ნამი“. დავუკვირდეთ ამ სიტყვას: „ნ“ – ნარსული, „ა“ – ანმყო, „მ“ – მომავალი. ანმყო აერთიანებს ნარსულსა და მომავალს, მასში ყველაფერი თანაარსებობს. ყოველივე ამისა გამო ანმყო დატვირთული, დამძიმებულია. სწორედ ამ სიმძიმის დაძლევა უჭირთ ადამიანებს და ანმყოს მიმართ სამდურავს, ჩვენი არსებობის ხანმოკლეობისა გამო სიტყვა „ნუთისოფლით“ გამოხატავთ ხოლმე. რ. ემერსონი წერდა: ადამიანი, ეს ფაქტების ენციკლოპედიაა, მას შეუძლია მთელი ისტორია თავის საკუთარ გამოცდილებაში განიცადოსო. განუღლილი გზა ხანგრძლივია ნელთა სიმრავლით, მაგრამ საოცრად ხანმოკლეა, ნამიერია განცდაში. ვოეთეს უთქვამს: მარადიულობით აღსავსეა ნამიო. და მართლაც, მარადიულობით დახუნძლულია ნამი.

როგორ არ გვინდა დავიფეროთ, რომ „ხელ“ ეს უკვე დღევანდელი დღეა. დავუკვირდეთ სიტყვა „ანმყო“-ს. აქ ხომ ნათლად ჩანს, რომ ის, რაც უნდა მოხდეს „ან“ – უკვე იგულისხმება, ჩვენ კი სულ მოლოდინში ვართ, არ გვესმის, რომ ჩვენი მოლოდინი ანმყოა. ჩვენ ხომ საკუთარ არსებობაში დავიარებით.

დომინიკ რაბატუ წერდა: „დრო ერთდროულად სწორხაზოვანია, ვინაიდან ცხოვრება შეუქცევადი სელაა, და წრიულია, ვინაიდან ის, რამაც ჩაიარა, მაინც ყოველთვის ანმყოდ რჩება“.

ჩვენი ცხოვრება სელაა ანმყოში, ჩვენს მომავალში გვესმოდეს სიტყვები საბარებიდან: „კიდევ მცირე ხნით არის თქვენს შორის სინათლე, იარეთ, სანამ სინათლე გაქვთ“.

მუსიკა — ტრადიციული სანყისი

ოლდოს პაქსლის „კონტრაპუნქტი“

აღბათ, მოგეხსენებათ რომ სათაური ნებისმიერობის პრინციპით არასოდეს ირჩევა. ნიქსენს სიტყვები შემთხვევით არც მგ აშილია პაქსლის რომანის ერთ-ერთი მთავარი თემის დასასათაურებლად. თუმცა ამით ნამდვილად არ დამისახავს მიზნად ვაჩვენო თითქოს XX საუკუნის ინგლისელი მწერალი ოლდოს პაქსლი გერმანელი ფილოსოფიის აბსოლუტურ ზეგავლენას განიცდიდა. ნიქსენსეულ ზეგავლენას ვერცერთი გმირი ვერ განასახიერებს, მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია „კონტრაპუნქტი“ არ დაეინახოთ ნიქსენსეული „ადამიანი-გარდამავლობა და წარხდომა“. ყველაზე მეტად კი მინჯე მუსიკისადმი, ხელოვნებისადმი მგავსი მიდგომა ერთგვარად აერთიანებს ნიქსენს ფილოსოფიასა და პაქსლის მსოფლმხედველობას.

ბუნებრივია გავეჩინდეს კითხვა: რატომ უნდა წარმოიშვას ტრადიცია მუსიკის სულიდან, სადაც მხოლოდ მშვენიერებასა და პარმონიულობას ვეძიებთ? ამ კითხვაზე თითქოს ერთგვარ პასუხს იძლევა პაქსლის „კონტრაპუნქტი“. პაქსლი პირველი იყო, ვინც რომანში შემოიტანა მუსიკალურობის პრინციპი. რომანის სათაური სწორედ მუსიკალური სამყაროა და ადვილია და ნიშნავს ძირითად მგლოდიან ერთად, მის პარალელურად სხვა მგლოდეობის განვითარებას, რაც პარმონიას ქმნის. ასეთივე ერთ მთლიანობას წარმოადგენს სამყარო, სადაც ცხოვრება კონტრაპუნქტულად მიედინება, სადაც კეთილი განწყობილია ბოროტისაგან, სიკვდილი განწყობილია სიცოცხლისაგან, ბედნიერება უბედურებისაგან.

„სანამ ჯოუნსი ცოლს კლავს, სმითი საბავშვო ეკლს მიაკოვრებს პარკში. სანამ ერთი სიყვარულის ძალას ნებდებიან, მეორენი სასიკვდილო სარკველზე სულს აბარებენ უფალს, სხვანი კი ამ დროს სხვადასხვაგვარად ლოცულობენ“.

მაგრამ გულისხმობს თუ არა ეს მთლიანობა პარმონიულობასაც? სწორედ ამას ეძიებდა სპენდრელი („კონტრაპუნქტის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი) ამ ძიებაში მიიყვანა იგი ქვემარტებაში და აღბათ ეს ქვემარტება ტრადიციული, რომელზეც შემოთ ვსაბოლოოდად.

სპენდრელის ტრადიციული დედობით დაპირისპირებით იწყება. ვერ კიდევ ბავშვი საშინლად განიცდის დედის სხეულთან გაზარდად. გაურკვეველია რა უფრო მეტად მოქმედებს სპენდრელზე-ფროიდისეული ოიდიპოსის კომპლექსი თუ სანყისთან განმორების შიში.

ერთი რამ კი ცხადია: დედა მისთვის იდეალია, სრულყოფილი ქმნილება, წმინდა და ბავშვი, რომელიც ის-ისაა შედის ცხოვრებაში, ვერაფრით აპატიებს დედას რომ თავისი სინამდვილე სექსუალურ ინსტინქტებს დაუმორჩილა. არასოდეს აღიარებს, რომ ეს ინსტინქტი ცხოვრების საფუძველია, რეალობაა და მნიშვნელოვანია.

სპენდრელმა სამუდამოდ შეიძულა სხეული, რადგან იგი ბოროტების სანყისად მიიჩნია. თელის, რომ ქალები თავიანთი სილამაზისთვის უნდა ისჯებოდნენ „სამარცხენოა ჩვენი სხეული და მისი ქმედებანი“, აშობს ის.

სწორედ ეს სირცხვილია, ღრმა, ორგანული სირცხვილი, ძველისძველი, ფიზიკური შიშის სპენდრელის სხეულიდან მგრანობიარობას რომ დევნის. სპენდრელი მას ვერასოდეს მოიშორებს. თუმცა ეს სირცხვილი ადამიანთან ერთად არ გაჩენილა. ეს გრანობა მან შაშინ შეიძინა, როდესაც იტემა ღმერთისგან აკრძალული ნაყოფი ცოდნის ხისა.

ამდენად შესაძლებელია სირცხვილისა და შიშის განდევნას სპენდრელი პირველ სანყისთან დაებრუნებინა და ამას მიეყვანა იდეალის განხორციელებაში. მაგრამ ეს შეუძლებელია. სპენდრელს სძლეო სხეული. სწორედ ეს არის პირველი ნინაღმდეგობა იდეალისაკენ მიმავალ გზაზე. სხეული და სული გათიშულია ერთმანეთისაგან. იქ, სადაც მთავრდება ბორცვილი, იწყება სულიერი და პირიქით. ეკი პარმონიულობა მიუღწეველია ცხოვრებაში.

ცხოვრება უაზრობაა, არააობა, ამაოება. ადამიანებს აღარაფერი აღვლევთ, ვეღარაფერი აღუმრავლეთ გრანობას. ადამიანი ვაკივდა, გაუცხოვრებინა დაკარგა და ადამიანური უბედურების მთავარი მიზეზიც ეს გახლავთ.

ღმერთი ხალხისთვის მხოლოდ და მხოლოდ „ხუმარია“ და სხვა არაფერი, მათთვის აღარ არსებობს ქვემარტება კეთილი ძალა — ღმერთი, ქრისტიანთა თუ მამადაინათა.

„ღმერთი მწყურვალა ციცილი ზაცისის სულიერ უდაბნოში, სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ უბრალო სახელოსნოებში, სადაც ხალხი ისე მიჩქარის ყოველდღე, როგორც ტაძარში. სპარს სუფიები შირაციის ღვინოში პოულობენ ალას“.

ნიქსენი წერდა: „რა დაემართა ღმერთს? ჩვენ ის მოვაკლითავე ყველა მისი მკვლევლები ერთი“.³ მაგრამ ნიქსენს სჯეროდა, რომ უმთავრესია ადამიანის ნებელობა. ადამიანს უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს და შეუძლია არავითარ ზებუნებრივ ძალას არ დაემორჩილოს.

მავრამ ღმერთის მოკლელით ადამიანი კლავს თავის ქუშმარტიკ სახეს, რადგან ბიბლიის მიხედვით ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად. თავის თავში კლავს სახსენს, რომელსაც ველარასოდეს დაუბრუნდება. პაქსლისთან ადამიანი უძღვროდა, უსუსური მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია. სამყარო უნდა მიიღოს ისეთი, როგორც არის. „უბრალოდ თვალი უნდა დახუჭო და ნარმოიდეგინო რომ ყველაფერი კარგად არის“¹. ადამიანი თავის თავს თვითონ აქცევს უბედურად. ცხოვრებას არ უნდა შეხედო ფიცილისოფიის თვალთ, თორემ შეიძლება გვიჩვენებან თვითმკვლელობით დასრულო სიცოცხლე. არ უნდა შეეცადო ქუშმარტიკების შეცნობას რადგან „სიკვდილი ცოდნას უჭმარტიკეს სთავად ატარებს“². ცხოვრება მხოლოდ ცივი განიხილეთ უნდა განსაჯო. პაქსლი წერდა რომ სამყაროს იდიოტი ატრიალებს, იდიოტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომელსაც თავად არ ითავისებს. „ყველაზე რთული იდეებიც კი მარტივია სასაუბროდ, მარტივი და მონესრიტებული. მათი განხორციელება კი ცხოვრებაში ურთულესია“. ცხოვრებას იდეებთან ვერ შეათანებებს, ეს არც უნდა სცადო. აღდევანდელი სამყარო მხოლოდ უნდა გააკრიტიკო.³

როგორ შეიძლება მიიღო ისეთი სამყარო, სადაც ადამიანი ნახევრად მკვდარია, ადამანურებადა კარგული და სახეცვლილი. ცივილიზაციაში იგი მანქანად აქცია. ეს საშინელი რეალობა „რკინისა და ნახშირის სიმძიმემ მისგან ლიშნის წვენივით გამოწურა ადამიანობა“⁴. უკიდურესობამდე მისული სპენდრელი კლავს პოლიტიკოს ვერარად უბელის. იქნებ მკვლელობამ მაინც გააღვიძოს მასში რაიმე გრძნობა. სასწრაფოეითი ფეხებით უფლის ზემოდას გვაშს, მავრამ ამაოდ. ესეც კი ვერ ააღელვებს მის სულს. „მან უკანასკნელი კარტი გაითამაშა და ნააგო“, და სპენდრელი მიდის საბოლოო დასკვნამდე არც არ უნდა გაეკეთო, როგორც არ უნდა ეეცადო თავის დაღწევას, მაინც ყოველთვის მტერის გროვებუ დეერები“⁵. და სწორედ

აქ დგება მის ნინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი. იქნებ სიკვდილში იპოვოს შებება. „ხელახლა მობა, ყველაფრის თავიდან დაწყება ამქვეყნად შეუძლებელი იყო. მყუდროება და სიმშვიდე მხოლოდ ღმერთთან მიიღწევა“⁶.

სპენდრელის ცხოვრებაში ერთადერთი ფასეული რამ მუსიკა იყო. მხოლოდ მუსიკა ანიჭებდა შეებას. ბოლომდე შეიგრძნობდა ყოველნოტს, ყოველ აკორდს და თანდათან რწმუნდებოდა რომ მშვენიერება, სრულყოფილება მხოლოდ ხელოვნების კუთვნილებაა. მუსიკა მუდმივად არ გრძელდება, ბოლო აკორდიც გაიფრთხილებს და მერე? მერე ისევ მკაცრი რეალობა და დიდი კონტრასტი პარაზონისთან, ისევ გრძნობებისგან დაცლილი სამყარო.

ფორფიტა, რომელსაც სპენდრელი სიკვდილის დღეს უსმენს, მას კვლავ სამყაროს არარაობაზე დააფიქრებს. პეთპოვენის სიმფონიას თანამედროვე გიგური, აქაბრებული, დისპარმონიული მუსიკა ცვლის და ბოლოს კი ეცეც რჩება.

სპენდრელი მუსიკის ფონზე ედებდა, ტვინი-დახლებლი „ღია კარდან კი მუსიკის ხმა გამოდიოდა. ვნება თანდათან დააცხრო ღვთიურმა შელოდიაშ. ბგერების სამყარო კიდევ ერთხელ გახდა სამყოფელი, სადაც სრულ შეებას და ღვთიურ ნეტარებას გრძნობდა. ხანგრძლივი ბგერები, გამეორებული, დაყოფებული აკორდები, მათელი და ნინოდა, პერეში ეკიდა, ტვინივებადა, ძილდა-რეტანებლად დაწარწებდა ისევ და ისევ.

და უცებ მუსიკა შეწყდა. მხოლოდ ნემსილა დარჩა, რომელიც ცარიელ ფორფიტაზე ზღვრიალებდა“⁷.

სპენდრელის სიკვდილი არ არის ხსნა. ცარიელი ფორფიტა მაინც ტრიალებს და ტრიალებს. ცხოვრება კი თავისი გზით გრძელდება ისევ, როგორც იყო სპენდრელამდე და იქნება მის შემდეგაც. პარაზონიულობა და სრულყოფილება კი ისევ და ისევ მხოლოდ მუსიკის, ხელოვნების კუთვნილებაა დარჩება. ცხოვრებაში მისი განხორციელების ყოველგვარი ცდა ამაოა და მხოლოდ ტრავმაკულობამდე მიეკავარო.

ლიტერატურა

1. პაქსლი ო., „კონტრაპუნქტი“. ლონდონი, 1960 წ., გვ. 27.
2. იქვე, გვ. 183.
3. ეს სიტყვა აღებულია სპენდრელის ფრაზიდან "God was always a joker" ანუ „ღმერთი ყოველთვის ხუმარა იყო“.
4. პაქსლი ო., „კონტრაპუნქტი“. ლონდონი, 1960 წ., გვ. 202.
5. ნიცშე ფ. „ვიტყოდა ზარატუსტრა“. თბილისი 1993 წ., გვ. 25
6. პაქსლი ო., „კონტრაპუნქტი“. ლონდონი, 1960 წ., გვ. 179.
7. ბირონი ჯ. გ., „კაენი“. თბილისი, 1982 წ. გვ. 156.
8. პაქსლი ო., „ყვითელი ქრომი“, მოსკოვი, 1979 წ., გვ. 56.
9. პაქსლი ო., „კონტრაპუნქტი“, ლონდონი, 1960 წ., გვ. 215.
10. იქვე, გვ. 354.
11. იქვე, გვ. 355.
12. იქვე, გვ. 367.

ლადო ასათიანი-85

საკაი ხინთიბიძე

”რითმა ლამაზი ოქროს ფასია...”

ლადო ასათიანი რითმის პოეტიკა და ეს ტიტული მან რითმის საუკუნეში მოიპოვა - გალაკტიონის, აბაშელის, გრიშაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და რითმის სხვა გამოჩენილ ხელოვანთა გვერდით, პოეტური მოღვაწეობის სულ რვა წლის მანძილზე.

პოეტის ერთ ადრინდელ ლექსში „პუშკინი ჩვენთან“ ვკითხულობთ: როცა ერთხელ „სტრიქონის ბოლოს დამაკლდა რითმა და ამისათვის რითმა გავენირე“, პუშკინი მეუბნება: კარგია „რითმის თამაშით რომ არ ერთობი“, იცოდე, „რითმა და აზრი ფლერე ერთობლივ“, აქვეა სტრიქონები: „რითმა ლამაზი ოქროს ფასია, მკითხველი რითმის ჯახირს ვერ ითმენს“.

როგორც ლადო ასათიანის რითმის ანალიზმა გვიჩვენა, პოეტი ამ მრწამსის ერთგულია, არ ერთობა რითმის თამაშით, თუმცა ყოველთვის ზრუნავს ლამაზი რითმისათვის, მისთვის უცხოა „რითმის ჯახირი“. იგი ხომ ჩინებული „ფუნაგორისტი“ იყო. ფუნაგორია კი რითმაზე აგებული ეპიგრამა: „ფუნაგორია ისეცა, ხემ გამოიხსა კვირტები, რითმები ისე მოდიან, როგორც შვი ზღვის ზვირთები“, „ვკითხულობთ ლადოს ლექსში, რომელიც მან „ფუნაგორიის მაცსტროს“, კოლაუ ნადირაძეს უძღვნა.

ლადო ასათიანის ფუნაგორიები რითმის ელვარებით ბრწყინავენ:

არ გეძინება აგიაშვილო?
დანეჭ, ლოვინი აგია, შვლო.
მაგრამ ლადო ასათიანის რითმაზე ფუნაგორიით საუბრის დაწყება, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ფუნაგორია ექსპრომპტია, „ლექსი უცები“. პოეტის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მე კარგა რითმისათვის მოვაცოლებ ერთმანეთს მოუფიქრებლად ენის ნეურზე ნაუცბათეფად მოსულ სიტყვებს და ხანდახან კარგი ეპიგრამა გამომდის, ესაა და ეს“!

ნიკა აგიაშვილის ნივთში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ ვკითხულობთ: მეგობრებმა

ლადოს ურჩიეს, რომ ვერიკო ანჯაფარიძისადმი მიძღვნილ ლექსში რითმა: დაგვიფარედა-მარაბდა შეეცვალა („თორემ მტრებს ისიც კი შეამინებს, ერთხელ ხამალა რომ ვთქვათ მარაბდა“). „მარაბდა და კრწანისი ჩვენი სასტიკი დამარცხების ადგილებია, მტერს მათი გაგონება, პირიქით, გაამხნვევებსო“. ლადო თავისებური დაფინებით გაიძახოდა: არ შემისწოროთ, თორემ მოვეკლავ ვილაცას, ეს ძალიან კარგია, ასე იყოს, ანე მინდა.²

„ასპინძისა“ და „ბასიანის ბრძოლის“ აქტორს როგორ არ ეცოდინებოდა მარაბდის ომის ისტორია! მაგრამ, ჯერ ერთი, მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძე იბრძოდა, მეორეც და მთავარი ესაა, რომ მარაბდა ფლერადი სიტყვაა. განა ივარგებდა: „ერთხელ ხამალა რომ ვთქვათ ასპინძა“ სიტყვა მარაბდას პოეტი სხვა ლექსებშიც ნარამატებით რითმავს: კარამდის-მარაბდის-მარადის („საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“).

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, კარგს, ესთეტიკური რითმისათვის პოეტი ზოგჯერ თმობდა საკუთარ პოზიციას. „კოლხიდაში“ სასიამოვნო ფლერადობის მრავალმარცვლიანი რითმაა: აგვიარევი-ნაგვიანები. მაგრამ აგვიარევი ნაძალადევი ფორმაა. ასევე არ იტყვიან: „მერიქიფეებს აღარ შერჩათ ხელში ქვევრები“. იგულისხმება: საგვ ქვევრები. ხელში ქვევრები რითმის გამოა: ცეცხლისმფრქვევლები -ხელში ქვევრები. ლექსში „ალბომიდან“ ასეთი სტროფია:

რა დამაინყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამაინყოს ეს ალუბლები.
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

ლადოს შენიშნეს: შეყვარებულს არ ეტყვიან, ისე მიყვარხარ, რომ, როცა სხვას შევიყვარებ, ამ სიყვარულზე ვესაუბრებიო. პოეტს არ შეუცვლია. ვერც ჩანაწერებში ნაწიანად რაიმეს. ვფიქრობ, აქაც რითმის ხიბლი ამოძრავდა: ეს ალუბლები-ვესაუბრები.

ამ მაგალითებში ამკარა რითმით გატაცება, მაგრამ არა ისეთი, რომ რითმის თამაშით ერთობოდეს, რითმისა და აზრის ერთიანობას არღვევდეს.

ლადო ასათიანის რითმა შემკულია თითქმის ყველა ღერსებით, რაც საერთოდ ქართულ რითმას ახასიათებს. რითმების ტურნირში, რომელიც ჩვენთან გასული საუკუნის 10-20-იან წლებში იმართებოდა, ლადოს არა ერთი რითმა დაიკავებდა საპატიო ადგილს.

გართმევის 17 კომპონაცია ცოტა არ არის 114 ლექსისა და ორი პოემისათვის. პოეტს გართმევის თავისი ამორჩეული ზერხებიცა აქვს. თუ ვჯარედინი რითმა (აბაბ) ფართოდ იყო გავრცელებული და იგი ანგარიშშიუცემლად მიმართავდა (71 თხზულება), შედარებით იშვიათი ორჯერადი რითმა (აბ), მართალია, პოეტის მხოლოდ 32 თხზულებაშია დაფიქსირებული, მაგრამ რაოდენობრივად, თითქმის, უტოლდება აბაბ-ს, რადგან მთელი რიგი ლექსებისა და პოემა „ახსიანის ბროლა“ თავიდან ბოლომდე ამ წესითაა გართმული.

ლადოს ძალზე უყვარს ეს წყვილადი რითმა, რომელიც ზოგჯერ მრჩობლედის სტროფებს ქმნის, ზოგჯერ განცალკევებულ ორტაქედს, ზოგჯერ კი კატრენშიც გამოჩნდება (აბბბ). საკმარისია ითქვას, რომ პირველი ორი, საკმაოდ მოზრდილი ლექსი გართმევის ამ წესს მიჰყვება:

ჩემი ქვეყნის ოქროვანე, დიდი გარჯით მოწვეულო,
სიმწიფისგან დაბარწულო, კანდამხვდარო
ბროწვეულო.
(„ჩემი ქვეყნის ოქროვანა“)

ტკბილია, როგორც ღედის რძით ბაღლი
ტუმშეუმრობელი,

ტკბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალერსი
შშობელის,

ტკბილია, როგორც ველებზე ჯეჯილის მწვანე
ფაფარი,

ტკბილია, როგორც ძილისპირის ძველი ქართული
ზღაპარი.
(„ჩემი სამშობლო“)

პოეტი ამით იწყებს (1936 წ.) და ამით ამთავრებს (1943 წ.):

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენაე.
(„ქართული ენა“).

ზოგჯერ ორჯერად რითმაში სამჯერადია ჩართული (აბა), რაც კიდევ უფრო იშ-

ვიათია ქართულ რითმოლოგიაში და ეს ჩართვა შინაარსობრივადაა მოტივირებული:

ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით
ნაქარგი.

ამის შემდეგ „ჩემი სამშობლოს“ ავტორი, წესით ახალ რითმაზე უნდა გადასულიყო, მაგრამ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტმა“ აკაკი მოავონა და შესამე სტრიქონი და შესამე რითმაც ჩართო:

ტკბილია, როგორც რუსთველი. ტკბილია,
როგორც აკაკი.

ორტაქედიდან სამტაქედეზე გადასვლა არა მხოლოდ შინაარსობრივად, რიტმულადაც მოუხდა ლექსს.

შსგავსი ვითარებაა ლექსში „ჩემი ქვეყნის ოქროვანა“. პოეტი უზრუნდება რითმას: იელემო-ჯიელემო“. განმეორებისას სტრიქონთა შინაარსიც შეცვალა და შესამე სტრიქონიც დაურთო ახალი სარითმო სიტყვი:

ვარდებო და ვევილებო, ბარდებო და იელებო,
ახოვანო ვაჟაკებო, უშიშარო ჯიელებო,
კოლხულებო, ქართლებო, კახელებო, მთიელებო.

ზოგჯერ ერთრითმიანი ორტაქედეები პერიოდულად არის ჩართული ორრითმიან კატრენის სტროფებში. აბ-ს და აბაბ-ს მონაცვლეობის კარგი ნიმუშია „ბარდნალა“. იგი 19 სტროფისაგან შედგება, რომელთაგან 12 კატრენია და 7 ორტაქედე. პირველ სამ კატრენს ერთი ორტაქედე მოსდევს. შემდეგ ზედიზედ ექვსჯერ კატრენებისა და ორტაქედეების კანონზომიერი მონაცვლეობა გვაქვს-ერთი ერთზე. ბოლო ორი სტროფი ისევ კატრენისაა. სანიშნოდ:

რა კარგი იყო ბარდნალა,
როგორი სათაყვანები!
ვარდებიანი ბარდნარი
და გუმბარუნის ვანები!
თხის პირგამპირული,
გაციებული ბინული,
გახსოვს ტყეები“ ირიბად
ხეზე დაკრული თარგები...
ვერ დათაყვებ ვინც გოვარს,
შევევარებული დარბები...
გახსოვს ცხენისწლის ნაპირი,
თეშნაობა და აპრილი?



სხვა ღირსებებთან ერთად, „ბარდნალას“ ეს სტროფული და რითმული სიმეტრიაც ამშვენებს.

ისეც ხდება, რომ ორტაეპედიდან კატრენზე გადასული სტროფი ხან ინტერვალრიითმანია (XAXA), ხან კი ჯვარედინად ირითმება (abab). ასეა კერძოდ უსათაურო ლექსში „... მე მიყვარს, როცა ყანაში გახვებალ“. იგი ორჯერადი რითმით იწყება:

**მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ
და მოგაგებებს სიმინდი ლხვარს.**

გადადის კატრენის ინტერვალრიითმან სტროფზე:

**კარგია, როცა ყანაში გახვალ
და დილის ცვართ გაილუშებო.
თუ ეს ერთხელაც არ განვიცდია,
სიტყვის უთქმელად დაიღუბებო.**

ამას ისევე კატრენი მოსდევს, ოღონდ ჯვარედინრიითმიანი. შემდეგ კვლავ ინტერვალრიითმანი კატრენები და ლექსი თავდება ორტაეპედით, რითაც დაიწყო.

ეს მონაცვლეობა ლექსის რიტმს აცოცხლებს და ამრავალფეროვნებს. გარიითმის სისტემათა დიდი ნაწილი თითო ოროლა ლექსითაა წარმოდგენილი. ასეთია რკალური რითმა (abba). იგი მხოლოდ ერთ ლექსში გვხვდება („შეჩენქოს სამშობლოში“) და ბოლო ორტაეპედამდე მიჰყვება მას.

ლაღო ასათიანის ლექსებში საგრძნობია შიდარიითმების სიმრავლე, მაგრამ არა ჩახრუხალისა და ბესიკურის ტიპისა (მუდმივი, საეპიდებულო), არამედ ნებისმიერი შიდარიითმებისა, რაც რუსთველმა დააკანონა. იგი მოულოდნელად, უცაბედად, ზოგჯერ თითო ნიმუშის სახით ჩაერთვება ბოლორიითმებთან ლექსში, გაილუვებს და გაჭრება.

შიდარიითმის სახეებიდან გვხვდება ცეზურული, ნინაცეზურული, კიბური და შუარიითმები.

გრძელსაზომიანი სტრიქონები პოეტს დამატებითი რითმისაკენ უბიძგებს და მოსაზღვრე სტრიქონთა ცეზურებთან რითმა ჩნდება:

**ყური დაუგდეთ, ახსინძის აფილის დედა
ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუშასპინძლით, როგორ გავრეკეთ
ურჯულო.
(„ახსინძა“)**

ბალადა ამ ორტაეპედით იწყება და იგი უცვლელად მეორდება პირველი ორი ნაწილის ბოლოში. ბალადის დასასრული განსხვავებულია, ოღონდ შუარიითმა რჩება:

**ყური დაუგდეთ გრძნეული აფილის დედა
ჩურჩულობს,
წყალმა წაიღო წვეული, შემოსეული ურჯულო.**

ლაღო ასათიანის „ასპინძას“ საერთო აქვს ბესიკის პოემასთან „ასპინძის ომზედ“. ორივე დასაწყისიდანვე იქცევა ყურადღებას. ბესიკის ჩინებულ ალიტერაციას: „ასპინძის მიწა გინამებს“, ლაღომ ასევე ჩინებული შიდარიითმა დაუპირისპირა: ასპინძის-გავეუშასპინძლით.

შუარიითმით იწყება „მანანა ორბელიანის სურათზე“:

**შენ შაოსანო, შეთვალავ, შეე საბარეში გზინავს,
ჯერ კარგად არც კი ვამთბარა ჩემი პატარა ცირა.**

და შუარიითმა კიდევ ორჯერ გამოაშუქებს, ერთხელ სამჯერადაც:

**მინდა, რომ შტებრ ვლავდეს და იყოს შწინოსანა,
სამშობლოსათვის ღელავდეს, სანამ მხედავდეს-მანამ,
მინდა, რომ შტებრ კრავდეს ის საქართველოს ალაშა.**

ხშირია ცეზურული რითმები, როცა სტრიქონის შუანელი ბოლოსთან ირითმება:

**მდიდრულ კედლებზე ვლავდა ინდოეთი და ვლავდა
(„ასპინძის ბრძოლა“)**

იგი მოკლესაზომიან ლექსებშიც გვხვდება:

**ისურება გიხურად.
(„ციხის სიხმარი“)**

ეს მუსიკალური რითმა ლექსში ორჯერ მეორდება.

შიდარიითმას გარკვეული კომპოზიციური ფუნქცია აქვს.

ზოგჯერ ლექსში სტრიქონი საგანგებოდ გაურიითმავადა დატოვებული და ბოლორიითმის კომპენსაციას შიდარიითმა ახდენს: აგერ შეიბნენ ორ-ორნი-ურთერთს ახეთქეს პოროლი („ბასიანის ბრძოლა“).

ანალოგიურია „ჩემი ქვეყნის ოქროყანას“ ბოლორიითმიდან გამოვარდნილი შიდარიითმიანი სტრიქონი: „ფიჭვის ტყეო, ფიჭვის ტყეო, ნისლები რომ იტვირთო“.

ლექსში „თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო“ პირველ და მეოთხე სტროფებს ინტერვალიანი რითმა აქვს (სხვა სტროფები ჯვარედინად ირითმება), მაგრამ ურითმოდ დატოვებულ სტრიქონთა სანაცვლოდ მესამე-მეოთხე სტრიქონებზე კიბური რითმა გადებული:

**რა ქართული ხარ და რა ვაყვანი,
თუ მაშულს თავი არ ანაცვალე,
ეს აწვალდება ცოტნე დაღიანს.
მეც ქართული ვარ და ეს მაწვალებს.**

ანალოგიურია პირველი და ბოლო ინტერვალიანი სტროფების კიბური რითმა უსათაურო ლექსში „... გიმზერ და მჯერა“.

**გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა
არასოდეს არ გააშენდება,
ვაგლას, ხელახლა ბაგისჩვილობა,
ქალიშვილობა და დაგშენდება!**

ომის აღწერის დროს „ბასიანის ბრძოლაში“ დრო და დრო ჩაურთვის წინაცეზურული რითმა: გაგრძელდა-გაძნელდა (ომი გაგრძელდა-გაძნელდა) და თხრობა უფრო მიმზიდველი ხდება.

იმავე „ბასიანის ბრძოლაში“ სტრიქონს აკეთილხმოვანებს უნებლიე შიდარითმა: მხარგრძელსა- ქარ-ცეცხლით:

სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარ-ცეცხლით აეცხო. როგორც ვხედავთ, ლადო ასათიანის შიდარითმები დიდ როლს ასრულებენ ლექსის მუსიკალურ-კომპოზიციურ სრულყოფაში.

მთავარი მაინც რითმის ვოკალია, მისი ფონიკური შედგენილობა. ამ მხრივ კი პოეტის რითმები ერთობ დახვეწილია. ვერც ერთ ყრუ რითმას ვერ ვიპოვით. ლადო ასათიანის დროს ჩვენში კარგა ხნის დამკვიდრებული იყო არაიტრული რითმა: ასონანსები, კონსონანსები, დისონანსები. პოეტის რითმები ძირითადად არაიტრულია. იტრული და არაიტრული რითმების ურთიერთშეფარდებისას უპირატესობა ამკარად მეორეს მხარეზეა. ამას დაადასტურებს ნებისმიერი ლექსის რითმებზე დაკვირვება, ამიტომაც მოსწონს რაფიელ ერისთავის შეითამაშე-შამაშენს და ხირიმი-ჭირიმე.⁴

შეითამაშე-შამაშენს შერეული რითმაა, ისე როგორც ლადოს ანაცვალე-მანვალეებს. რითმის ერთი ცალი ხმოვნით თავდება,

მეორე-თანხმოვნით. შერეული რითმაც XX საუკუნის სალექსო რეფორმამ მოიტანა.

ასონანსი (თანხმოვანთა მონაცვლეობა რითმაში) ჩვეულებრივი მოვლენაა ლადო ასათიანისათვის. „ოთხი უსათაუროს“ მეოთხე ლექსში უმეტესად ასონანსური რითმებია: მოკვდა-კობტა, ლოთები-დაელოდები, შეიყვარა-ნიკალას. რამდენიმე დისონანსიც გვხვდება: ირხევა-მიხვალ („...მეც მიყვარდა გოგონა“), აცხონა-უცხოვრობ („არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“), შენი-შეაშინებს („ვერისკო ანჯაფურძე“).

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ლადო ასათიანი, როგორც კონსონანსური რითმის ხელოვანი. მის თხზულებებში 30 კონსონანსი დაეთვალე (რითმაში ხმოვანთა მონაცვლეობა): ნიშნინაგები-მიშრიალებენ (ილიასადმი), ნახდინაგები-აბრიალებენ (ცაგერის ბაზრობა), გაშალა-ლაშარის (გაიფიქრებ და გაგიხარდება), დაგვებეროს-დაგვაბეროს (სალალობა), იმედი-სიმინდი (ნამკაშურის წისქვილები) და სხვა. ზოგჯერ კატრენის ორივე რითმა კონსონანსურია:

**ხედებიან სტუმრებს თვალბმზიანი
და ოქროანი მანდარინები,
ეუბნებიან ადამიანებს:
ჩენი ნაყოფი, მოდით, იხებთ!**
(„კოლხიდა“)

კონსონანსური რითმა ძალზე უხდება ლადოს ლექსს. კონსონანსი მკვეთრი გადახედვა რითმის სწორხაზოვანი დინებიდან და კარგად შეესატყვისება პოეტის მეტრიკას და სტროფიკას (საზომებისა და სტროფული ფორმების მონაცვლეობა).

რითმის ეფფონია მჭიდრო კავშირშია ალიტერაცია-ასონანსთან. როცა „პარდნალას“ პირველ სტროფს კითხულობ, ვერ ამჩნევ, სად თავდება ალიტერაცია და სად იწყება რითმა.

**რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბოიანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბუღბულთა ნაამოხარლი.**

თავი და თავი სიტყვა ბარდნალაა, რომლის პარამონიულ ფლერადობას სემანტიკური დატვირთვაც აქვს. მასში ვარდი და ბუღბულია შერწყმული: ვარდის სურნელება და ბუღბულის გალობა. აზრი და მუსიკა ერთ თავიგულადაა შეკრული.

"ბარდნალას" სხვა სიკეთეზე ადრეც ვისაუბრეთ. იგი ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია ლადო ასათიანის და, შეიძლება ითქვას, ქართულ პოეზიაში. ასეთი სიყვარულით და ოსტატობით ქართველ პოეტებს შორის თავის სოფელზე ალბათ არავის დაუწერია.

ალიტერაციისა და რითმის ერთიანობას ქმნის სიტყვის სხვადასხვაგვარი მიმოხრაც: "რომ ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებდეს ხორნაბუჯელი" ("ბასიანის ბრძოლა"). ხორნაბუჯელი რითმის ცალია: ბურჯები-ხორნაბუჯელი. ანალოგიურია: "ომში ხალიბურ ხმალს ვახელებდით" ("ქართველი ოქროსმადი-ებლების სიმღერა"); ხმალს ვახელებდით-და სამღერეთი. ანადა: "თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუნღის მოდრეკა მომინდა" ("კრწანისის ყაყაოები"); ომითა-მომინდა.

პოეტი მხოლოდ სტროფიდან გამოცალკევებული რითმისთვის კი არ ზრუნავს, არამედ -რითმისთვის სტროფის მუსიკალურ მთლიანობაში.

"ლოდორის ჩანჩქერის" რითმები ონომატოპეის პრინციპზეა გამართული, ჩანჩქერის ხმაურს გადმოსცემს: ჩხრალით-გრიალით, ჩქაფუნით-დგაფუნით და სხვა.

განსხვავებული ვითარებაა პირველ მჭედლებში", სადაც რითმა ერთმანეთსა და ჩართული ლექსის მუსიკალურ და შინაარსობრივ კონტექსტში.

პირველი რითმა: ცხენები-ხალიბელები ერთგვაროვანია, სანახევროდ გრამატიკული-ები-თ ნარმოებული და კარგ რითმად ვერ ჩაითვლება; მაგრამ ე ხმოვნის განმეორებას (ორ-ორი ე სართომ სიტყვებში) საგანგებო დატვირთვა აქვს. ზედიზედ ხუთ რითმაში ე ბგერა მონანილეობს: ცხენები-ხალიბელები, ძლიერი-იბერიელი, მჭედელი-გაუხედელი, დაფანგებული-აჯანყებული, აბრეშუმები-შუბები.

რითმის გავლენით ლექსის ეს მონაკვეთი მთლიანად ე ხმოვნით არის ასონანსირებული. პირველი სიტყვა იბერიელთა ორ ე-ს შეიცავს, მას მოსდევს სოფელი და შემდეგ კიდევ 21 ე. თავისი სიხშირით იგი, თითქმის, ქართულ ენაში ფართოდ გავრცელებულ ა-ს უტოლდება.

მაგრამ მთავარი სხვა არის. ეგრძელი ხმოვანია. ქართულ ასოთა მოხაზულობაში სულბან საბასიგი მშვილდთან აქვს შედარებული. აქნა მშვილდად აიბმიდა" ("რა ოსტატო ასოთ სხმიდა"). და ამ გრძელ ე-ს ლექსში აზრობრივი

ფუნქცია აქვს დაკისრებული. იბერიელთა სოფელში მალა-მალა ცხენებია, სახლებში გრძელი, თაღებამდის გაჭრილი ფანჯრებია, კედლებზე თხუთმეტწრიანი შუბებია. ხალიბები ხალიბურ ფოლადს, ქართულ იარაღს აწრთობენ, ეს იარაღები გრძელია: შუბი და ხმალი ("ომში ხალიბურ ხმალს ვახელებდით"). ძველი იბერიელები მალა-მალა, ვეება, ბრგე ვაგაკვები არიან.

და ყველაფერი ეს სათავეს ლექსის პირველი რითმიდან იღებს, რაც იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ ალბათ ავტორისთვისაც ქვეცნობიერი იყო და საგანგებო გაშიფრვის გარეშე მკითხველისთვისაც აუხსნელი რჩება. ლექსის სიღრმეში ჩახედული მკითხველი მხოლოდ ინტუიტურად გრძნობს ამას.

ლადო ასათიანის რითმის მუსიკალურობას მრავალმარცვლიანობაც უწყობს ხელს. რითმათა უმეტესობა, მეტრული სქემის შესაბამისად, ან ოთხმარცვლიანია, ან ხუთმარცვლიანი.

"ჩემი ქვეყნის ოქროყანას", რომელიც მალაღი შაირის ოთხმარცვლიანი მუხლებითაა დაწერილი, ოთხმარცვლიანი რითმები აქვს: მოწულუ-ბროწულუ, დასერილო-დაწერილო. ლექსის 20 რითმიდან 19 ოთხმარცვლიანია, ხოლო ერთადერთი ბოლორიტმის ორმარცვლიანობა სტრიქონთა შიგნით ოთხმარცვლიანი ცეზურული და შუარიტმით არის კომპენსირებული:

**ზვარო, ზვარო ჯიშანო, ოჯაღელს ჯიშის ზვარო.
ზვარო მტყენებშირანო, გლეხი კაცის სანუკვარო.**

ანალოგიურია „სასაფლაო“, რომლის 17 რითმიდან, ორის გარდა, ყველა ოთხმარცვლიანია. მალაღარისხოვან ოთხმარცვლიან რითმას შეიცავს „ქართული ენა“: გაუშართავთ -სასთუმალთან.

"სალალობაში", რომლის სტრიქონები სამ ოთხმარცვლიან მუხლადაა დაყოფილი (4/4/4), თითქმის ყველა რითმა ოთხმარცვლიანია: შადიანი-ადრდიანი, მაჩაბელი-ასაფრენი, შაითანთან-დაიშანთა და სხვა.

უფრო რთულია ხუთმარცვლიანი რითმებით ლექსის გამართვა, რადგან ხუთი მარცვლის გრძელ მანძილზე ძნელი ხდება ერთნაირი ხმოვნების მოძებნა, მაგრამ ლადო ასათიანის ლექსებში ხუთმარცვლიანი რითმა სჭარბობს ოთხმარცვლიანს. იგი 47 ნაწარმოებს ამშვენებს.

ხუთმარცვლიანი რითმებითაა განწყობილი „ბასიანის ბრძოლის“ მთელი რიგი პასაჟები:

**წამოიშალნენ ტალღებად მქინეარე სისხლის
ღვარები
და გაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე ციხისჯვარელი.
რა ღიანხეს, რომ რაინდს ჭა-კვლი ვაჟუტილდა,
აღმართეს იქცევისები მათ თურქთა ჩაწუნტანთა.**

ანდა:

წინ გადაშლოდათ საკუთარ მარჯვნივ ნაპარტახეუო,
მზუზე ვლადენ ლოჰაცთა ფოლადის ჩაბალახები.
უკვებ სად იყო, სად არა... გამუდმდნენ გაყვირებითა
არწინთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაიორებიდან.

არანაკლებ საინტერესოა ათმარცვლიანი სტროფი, რომლის სტრიქონთა ნახევრები მთლიანად რითმითაა ამოვსებული:

**თქვენი ქაჯები და აღქაჯები,
ია-იების თელთა ბრიალით,
მთვარიანში რომ დაალაჯებენ,
ბროწულისფერ თავსაფრანში.**

ხუთმარცვლიანი რითმებითაა დაწერილი უსათაურო ლექსი „ვიდრე სიკვდილი...“. ქართული რითმის ისტორიას უსათუოდ შერჩებიან ლადო ასათიანის ხუთმარცვლიანი რითმები: ნიშნაინები-მიშრიალებენ („ილიასადი“), ეს ალუბლები-ვესაუბრები („აღლობიდან“), ძაძა ბუნებას-დაძაბუნება („ვერიკო ანჯაფარიძე“), აკელაპტრება-და მენატრება („აბასთუმანი“), აბატონებდი-კაბადონები („ივანე ვაჯახიშვილისადმი“), განძი ბებერი-მამიებელი („ქართველი ოქროსმამიებლების სიმღერა“), ამორძალები-და მოკრძალებით („კოლხიდა“), ძველი მსმელები-ვერისევედენენ („გულბათ ქავეჟაეჟე“) და სხვა.

საინტერესოა, რომ ლადო ასათიანს არა აქვს ჭარბი რითმები, რომლებიც რითმის ისეთ ხელოვნათა შემოქმედებაშიც კი გვხვდება, როგორც რუსთველი და გალაკტიონია. მრავალმარცვლიანი რითმისკენ მიმავალ გზაზე პოეტს არ ჩერდება მეტრული სქემისთვის შეუხაბამო ადგილას და სტრიქონთა გრძელ კადენციებს მთლიანად ავსებს რითმით.

წეში ქვეყნის ოქროყანას“ (44/44) ორმარცვლიანი ან ოთხმარცვლიანი რითმები უნდა პქონოდა, სამმარცვლიანი ჭარბი იქნებოდა. ქვემოთარჩომდგენილ რითმის მწკრივში ერთი სამმარცვლიანი სიტყვაა - ფრიალო: აფრიანო-აფრილო-ბაგეთაფრიანო-მთავ ფრიალო-თავსაფრიანო. ლადო არასგზით არ დათანხმ-

დებოდა, რომ აქ მთავ ფრიალფრეს მწკრივში კლდე ფრიალო ყოფილიყო და ოთხმარცვლიანი რითმა სამმარცვლიანზე ჩამოსულიყო: აფრილო-ფრიალო.

მრავალმარცვლიანობის დროს მოსალოდნელია რითმის ხელოვნურობა, ნაძალადეუობა, ენის კანონების დარღვევა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლადო ასათიანის რითმები დაზღვეულია ამგვარი ხარვეზისაგან. ილუსტრაციისთვის ენახოთ ხუთმარცვლიან რითმებზე განწყობილი ზემოხსენებული უსათაურო:

**ვიდრე სიკვდილი გამახვედეს ბნელს მოსახამში.
ვიდრე სიკვდილის ჭვალი გულზე დამეხოზოდეს.
უკანასკნელად დამაწინეთ ჩემს ოდა სახლში,
უკანასკნელად ვიდრე თვალნი დამეგებოდნენ.
უკანასკნელად ჰაიხუმის გაჯორნილ ტახტზე
დაძივეთ მაგრად, დამაზურეთ შავი ნაბიდა,
უკანასკნელად, უღრტყენელად მამყოფეთ ასე,
ვიდრე სიკვდილი შფოთიან ხულს გამინაბადეს.**

როგორც ვხედავთ, ძალზე ბუნებრივია სიკვდილს მომლოდინე კაცის განცდები, არ იგრძნობა არაერთი ძალდატანება სიტყვაზე. დავაკვირდეთ ურთიერთგარითმულ სტრიქონებს:

„ვიდრე სიკვდილი გამახვედეს ბნელს მოსახამში“

და:

„უკანასკნელად დამაწინეთ ჩემს ოდა სახლში“.

ასეთი რთული რითმის მიუხედავად (ბნელს მოსახამში-ჩემს ოდა სახლში), მოტანილი ტაქების ყველა სიტყვა თავის ადგილზეა. ასევეა მეორე დაწყებულ სტრიქონებშიც:

„ვიდრე სიკვდილის ჭვალი გულზე დამეხოზოდეს“

და:

„უკანასკნელად, ვიდრე თვალნი დამეგებოდნენ“.

არც ლექსიკაა არაბუნებრივი, არც სინტაქსი-ნიანდადების წყობა. მესამე რითმის ვტოვებ, იგი ორმარცვლიანია, ხოლო მეოთხე რითმა: შავი ნაბიდა-გამინაბადეს თავისუფლად ზის კონტექსტში.

„დაძივეთ მაგრად, დამაზურეთ შავი ნაბიდა“



და:

„ვიდრე სიყვლილი შფოთიან ზულს გამინაბადეს“.

საესებით ლოგიკური მოთხოვნაა, სიკვდილის წინ პაპისუფლი ნაბადი დამახურეთო, ისევე, როგორც ბავშვობისდროინდელ ოდა სახლში დამანვინეთო. არც შფოთიანი სულის განაბვა არის უხეირო ანტონიმი.

ამრიგად, ლექსში მოულოდნელი და უჩვეული არაფერია, გარდა ამ მრავალმარცვლიანი, მუსიკალური რითმებისა.

საინტერესოა ლექსი „ნადირობის შემდეგ“. მასში ოთხმარცვლიანი რითმებიც გვხვდება: დაილაღნენ-გაიყარა, გადიარა-ადრინად-მადლიანად-დადინადა და, წარმოადგინეთ, ექვსმარცვლიანებიც. ექვსმარცვლიანია შიდა რითმა: ახარხარდებოდნენ-აყაყანოებოდნენ, ხოლო ოთხმარცვლიანი რითმი ზემოთმოტანლო ოთხეულს უშუალოდ მოსდევს:

ღამეში თვალების ვადამრიალებით,
ნადელთან მორგოდნენ შაუბაღიანები.

ალბათ ექვსმარცვლიანი რითმის გამო, ამ ორტაეპედის პოეტი ისევე უბრუნდება და მას მივაყოლებს:

პირველად შემომხვდა ჩვენს ტყეში კანჯარი,
პირველად გამიტყდა ჩემს დღეში ხანჯალი.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აქ სტრიქონები თავიდან ბოლომდე ირითმება. ჯერ ტავტოლოგია გვაქვს: პირველად-პირველად, შემდეგ-მიახლოებითი რითმა: შემომხვდა-გამიტყდა, ბოლოს კი სრული: ჩვენს-ჩემს, ტყეში-დღეში, კანჯარი-ხანჯალი.

ჩვენს ტყეში კანჯარი, ჩემს დღეში ხანჯალი, გარდა ექვსმარცვლიანობისა, იმითაც იქცევა ყურადღებას, რომ იგი შედგენილია.

ასე მივადევით შედგენილ რითმას, რომელიც ძალზე ნიშანდობლივია ლაღო ასათიანისათვის.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი მრავალგ ხოსობა: თითქმის ყოველ მეორე ნაწარმოებში შედგენილ რითმას ვიპოვით.

საგულისხმოა, რომ პირველი ნაბეჭდი ლექსი „ქვენ კვლავ მოვედით“ (1935 წ.) შედგენილ რითმას შეიცავს, შედგენილ და ხუთმარცვლიან რითმას: ასე უღვეივასეულები. ასე, რომ იგი იმთავითვე მოსდგამდა ლაღოს პოეზიას. „ჩემი ქვეყნის ოქროყანაშიც“, რომელიც, ასევე ადრინდელია, არაერთ შედგენილ რითმას ენა-

ბავთ: აფრიანო-შთავ ფრიალო, ძმობის ყანატი მოგყევანა, ხმა სალბენი-უასახელო. „სალალო-ბოს“ პირველი რითმები შედგენილია: ლამაზი მინდა-გავაზივითა, ლამაზი მინდა-დარბაზივითა. განსაკუთრებით საყურადღებოა: ელდა ეცეს-მზეს და ზეცას. ეს მრავალსიტყვიანი ბოლორითმა შიდა რითმითაც დამწვენებელია.

დაუკარო, რომ ძველ ხანჯალს ელდა ვცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს.

შედგენილი რითმები ორნევერიანიც არის: რომაელები-რომ მოერევი („როგორ არ მინდა...“) და სამწვერიანიებიც: უიარაღო-გული არ აქვსო („ა.ვ.“) ზოგჯერ რითმის ორივე წევრი შედგენილია, გვხვდება ორსიტყვიანიებიც: მშველი კაცები-სველი ყანები („გულბათი ჭაჭაქაძე“), ორ და სამსიტყვიანიებიც: ხმას წკარიალას-სხვას, კი არა („ლხინი კახეთში და სად-ღვგრძელები“) და სამსიტყვიანიებიც, რომლის ნიმუში უკვე მოვიტანეთ („ნადირობის შემდეგ“). იშვიათად, მაგრამ მაინც სტროფის ორივე რითმა ასეთია:

შე კარგად ვიცა, ვინ ვარ, რა ვარ,
საიდან მოველ ან საით წაველ-
და ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰაგას,
ნიყო ფიროსხანს და სათანასას.
(„ა.ვ.“)

მსმელი კაცები-სველი ყანები იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ რითმის ცალები მსაზღვრელ-საზღვრულებია, თითქოს, ერთ სიტყვად შენივთებული, მტკიცედ შეკრული სინტაგმები. ამგვარივეა რედიფიანი რითმაც, როცა რითმის მეორე ცალები ერთი და იგივე სიტყვებია: წრფელი გული-ცხელი გული („სალალოში“), ესეც შედგენილი რითმის სახეობაა. რედიფიანი რითმა სტრიქონის შიგნითაა. ანალოგიურია: ჭაბუკი ვიყავ-ქარბუჭი ვიყავ („უცნობი პოეტის დლოურიდან“).

შედგენილ რითმათა სისხირის მიზეზი ძირითადად მრავალმარცვლიანობაა. ოთხ და განსაკუთრებით, ხუთ-ექვსმარცვლიან რითმებში იგი რითმის შევსების დამხმარე საშუალებაა. ამიტომაც, რომ პოეტისათვის ერთნაირად დამახასიათებელია მრავალმარცვლიანი და შედგენილი რითმები. ლაღოს ლექსი უწინარეს ყოვლისა მრავალმარცვლიანი და შედგენილი რითმით იცნობა.

თუმცა ესეც არის, რომ პოეტის მრავალმარცვლიანი რითმები ხშირად თითო სიტყ-

ვიანია (ნიმუშები მრავლად იყო წარმოდგენილი) და შედგენილი რითმებიც, არც თუ იშვიათად, - ორ და სამმარცვლიანი . ხანიშუმოდ, ორმარცვლიანები: რისხვა-მტრის ხმა ("ესპანელ მეგობრებს"), ოდა-პო, და ("ერთი სალაშო აფხაზეთში"). სამმარცვლიანები: ლერწამით-ერთ ნამით (...მეც მიყვარდა გოგონა...), ბედს იქით-ბესიკი ("ანდერძი"), და მიხვდი-დამიხვდი ("ბასიანის ბრძოლა").

იმიტომაც ვერ შევლია ლადო რითმას: დაგვიფარავდა-მარაბდა, რომ იგი მორფოლოგიურად ძლიერია: სახელი და ზმნა ირიტიმება. ასეთივეა მარაბდასთან შეულღებული მალავდა: მალავდა-მარაბდა ("ცხრა ძმა ხერხეულიძე"), ანდა: ომითა-მოშინდა „ქრწანისის ყაყაჩოებში“, ნისკარტით-გისხამდით „სარწყულში“ და სხვა.

მრავალმხრივ საყურადღებო რითმა „გულბაათი ქაეჭაძეძენი“ ძველი მსმელები-ვერ ისვენებდნენ არანაკლებ საინტერესოა მორფოლოგიურად: სახელი და ზმნა აქ ქვემდებარე -შემასმენელია. რითმა წინადადებას სკრავს:

ჩანდნენ ორ მწკრივად ვალ ჩოხებში ძველი მსმელები,
ღენო სწუროდათ, ღენის ეშით ვერ ისვენებდნენ.

სახელი და ზმნა განსაკუთრებით ხშირად ხვდებიან ერთმანეთს პოემა „ბასიანის ბრძოლის“ რითმებში: ელადა-ლელადა, აეესო-პაერსო, დაედგომება-ლომებმა, ალაპარაკებს-არაბებს, გაშალა-გა-შარა, ქვეითა-შენითდა, ჯევარდნებს-შევარდნენ და სხვა.

სახელი საგნის აღმნიშვნელია, ზმნა-მოქმედების. საგნისა და მისი მოქმედების ჩვენება კი დიდად ფასიულაა სიუჟეტის განვითარებისათვის. მეორე პოემა „კოლიბა“, რომელიც ძირითადად ლირიკულია, გამოკვეთილი ფაბულა-სიუჟეტის გარეშე, სახელისა და ზმნის გართიმვით არ იქცევა ყურადღებას.

სწორედ სიუჟეტისა და მოქმედებითობის გამო, მოსალოდნელი იყო „ბასიანის ბრძოლის“ რითმათა დიდი ნაწილი ზმნური უქონოდა, როგორც პოემის მიდარითმშია: „ომი ვაგრძელდა, გაძნელდა“, მაგრამ არც „ბასიანის ბრძოლაში“ და არც საერთოდ ზმნურ რითმებს პოეტი ხშირად არ მიმართავს. ზმნური რითმა მანც ერთგვაროვანია, რითმის ღირსება კი მისი არაერთგვაროვნებაა.

ერთია, მეტყველების რა ნაწილი რასთან ირიტიმება, მეორე-რა სიტყვა რასთან.

რითმის სემანტიკა ეფფონიასთან ერთად ფასიულია. მას მრავალი კუთხე და ასპექტი აქვს. უპიკურ ნაწარმოებში, კერძოდ, საყურადღებოა პერსონაჟთა სახელების რითმაში მოქცევა, რაც ხელს უწყობს პერსონაჟის ხასიათის გამოკვეთას.

„ბასიანის ბრძოლის“ ყველა მოქმედი პირის სახელი რითმაშია გატანილი, უმრავლესობა-ბოლორიტიმში, ზოგიც-შიდარიტიმში. თუ სხვა პერსონაჟები თითოეულ რითმება, მთავარი გმირები: თამარი და ნუქარდინი ოთხ-ოთხეულ ქმნიან რითმას. რითმათა თანაბარი რაოდენობა, რაც ავტორისთვის, ცხადია, ქვეცნობიერია, მკითხველისათვის მნიშვნელობას მოკლებული არ არის: ბასიანის ომი თამარისა და ნუქარდინის ლაშქართა ჭიდილია. თანაფარდობა ერთნაირი უნდა იყოს, უძლიერესი ომმა უნდა გამოავლინოს.

რითმაში ნათლად ვლინდება ავტორის დამოკიდებულება ამ ორი პერსონაჟისადმი.

პირველად ნუქარდინია ნახსენები: „ნუქარდინს გამოეგ ზაუნა თამარისათვის წერილი“ და ამით უნდა დაიწყო. შორეული შიკარი-თმით ეს პერსონაჟი იმთავითვე ნეგატიურ ასპექტშია წარმოდგენილი. ზემოთ მოტანილ სტრიქონს უშუალოდ მოსდევს: „ენისგან უთქმელს, უკადრისს იწერებოდა მურღალი“. სტრიქონთა მეზობლობაში მკითხველი ადვილად დაიჭერს რითმას: ნუქარდინს-უკადრისს. ეს დახასიათება აქვე, ბოლორიტიმით არის გამაგრებული: მურღალი-სულთანნი. შემდეგ ნუქარდინი ირიტიმება სიტყვებითან: მუქარი, უქადის, ცრუ ქადილს. სამივე თანასწარი ნათლად წარმოგიდგენს ნუქარდინის ხასიათს.

ახლა თამართან შერთმული სიტყვები ენახოთ: თავანი („სამეფო სახლის თავანი“), ნათავთავარი, ქამარი („საქმრო ქამარი“), მთავარი. გვირგვინოსანი თამარი ძირითადად თავის საკადრის სიტყვათა გარეშოა.

რითმის ცალკების ასეთ პირდაპირ ურთიერთმიმართებას ისიც უწყობს ხელს რომ მოსაზღვრე სტრიქონები ირიტიმება (მგ). ერთის შინაარსი უშუალოდ გადადის მეორეში, თუმცა რითმის ცალკების ამგვარი ურთიერთმიმართება ჯვარედინ რითმამაც გვხვდება, სადაც მეორე და მეოთხე სტრიქონთა ბოლოები ირიტიმება:

ამ კაცის ცოლმა სხვა შეიყვარა,
ახე იტყვან ზეშუე ბიჭები,
გამიხსენებენ, როგორც ნიკალას
და თილ ნაპარს დაბაიჯებენ.



ბიჭები-დააბიჯებენ ერთი წინადადების ქვეშედაბარე-შემასმენელია.

სართომო სიტყვათა მნიშვნელობა ზოგჯერ სცილდება ჩვეულებრივ გაგებას და მეტაფორული აზროვნების ხასიათს იძენს.

მეტაფორით იწყება „ცხრა ძმა ხერხეულიძე“: „ეს გაფრენილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია“. სართომო სიტყვა ნისლი-უმეფროდ მიტოვებულ ხერხეულიძეების ცხენთა აწენილი, გაფრენილი ფაფარია. რითმის: ძაძა ბუნებას-დაძაბუნება, პირველი ცალიც მეტაფორაა: „როცა გიყურებ შავ სამოსელში, ვებდავ, ჩაუცვამს ძაძა ბუნებას“ („ვერიკო ანჯაფარაძე“). მეტაფორული გამოთქმა: „წუხილს წაიღებს ქარი და სტრიქონებად დაქსოვს“ („იმ სილამაზეს წარსულს“). იგი გალაკტიონის „ქთანწინდის მთვარის“ რემინისცენციაა: „მწუხარებით შემოსილი შეღამების ქნარი ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს“. ამას კიდევ უფრო ნათელს ხდის რითმების თანადამთხვევა: ქნარი-წყნარი, აქსოვს-მახსოვს. გალაკტიონით იყო შთაგონებული. თავი მის შეგორდად მიაჩნდა. მას უთხრა: „შენა ხარ ლექსის მეორედ მოსვლა“ („გალაკტიონს“), თუმცა ამ შემთხვევაში ლადოს სტრიქონები მაინც ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. მაინც სხვაა: ქნარის მიერ წუხილის სტრიქონებად დაქსოვა.

რითმის ხელოვნმა კარგად იცის ლამაზი რითმის ფასი და თავის გამორჩეულ რითმებს, უმეტესად სტრიქონების თანხლებით, ლექსში იმეორებს. ასე მეორდება იან ლექსების თავსა და ბოლოში ეს ალუბლები-ვესაუბრები, ძაძა ბუნებას-დაძაბუნება, და გვიფარავდა-მარაბდა, „ბარდნალას“ მთელი სტროფი თავისი რითმებითა და ალიტერაციით.

მე მხოლოდ რითმის სამზერიდან შევხედე ლადო ასათიანის პოეზიას. სურათი მიმზიდველია. ასევე მიმზიდველი იქნება იგი ფართო გადასახედიდან: ვერსიფიკაცია

მთლიანად, პოეტური სახეები, ლექსის კომპოზიცია, თემები და მოტივები. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ლადო ასათიანის სახით ჩვენ დიდი პოეტი გვყავს, ხოლო ცალკეული ჩავარდნილი სტრიქონი, უფრული ლექსი, თვით გენიალურ პოეტთანაერთებშიც კი გვხვდება.

ლადო ასათიანე ფიქრისას ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრდელი წამომართება ხოლმე. საუკუნე ამორებდათ ერთმანეთს. ორივე 17 წელს დაიბადა, ერთი XIX საუკუნეში, მეორე - XX-ში. ორივემ ცოტა ხანს იცოცხლა, ერთმა 27 წელი, მეორემ-26, მაგრამ ამ მცირე დროში ორივემ ბერის გაკეთება მოახსრო. ბარათაშვილის ხატება საცოცხლის თანამგზავრად დაჰყვებოდა. „შენ შთამავგონე პოეზია, ლექსის უნარი“ („ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“). თუმცა თავად განსხვავებული სტილის პოეტი იყო: სართომო სიტყვა: მერანი ყორანით კი არ დააკოჭლა, ჭდერანით გამართა, კარგად გრძნობდა ბარათაშვილის სიდიადეს: „შენი სტრიქონი სააკაძის ხმალივით ბასრი, წელთა ქროლვაში არასოდეს დაიჟანგება“.

თავისი თავის მიმართ გურამიშვილივით მოკრძალებული იყო: „ამ უხეირო ლექსების გარდა, რას გაეუკეთებ მე საქართველოს“ („თქვენ გეუბნებით ძმებო, მგოსნებო“). ამ სტრიქონების ავტორს უკვე დაწერილი აქვს „ლხინი კახელებთან“, „მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ“, „რუსთაველის პროსპექტი“, „ალბომიდან“, „ამისი ქმარი“, „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“, „კრწანისის ყაყაოები“, „ნადირობის შემდეგ“, „ცაგერის ბაზრობა“, „ანდერძი“, „ბარდნალა“- და დასაწერი: „სალალობო“, „ციხის სიზმარი“, „ფიროს-მანის მეგობრებთან“, „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო“, „უცნობი პოეტის რვეულიდან“, „რუსთაველის პროსპექტზე სიარული“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ასპინძა“, „პასიანის ბრძოლა“ და სხვა.

ამდენ პოეტურ შედეგს ბევრ მრავალტომიან ავტორთან ვერ იპოვი.

ლიტერატურა:

1. ლადო ასათიანი, „ერთკომეული“ 1979, გვ. 15.
2. ნ. აგიაშვილი, „ქაბუკები დარჩენენ მარად“ 1971, გვ. 144.
3. „ერთკომეულში“, ჯეილებო, რაც არღვევს რითმის ოთხმარცვლიანობას, რომელიც ლექსში სისტემის სახითაა. ავტორისეული იქნებოდა დიალექტური ფორმა: ჯეილებო.
4. „ერთკომეული“, გვ. 261



დარიშვა ვოხოლაჟი

სტრაბონის ცნობა იბერიის (ქართლის) მოსახლეობის პირველი გენოსისა და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ*

ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის სტრაბონის (დაახ. ძვ. წ. 64- ახ. წ. 24) „გეოგრაფიის“ მონაცემები ძველი ქართლის (იბერიის) სახელმწიფოებრივი და სოციალური სტრუქტურის შესახებ, გადაუქარბებლად, ელინისტური ეპოქის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და უნიკალური წყაროა. ლაკონური, მაგრამ უაღრესად ტვეადი შინაარსით, ეს მონაცემები ძველი ეპოქის, ჩანს, ქართლის სახელმწიფოს ნარმოქმნიდან, — ძვ. წ. IV-III სს-დან, — ვიდრე ახ. წ. I საუკუნის ელინისტური ქართლის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სურათს ნარმოგვიჩენს ძირითად, მაგისტრალურ, ხაზებში. ეს ცნობები საქართველოს შესახებ მოცემულია სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI ნივნში (თავი 3, §6).

მკვლევარ-საეტიმოლოგთა მიერ ქართლის (იბერიის) სამეფოს სტრაბონისეული აღწერის (XI, 3,6) ტექსტის სათანადო ადგილის თარგმანი ქართულად დღეს ასეა მიღებული:

„აღამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლის მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა, მეოთხე (გვარი) არის ხალხისა (λαοον), რომლებიც სამეფო მონები (οι βασιλικοι δασιαι) არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და

განაგებს თითოეულს უხუცესი. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა“.

სტრაბონის დროინდელი ქართლის საზოგადოება კლასობრივი და სახელმწიფოებრივია, რაც კარგა ხანია საყოველთაოდ დადასტურებულია ზოგიერთ გამონაკლის მკვლევართა გარდა, რომელთა შეხედულებით, სტრაბონის მოცემული ცნობით, ქართლში გვაროვნული წყობილება არსებობდა და არა კლასობრივი, სახელმწიფო (ს. კაკაბაძე, გ. სოსელია)¹, მაგრამ დიდი ხანია ეს თვალსაზრისი ქართულ ისტორიოგრაფიაში გადალახულია.

ჩვენ აქ სტრაბონის ცნობის მხოლოდ საწყის ნაწილს განვიხილავთ, რომელიც ქართლის სახელმწიფოს საზოგადოების პირველ გენოსს (ფენას, წოდებას) — მეფის საგვარეულოს, სამეფო დინასტიას და სამეფო ტახტის დაკავების წესს (სტატუსს) ეხება.

ცნობის საწყის ნაწილის მიხედვით, ქართლში არსებული კლასობრივისა და საზოგადოების ოთხი ფენიდან (წოდებიდან) „ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“. ნათელია, აქ სახეზეა სამეფო საგვარეულო და სამეფო დინასტია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს, მართალია, მიღებულია, რომ აღნიშნული ცნობით ქართლში კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფოა, მაგრამ, ამასთან, დღემდე საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, სტრაბონის ცნობის მიხედვით, ქართლში მემკვიდრეობითი მონარქია პირდაპირი ხაზით არ არის, — სამეფო ტახტს მეფის

* ნაითხლად იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში აკად. ს. ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 2000 წ. 18 ნოემბერს

გარდაცვალების შემდეგ იკავებს არა მეფის უმუშალო მემკვიდრე უფროსი ვაჟი, არამედ სამეფო საგვარეულო არისტოკრატიიდან ასაკით უფროსი — „მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უზუცესი“: მეფის ძმა, მეფის შვილი, ძმის შვილი, ბიძაშვილი და ა. შ. ამიტომ მკვლევართ მიხედვით, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ იბერიის შესახებ მოცემული სურათი სტრაბონის მოღვაწეობის დროსთან (ძვ. წ. I ს.) უფრო ადრეული, ან გაცილებით შორეულია, რადგან სტრაბონის ცნობის იბერიის (ქართლის) სოციალურ-პოლიტიკური ყოფის სურათი, მათი აზრით, არქაულ, განუვითარებელ მთაბჭვდილებას ტოვებს.

მიუხედავად ამ საერთო აზრისა, მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ სტრაბონის ცნობა იბერიის პირველი გენოსის — სამეფო საგვარეულოს შესახებ ნათელი არაა. ამიტომ მის სხვადასხვაგვარ ახსნას იძლევიან.

სტრაბონის ცნობის იბერიის პირველ გენოსსა და ტახტის მემკვიდრეობის ნეკს პირველად მოკლედ შეეხო ივ. ჯავახიშვილი ნაშრომში: „Государственный строй древней Грузии и Армении“ (1905 წ.), ხოლო შემდეგ სპეციალურად „ქართველი ერის ისტორიაში“ და „ქართული სამართლის ისტორიაში“. მისი აზრით, სტრაბონის ცნობით, სამეფო ხელისუფლება ქართლში, ისე როგორც მთელი საზღვალოების საგვარეულოები, ორგანიზებული იყო ასაკის მიხედვით „უზუცესობის პრინციპზე“², რომ სტრაბონის ცნობით, იბერიაში (ქართლში) სამეფო ტახტის მემკვიდრეობა მამის შემდგომ უფროს შვილზე „პირმშობის ნესით კი არ გადადიოდა“, არამედ ტახტის დაჭერა სამეფო საგვარეულოში ასაკით „უფროსობაზე“, „უზუცესობაზე“ იყო დამყარებული.³ მისივე აზრით, იბერიის პირველი გენოსის „მეფის შემდგომ მეორე პირიც“ (მართლმსაჯული და სარდალი) ამავე ნესით — ასაკით უზუცესობისა და მახლობლობის პრინციპით უნდა ყოფილიყო დანიშნული, რომელიც მეფედ ხდებოდა ნინა მეფის გარდაცვალების შემდეგ.⁴ ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მეორე“ პირის, მსაჯულის და სარდლის, ქართული სახელწოდება „ერი-

სმთავარი“ ან „ერისმთავართ-ერისმთავარი“ უნდა ყოფილიყო.⁵

სტრაბონის ცნობის ამ საკითხს შემდეგ შეეხო ს. გორგაძე. მისი აზრით, სტრაბონის ცნობის მიხედვით ელინისტური ქართლის მეფეს ტახტზე აყენებდნენ სამეფო გვარში უზუცესობის პრინციპით, მაგრამ ეს ნესი მალე უნდა შეცვლილიყო. ამასთან, აღნიშნული ცნობით, მეფეს ჰყავდა მოადგილე სამეფო გვარიდან. მეფის შემდგომ ამ „მეორე“ პირს („მოადგილეს“) იგი უკავშირებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორმეფობის სიას, სადაც, ს. გორგაძის აზრით, ერთი ნამდვილი მეფეა, ხოლო მეორე — მეფის შემდგომ „მეორე“ პირი.⁷

სტრაბონის ცნობაზე იბერიის ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გაგებაში ანალოგიური აზრისა იყო ს. ჯანაშია. მისი აზრით, იბერიაში (ქართლში) „სტრაბონის ცნობით, ბაზილევსად (მეფედ — დ. გ.) იყო ბაზილევსების გვარის ის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე უზუცესი და ახლობელი ნათესავი იყო წინააღდელი მეფისა“. მეფის შემდგომ „მეორე“ პირი კი, — მოსამართლე და სარდალი („სტრატელიტი“) — მისი აზრით, იყო ტახტის მემკვიდრე, იმავე სამეფო გვარისა, რომელიც „ბაზილევსი“ (მეფე) გახდებდა ნინა „მეფის სიკვდილის შემდეგ“.⁸

იბერიაში ტახტის მემკვიდრეობის სტრაბონისეული ცნობის სხვაგვარი ახსნის ცდა მოგვცა ო. ლორთქიფანიძემ. მისი აზრით, სტრაბონის ცნობით რომ იბერიაში პირველი გენოსიდან, სამეფო საგვარეულოდან, „სხამენ მეფეებს“, — ეს ერთი მეფეა, მაგრამ მეფის შემდგომი „მეორე“ პირიც („დეშტორსი“) ასევე მეფეა, რომელიც მოსამართლეობს და მხედართმთავრობს და, ამდენად, სტრაბონის ცნობაში ლაპარაკია ორმეფობაზე, იბერიის ორ მეფეზე.⁹ მისივე აზრით, ქართლში ასახულია არქაული სოციალური ყოფა, რადგან ხელისუფლების ფუნქციების განაწილება, რასაც, სტრაბონის ცნობით, ადგილი აქვს იბერიაში, „დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი აპარატის განვითარების ადრეული ეტაპისათვის“.¹⁰ სახელდობრ, ეს ხანა ქართლში არის ძვ. წ. III ს. 80-იანი წწ., ანუ

ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრების ეპოქა.¹¹

შემდგომ ო. ლორთქიფანიძემ ამ მხრივ ეპოქა უფრო შორს გადასწავს. მოგვიანებით მისი, აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI წიგნის (3,6) ცნობების მთელი რიგი მომენტები — სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პრინციპი, უმაღლესი ძალაუფლების რამდენიმე პირთა შორის განაწილება და სხვ. — მაინც, თითქოს უფრო იმაზე მიუთითებენ, რომ „სტრაბონის ცნობებში (XI, 3,6) აისახა ქართლის კონოტიკური და სოციალური განვითარების არქაული საფეხური — ის ხანა ვიდრე შეიქმნებოდა ქართლის სამეფო ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით, ანუ ძვ. წ. III ს-ის 80-იანი წლების წინა პერიოდი“¹², ე. ი. წინასახელმწიფოებრივი პერიოდი.

ტრადიციულად ესმის სტრაბონის ცნობა იბერიაში (ქართლში) სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ გ. მელიქიშვილს. მასაც მიაჩნია, რომ ამ ცნობით სამეფო ტახტი მემკვიდრეობით პირდაპირ მამიდან შვილზე კი არ გადადის, არამედ სამეფო გვარიდან „სხამდენ მეფეებს“ „მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უზუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედარმთავრობს“. ამასთან, მას ტახტის ეს წესი მიაჩნია „ელინისტურ ხანაში იბერიის სახელმწიფოს განუვითარებლობის“ ნიშნად.¹³

აქვე გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ რიგი ანტიკური ავტორების და ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებში სამეფო ტახტი „ქართლის სამეფოში გადადიოდა, როგორც წესი, მამიდან შვილზე“. ამიტომ სტრაბონის ცნობა: იბერიაში „ტახტის გადასვლა სამეფო საგვარეულოში უფროსობის მიხედვით“, „ეგების უფრო ადრეული ელინისტური ხანისათვის იყო დამახსიათებელი“. მისივე აზრით, ამ „მოუღწეის გადმონათად“ შეიძლება მივიჩნიოთ ძვ. და ახ. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე „მეფის შემდგომ მეროე პირის“ — როგორც წესი, მეფის უახლოესი ნათესავის ინსტიტუტის არსებობა იბერიაში¹⁴, „ანდა ცნობილი „ორმეფობაც“ ქართლში“, ხოლო ახ. წ.-ის პირ-

ველ საუკუნეებში მეფის ძმის დიდი აქტიუობა პოლიტიკურ ასპარეზზე. „ამაშიც ჩვენ შეიძლება დავინახოთ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრიმიტიულობის კიდევ ერთი ნიშანი, როდესაც სამეფო დინასტია, სამეფო გვარი, სამეფოს უქცერის როგორც თავის კოლექტიურ, საგვარეულო სამფლობელოს“, რომ სტრაბონისეული იბერიის ტახტის მემკვიდრეობის წესში „თავს იჩენს პირველყოფილი თემური ნყობილების ტრადიციები“.¹⁴

დაბოლოს, გ. მელიქიშვილის აზრით, ძველი ქართული თემი სატაძრო თემი ჩანს და, საერთოდ, „ქართლის საზოგადოებრივი ნყობილება ადრეულ ხანაში, სტრაბონის ცნობის მიხედვით, მნიშვნელოვანწილად თეოკრატიულ ელფერს ატარებს“ (აქ იგი იზიარებს ს. ჯანაშიას აზრს), ამიტომ, შესაძლოა, სტრაბონისეული იბერიის მეფე ყოფილიყო უზენაესი ქურუმი, რადგან თუ მოსამართლეობა და მხედართმთავრობა არ შედიოდა მეფის ფუნქციებში, მაშინ „რალა შეიძლებოდა ყოფილიყო იგი, თუ არა უზენაესი ქურუმი?“ მისი აზრით, ასეთი „უფუნქციო“ „მეფეები“ დამონმებული უყავს სენოფონიტის შავიზღვისპირეთის ქართველ ტომებში — მოსინიკებში. ეგების იბერიაში მოხდა „უზენაესი ქურუმის საგვარეულოს ტრანსფორმაცია სამეფო საგვარეულოდ“ და უზენაესი ქურუმი გამოეთიშა ქურუმთა საერთო მასას¹⁵ (ე. ი. მეორე გენოსს — დ. გ.). როგორც ვხედავთ, გ. მელიქიშვილის აზრით, სტრაბონისეული ცნობის იბერიის მეფე, შესაძლოა, საერო ხელისუფალი არც ყოფილიყო, არამედ უზენაესი ქურუმი ყოფილიყო, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ქვეყნის უზენაესი საერო ხელისუფალი პირველი გენოსის „მეორე“ პირი უნდა ყოფილიყო.

ბოლო დროს სტრაბონის „გეოგრაფიის“ მონაცემები იბერიის (ქართლის) შესახებ, მათ შორის, იბერიაში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ყველაზე უფრო ვრცლად და სპეციალურად შეინახავს ვ. ვაშაქიძემ. მან ჩაატარა მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური ძიებანი, მოგვცა რიგი ორიგინალური თვალსაზრისი, დასვა ბევრი პრ-

ობლემური საკითხი. აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეულ სტრაპონის „გეოგრაფიის“ 30-მდე ხელნაწერს შორის, ვ. ვაშაქიძემ ყურადღება გაამახვილა 1875 წ. რომის მახლობლად აღმოჩენილი სტრაპონის გეოგრაფიის ხელნაწერზე, V-VI სს. პალიმფსესტზე, რომელიც 1956 წ. მეორედ გამოცვა ე. აღომ. პალიმფსესტი ქართულ ისტორიულ მეცნიერებას პირველად გააცნო თ. ყაუხჩიშვილმა. მანვე შეაჯერა იგი „გეოგრაფიის“ რიგ გამოცემათა ტექსტებს. თ. ყაუხჩიშვილი და ვ. ვაშაქიძე აღნიშნავენ, რომ სხვა ხელნაწერებთან შედარებით პალიმფსესტში არის რიგი შეცდომები — ტერმინოლოგიური და აზრობრივიც (მაგ. „უფრო მცირეს“ ნაცვლად „უფრო ღრმა“), მაგრამ რიგი ადგილები უფრო სწორი ჩანს სხვა ხელნაწერებთან შედარებით (მაგ. „სისამორა“ (ნიწამური) „სევსამორას“ ნაცვლად).¹⁶ ცხადია, ადრეული ხანის, V-VI სს. პალიმფსესტს X-XV სს.-ის დანარჩენ ხელნაწერებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, მაგრამ, როგორც სწორად აღნიშნავს ვ. ვაშაქიძე, „გეოგრაფიის“ ტექსტის დადგენისას ყოველთვის მას უპირატესობას ვერ მივანიჭებთ ადრინდელობის გამო, მაგრამ მისი მონაცემებისთვის ანგარიშის განევა უთუოდ საეალღებულოა.¹⁷ თავისი თვალსაზრისი, იბერიაში სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა და პირველი გენოსის შესახებ, ვ. ვაშაქიძემ სწორედ პალიმფსესტის სათანადო ადგილს დააყრდნო, რომელიც მოტანილი აქვს ნაშრომში (გვ. 28).

სახელდობრ, მისი აზრით, სტრაპონის „გეოგრაფიის“ პალიმფსესტში იბერიაში მეფეების ტახტზე დასმისას წერია: „მეფეებს აყენებენ გამოცდილების (δυσπειρα — დიაპეირა) და ასაკის მიხედვით უზუცესს“, და არა „მახლობლობის (αγγιαιειαν — ანხისტეია) და ასაკის მიხედვით უზუცესს“, როგორც აქამდე იყო მიღებულიო.¹⁸ ვ. ვაშაქიძის აზრით, რაზან იბერიის ოთხივე გენოსი „სვინგენიებად“ იყოფა (ანუ „საზოგადო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით“ — აქ იგი იზიარებს იე. ჯავახიშვილის შეხედულებას), ამიტომ ტექსტში პირველ გენოსთან „ანხისტეია“ („მახლობლობა“,

„ახლობელი ნათესაობა“) ზედმეტია და ლოგიკურია აქ იყოს „დიაპეირა“ — „გამოცდილება“.¹⁹ მკვლევარი პალიმფსესტის „დიაპეირას“ (გამოცდილება) უპირატესობას აძლევს „გეოგრაფიის“ სხვა ხელნაწერებში (ასეთი 30-მდეა) მოცემულ „ანხისტეიასთან“ (მახლობლობა, ახლობელი ნათესაობა) შედარებით და, მისი აზრით, საბოლოოდ იბერიის პირველი გენოსისა და სამეფო ტახტის დაკავების სტრაპონისეული ცნობა (XI, 3,6) ასე უნდა იკითხებოდეს: „ოთხგვარი ხალხი სახლობს ამ ქვეყანაში (იბერიაში): ერთი და უპირველესი (გვარია) ის, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ გამოცდილებისა და ასაკის მიხედვით უზუცესს. მეორე მოსამართლეობს და სარდლობს“.²⁰

პალიმფსესტის ამ ტერმინმა („გამოცდილება“) კიდევ უფრო განუმტკიცა მას არსებული შეხედულება. ვ. ვაშაქიძის აზრითაც, სტრაპონის ცნობით, სამეფო ტახტი იბერიაში გადადიოდა არა მონარქიული პირდაპირი მემკვიდრეობის ხაზით მამიდან შვილზე, არამედ სამეფო გვარში „გამოცდილებისა და ასაკის მიხედვით“ უფროსზე, ხოლო მეორე ამავე სამეფო გვარიდან მოსამართლე და სარდალი იყო, რითაც სამეფო ხელისუფლება დანაწილებული იყო, „მეფის ძალაუფლება მონარქიული არ იყო“.²¹ მისი აზრითაც, სამეფო ტახტის დაკავების აღნიშნული წესი და სამეფო ხელისუფლების ასეთი დანაწილება დამახასიათებელი იყო გაცილებით ადრეული ხანისათვის, სახელდობრ, იბერიაში ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი განუვითარებლობის, „სახელმწიფოს წარმოქმნის თავდაპირველ ეტაპზე“ ძვ. წ. IV-III სს.-ში, რომ ტახტის ასეთი წესი და ვითარება გამოიციხულია „განვითარებულ სახელმწიფოში“.²² ამიტომ სტრაპონის ცნობა ავეინერს არა სტრაპონისდროინდელ იბერიას (ძვ. წ. I ს.), როცა ქართლის სახელმწიფო ჩამოყალიბებულია და ქართლის მეფე, ვთქვათ, არტავაზი სრულუფლებიანი მონარქია (მთავარსარდალიც არის და მსაჯულიც), არამედ „ძვ. წ. III-II სს.-ის ქართლის სამეფოს სოციალურ ვითარებას“²³ და ამ ეპოქის მიმართ იგი ნადაოა.

შემდგომ ვ. ვაშაკიძე საგანგებოდ ეხება სტრახონის ცნობის „მეორე“ პირს იბერიის პირველი გენოსიდან, — „მოსამართლეს და სარდალს“, სვამს მისი ვინაობის და გაჩენის საკითხს.

ს. გორგაძისა და პ. ინგოროყვას აზრით, სტრახონის იბერიის მეფის შემდგომ „მეორე“ პირი იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წარმართული ქართლის ორმეფობის სიის მეორე მეფე, — იგი იყო პიტიახში²⁴ (მათი ეს მოსაზრება სხვებმაც გაიზიარეს). გ. წერეთლის აზრით, კი სტრახონისდროინდელ იბერიაში არსებობდნენ რამდენიმე, — „მცირე“ და „დიდი პიტიახშები“. ამდენად, სტრახონის მეფის „მეორე“ პირი, „დევეტროსი“, პიტიახში არ არის. მისი აზრით, „პიტიახში“ ქართული შესატყვისი არის „ერისთავი“²⁵. გ. წერეთლის ეს მოსაზრება დღეს მიღებულია ქართლისტორიულ მეცნიერებაში.

როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისას, ფარნავაზმა ქვეყანა დაყო რვა საერისთავოდ. მეფე ფარნავაზის შემდეგ რანგით „მეორე“ პირს ეწოდებოდა „შემდგომი წინაშე მეფისა“, რომელიც იყო სპასპეტი შიდა ქართლისა („არაგვიდან ტასისკარამდე“) და „მთავრობით განაგებდა ყოველთა ერისთავთა ზედა“²⁶.

ვ. ვაშაკიძის აზრით, სტრახონისეული „დევეტროსი“ — იბერიის სამეფო საგვარეულოს „მეორე“ პირი (მოსამართლე და სარდალი) — ეს არის სწორედ ლეონტის „მეფეთა ცხოვრების“ „შემდგომი მეფისა“ და ეს არის „დევეტროსის“ ქართული შესატყვისი.²⁷

ამასთან, მას მოაქვს მეფის შემდგომ „მეორე“ პირის არსებობის სინქრონული ანალოგები: სტრახონის დროს კაპადოკიაში და ალბანეთში იყო მეფის შემდგომი „მეორე“ პირი, რომელიც უმაღლესი ქურუმი იყო. იბერიაში კი მათგან განსხვავებით „მეორე“ პირი მოსამართლე და მხედართმთავარია. ამასთან, რაც გამოკვლევებზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ქურუმები მხედართმთავრებიც იყვნენ (მაგ.: პესინუნტის, ტიანას, კომანას ქურუმები). ერთი მათგანი, კომანას ქურუმი (კაპადოკიაში)

სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი იყო და მეფის შემდეგ „მეორე“ პირი.²⁸ აღსანიშნავია, ნ. ადონცის და კ. ტრევერის აზრით, იბერიის მეფის შემდეგი — „მეორე“ პირი (დევეტროსი) — უმაღლესი ქურუმი იყო.

ვ. ვაშაკიძის აზრით, სტრახონისდროინდელ იბერიაში უმაღლესი ქურუმი იყო თვით მეფე, და არა „მეორე“ პირი. მისი აზრით, ამას მოწმობს ამ პერიოდში (ძვ. წ. V-I სს.) ანალოგიური ვითარება თრაკიაში, პონტოსა და სომხეთში, სადაც მეფეები უმაღლესი ქურუმებიც იყვნენ.²⁹

დაბოლოს, მიაჩნია რა მეფის შემდგომ „მეორე“ პირის ინსტიტუტის არსებობა, ანუ „ბაზილევსისა“ და „დევეტროსის“ თანარსებობა იბერიაში (და სხვა ქვეყნებში) მეფის ხელისუფლების დანაწილება და ძველი ეპოქის მოვლენად, ვ. ვაშაკიძე სვამს კითხვას: მაინც, როდის და რა პირობებმა გამოიწვია ქართლის სამეფოში მეფისა და „დევეტროსის“ („მეორე“ პირის) გაჩენა და თანარსებობა. იგი მასზე შემდეგ ორიგინალურ მიხედულებას ვეთავაზობს.

ქართველ ტომთა მიერ დასახლებულ „ხევებს“ შორის („სამხედრო დემოკრატის“ ეპოქა — დ. გ.) ჩვენს წელთაღრიცხვამდე საუკუნეების მანძილზე შეგემონობისა და დამორჩილება-გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლების შედეგად IV ს-ში ჩამოყალიბდა ორი დიდი „პოლიტიკური“ ერთეული (გაერთიანება): ერთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — არიან-ქართლი, ხოლო მეორე — ცენტრალური ქართლისა (აღმოსავლეთ საქართველოში) მცხეთის ირგვლივ. ძვ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე, ადრეელისტურ ხანაში, ამ ორ დიდ „პოლიტიკურ“ გაერთიანებას შორის, რომელთაც ფარნავაზი და აზონი ხელმძღვანელობდნენ, მოხდა დიდი ბრძოლა ქართლში პოლიტიკური შეგემონობისათვის, რაც ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს წარმოქმნისათვის დაწყებული ბრძოლის დამამთავრებელი ეტაპი იყო.³⁰ ბრძოლა დამთავრდა ფარნავაზის (მცხეთის ქართლის) გამარჯვებით. ვაკცეული აზონი ბრძოლაში



მოკლეს. მცხეთაში დაბრუნებულმა ფარნავაზმა თავი მეფედ გამოაცხადა. წარმოიქმნა ქართლის სახელმწიფო. ფარნავაზმა გაატარა დიდი მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი რეფორმები.²¹

ვ. ვამაკიძის აზრით, სწორედ ამ დროს გაჩნდა სტრაბონის იბერიის მეფის შემდგომი „მეორე“ პირი (დეეტეროსი). სახელდობრ, გამარჯვებულმა ფარნავაზმა აზონის ხალხი „იპყრნა... კეთილად“²² ხოლო პოლიტიკური მოსაზრებით აზონის სახლი დაინათესავა, მის ერთ-ერთ ნევრს კი ხელისუფლების რალაც სეფრო დროებით გადასცა, სამეფოში „მეორე“ პირად აქცია. ასე იშვა იბერიაში მეფის შემდგომ „მეორე“ პირი — „დეეტეროსი“. მისი აზრით, სწორედ ამ პერიოდს ასახავს სტრაბონის ცნობა იბერიაში მეფის შემდეგ „მეორე“ პირის შესახებ: „მეორე მოსამართლეობს და სარდლობს“. „სამეფო ხელისუფლებების ამგვარი გაყოფა ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ (ძვ. წ. IV-III სს.) კარგა ხანს გრძელდებოდა, რადგან მეფე — „უხუცესიდან“ მეფე-მონარქად გადაქცევა რთული და ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო. ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებისათვის კი ქართლის მეფე ნამდვილი მონარქია. სტრაბონის ცნობა ასახავს ძვ. წ. III-II სს-ის ქართლის ვითარებას.²³ დასასრულ, სტრაბონის ცნობა: იბერიაში „ნათესაობისდა მიხედვით“, „საერთო ქონებას“ „უხუცესი“ განაგებდნენ, მის მანიშნებელია, რომ ამ პერიოდში (ძვ. წ. III-II სს.) ქართლის უმაღლეს ხელისუფალს, ფარნავაზიდან დაწყებული, ისევ „უხუცესი“ — „მამასახლისი“ ეწოდება, ხოლო მეფის ტიტული (დღ. გაგებით) მას გვიან უნდა მიეღო.²⁴

მკვლევრებმა, ცხადია, დასვეს საკითხი სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროების შესახებ, ჯერ კიდევ XIX ს. ევროპელმა მეცნიერებმა (ვ. არნოლდი, კ. ნოიმანი, ფ. დიუბუა, ვ. ფაბრიციუსი და სხვ.), შემდეგ, ასევე მისი წყაროებით დაინტერესდნენ XX ს. ევროპელი ისტორიკოსები (მ. როსტოცკევი, ვ. ალი და სხვ.), მაგრამ „გეოგრაფიის“ XI ნიგნის წყაროების შესახებ, რომელიც

იბერიას ეხება, მათ კვლევა არ უნდა მოხდეს.

ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში იბერიის შესახებ სტრაბონის ცნობების (XI, 3,6) წყაროებზე პირველად მიუთითეს ნ. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა.

ს. ჯანაშიას აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობა იბერიის სოციალური წყობილების შესახებ, სტრაბონისდროინდელი და თვით „სტრაბონის საკუთარი დაკვირვების ნაყოფი კი არ არის, არამედ სტრაბონის ერთ-ერთ წყაროს ეკუთვნის“ და „იგი არ შეიძლება პირველი საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი იყოს, ჩვენი ნელთაღრიცხვის დაწყების წინ“.²⁵

ნ. ბერძენიშვილმა, ასევე, გამოთქვა ვარაუდი იბერიის შესახებ სტრაბონის ცნობის (XI, 3,6) წყაროს არსებობაზე და საჭიროდ მიიჩნია „უპირველეს ყოვლისა საკითხი დაისვას სტრაბონის ცნობათა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ“.²⁶

მკვლევრებმა მართლაც მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ძიებანი ჩაატარეს ამ მხრე, მაგრამ შედეგი აზრთა ამკარა სხვადასხვაობით ზახიათდება.

სახელდობრ, ა. ბოლტუნოვას აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყარო იბერიის სოციალური ყოფის აღწერისას (XI, 3,6) იყო პოსიდონიოსის „ისტორია“ ძვ. წ. II ს. 40-30-იანი წლებისა.²⁷

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, — რომელმაც ყველაზე დიდი კვლევა ჩაატარა სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროებზე, საერთოდ, — სტრაბონს უსარგებლია როგორც თანამედროვე, ისე ძველი წყაროებით. რაც შეეხება „გეოგრაფიის“ XI ნიგნს, სადაც დაცულია ცნობები იბერიის შესახებ, თ. ყაუხჩიშვილის აზრით, აქ სტრაბონს საერთოდ, გამოყენებული აქვს პეროდოტი (ძვ. წ. V ს.), პატროკლე (ძვ. წ. III ს.), არტიმიდოროსი (ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსი), ერატოსთენე (ძვ. წ. III ს.) პოსიდონიოსი (ძვ. წ. II ს.), თეოფანე მიტილენელი (ძვ. წ. I ს.) და სხვ.²⁸ რაც შეეხება, მაინც, იბერიის სოციალური აღწერის კონკრეტულ წყაროს, იგი არ ასახელებს, „პოპოლუზის ფარგლებში რჩება“-ო, მაგრამ მიიჩნია,

რომ „სტრაბონის წყარო მართლაც გაცილებით უფრო ადრინდელია“ სტრაბონზე და, შესაძლოა, პოსედონიოსისა და თვით პატროკლეს ხანაზეც კი.³⁹

ო. ლორთქიფანიძის აზრით, ა. ბოლტუნოვას საპირისპიროდ, სტრაბონის „გეოგრაფიის“ (XI, 3, 6) წყარო იბერიის საზოგადოებრივი წყობის შესახებ არის არა პოსედონიოსი, არამედ პატროკლე (ერატოსთენის გზით), რომელიც თარიღდება ძვ. წ. III ს. 80-70-იანი წლებით.⁴⁰

გ. მელიქიშვილი ამ საკითხში ძირითადად ეთანხმება ა. ბოლტუნოვას, მაგრამ ნაწილობრივ მზარს უჭერს ო. ლორთქიფანიძესაც. მისი აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყარო იბერიის შესახებ (XI, 3, 6) „პოსედონიოსიდან ანდა, შეიძლება, თვით პატროკლედან მომდინარეობს“.⁴¹ რომ იბერიის საზოგადოების შესახებ „სტრაბონის ეს ცნობები მომდინარეობენ ძვ. წ. III ს. 40-30-იანი წლებიდან (ე. ი. პოსიდონიოსიდან — დ. გ.) ანდა, შესაძლებელია, კიდევ უფრო ადრეულ (ძვ. წ. III ს. დასაწყისის) ავტორ პატროკლედან ერატოსთენის გზით“.⁴²

ა. ნოვოსელცევი არ იზიარებს იბერიის შესახებ (XI, 3, 6) სტრაბონის წყაროს ძვ. წ. III-II სს-ით დათარიღებას, რადგან, მისი აზრით, არ არის რეალური მონაცემები იცნობდნენ თუ არა ბერძნები და რომაელები იბერიას პომპეუსის ლაშქრობამდე (ძვ. წ. 65 წ.). მისი აზრით, იბერიის საზოგადოებრივი სტრუქტურის ასეთი შინაარსიანი აღწერის (წყაროს) ავტორი იბერიაში ნამყოფი უნდა ყოფილიყო. ასეთებად იგი თვლის პომპეუსის ლაშქრობის აღმწერლებს, კერძოდ, თეოფანე მიტილენელს, რომელსაც სტრაბონი „გეოგრაფიაში“ არაერთხელ ახსენებს. ამასთან, ა. ნოვოსელცევის მიაჩნია, რომ სტრაბონის ცნობით, იბერიის საზოგადოება დაყოფილია არქაულ გენოსებად (ფენებად), რაც, მისივე აზრით, ძვ. წ. I საუკუნის იბერიაში თავისუფლად შეიძლება ყოფილიყო.⁴³

სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყარობის საკითხი იბერიის შესახებ (XI, 3, 6) ვრცლად განიხილა ვ. ვაშაკიძემ. მისი აზრით, „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა იბერიის სოციალურ წყობილებაზე სტრაბონს კი არ ეკუთვნის, არამედ სხვას,

ნინა საუკუნეების ავტორს.⁴⁴ მკვლევარმა ძველ ვითარებას ასახავს. „მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის იბერიის შესახებ ცნობები ბერძენ-რომაელ ავტორებთან IV-III საუკუნის მიჯნიდან არსებობს, სტრაბონის „გეოგრაფიის“ იბერიის აღწერის (XI, 3, 6) ავტორის, ანუ „წყაროს შესახებ დაბეჭუთებით მსჯელობის არავითარი საშუალება არ გვაქვს“, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წყარო, ცხადია, არსებობდა, მაგრამ ჩვენთვის იგი უცნობია.“⁴⁵ ამასთან, ეს წყარო „ნერილობით უნდა ყოფილიყო“. მას მიაჩნია, რომ „სტრაბონამდელი ბერძნული საისტორიო მწერლობის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მისი გამოშუქურება დღესდღეობით შეუძლებელია“.⁴⁶ საბოლოოდ დაასკვნის, რომ „სტრაბონის გეოგრაფიის“ XI, 3, 6 პარაგრაფის წყარო გეოგრაფიის ხანასთან შედარებით, გაცილებით ადრინდელია და ძვ. წ. III-II სს-ებს უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო კონკრეტულ ავტორზე ლაპარაკი... უსაფუძვლო ჰიპოთეზებზე შორს ვერ ნაგვიყვანს“.⁴⁷

როგორც ვხედავთ, მკვლევრები ეძიებენ და დავობენ იბერიის შესახებ (XI, 3, 6) სტრაბონის წყაროებზე. მაგრამ რაიმე ხელშესახები შედეგი მაინც არ არის მიღებული, რადგან სტრაბონისეული იბერიის კონკრეტული წყარო არ ჩანს. საქმე იმაშია, რომ, მართალია, სტრაბონი ნინარე ძველ წყაროებს და მათ ავტორებს იცნობდა და „გეოგრაფიაში“ ბევრს ახსენებს კიდევ, მათ შორის XI ნივთშიც, მაგრამ ამ ნივთის მე-3 თავში, სადაც იბერიას აღწერს, სტრაბონი არც ერთ წყაროს ან ავტორს არ ასახელებს. ამასთან, არც რომელიმე ძველ თუ მის თანამედროვე ავტორთან არ აღმოჩნდა იბერიის სტრაბონისეული მსგავსი აღწერაც კი.

ჩვენ, ვფიქრობთ, ნათლად ნარმოვაცინეთ მკვლევართა შეხედულებანი სტრაბონის ცნობის მიმართ, — იბერიაში პირველი გენოსის — სამეფო საგვარეულოს, ტახტის მემკვიდრეობის წესისა და მეფის შემდგომი „მეორე“ პირის სტატუსის შესახებ.

ჩვენ, დიდი ხანია (70-იან წლებში ძველ ქართულ სოფელზე მუშაობის

დანებებიდან) ძველი ქართლის (იბერიის) მოსახლეობის პირველი გენოსის და იბერიის ტახტის მემკვიდრეობის შესახებ სტრაბონის ცნობის ასეთი ანალიზი და შეხედულებები, სტრაბონის ტექსტის ასეთი ახსნა მართებულად ვერ მივიჩნევთ. უპირველეს ყოვლისა, თვით ტექსტის შესახებ.

იბერიის (ქართლის) მოსახლეობის პირველი გენოსის (გვარი, ფენა, ნოდება) შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიის“ ტექსტის თარგმანი დღეს ასეა მიღებული: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს (მეთაულებს — ბასილევს) სხამენ მახლობლობისა (აუჯიჯიფი — ანხისტეია) და ასაკის მიხედვით უხუცესს (პირველად — პრესბიტატოსი), ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“.

იბერიის პირველ, სამეფო საგვარეულოსა და სამეფო ტახტის დაკავების წესთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, ყველა არსებულ ხელნაწერთან შედარებით, ერთი განსხვავებული სიტყვა მოცემულია სტრაბონის „გეოგრაფიის“ V-VI-ს-ის პალიმფსესტში, სადაც ვ. ვაშაკიძის აზრით, შესაბამის ნინადადებაში სიტყვა „მახლობლობის“ (ანხისტეია) ნაცვლად წერია „გამოცდილება“ (დიაპეირა): იბერიამ პირველი გენოსიდან „მეფეებს სხამენ გამოცდილების (მეთაულებს) და ასაკის მიხედვით უხუცესს“.

რამდენად მისაღებია ეს? სტრაბონის მოცემული ცნობის სიტყვები პალიმფსესტში ერთმანეთისაგან გამოყოფილი არაა, თანაც როგი სიტყვები დაქარაგმებულია. ამიტომ, ვერ ერთი, ჩვენ არ ვიცით რამდენად გაიზიარებენ საქცილისტი მკვლევრები დაუყოფელ ტექსტში მაინცდამაინც დაქარაგმებულ „მ. აქა“-ს გახსნას „მეთაულებს“-ს, ნაცვლად წერია „ანხისტეია“ („აუჯიჯიფი“) — მახლობლობა, ახლო ნათესაობა, ე. ი. „მეფეებს სხამენ ახლო-

ელი ნათესაობის (მახლობლობის) და ასაკის მიხედვით უხუცესს“. მართალია, V-VI ს-ის ხელნაწერს (პალიმფსესტს) ქრონოლოგიური უპირატესობა აქვს X-ის ხელნაწერთან შედარებით, მაგრამ როგორც მკვლევრები (თვით ვ. ვაშაკიძეც) სამართლიანად აღნიშნავენ, ყოველთვის მას (პალიმფსესტს) უპირატესობას ვერ მივცემთ, რადგან გამორიცხული არაა გადამწერთა შეცდომები, მათი ნებისმიერი კონიექტურაც. ამასთან, რაც მთავარია, სრულიად არაა გამორიცხული X-XV სს-ის ყველა ხელნაწერის სათანადო ადგილი, რომელიც იბერიის ტახტის დაკავების წესის ერთ-ერთ ნიშან-სიტყვას „მახლობლობის“ (ანხისტეია — ახლობელი ნათესაობის) მიხედვით წარმოგვიდგენს (და არა „დიაპეირა“-ს — „გამოცდილების“ მიხედვით), — სტრაბონისეული არქექტიპიდან (დაახ. ვარაუდობენ I-II სს.) იყოს გადაღებული.

ამასთან, ჩვენი აზრით, პალიმფსესტის დაქარაგმებული „მ. აქა“-ს გახსნის მეორე ვარიანტიც არსებობს. თუ „მ. აქა“ ვ. ვაშაკიძის აზრით, იხსნება „დიაპეირა“-დ (მ(1)απειρα) (გამოცდილება), იგი, ჩვენი აზრით, ასევე შეიძლება გაიხსნას „დიასპორა“-დაც: „მ. აქა“ — მ(1)α(σ)π(α)ρα — „ძირი-ფუძე თაიპა — ნათესი, გვარი, ტომი, შთამომავალი. მეთაუები — განთესილი, განთესვა, გაბნევა, მიმობნეული, გაფანტული, სათვისტომო.“⁴ ამასთან, „სპორა“ სინონიმია სიტყვა „სპერმა“-ს (σπαρα — თესლი, ნათესი, ტომი, მოდგმა, შვილი, შთამომავალი), ფუძე ერთი აქვთ (სპერ-სპორ) და მათში „ე“ და „ო“ მონაცვლეობენ. ტექსტში კი მივიღებთ: იბერიამ პირველი გენოსიდან „მეფეებს სხამენ განთესვისა (განთესილისა „მეთაუები“ უახლოეს ყოფილი მეფისა) და ასაკის მიხედვით უხუცესს“. „დიასპორა“ კი, ანუ განთესილი, სემანტიკურად, შინაარსით, სავსებით დასაშვებია დაუკავშირდეს სტრაბონის „გეოგრაფიის“ 30-მდე არსებული ხელნაწერის სათანადო ტექსტის „ანხისტეიას“, მახლობლობას, ნათესაობას. ამასთან, ჩვენი კონიექტურა („დიასპორა“) სწორიც რომ არ იყოს, ეს

მაცნე ვერ შეუძლის ხელს ჩვენს თვალსაზრისს.

რაც მთავარია, ჩვენი მიგვაჩნია, რომ წინადადება: მეფეების დასახმა „გამოცდილებისა და ასაკის მიხედვით უზუცესის“, — არალოგიკურია. შესაძლოა, ტახტის ერთ პრეტენდენტს ასაკი მეტი ჰქონოდა, მაგრამ გამოცდილება ნაკლები, ხოლო მეორეს — გამოცდილება მეტი ჰქონოდა, მაგრამ ასაკით უმცროსი ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყვნენ? ასეთ წინააღმდეგობრივ იურიდიულ ნორმას სტრაბონი თავის ტექსტში არ დაუშვებდა.

რაც შეეხება მეფეების დასახმას ტახტზე „მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უზუცესის“ — ეს საგვებით ბუნებრივი და ლოგიკურია, სრულ შესაბამისობაშია: ტახტს იკავებს წინა მეფის უახლოესი ნათესავი და სხვებთან შედარებით ასაკით უფროსი. სწორედ ასე თარგმნის პ. პროზოროვი სტრაბონის ტექსტის ამ ადგილს: იბერიაში პირველი გენოსიდან („კლასიდან“) სამეფო ტახტზე „ставят царей, выбирая ближайшего по родству (с прежним царем) и старейшего по летам“.⁴²

ამიტომ, ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიეცეს სტრაბონის „გეოგრაფიის“ პალიმიფსესტამდე ცნობილი ხელნაწერებიდან დღეს მიღებულ ტექსტს და მის ქართულ თარგმანს: იბერიაში „ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა (αγγιχθειαν — ანხისტეია) და ასაკის მიხედვით უზუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს.“ ჩვენი, ჩვენი აზრით, ამ სწორ ტრადიციულ ტექსტს და თარგმანს ვეყრდნობით საკითხის განხილვისას.

ამჟამად შევეხოთ თვით საკითხის არსს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონის ცნობაში პირველი გენოსის შესახებ წინასახელმწიფობრივ გეაროვნულ არისტოკრატიაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ სამეფო (მეფის) სახლის, სამეფო დინასტიის საგვარეულო არისტოკრატიაზე, საერთოდ კი, სტრაბონის მთელ ცნობაში, იბერიის საზოგადოების ოთხ გენოსზე

(ფენაზე), ქართლის საზოგადოების გეაროვნული ორგანიზაცია კი არაა, არამედ იბერიის სამეფოს სახელმწიფობრივი სტრუქტურა მეფით სათავეში. სტრაბონის ცნობა ამ ხრივ, კერძოდ, პირველ გენოსზე ნათელი და ერთაზროვანია.

რაც შეეხება სამეფო ტახტის დაკავების, მემკვიდრეობის წესს, როგორც დაეინახეთ, უკლებლივ ყველას მიაჩნია, რომ სტრაბონის ცნობაში არ არის იბერიის ტახტის პირდაპირი მემკვიდრეობა — მეფე-მამიდან შვილზე, რომ ტახტზე სვამენ სამეფო საგვარეულოდან ასაკით უფროსს. ჩვენი აზრით ტექსტის ასეთი გაგება მართებული არაა. ჩვენი აზრით, სტრაბონის ცნობა აღნიშნავს იბერიაში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზის არსებობას — მამიდან შვილზე, უფროს ვაჟზე. ცნობა ასახავს ძველ იბერიაში (სტრაბონის დროს) ტახტის მონარქიული უფლების იურიდიულ ნორმას.

სახელდობრ, სტრაბონის ცნობის საწყის ნაწილში სამეფო საგვარეულოს გენოსზე და მეფეზე ნათქვამია: „ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უზუცესს“. აქ იბერიის მეფეზე და მეფეებზე, ტახტის დაკავების წესზე, საერთოდ, აზრი დამთავრებულია.

სტრაბონის ცნობაში: სამეფო საგვარეულოდან „მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უზუცესს“ — ვინ უნდა იგულისხმებოდეს ამ ახალ დინასტიაში? ცხადია, გარდაცვლილი მეფის ყველაზე უფროსი ახლობელი ნათესავი და ასაკით უფროსი. ვინ იყო ასეთი? ცხადია, გარდაცვლილი მეფის შვილი — ვაჟი, ასაკით უფროსი მეფის სხვა ვაჟებს შორის. აქ ორი აზრი არაა, ცნობა ასახავს იბერიის სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრეობის წესს მამიდან შვილზე. თუ მეფეს ვაჟი არ ყავდა მამის ტახტს დაიკავებდა შვილის შემდეგ უფრო ახლობელი ასაკით უფროსი ნათესავი — ძმა, ან ძმისშვილი და ა. შ. (მამაკაცის ხაზით). მხოლოდ ამას ნიშნავს ცნობა: „მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უზუცესს“.

სტრაბონი არ მიმართავს ისეთ ვრცელ თხრობას, როგორც, მაგალითად, ხეტების მეფის ტელეფინის კანონებშია (მ.28): „მეფის შვილებიდან მეფედ გახდეს მხოლოდ მეფის პირველი ვაჟიშვილი. თუ მეფის პირველი ვაჟიშვილი აღარ არის, მეფედ გახდეს მომდევნო ვაჟიშვილი. თუ მეფეს მემკვიდრე აღარ ჰყავს, მაშინ ის, რომელიც პირველი ქალიშვილია, გაათხოვონ და დე მისი ქმარი იყოს მეფედ“.⁵⁰

სტრაბონთან არ არის მსგავსი განვრცობილი თხრობა: იბერიაში ტახტს იკავებს მეფის უფროსი ვაჟი. თუ მეფეს შვილი არ ეყოლება, მაშინ ტახტს მეფის ძმა დაიკავებს, თუ ძმაც არა ჰყავს, — ძმაშვილი, თუ ძმისშვილი არა — და ა. შ. ყოველივე ეს იგულისხმება „მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესში“. კიდევ მეტი, სტრაბონთან იბერიის ტახტის მემკვიდრეობის უფრო ამომწურავი შინაარსია, ვიდრე ხეტების მეფის ტელეფინის კანონში, სადაც არაფერია ნათქვამი იმ შემთხვევისათვის, თუ მეფეს საერთოდ შვილი არ ეყოლება, როგორ მოქცეულიყვნენ. სტრაბონთან კი საამისოდ ყველა ვარიანტი ამომწურავად იგულისხმება მის ლაკონურად ფორმულირებულ იბერიის ტახტის მემკვიდრეობის ნესში: ტახტს იკავებს იბერიის მეფის უახლოესი ნათესავი და ასაკით უფროსი. აქ მეფის ყველა ნათესაური გრადაცია იგულისხმება, მათ შორის, ვფიქრობთ, მეფის ასულიც და მისი ქმარიც. სტრაბონს იბერიის ტახტის მემკვიდრეობის კონსტიტუციური ნორმა აქვს მოცემული: სამეფო საგვარეულოდან „მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს“. ეს კონსტიტუციური ნორმის შესაფერი ლაკონური ფორმაა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, სტრაბონს შესანიშნავად სწორი გონივრული ცნობა და დეფინიცია აქვს მოცემული იბერიის სამეფოს უმაღლეს ხელისუფალზე და სამეფო ტახტის მემკვიდრეობით ნესზე. იგი ძველ იბერიაში, სტრაბონის დროს (ძვ. წ. I) ასახავს ტახტის მონარქიული მემკვიდრეობითი უფლების იურიდიულ ნორმას. ისტორიული წყაროებითაც (ანტიკური ავტორები, ეპიგრაფიკა) ხომ

სტრაბონის დროს და ახ. წ. I-II სს-ში სამეფო ტახტის მემკვიდრეობა მონარქიულია — მამიდან შვილზე გადადის. ტახტის მემკვიდრეობის ასეთივე იურიდიული ნორმა იყო საქართველოში შემდგომშიც — მთელ შუა საუკუნეებში. ვფიქრობთ, ფაქტების მოტანა საამისოდ არცაა საჭირო, მაგრამ ადრეული ხანისთვის ერთ პირდაპირ საამისო მითითებას მაინც მოვიტანთ. IV ს-ის ბოლოს თუ V ს-ის დასაწყისში ქართლში მეფე ფარსმანზე „ქართლის ცხოვრების“ პირველ მატრიანეში („ცხოვრება მეფეთა“) ნათქვამია: „ადაჯდა მეფედ ძე ვარსის ბაქარი... სახელით ფარსმან, რამეთუ იგი უხუცესი იყო ძმათა მისთა“.⁵¹

მართალია, როგორც ძველ ხანაში, ისე შუასაუკუნეების საქართველოში (და ყველა ქვეყანაში) სხვადასხვა ვითარებისა და მიზეზების გამო (მეფის უშვილობა, უვაჟობა, შინაპოლიტიკური კონფლიქტური სიტუაციები და ბრძოლა ტახტისათვის, საგარეო ფაქტორი — აგრესორ სახელმწიფოთა დაინტერესება ამა თუ იმ უფლისწულის გამეფებაში და სხვ.) ადგილი ჰქონდა ტახტის მონარქიული მემკვიდრეობითი ნესის იურიდიული ნორმის დარღვევებს, მაგრამ ეს სულ სხვა რიგის ამბავია და იგი ტახტის მონარქიული მემკვიდრეობის ნესს როდი უარყოფდა.

სტრაბონის ცნობით, იბერიის მეფის შემდგომი „მეორე“ პირი, სამეფო გვარიდან, მოსამართლე და მხედართმთავარია. უპირველეს ყოვლისა, არის თუ არა „მეორე“ (δευτεριος — დეეტეროს) პირიც მეფე? როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია. ცხადია, არა. ორმეფობაზე აქ ლაპარაკი არაა, როგორც სწორად შენიშნეს (გ. მელიქიშვილი) სტრაბონის ამ ცნობის ასეთი გაგება „მეტად არაბუნებრივია“, „თუკი სტრაბონი „მეორესაც“ („დეეტეროს“) მეფედ თვლიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უფრო მკაფიოდ აღნიშნავდა ამ საინტერესო ფაქტს (იბერებთან ორი მეფის ინსტიტუტის არსებობის), ისე როგორც... აღბანელებთან 26 მეფის არსებობაზე“.⁵²

მართლაც, იბერიაში ერთ ტახტზე ორმეფობა რომ ყოფილიყო, ამას სტრაბონი უეჭველად აღნიშნავდა, როგორც

კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას (თავისებურებას) და ამ მხრივ იბერიამიორი-გინალური სამეფო ხელისუფლების იურიდიული ნორმის არსებობას, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულს. ამ მხრივ, კონკრეტული ისტორიული ფაქტი (მოვლენა) სტრაბონმა აღნიშნა ალბანეთის მიმართ: ამჟამად ალბანეთში ერთი მეფეა, წინათ კი აქ 26 „მეფე“ ჰყავდათო („გეოგრაფია“, XI, 4, 6). ასე რომ, პირველი გენოსის დახასიათებისას სტრაბონის ცნობაში, იბერიის სამეფო ტახტთან დაკავშირებით, ერთ მეფეზეა ლაპარაკი, ხოლო შემდეგ, მეფის შემდგომი „მეორე“ პირზე — მოსამართლესა და სარდალზე. სტრაბონი აქ მეფეს, ერთ მეფეთს, გამოყოფს და განასხვავებს ყველა დანარჩენებისაგან („მეორე“ პირი, ქურუმები, მინათმოქმედი და მეომარნი, სამეფო მონები), რომელთა ფუნქციებს იგი ჩამოთვლის, მეფისას კი — არა.

ამასთან, ჩვენი აზრით, სტრაბონის ცნობით, „მეორე“ პირი არ იყო საველდებულო მეფის „უახლოესი ნათესავი“ და ასაკით უზუცესი ყოფილიყო. საპირისპიროდ არსებული მოსაზრებისა (ივ. ჯავახიშვილი), ასეთი რამ სრულიად არ ჩანს სტრაბონის ცნობაში. მეფის შემდგომ „მეორე“ პირს, დევეტროსს, რომელიც „მოსამართლესაგან და სარდალ-ობდა“, ამჟამად, მეფისაგან განსხვავებით, სტრაბონის ცნობის „მახლობლობა და ასაკით უზუცესობა“ მას არ ეხება. ასეთს, ასაკის მიხედვით უფროსს („უზუცესს“), არ აირჩევდნენ, რადგან მცოვანს სარდალად თუ მხედართმთავრად არა დაინიშნავდნენ, რადგან სარდალობას ომში ასეთი ვერ შეძლებდა. ამჟამად, სამეფო საგვარეულოდან იბერიის ჯარების მხედართმთავრად დანიშნავდნენ არა ასაკით უზუცესს, არამედ ახალგაზრდას ან შუა ხნის კაცს, თანაც სამხედრო საქმის მცოდნესა და გამოჩენიულს. ამიტომ, „მეორე“ პირი — სარდალი (და მოსამართლე), — შესაძლოა, სამეფო საგვარეულოში ყოველთვის მეფის „უახლოესი ნათესავი“ არც ყოფილიყო და, საპირისპიროდ არსებული შეხედულებისა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია), არც ტახტის მემკვიდრე. ამრიგად, ყოფილი მეფის „მახლობლობა და

ასაკით უზუცესობა“, სტრაბონის ცნობით, ეხება მხოლოდ და მხოლოდ ტახტზე ამსვლელ მეფეს და არა „მეორე“ პირს (მეფის შემდეგ), დევეტროსს — მოსამართლეს და მხედართმთავარს. ეს გარემოებანიც ამჟამად მოწმობს იმას, რომ სტრაბონის ცნობის „მეორე“ პირი, — მოსამართლე და სარდალი, — იბერიამი მეორე მეფე არ ყოფილა. მას არჩევადანიშვნის სხვა სტატუსი აქვს.

სტრაბონის ცნობით, მეფის შემდგომ „მეორე“ პირი „მოსამართლე და მხედართმთავარია“. რახან მას ასეთი ტყეადი სამთავრობო ფუნქციები აქვს, მკვლევარებს შეუქმნა შთაბეჭდილება: რაღა დარჩა მეფეს, სტრაბონისეული იბერიის მეფე „უფუნქციოა“ —ო. ეს თვალსაზრისი მართებული არაა, სრულიად არაა ასე.

რა საჭირო იყო მწერალ-ისტორიკოსთა მიერ მეფის „ფუნქციების“ ჩამოთვლა? მეფის ფუნქციები ხომ საყოველთაოდ ცნობილი იყო და ამას, როგორც ნესი, თითქმის არასდროს არ აღნიშნავდნენ. სტრაბონის ცნობა იბერიის სოციალურ წყობაზე ზოგადია, ლაკონურია, მაგრამ შინაარსიანი დატვირთვა აქვს. სტრაბონი ხომ არ ჩამოთვლიდა მეფის სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, ისე როგორც მან „მეორე“ პირის, ქურუმების და სამეფო „მონების“ ფუნქციები ჩამოთვალა. მეფე, — ეს მეფეა, მას სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში მიუწვდებოდა ხელი და მათზე პასუხისმგებელი იყო. სხვა უამრავ წყაროშიც ძველი მსოფლოს და ასევე შუა საუკუნეების მეფეებზე არაა ჩამოთვლილი თუ რა ფუნქციები ჰქონდათ სახელმწიფოში. მეფეს ეკითხებოდა ქვეყნის ყველა სფერო: სამოქალაქო, სამართალი, სასულიერო, სამხედრო, საგარეო პოლიტიკა და ა. შ., რაც სტრაბონის „მეფეში“ თავისთავად იგულისხმება. მშვიდობიანობის დროს ქვეყანაში ჯარის მთავარსარდალი ხშირ შემთხვევაში სხვა პირი იყო, ომის დროს კი მეფე, როგორც ნესი, იყო ჯარების უზენაესი მხედართმთავარი. მეფის ფუნქციები არც სახელმწიფოს კოდოფიცირებულ სამართალში შექცობდათ, ზოგჯერ აღნიშნავდნენ მის უზენაესობას ამა თუ იმ კონსტიტუციურ ასაქექტში.



ასე რომ, სტრაბონისეული იბერიის მეფე „უფუნქციო“ სრულიადაც არაა, სტრაბონის ცნობა იბერიის პირველ, სამეფო გენოსზე ნათელია, შინაარსიანია, სწორი კონსტიტუციური ფორმის დეფინიცია მოცემული და მასში სრული ნუსერიგია.

სტრაბონისეული ცნობის იბერიაში (ქართლში) მეფის შემდგომ „მეორე“ პირის ინსტიტუტი რომ არის და მას დიდი თანამდებობრივი დატვირთვა აქვს, — ეს სრულიად არაა გასაკვირი. ამით მეფის ხელისუფლება სრულიადაც არაა დანაწილებული და ეს „სახელმწიფოს განუვითარებლობის ნიშანი“, ანდა „სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრიმიტიულობის ნიშანი“ სრულიადაც არაა და ეს, ამ მხრივ, რაღაც არქაულ ეპოქას სრულიადაც არ მიაწინებს. სტრაბონამდე უფრო ადრე, ლეონტის მიხედვით ძვ. წ. IV-III სს. ქართლში მეფე ფარნავაზის დროს მეორე პირი იყო სპასპეტი, შიდა ქართლის მთავარი: „და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე ნინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდა ყოველთა ერისთავთა ზედა“.⁵¹ ასევეა სტრაბონის ცნობითაც შემდგომი ხანის, ძვ. წ. I ს-ის ქართლშიც (იბერიაში). ასე იყო შუა საუკუნეებშიც.

სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლის შემდგომ „მეორე პირი“ ტყეადი სამთავრობო დატვირთვით, ისტორიის თითქმის ყველა ეპოქასა და ქვეყანაში იყო და არის: ძველ ხანაში და შუა საუკუნეებში - სპასპეტი, მხედართმთავარი, მნიგნობართუხუცეს-ეპისკოპოსი (საქართველოში), კანცლერი (ევროპაში) და სხვ. ახალ ეპოქაში - ვიცე-პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი თუ სხვა თანამდებობის და ტიტულის მქონე. ასე რომ, სახელმწიფოში „მეორე პირი მეფის შემდგომ, ეს მეფის ხელისუფლების დანაწილება (თანამონაწილეობა) სრულიადაც არაა. სტრაბონის ცნობა იბერიაში სამეფო ხელისუფლებას კოლეციალურ მმართველობად არ წარმოგვადგენს.

ისე კი, ცხადია, მარტო მეფეს, ერთ კაცს, ერთპიროვნულად ქვეყნის მართვად შეეძლო. მას ჰყავდა საბჭო, დარბაზი, მრჩეველები, გააჩნდა მმართველობის სისტემის სახელმწიფო ორგანო-

ბი, რითაც მართავდა მთელ სახელმწიფოს. ამიტომ, როცა სტრაბონმა ქვეყნების მიმართ აღნიშნავს, რომ მეფეებს „სხამენ“, „ორჩევენ“ თუ ამტკიცებს „საბჭო“ თუ „ორი საბჭო“ (საერო და სასულიერო), აქ უცნაური არაფერია. მეფის ტახტზე ასვლისას ხდებოდა სამეფო საბჭოს, საქართველოში „დარბაზის“, სამეფოს უმაღლესი სამოხელეო არისტოკრატის მიერ მისი ოფიციალური კურთხევა. ასე უნდა ყოფილიყო ძველ ქართლშიც, კერძოდ, სტრაბონისდროინდელ იბერიაშიც (ძვ. წ. I ს.).

ამრიგად, სტრაბონი იბერიის სახელმწიფოში მეფის შემდგომ „მეორე“ პირზე ახალს და უცნაურს არაფერს გადმოგვცემს. პირველ გენოსზე (სამეფო საგვარეულო) მისი ცნობის მთავარი არსი ისაა, რომ იგი იბერიაში სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრეობის მონარქიულ წესს აღნიშნავს.

იბერიის სტრაბონისეული „მეფე“ თავისი ტახტის მემკვიდრეობის სტატუსით, მკვლევარებმა, თავიანთი თვალსაზრისის საფუძველზე, არქაულ ხანაში გადაიტანეს. ასევე მოექცნენ მეფის შემდგომ „მეორე“ პირს, დეცტეროსს, ისიც, თავისი ტყეადი სახელმწიფოებრივი ფუნქციების გამო არქაულ ხანაში გადასცეს და ასეთი სტატუსის „მეორე“ პირიც დამატებით არგუმენტად მიიჩნიეს სტრაბონისეული ცნობის იბერიის მეფისა და საზოგადოების სტრუქტურის არქაულ ხანაში გადასატანად და დასვეს კითხვა: მაინც, როდის და რა ნიადაგზე უნდა გაჩენილიყო „მეორე“ პირი თავისი სახელმწიფოებრივი სტატუსით. ვრცლად მას შეეხო ვ. ვაშაქიძე.

ვ. ვაშაქიძის მართებული აზრით, მეფის შემდგომი სტრაბონისეული „მეორე“ პირი, ქართლში, გაჩნდა პირველი მეფის ფარნავაზის დროიდან და მისი ქართული შესატყვისი არის ლეონტის „მეფეთა ცხოვრებაში“, ქვეყნის დიდმოხელე ერისთავების ჩამოთვლისას, ქართლის „სპასპეტზე“ ნათქვამი: „შემდგომად მეფისა“ (ფარნავაზის — დ. გ.). ეს ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია, რადგან სახელმწიფოს წარმოქმნისა და ცენტრალური ხელისუფლების

სტრუქტურის ჩამოყალიბებისას, უმაღლესი ხელისუფლის, მეფის შემდგომ მეორე პირის ინსტიტუტის, ბუნებრივია, უნდა გაჩენილიყო, მაგრამ „შემდგომად მეფისა“, „მეორე“ პირის ინსტიტუტის წარმოქმნა ქართლში, ჩვენი აზრით, არ უნდა მომხდარიყო ისეთი გზით, როგორც ამას იგი გვთავაზობს.

სახელდობრ, ვ. ვაშაკიძის აზრით, ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისას, მცხეთის „ცენტრალური ქართლის“ მეთაურმა ფარნავაზმა ბრძოლაში დაამარცხა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს „არიან ქართლის“ მეთაური აზონი (აზო). გამარჯვებულმა ფარნავაზმა აზონის ხალხი „იპყრნა... კეთილად“,⁵⁴ პოლიტიკური მოსაზრებით კი აზონის სახლი დანათესავა, მის ერთ-ერთ წევრს კი ხელისუფლების რალაც სფერო დროებით გადასცა, სამეფოში „მეორე“ პირად აქცია.⁵⁵ ასე იმევა ქართლში „ბაზილევსი“ (მეფე) და „დედუროსი“ („მეორე“ პირი). აქ იგი იზიარებს ვ. მამულიას მოსაზრებას: „ფარნავაზმა აზონის დამარცხების შემდეგ ქართლის (იბერიის) სამეფოს დაარსებისას „არიან-ქართლის“ მეფის ძის აზოს ჩამომავალთა სახლი სამეფო-ფარნავაზთა სახლში შემოიყვანა“.⁵⁶ ამ მოსაზრებათა საფუძვლად მკვლევარნი ეყრდნობიან „ქართლის მოქცევის“ მატჩიანეს და „ქართლის ცხოვრებას“ (ლეონტის).

მიგვაჩნია, რომ აქ მეტად გაუმართლებელი პიოთეზებია და ტექსტის ძალდატანებითი კონსტრუქციაც, არ ეულა ლეონტის „მეფეთა ცხოვრების“ და „მოქცევა ქართლისას“ ცნობები, რომელნიც დიამეტრალურად სანინაალმდეგო ჩვენებებს იძლევიან.

„მოქცევა ქართლისათ“ — ქართლის პირველი მეფე აზოა, ალექსანდრე მაკედონელის დროს იგი ქართველი უფლისწულია „არიან-ქართლის“ სამეფოდან მცხეთას მოსული, თავისი საგვარეულოთი. ფარნავაზი კი აზოს შვილია, ქართლის მეორე მეფე. ლეონტის მიხედვით კი („ქართლის ცხოვრება“) აზო უცხოელი ბერძენია, მაკედონელი (მკვლევართა ვარაუდით ბერძნულ-მაკედონური სახელმწიფოს დიდმოხელე (პატრიკი) პონტოს სამეფოში), ალექსანდრე მაკედ-

ონელის მიერ დაპყრობილი ქვეყანის გამგებელი და ქართველთა მოსისხლე მტერი, რომელსაც ქართველები მცხეთელი ფარნავაზის მეთაურობით აუჯანყდნენ, დაამარცხეს და იგი ბრძოლაში მოკლეს (კლარჯეთში). ლეონტის მიხედვით, ქართლის პირველი მეფე ფარნავაზია. „ქართლის მოქცევაში“ აზოს და ფარნავაზის ბრძოლაზე არაფერია ნათქვამი, ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“, ლეონტისთან, — „არიან-ქართლი“ (ქვეყანა, სახელმწიფო) საერთოდ არაა ხსენებული.

ეს აღნიშნულმა მკვლევარებმაც კარგად იციან, მაგრამ თავისი კონცეფციის დასამტკიცებლად ორივე წყაროდან იღებენ მხოლოდ მათთვის მოსალეებს: „მოქცევა ქართლისადან“ იღებენ „არიან-ქართლს“, რაც „ქართლის ცხოვრებაში“ არაა, ხოლო „ქართლის ცხოვრებიდან“ იღებენ აზოსა და ფარნავაზის ბრძოლას ქართლში გაბატონებისათვის, რაც „მოქცევა ქართლისადან“ არაა და, რაც მთავარია, უარყოფენ ლეონტის („ქართლის ცხოვრების“) ცნობას აზონის ბერძნობის შესახებ.

„ქართლის მოქცევის“ და ლეონტის („მეფეთა ცხოვრების“) ასეთი დიამეტრალურად სანინაალმდეგო ცნობებიდან აღნიშნულ მკვლევართა მიერ მნიგნობრული კონტრამინაციით მიღებულია მათვის სასურველი პოლიტიკური კონსტრუქცია.

სინამდვილეში, ლეონტის მიხედვით („ჰამბავი მეფეთა“) ბერძენი აზონის დამარცხების შემდეგ, მისი სახლის არავითარი დანათესავება ფარნავაზის სახლთან და ან მათ წარმომადგენელთა შემოყვანა ფარნავაზთანთა სამეფო სახლში არ მომხდარა, მით უმეტეს, რომელიმე მათგანისთვის ქართლში მეფე ფარნავაზის შემდგომ „მეორე“ პირის სტატუსის მინიჭება.

აღნიშნავენ: ფარნავაზმა აზონის ხალხი „იპყრნა... კეთილად“, მაგრამ აქ ლეონტის ვრცელი წინადადება ორი სიტყვით არის მოტანილი: ჯერ ერთი, ლეონტი ლაპარაკობს არა არიან-ქართლის ქართველებზე, და მეორე, მით უმეტეს, იგი ენება არა აზონის საგვარეულო სახლს, არამედ ათას „პრომნ“

(ბერძენ) მხედარს, „რომელთაც ბოროტი ნაჰქიდებოდა აზონისაგან“, აზონს გამოექცნენ და ფარნავაზთან მოვიდნენ.⁵⁷ ფარნავაზმა კი ისინი მოხელეებად განაწესა ქართლის სხვადასხვა კუთხეში: „გაწყენა ხევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად“.⁵⁸ ასე რომ, წყაროში (ლეონტი), რომელსაც ისინი ეყრდნობიან, ოდნავი მინიშნებაც კი არაა ფარნავაზთან და მათი მოსახლე მტრის აზონის საგვარეულო სახლის დანათესავებაზე, აზონის საგვარეულო სახლის შემოყვანაზე ფარნავაზთან სახლში.

„დანათესავება“ ასე არ ხდებოდა. ლეონტიესული აზონის სახლი „ქართლოსიანი“ არ ყოფილა, უცხო ბერძენი იყო, ქართველთა მოსახლე მტერი. ასეთ მტერი, თანაც სამეფო ტახტის შემცვილე „სახლი“-საგვარეულო, ქართლის მეფე ფარნავაზს თავის სამეფო დინასტიურ სახლში რომ მიეღო ნათესავად, გნებავთ, პოლიტიკური მოსაზრებით, გამორიცხებულია. გნებავთ, ლეონტის „მეფეთა ცხოვრების“ აზონის „სახლიც“ ქართველთაგან რომ მივიღოთ და ორი ქართული გავრთიანების ბრძოლა მეფობისათვის, მაშინაც ფარნავაზთან სახლში მათი მიღება გამორიცხებულია, რადგან აზონი და ფარნავაზი ქართლის პოლიტიკური დაუფლებიანთა სასტიკად ებრძოდნენ ერთმანეთს და გამარჯვებული ფარნავაზი დამარცხებულ პოლიტიკურ ტახტის პრეტენდენტს რატომ შემოიყვანდა თავის (ფარნავაზთან) სამეფო დინასტიურ სახლში.

პირიქით, პოლიტიკური მოსაზრებით, გნებავთ, ერთ ეთნოსიანი ქვეყნის გავრთიანებისა თუ დაპყრობისას, გამარჯვებული დინასტი-ხელისუფალი სხვა „საუფლო“ თუ სამეფო დინასტიის წარმომადგენლების განადგურება-მოსპობას ცდილობდა, რათა ქვეყნის სამეფო ტახტზე სხვების დინასტიური პრეტენზიები არ არსებულყოფ. ეს თეორიული ნორმითაც და პრაქტიკაშიც, როგორც ნესი, ასე ხდებოდა. მაგრამ შეიძლება, ცხადია, და ხშირადაც ასე ხდებოდა: სასტიკ ბრძოლაში გამარჯვებულ ტახტის დინასტი-პრეტენდენტს დამარცხებული თანატომელი პრეტენდენტი

(სხვა საგვარეულოსი) არ მოესპო და თავის (პრეტენდენტის) ქვეყანა-კუთხეში დაეტოვებინა ხელისუფლად, მაგრამ გამორიცხული იყო ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულ დინასტს სხვა საგვარეულოს დამარცხებული მონინა-ალმდევე პრეტენდენტი თავის სამეფო დინასტიის სახლში შემოეყვანა, სამეფოში მეფის შემდგომ „მეორე“ პირის რანგის სტატუსი მიეცა და ასე გულუბრყვილოდ ეცქირათ თუ როდის შეცვლა-ბოდა იგი მას სამეფო ტახტს, ან მომავალში პრეტენდენტის შვილები — კანონიერი მეფის შვილებს. მეფე ქვეყნის სატახტო სახლს ასე არ არევედარევედა.

არისტოკრატიულ გვართა „დანათესავების“ და „მიღების“ მხრივ პარალელს ავლენს საკუთარი გაგების აზო-ფარნავაზის სახლებსა და „ძეგლი ერისთავთას“ შინაარს შორის (ვ. ვაჰაძე), რაც უმართებულოა, რადგან როსტომ ბიბილურის „მინვევის“ მსგავსად, ფარნავაზს აზონი — მოსახლე მტერი (გნებავთ, ქართლოსიანი იყოს) — როდი მოუწვევია. შესაბამის წყაროებში სულ სხვადასხვა რიგის მოვლენებია.

ცხადია, ძველი ქართლის სამეფოს წარმოქმნისას უმაღლესი პოლიტიკური-სამოხელეო სტრუქტურის ჩამოყალიბების დროს, მეფის შემდგომ „მეორე“ პირს სახელმწიფოში მეფე და მისი საბჭო (მრჩეველები) თავისი სამეფო საგვარეულოდან აირჩევდა. ამასთან, მკვლევართა საპირისპიროდ, ქართლის სახელმწიფოს უზენაესი მმართველის, მეფის შემდგომ „მეორე“ პირის ინსტიტუტის არსებობა არც მაინცდამაინც არქაული ეპოქის მანიშნებელი იყო და არც დროებითი მოვლენა ყოფილა. ითქვა, იგი, როგორც ნესი, არსებობდა როგორც ძველ სამყაროში, ისე შუა საუკუნეებში და არსებობს ახალ პერიოდშიც. კერძოდ, მეფის შემდეგ (რანგით) „მეორე“ პირი არსებობდა სტრატეგიის დროინდელ ქართლშიც (იბერიამი) ძვ. წ. I ს-ში. შემდგომ კი, აშკარაა, შუა საუკუნეებში და მანამდეც) „მეორე“ პირმა სოციალური ტრანსფორმაცია განიცადა და, როგორც ნესი, შეეძლოთ სამეფო საგვარეულოდან იგი აღარ აერჩიათ.

დაბოლოს, ისმის კითხვა: რომელ ხანას ასახავს სტრაბონის ცნობა, საერთოდ, და, კერძოდ, იბერიის საზოგადოების პირველი გენოსის შესახებ.

როგორც დავინახეთ, მკვლევართა დიდ უმეტესობას, ვინც კი ეს საკითხი დასვა, მიაჩნია, რომ სტრაბონის ცნობა იბერიის სოციალური წყობის შესახებ, საერთოდ, და, კერძოდ, მის პირველ გენოსზე, სტრაბონის ეპოქას, ძვ. წ. I საუკუნეს კი არ ასახავს, არამედ მასზე უფრო ადრეულს, ან გაცილებით ძველ ხანას, — ძვ. წ. IV-III სს-ს, როცა ქართლის (იბერიის) სახელმწიფო ახალწარმოქმნილ ეტაპზეა და იგი განუვითარებელი იყო, როცა სამეფო საგვარეულო სამეფო ტახტს თელის თავის კოლექტიურ საკუთრებად. კიდევ მეტი, ზოგიერთის შეხედულებით, სტრაბონის ცნობა ეხება ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის წინა პერიოდს.

ეს თვალსაზრისები, ჩვენი აზრით, მართებული არაა.

დასაწყისში ჩვენს მიერ მოტანილია სტრაბონის ცნობა იბერიის (ქართლის) სოციალურ წყობაზე, მოსახლეობის ოთხივე გენოსის დახასიათებაზე, რომლის ბოლოს სტრაბონი დაასკვნის: „ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა“ („ταυτοι μιν οι Ἰβηρες χαι η χθρα αυτων“). დასკვნითი ნათელი წინადადება მოცემულია ანმყო დროში, აქ ორი აზრი არაა, ლაპარაკია ავტორი გეოგრაფოსის (სტრაბონის) დროინდელ იბერიაზე და არა რაღაც შორეულ ძვ. წ. IV-II საუკუნეებზე. ასე რომ არ იყოს, სტრაბონი, უჭველია, იტყვად: „ასეთები იყვნენ წინათ იბერები და მათი ქვეყანა“, ან „ასე ავგინერენ წინათ იბერებს და მათ ქვეყანას“, ისე როგორც სხვა ქვეყნების აღწერისას აღნიშნავს, ანდა მსგავს რაიმე შენიშვნას გააკეთებდა. სტრაბონის ცნობა ავტორის დროინდელ იბერიას რომ არ ეხებოდეს, გამორიცხულია მას ანმყო დროის ასეთი ნათელი დასკვნითი წინადადება დაეწერა. თვით სტრაბონის მიერ იბერიის მთელი სოციალური სტრუქტურის, მოსახლეობის ოთხივე გენოსის (ფენის) აღწერაც, მთელი ტექსტი, ნათლად ანმყო დროშია მოცემული.

ვფიქრობთ, ამასვე ადასტურებს სტრაბონის მიერ იბერიის ეკონომიკური

და საქალაქო-საყოფაცხოვრებო აღწერაც: იბერებს „აქეთ მდიდარი ქვეყანა... იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტისანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მონყობილი, ბაზრებიც და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“.⁵⁹ გარდა ამისა, რომ ყველაფერი აქაც ანმყო დროშია ნათქვამი, არა გვგონია: ეს აღწერა არქაულ ხანას — ქართლის წინაკლასობრივ-წინასახელმწიფოებრივ პერიოდს ეხებოდეს. სტრაბონისეული აღწერის იბერიის სოციალური სტრუქტურა, ჩვენი აზრით, სრულიადაც არ ტოვებს არქაულ შთაბეჭდილებას — სამხედრო დემოკრატის ეპოქის თუ მისგან ახლად გამოსული განუვითარებელი საზოგადოების, ან ახლად შობილი ასეთივე სახელმწიფოს სურათს, როგორც ეს საერთოდ მკვლევრებს მიაჩნიათ. სტრაბონი აღწერს თავისი დროის, ძვ. წ. I ს-ის იბერიის (ქართლის) საკმაოდ განვითარებულ სახელმწიფოს.

მაგრამ აქ კითხვა ისმის: შეიძლება თუ არა სტრაბონის დროის ქართლის სოციალური წყობის (ოთხივე ფენის) ზოგადი სურათი ყოფილიყო უფრო ადრეულ, ძვ. წ. III-II საუკუნეებშიც? ცხადია, შეიძლებოდა. მას შემდეგ, რაც ქართლის სახელმწიფო წარმოიშვა, სავსებით დასაშვებია ძვ. წ. III-I საუკუნეებში არსებითად, ზოგად ხაზებში, ერთნაირი სოციალურ-პოლიტიკური, ერთნაირი კლასობრივ-სახელმწიფოებრივი წყობილება ყოფილიყო ქართლში, რადგან სოციალური განვითარება ძველ სამყაროში სწრაფ დინამიურობით არ ხასიათდებოდა. ამიტომ, შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ სტრაბონის ცნობებში, არსებითად, ზოგად ხაზებში, ასახულია ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური წყობა ძვ. წ. III-I საუკუნეებისა. მაგრამ, ვიმეორებთ, სტრაბონი აღწერს და მისი ცნობები ეხება უშუალოდ თავისდროინდელ, ძვ. წ. I ს-ის იბერიას და არა არქაულ ხანას — ძვ. წ. IV-III საუკუნეებს, მით უფრო, — წინაკლასობრივ-წინასახელმწიფოებრივ პერიოდს.

რაც შეეხება სტრაბონის წყაროებს იბერიის შესახებ (XI, 3, 6), შესაძლოა, იბ-

ერიის სოციალური სტრუქტურის შესახებ ცნობები სტრატონამდე ჰქონდათ ანტიკურ მწერლებს, მაგრამ, როგორც ნათქვამია, ეს სტრატონთან არ ჩანს.

სტრატონი, რომელიც თავისი დროის იბერიის სოციალურ წყობას აღწერდა, აშკარაა, თუ იბერიაში (ქართლში) მას არ უშოგ ზაურია (ისე სტრატონის ყოფნა მეზობელ იბერიაში და მისი უშუალო გაცნობა სავსებით დასაშვებია), საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, იგი დაეყრდნობოდა თანამედროვე, ძვ. და ახ. წ. I საუკუნეების წერილობით წყაროებს, ასევე, იბერიაში ნამყოფ თავისი დროის ინფორმატორებს, მით უმეტეს, რომ იბერიაში (ქართლში) პომპეუსის ლაშქრობის (ძვ. წ. 65 წ.) შემდეგ ამ ქვეყნის შესახებ ბევრი ინფორმაცია და წერილობითი მონაცემი დაგროვდა და ხელმისაწვდომი გახდა ბერძენ-რომაელი ავტორებისათვის, მათ შორის, ცხადია, სტრატონისთვის. აღსანიშნავია, როგორც სტრატონი აღნიშნავს, თვით მისი დედის ბიძა მოაფერნე კოლხეთის გამგებელი იყო, („გეოგრაფია“, გვ. 125). რომელსაც, ცხადია, იბერიის სოციალური ყოფის სურათიც კარგად ეცოდინებოდა. ასე რომ, იბერიის აღწერაში (XI, 3, 6) სტრატონის უპირველესი წყარო, თუ იგი იბერიაში ნამყოფი არ იყო, უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვე მწერლები (წერილობითი წყაროები) და თანამედროვე ზეპირი ინფორმატორები. მაგრამ აქ შემდეგვითაა აღსანიშნავი: ის გარემოება, რომ, სტრატონი მრავალ ავტორს იმონებებს სხვა ქვეყნების აღწერისას, ხოლო იბერიის აღწერისას არც ერთს (!), ეს, შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს, და, სწორედ ეს გარემოება ხომ არ მონიშნავს იმას, რომ სტრატონი ნამყოფი იყო მეზობელ იბერიაში და თვით უშუალოდ გაცნობა ქვეყნის ვითარებას. ამასთან, შესაძლოა, ასევე, იბერიის შესახებ მას ჰქონდა მისი წინადაროის მწერალთა მონაცემებიც. აშკარაა, ყველა ამ სახის მონაცემებს იგი კრიტიკულად შეაჯერებდა, მაგრამ თანამედროვე იბერიის

აღწერაში იგი, ცხადია, ამ ქვეყნის შესახებ თავისი დროის მონაცემებს დაეყრდნობოდა.

ასე რომ, სტრატონი თავისი დროის მონაცემებით აღწერს თავისი დროის, ძვ. წ. I საუკუნის იბერიას (ქართლს), მის სოციალურ წყობას, საზოგადოების პირველი გენოსის, — სამეფო საგვარეულოს, — აღწერისას გვამცნობს ქართლში სამეფო ტახტის დაკავების წესს, როგორც იურიდიულ ნორმას, რომელიც მონარქული იყო — „ახლობელი ნათესაობისა და ასაკის მიხედვით“ სამეფო ტახტი მემკვიდრეობით მეფის უფროს ვაჟზე გადადიოდა.

დასასრულ, იბერიის (ქართლის) „მეფის“ ქართული შესატყვისი ტერმინის შესახებ. მიაჩნიათ, რომ ძვ. წ. III-II სს-ში ქართლის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალი, ისევე წინასახელმწიფოებრივი ტერმინით — „უხუცეს“ „მამასახლისად“ იწოდება და მას „მეფის“ ტიტული შედარებით გვიან უნდა მიეღო. თუ რა ქართული სახელწოდება ჰქონდა ქართლის უმაღლეს ხელისუფალს ძვ. წ. IV-II სს-ში, ჩვენ ეს არ ვიცით, რადგან მოცემული ხანის რაიმე ქართული წყარო შემორჩენილი არ გვაქვს. ბერძულ-რომაული წყაროები კი (წერილობითი ეპიგრაფიკა), რა დროიდანაც იბერიის (ქართლის) უმაღლეს ხელისუფალს ახსენებენ, მას „მეფეს“ — „ბაზილევს“ უწოდებენ თავიანთ ენაზე, ქართულ შესატყვისი ტერმინს კი არ გვაუწყებენ. ქართული ეროვნული ტრადიციით („ქართლის მოქცევა“, „ქართლის ცხოვრება“ („ჰამბაჯი მეფეთა“), ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნამდე ქართლის უმაღლეს ხელისუფალს „უფალი“ და „მამასახლისი“ ეწოდებოდა, ხოლო ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის დროიდან, ძვ. წ. IV-III საუკუნიდან ქართლის უმაღლესი ხელისუფალი, ფარნავაზიდან („მოქცევათ“ — აზოდან) დაწყებული, ქართულად „მეფის“ ტიტულს ატარებენ. ამ მხრივ ქართული ეროვნული ისტორიული ტრადიცია, ჩემი აზრით, უფრო სწორი ჩანს.

წყაროები და ლიტერატურა

1. თ. ყაუხჩიშვილი, „სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1957 წ., გვ. 128
2. ს. კაკაბაძე, „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1924 წ., გვ. 78-120, Соселия Г. К. Существовала ли рабовладельческая формация в Грузии? ВИ, 1956, №10; Г. Соселия, К вопросу о происхождении государства у картвельских племен. «Научные записки»; т. I, Тиф. 1931.
3. ივ. ჯავახიშვილი თხზ. ტ. XII, გვ. 102
4. იქვე, ტ. I, გვ. 208, ტ. VI, გვ. 157
5. იქვე, ტ. VI, გვ. 164
6. იქვე, გვ. 165
7. ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, „ძველი საქართველო“, თბ., 1908 წ., გვ. 59; მისივე, საქართველოს ისტორია, თბ., 1910 წ., გვ. 66-68
8. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 139, 146
9. თ. ლორთქიფანიძე, „სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ“, საქართველოს სსრ, მეცნ. აკადემიის მზამბე, ტ. XVIII, 3, 1957, გვ. 373
10. იქვე
11. იქვე, გვ. 374
12. თ. ლორთქიფანიძე, ძვ. ნ. V-I საუკუნეების ქართლის (იბერიის) ისტორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხის შესახებ, „მაცნე“, ისტ. სერია, 1985 წ., I, გვ. 141
13. გ. მელიქიშვილი, ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, I, გვ. 495
14. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 496, 498
15. იქვე, გვ. 497
16. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976 წ., გვ. 7, 149; ვ. ვაშაქიძე, ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან, „მეცნიერება“, 1991 წ., გვ. 33-34
17. ვ. ვაშაქიძე, ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან, „მეცნიერება“, 1991 წ., გვ. 26
18. იქვე, გვ. 29-31
19. იქვე, გვ. 36-37
20. იქვე, გვ. 42
21. იქვე, გვ. 127
22. იქვე, გვ. 137-138
23. იქვე, გვ. 136
24. ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ძველი საქართველო, თბ., 1910 წ., გვ. 66-68, პ. ინგოროყვა, ძველი ქართული მატთან „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, თხზ., IV, გვ. 550
25. გ. ნერეთელი, არმაზის ბოლინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, 1943 წ., გვ. 37-42
26. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 24-25, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა
27. ვ. ვაშაქიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 108
28. იქვე, გვ. 123-125
29. იქვე, გვ. 129-130
30. იქვე, გვ. 116-117
31. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 23-26
32. იქვე, გვ. 25; ვ. ვაშაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 118
33. ვ. ვაშაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133
34. იქვე
35. ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 137
36. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 373
37. А. И. Болтунова. Описание Иберии в «Географии» Страбона. (XI. 3. 1-6). ВДИ. 1947. №4. стр. 159-160.
38. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957 წ., გვ. 6-13

39. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976 წ., გვ. 135, 152
40. ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 371
41. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, სინ. I, გვ. 484
42. იქვე, გვ. 495
43. А. Новосельцев, Генезис феодализма в странах Закавказья, опыт сравнительно-исторического исследования, М., 1980 г., стр. 20, 107.
44. ვ. ვაშაყიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136
45. იქვე, გვ. 76
46. იქვე, გვ. 83
47. იქვე, გვ. 84
48. Греческо-русский словарь, ч. I, ч. II, М., 1848 г., И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. I-II, М., 1958 г., Δ. Δημητραχον μεγα λεξιχον ολιχη της Ελληνιχη γλωσσης; Liddell – Scott, Greek-English Lexicon, Oxford; E. A. Sophocles, Greek Lexicon, Leipzig, 1904.
49. В. В. Датышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. т. I, спб., 1893 г., стр. 140
50. .1. В. В. Датышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. т. I, спб., 1893 г., стр. 140. ი. შ. დიაკონოვის და ი. შ. დუნაევსკიას თარგმანი.
51. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 137
52. სინ, I, გვ. 496-497
53. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 24-25
54. იქვე, გვ. 25; ვ. ვაშაყიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 118
55. ვ. ვაშაყიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133
56. გ. მამულაია, „კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში“, „მეცნიერება“, 1979 წ., გვ. 8
57. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 23
58. იქვე, გვ. 25.
59. სტრატონის „გეოგრაფია“, გვ. 126-127

პახუშვი მიხეილ პახუშვი ბაბრავიონი ღვალებისა და ღვალებითი შესახებ

ღვალებები (ძველი ორთოგრაფიით დუალნიჰ დეალნი) კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ოდინდელ მკვიდრთ ნარმოადგენდნენ, რომელნიც თავისი ისტორიული ბედით ათასწლეულების მანძილზე მჭიდროდ და ცალკურ იყვნენ დაკავშირებული ქართველებთან, ხოლო XIII საუკუნის შემდგომ ხანაში უკვე კავკასიონის მთიანეთში ინფილტრირებულ ოსებთანაც. ამ ფრიად თავისთავადი და არცთუ მცირერიცხოვანი ტომის უძველესი სამოსახლო მხარე - დეალეთი (ძველი ორთოგრაფიით დუალეთი) კი დეალეთი, ვითარცა მრავალწლოვანი ნარსულიდანვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ ნაპირის ალაგად ქცეული დანიჭიხის საეპისკოპოსოში V საუკუნიდან შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქვეყანა, თავდაპირველად მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში ლოკალიზებულია და ძირითადად კავკასიონის მთავარსა და გვერდით ქედებს შორის განფენილ და ამჟამად ენ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოყოლილ 500 კვ.მ.-მდე ფართობის მიწა-წყალს მოიცავდა, რომელიც რუსულ ენაზე გამოცემულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში არაშეუთავად ზოგადად ნარა-მამისონის ტაფობის («Наро - Мамисонова котловина») ან ტუალეთისა («Туалетия») სახელწოდებით ფიგურირებს. მდ. თერგის მარცხენა შენაკადის - არდონის სათავეებიდან თანამედროვე დაბა ბურნამდე (სხვა უფრო საეჭვო ინფორმაციით მიზურამდე) გადაჭიმულ და ექვსი უმთავრესი ხევისგან (1. ხახა, 2. ნარა, 3. ზრამგა, 4. ზოგო, 5. ფლდე, 6. კასრი) შენეიტებულ აღნიშნულ ულთხეს, რომელსაც აქ მოგვიანებით დაშენებული ოსებმა ოსებმა თუალთა («Туалте»), ან თუალგომი («Туалгом») შეარქვეს, პირობითად შეიძლება ბუდე დეალეთი-ც ეწოდოთ, ვინაიდან გარკვეული ქრონოლოგიური პერიოდიდან დეალეთის ქვეყნისათვის ნაშვილად არ ყოფილა უცხო როგორც საგრანძობი გაფართობების (- დიდი ლიავისა და თერგის ხეობათა მალაღმობისა მონა კვეთზე გაერცვლები), ისე ცალკეულ ერთეულებად (საკუთრივ ბუდე ალეთად, თრუსად და მალრან-დეალეთად) და-ნანერვების ტენდენცია. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შეპირობებული იყო ცენტრალური კავკასიონის ჩვენთვის საინტერესო უბანსა და მიმდებარე რაიონებში საუკუნეების მანძილზე მიმდინარე საკმაოდ რთული ეთნო-დემოგრაფიული, ეთნოპოლიტიკური და ეთნოკულტურული პროცესებით, რომელთა

კანონზომიერი შედეგია, ერთი მხრივ, დეალთა ინტენსიური ქართიზაცია (თუ ქართველიზაცია) და საქართველოს სხვადასხვა მხარეებში მასობრივი მიგრაციის კვალბაზე მათი უმტკივნეულო შერწყმა ადგილობრივ ეთნოტერიტორიულ ჯგუფებთან (ქართლელებთან, მოხვევებთან, რაჭველებთან, იმერლებთან და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრად დეალეთში რიცობრივ უმცირესობაში აღმოჩენილ დეალთა ასიმილაცია იქ დამკვიდრებულ ირანულენოვან ოსთაგან, აგრეთვე ადმინისტრაციულად საქართველოს შემადგენლობაში XIX საუკუნემდე დაარსებული დეალეთის (უფრო ზუსტად ბუდე დეალეთის) აბსორბიცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოსეთის (ოსურად «Ир // Иристон») მიერ და საბოლოო ანგარიშით, ფართოდ გავრცელებული დეალეთის ოდინდელი მიწა-წყლის განწილება საქართველოსა და ოსეთს (Ир // Иристон) შორის.

დეალთა ეთნიკური ვინაობის პრობლემა თითქმის ორი ასწლეულის მანძილზე წარმოადგენს კავკასიონის თემატიკით მეტ-ნაკლებად დაინტერესებულ სხვადასხვა ცხოველი განსჯის საგანს. XVIII-XIX საუკუნეების ავტორთა მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში აზრთა სხვადასხვაობა აქვს ადგილი სხვადასხვა ტომის ეთნიკური ატრიბუციის განსაზღვრებაში, რაც მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ონომასტიკური მასალის არათანხედენილი და ხშირად უაღრესად წინააღმდეგობრივი შეჯერების პრაქტიკით.

დეალეთის ეთნოგრაფიისა და დეალთა ეთნიკური კუთვნილების საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიების ქუმშარიც მესაძირკველად ვაზუმტი ბაგრატიონი გვევლინება, რომლის კაპიტალურ ნაშრომში - აღწერა სამეფოსა საქართველოსა (შეტნილად კი აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთ თავში - აღწერა აზნიდელისა ოსეთისა ანუ კავკასიათა შინათა) უძვირფასესი ინფორმაციაა დაუნერვული დეალეთისა და დეალეთის შესახებ, სხარტადაა გამოცემული მათი ისტორია დაახლოებით ოცდაექვსი საუკუნის მანძილზე, და დეალეთის ქვეყნის ლოკალიზაცია, აწინდელ და აწინდელ ოსეთთან მისი მიმართების, დეალთა ეთნოგრაფიის თუ ეთნოტრანსფორმაციის პროცესების შესახებ საკმაოდ დისკურსიული მხარეებით მოწველი სერიოზული ნაბიჯია გადადგმული დეალთა ეთნიკური ბუნების გარ-



კვეციის მიმართულებით (ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართლისთა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 632-655).

ვახუშტი ბაგრატიონი დავალებს (ან დავალებს) განიხილავს ოდითგან კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში - „ოესეთი“-ს ქვეყნის მეზობლად - მდებარე და ძვ. წ. IV საუკუნიდან უკვე ქართლის სახელმწიფოს მონაპირე პროვინციად ფორმირებულ შიის კუთხედ, რომელიც XV საუკუნის შემდგომ პერიოდში აქტიურ ირანიზაციას დაექვემდებარა „კავკასიათა შინა“ მასობრივად შემოიხზნულ ოესთა მხრიდან და საბოლოო ანგარიშით ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საქართველოსა და ოსეთს შორის იქნა განაწილებული. მცენიერი ბატონიშვილი საგანგებოდ უძება დავალების ქვეყნის საზღვრებს და საძიებელი მხარის ძველთაძველი შინაწელის სწორედ ნარა-მამისონის ტაფოთთან (ე.ი. ჩემს მიერ პირობითად „ბუდე დავალებად“, ხოლო თანამედროვე ოსთა მიერ „თუღაღამოდ“ ნოდებულ რაიონთან) ზუსტად შეფარდებაში მოხაზვის პარალელურად თითქმის უწყველად მიუთითებს ნარსულში შედარებით უფრო ფართოდ გაგებული დავალების (ბუდე დავალები + თრუსო + მაღრან დავალები) რეალურად არსებობაზეც. ავტორი თანმიმდევრულად აღწერს აგრეთვე მაღრან-დავალებს (- „ქართლსა ზედა“) და ფართოდ გაგებული დავალების ჩრდილოეთი (// პირიქითი) ნაწილის ცალკეულ ნაწილებს („კასრის სვეს“, „ფლეგის სვეს“, „ზრამავას“, „ანარას“, „ზრაგოს“, „სახას“, „თრუსოს“), რომელთაც „ან ოესეთად ნოდებულ“ ტერიტორიების ფარგლებში აღრიცხავს (ვახუშტი, აღწერა... გვ. 363, 632-634, 644-648, 654). მართალია, დიდი სწავლულის ზოგიერთი მტკიცება ნამდვილად ვერ უძლებს კრიტიკას და მათი კორექტირება, რაც შემთხვევებში, თავად ვახუშტის ხელით შედგენილ რუკებისა და სოფელთა სხვის ჩვენებათა წყალობით ხერხდება (ეს კარგად ჩანს თუნდაც „თრუსო“-ს თემის კონკრეტულ მაგალითზე, რომელიც ტაქსტის მიხედვით „ანინდელი ოსეთ“-ს მიეწერება, ხოლო ვახუშტისეული რუკებისა და სოფელთა სხვის თანახმად ქართლის შემადგენლობაში იგეგმება), მაგრამ მთლიანობაში იგი მაინც უგროვან ნარმოდგენას გვიქმნის საკუთარი ქვეყნის მიხედვით და მის მიერ დროთა განმავლობაში განცდილ ტერიტორიულ ცვლილებებზე, და, რაც მთავარია, სწულად აამკარავებს დავალების ქვეყნის უძველესი მონაკვეთის (სახელდობრ ბუდე დავალების) „ანინდელი ოსეთი“-ს შემადგენლობით გვიანდელი შესვლის ფრინველ საგულისხმო ფაქტს.

არანაკლებ საინტერესოა აღწერის ავტორის თხრობა დავალებს შორის ნარმოდგენისა და ისტორიული ბედილობის, XVII საუკუნის I ნახევრის ეთნოგრაფიკული თუ ეთნოკულტურულ ანტირეაქციით კუთვნილი ადგილის შესახებ.

ვახუშტი ბაგრატიონი დავალებს (ან დავალებს) გვიხსნისათვის, როგორც უძველესი კავკასიონის შემკვიდრებებს (კავკასოს ძეთაგანი და ნათესავთაგანი, გვ. 654), ხევის პროვინციის დასავლეთით მცხოვრებ კავსიულებს („ვევის დასავლეთისათა კავსანი“, გვ. 654), „ვევის აღმოსავლეთის კერძოთა კავსიულ“-თა მონათესავე, საკუთარ ენაზე მოლაპარაკე კავსიული მოდგმის ავტოქტონ ტომს („ენა აქეთ ძუღლი დავაღური“, „კავსათა ტოშის, რომელ არიან დავაღნი, გვ. 639, 655), რომელიც XV საუკუნის მერმინდელ პერიოდში „დაპყრობილ იქნა ცენტრალური კავსიონის ხეობებში ორი დიდი მიგრაციული ტალღის სახით „შემოსახლებული“ და ე.წ. „ახაზრთა“ (ე.ი. სკვით-სარმატთა) პირდაპირ ჩამომავლებად შერაცხულ ოესთა“ მიერ და შემდეგ ინტენსიური ასიმილაციის პროცესში აღმოჩნდა ჩათრული. („ხოლო მოსლევასა თათართასა... შემოივლტოდნენ ოესნი ამ კავსიასათა შინა და უმეტესს უდაბრო იქმნენ... და კ-შ-მ-დ ლანქ-თემურისა და აღუბისა კონსტანტინეპოლისა, ემლაგრნენ ოესნი იქით თათარხანი და აქეთ ლანქ-თემურის ელნი მამადიანნი, და შემოივლტოდნენ კავსიასა შ-ა და დაიპყრნენ კავსიასა ნათესავნი, რ-ლ არიან დავაღნი“; ... ხოლო შემდგომად მოპრებისა ოესეთისა და შემოსლევას მათისა კავსიასა შინა, იწოდნენ ოესეთი მერმინდელ ანუ ყაბარდად, და კავსიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოესეთად, რამეთუ ანცა გუარანათა მათ უნოდებნენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა - კულად დავაღადვე“ (ვახუშტი, აღწერა... გვ. 634, 654-655).

ვახუშტის მტკიცებით, XVII საუკუნის დასაწყისისათვის ოსურ ენაზე მოუბარ დავალებს („ენა აქეთ ძუღლი, დავაღური, და ან უბნობენ ოსურსა საკუთრად“, გვ. 639) უკიდურესად დაკნინებული ჰქონდათ უწინდელი ეთნიკური იდენტურობა და ტრადიციული ცხოვრების წესითაც ოსებთან იყვნენ დაახლოებული (გარანა თუ განდიდნენ ანუ გამდიდრდეს ოსის ანუ დავლი, ანუ შირთავს ორ-სამს ცოლსა, ანუ ღაღაგებს კომჭას, ანუ მოკლავს კაცსა“ მნ გვ. 640), თუმცა ისინი მაინც განირჩეოდნენ ოსებისაგან მთელი რიგი ნიშნებით, ეკრძოდა სარწმუნოებრივად („სარწმუნოებით არიან ძუღლიად ქრისტიანნი... და უფროს დავაღნი... ხოლო თაგაურნი, ქურთაღლინი, ვალაგირი, ფიქომი, დიგორენლი და ბასიანენლი, რომელთა თავნი და ნარჩინებულნი მათნი არიან მამადიანნი, და დაბალი გლეხნი ქრისტიანნი, გარანა უმეცარნი ორციეს რჯულისანი“, გვ. 638), სოციალურად („უნაყან გუარნი და უნარჩინებულენი გუარინთა არიან ოესნი... არამედ დავაღნი უმდაბლესნი არიან გუარითა“, გვ. 638-640) და ეთნიკური სახელდების შრიცავ („... ანცა გუარიათა მათ უნოდებნენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა კულად დავაღადვე“, გვ. 634), ამდენად, „აღწერის“ დაწერის დროისათვის, როდესაც „დავაღნი“ და „ოსთა“ უმთა-

ერეს შემეართებელ ქსოვილად წარმოიხდებოდა ოსური ენა, ხოლო ძირითად სადგომარ კაცობრივ ნიშნად მათი განსხვავებული წარმომავლობა, რელიგიურად არცერთი შესაბამისი ფონიკურ ნომინაციასა და სოციალური რანჟირების სფეროში, დედალთა და ოსთა ურთიერთგამიჯვნის ტრადიცია ვერ კიდევ მყარად იდგა ფეხზე. მაგრამ უახუმტი შორის არამა აზრისა და სახეობა, რომ აღნიშნული ტრადიციის გვიანობამდე შემონახვა იმხანად რაიმე სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა საკვლევ ტომის ასიმილაციის პროცესის შემდგომ გარმამეცხასა და საბოლოო დასრულებას. ეთნიკობით, შემთხვევითი არაა ის ვარაუგობა, რომ აღწერილი ტექსტში „ოვსთა“ და „დედალთა“ ერთობლივი განსახლების არეალად ნაჩვენები დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნის, პირიქითი არაგვის (შერმინდელი თერგის) და ჯეჯორის ხეობების სათავეები ვახუმტიკესულ რუკებზე და სოფელთა სიაშიც მარტოოდენ ოსებით კომპაქტურად დასახლებულ მონოეთნიკურ რაიონებად გვაცნობს თავს. როგორც ჩანს, დედალთა ირანზაზიციის პროცესის შეუქცევად ხასიათში და რწმუნებული ავტორი ამჯერად დედალურ მოსახლეობას უკვე ოსური დასახლებული პუნქტების შემადგენლობაში გულისხმობს. მეტად სიმპტომატურია ის დეტალები, რომ „დედალთა“ და „ოვსთა“ სისტემატური ურთიერთშეპირისპირების გვერდით ვახუმტიკე ერთ სიბრტყეზე განიხილავს „დედალებს“ და ოსთა ლოკალურ ტერიტორიულ ჯგუფებს („ელაგირელებს“, „ქურათელებს“, „თავაურელებს“, „დიგორელებს“, „ბასიანელებს“), რითაც უნებლით აღიარებს ოსებითან დედალების შედუღების ბოლო სტადიის არსებობას.

ერთი სიტყვით, თუ ჩაუვკირდებით აღწერის ავტორის მიერ დახატულ სურათს და გაითვალისწინებთ თანამედროვე ოსი ხალხის მიდევნიკური დაყოფის ორ ტაქსონომიურ დონეს (მხედველობაში გვაქვს ოსების დაყოფა ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუფად - „ორონებად“, „ორელებად“ (- ე.ი. აღმოსავლელ ოსებად) და „დიგურონებად“ ან „დიგურელებად“ // „დიგორელებად“ (- ე.ი. დასავლელ ოსებად) და, პარალელურად, მათი შარციაცია ლოკალურ ეთნოტერიტორიულ ჯგუფებად: ალაგირელებად, ქურათელებად, თავაურელებად, თუალ-ლაგებად და დიგორელებად, ალბათ, ძველი მისახვედრი არაა ის, რომ ვახუმტიკე XVIII საუკუნის I ნახევრის „დედალებს“ მიიჩნევს „ოვსთა“ ერთიკური ბირთვის გარშემო ჩამოყალიბებული ირანულენოვანი ეთნოკონგლომერაციის შემადგენელ კომპონენტად, ოსების ერთგვი ეთნოსიმიზოტებად. ნინთქმულიდან გამომდინარე, მის მიერ აღწერილ „დედალებში“ ნიადაგოვლად ამოიკნობიან ოსებში ეთნოკულტურულად თითქმის მთლიანად „ნატურალიზებული“ და ოსთაგან „თუალ“ // „თუალლაგ“-ებად სახელდებული დედალები, რომელთა ერთ ნაწილს იმხანად ეტყობა უკვე განვლილი პქონდა,

ხოლო მეორე ნაწილს კვლავაც უნდა ეტყობა ოსი ხალხის მესამე (- „ორონების“ და „დიგურონების“ ბადალ) სუბეთნიკურ ჯგუფად, მერმე კი ოს-ირანთა რივით ტერიტორიულ ერთეულად (ელაგირელების, ქურათელების, თავაურელების გვერდით) ფორმირების სანაყის ეტაპი. უფორ მარტივი ენით რომ ეთქვას, ვახუმტიკეული „აღწერა“ დედალებს (ოსური ნომინაციით „თუალ“ // „თუალლაგ“-ებს) აფიქსირებს მათი ეთნოტრანსფორმაციის დამამთავრებელ სტადიაზე, რითაც მკითხველს თვალს უხეხს დედალების ოსებთან შერწყმის პროცესის ვადამწყვეტ ფაზაში შესვლის ფაქტზე, როდესაც მათ შორის უწინდელი ეთნოგენეტიკური სხვაობა უკვე ეთნოგრაფიულ სხვაობას უდმობს ადგილს.

მაშასადამე, ვახუმტიკე ბავარტორის ნაშრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ იქ ეთნოკვალიტატური თვალსაზრისით საკმაოდ მკვეთრი ზღვარია გადვლებული „ოვსებსა“ და „დედალებს“ შორის და დედალთა ტომი ეთნოგენეტიკურად კავკასიურ ეთნიკურ სამყაროსთან არის დაკავშირებული; იქვე უმნიშვნელოვანესი ცნობაა დაცული „ძველი დედალური“ ენის არსებობის შესახებ, რითაც გადვლებული ინტერესი დედალთა გლოტოგენეზის პრობლემისადმი, გამოსაკარავებულია დედალთა ოდინდელი ეთნიკური ინდივიდუალობისა და მათი გვიანდელი ეთნოტრანსფორმაციის ფაქტები, ნაჩვენებია აგრეთვე ირანულენოვანი ეთნოკონგლომერაციაში ჩაკირულ დედალთა მდგომარეობა და მათი განსახლების არეალი XVIII საუკუნის I ნახევარში, განხილულია დედალეთის ეთნოგოგრაფიის მანამდე ხელუხლებელი საკითხები და სხვა.

მაგრამ ყველა ხაზგასმულ სიკეთესთან ერთად ხსენებულ ნაშრომს თავისი სერიოზული ნაკლოვანებებიც გააჩნია. თავი რომ დაეანებოთ ავტორის მიერ დაშვებულ არაერთ ფაქტობრივ უზუსტობას და სულ აღარაფერი ეთქვას მისი ზოგიერთი მტკიცების აზრობრივი გამოხვედრის საჭიროებაზე, აღწერის ძირითადი მიზუსი იმაში მდგომარეობს, რომ იქ დედალთა კავკასიური წარმომავლობის იდეის დანინაურების საერთო ფონზე, თითქმის უფორადვლებოდა დატოვებული დედალების ქართიზაციის (თუ ქართველიზაციის) და ქართველებთან მათი ეთნოგენეტიკური და ეთნოკულტურული მიმართების საკითხები. მართალია, ჩვენ ვახუმტიკის ვერ მოვთხოვთ საკვლევ რეგიონში მიმდინარე რთული ეთნოგემოგრაფიული პროცესების ყველა ნიუანსში თანაბარი სიღრმით ნვედომას, მაგრამ მას უთუოდ მართებად რაღაც მუხების ნერტრელების გამოქება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ მცხორებ დედალებსა და ქართველებს შორის და მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის წარმოჩენა, მით უმეტეს, რომ იგი დედალთა და ოსთა ერთობლივი განსახლების სამხრეთული არეალის (კრწანთი, დიდი ლიახვის, პატარა ლია-

ხვის და ქსნის ზემონელის) პირველმოსახლეებად სწორედ „ქართველ გლეხებს“ თელის (ხოლო რაოდენი ოსნი დაესწრეთ ამ ადგილებთან შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდეგ მად მსპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინათგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“, გვ. 363-364), ხოლო ქართული წერილობითი წყაროების მკაფიო ჩვენებით იგივე რაიონები ოსებამდე დვალეებით ჩანს დასახლებული ამდენად, უნდა ვიღაროთ, რომ ვახუშტის მსჯელობა დვალეების ეთნოგრაფიის მხოლოდ ერთ ასპექტზე (შემდეგობაში გვაქვს ავტორის თხრობა დვალეების ირანიზაციის და ოსებთან დამოკიდებულების შესახებ), მათი ეთნიკური ეინაობით და ინტერკულტურულ მკითხველში ძალაუფერად აღძრავს მარტოოდენ ოსებთან დვალეების მიმართების გარკვევით და მკაფიოდ ციფრებულად, რაც თავისთავად საძიებელი საკითხის ცალი კუთხით გაშუქების ტოლფასია.

სამწუხაროდ, ვახუშტის ნაშრომის სწორედ აღნიშნულმა ხარვეზმა მოგვიანებით არაერთი სწავლულის ნააზრევსაც დაამწინა კვალი და გარკვეულნილად დვალთა ეთნიკური ფიზიონომიის მრუდე სარკეში ნაშრომის ტენდენციასაც გაუმართა ხელი, ვინაიდან აღწერის ტექსტის გაცნობის შემდეგ შეუღვეართა უმრავლესობა თავის უპირველეს (ან ერთადერთ) მოვალეობად თელიდა მინცდამაინც ოსებთან დვალეების მიმართების საკითხზე ყურადღების გამახვილებას, რაც საკუთრივ ვახუშტის მტკიცებების არამართებული ვაგვების თუ განზრახ დამახინჯების ან დვალეების ოსებთან საბოლოოდ შერწყმის ფაქტის იდეალიზაციის შემთხვევაში, როგორც წესი, დვალეების ოსებად (ან სამხრეთელ ოსებად) გამოცხადებით მთავრდებოდა.

იმის შესახებ, თუ დვალეებისა და დვალეთის შესახებ რა მოსაზრებები გაჩნდა ვახუშტის შემდგომი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში, ვრცლად განვიხილავთ დვალეებისა და დვალეთის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევის ისტორიოგრაფიულ ნაწილში. ამჟამად კი ვიფარდებებით მხოლოდ ვახუშტის აღწერის მონაცემების შეჯერებით. მის მიხედვით სრულიად ამკარად გამოჩნდა, რომ XVIII საუკუნეში დასასრულს უახლოვდებოდა დვალთა ვაოსების პროცესი, მაგრამ ვახუშტიმ ისიც ნათლად დაგვანახა, რომ დვალური მისახლეობა ოსურ

გარემოცვაშიც ვერ კიდევ იწარჩუნებდა არსებობას იმ ტომობრივი მახასიათებლებით (პირველყოელისა სოციალური ყოფითა და სარწმუნოებით), რაზედაც ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

ვახუშტის დაკვირვებით ისიც ნათლად ჩანს, რომ დვალთა ძირითად სამოსახლოს და პირველადელ სამშობლოს ნარმოადგენდა ისტორიული დვალეთი, ანუ ბუდე დვალეთი, რომელიც მოიცავდა ცენტრალურ კავკასიონში მდებარე ნარამისონის ტაფობს მასში შემავალი ხეობებით (ქასრისწყვი, ფელისწყვი, ზრამაგა, ნარა, ზოგო, ზაფი).

ბუდე დვალეთიდან მიგრაციისა და ქართლის მიზანითი დვალთა დასახლების შედეგად ისტორიულ დვალეთთან ერთად შეიქმნა შედარებით ახალი დვალური რეგიონები: ოსმალურ-დვალეთი და ილია ლიახის ხეობაში („მსახლობელნი არიან ოსნი, დვალნი“ - ვახუშტი, აღწერა 85 გვ. 372); 2) თოსო - მდ. თურგის ზემო ნაწილი („მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი“, ვახუშტი, გვ. 357).

ვახუშტისეული ლოკალიზაციით, ვინროდ გაგებული დვალეთი ფარავდა ისტორიული დვალეთის, ანუ ბუდე დვალეთის ტერიტორიას, ხოლო ფართოდ გაგებული დვალეთის ფარგლებში ბუდე დვალეთთან ერთად შედიოდა მალრან-დვალეთი და თრუსო. ამასთან ერთად, ვახუშტი ჩამოთვლის დვალეებით განსახლებულ სხვა ტერიტორიულ ერთეულებსაც: არამედ ჰეობანი ესენი, რომელნი აღვენერთ მალრან-დვალეთითურთ, არიან დვალეთი და კულად დიდის ლიახესა, პატარა ლიახესა, სნის წევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნიც, ამ დვალეთიდან გარდასულნი, რჯულითა, ნესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“ (ვახუშტი, გვ. 647-648).

ამ ცნობის უგულვებელყოფა და თავდაჯერებით იმის მტკიცება, რომ კავკასიაში დვალეთი მხოლოდ ნარამისონის ტაფობს მოიცავდა და თანაც იმის მრავალჯნის განცხადება, თითქმის ამავე ვახუშტი ამტკიცებდა (რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები, თბ., 1977), რბილად რომ ვთქვათ, ისტორიული რეალობის ხელაღებით ჯარყოფისა და ვახუშტისადმი უხამსი ბრალდების ნიშნია, რაც სათანადოდ მაქვს შეფასებული სპეციალურ ნაშრომში - „დვალეთის ისტორიის საკითხები მრუდე სარკეში“.

დალილა ბაქინიძე

„ათას ერთი ღამე“ და ქართული ხალხური ზღაპრები

ქართულმა ზღაპრებმა განვითარების გრძელი და რთული გზა განვლეს. ისინი საინტერესო მიმართებას იჩენენ ამა თუ იმ ქვეყნის ზღაპრებთან. ხშირად აღინიშნება სიუჟეტითა თუ ცალკეულ მოტივითა მსგავსება, რაც ნაესხობიდან საერთო წყარომდე ამპლიტუდას მოიცავს. განსაკუთრებით საგულისხმოა ქართული ზღაპრების აღმოსავლურ სამყაროსთან მიმართება. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე პარალელს არაბული ზღაპრების კრებულსა „ათას ერთი ღამე“ და ქართულ ხალხურ ზღაპრებს შორის.

„ალფ ლაილა ვა ლაილა“ - „ათას ერთი ღამე“ ეწოდება არაბული ზღაპრების კრებულს, რომელიც მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე (როგორც ვარაუდობენ 800 ან 900 და 1500 წლებს შორის) იქმნებოდა არაბეთის აღმოსავლეთის სხვადასხვა მხარეში. „ათა ერთი ღამის“ მთელი ტექსტი ევროპაში პირველად გაიყვანეს მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ფრანგი მეცნიერის და მოგზაურის ჟან ანტუან გალანის, ფრანგული თარგმანებით. ქართულ ენაზე თავდაპირველად თარგმნილი იყო „ათას ერთი ღამის“ მხოლოდ რამდენიმე არაბი რუსულიდან. უშუალოდ არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნანა ფურცელაძემ.

ქართულ ზღაპრებში ყველაზე უფრო გაერცვლებული საერთო სიუჟეტია ფრინველთა და ცხოველთა ენის მცოდნე კაცის ამბავი. ენაბით, როგორ გამოიყურება იგი „ათას ერთ ღამეში“, სადაც მას ეწოდება „ვირის, ხარისა და მუმზელის ამბავი“:

ერთ ვაჭარს, ქონებისა და პირუტყვის მფლობელს, ჰყავდა ცოლი და შვილები და ალაპს ამ ვაჭრისთვის ცხოველთა და ფრინველთა ენის ცოდნა მიეჩიებინა. მან გაიგო ხარის და ვირის საუბარი - ვირი ვაჭარმაცებულ ხარს ეუბნებოდა: თუ ხვალ არ ნამოდექი და სამუშაოდ არ წახვედი, ჩვენი პატრონი ამბობდა, რომ დაგკლავდა. ხარმა მთელი უღუფა შეჭამა, ბავაცი კი ამოლოკა, ჯანზე მოვიდა. პატრონს ყველაფერი ესმოდა. მეორე დღეს ვაჭარი და მისი ცოლი ბოსელში შევიდნენ. მეხრემ ხარი გარეთ გაიყვანა. ხარმა პატრონი რომ დაინახა,

ქარები გამოუშვა და მოკურცხლა. ვაჭარი სიცილისაგან გადაბრუნდა. ცოლი ჩააცვიდა, მითხარი რაზე იციანო. ქმარმა უთხრა, რომ გავიმზილო, მოკვებდებო. ცოლმა უთხრა, კიდევაც რომ მოკვდე, უნდა მითხარაო. მაშინ ვაჭარი მოემზადა სასიკვდილოდ. როცა პირუტყვის სადგომისკენ გაემართა, ჩათა აღესრულებინა განბანა, გაიგონა მისი ძაღლი მის მამალს ლანძღავდა. მამალს ორმოცდაათი დედალი ჰყავდა. ძაღლმა უამბო მამალს პატრონის ამბავი. მამალმა თქვა: „ეფიცავ ალაპს, თუ ჩვენი პატრონი შეუანაკლული არ იყოს. მე ორმოცდაათი ცოლი მყავს, ერთს ვეფერები, მეორეს ვუჯაერდები... იმას კი ერთი ცოლის მეტი არ გააჩნია და იმისთვისაც ვერ მოუვლიაო. ერთი რატომ არ აიღებს თუთის წკეპლებს, არ შევა იმის ოთახში და იმდენს არ ურტყამს, სანამ არ მოკვდება, ან არა და მოინანიებს და მეორედ აღარაფერს ჰკითხავსო...“

ვაჭარს რომ ძაღლისა და მამლის ბაასი ესმა, გონს მოეგო და ცოლის ცემა განიზრახა. მოჭრა თუთის ტოტები და ოთახში დამალა. შევიდა ცოლთან და უთხრა - შემოდი ოთახში, ისე უნდა გითხრა, რომ არავინ დაინახოს და მეც მოკვდეო.

ქალი შეუკვა ქმარს. ვაჭარმა გამოკეტა და იმდენი სცემა, სანამ ქალს გული არ შეუღონდა და არ თქვა: - მამაკეთო. დაუკოცნა ქმარს ხელები და ფეხები. მოინანიდა და ქმართან ერთად გამოვიდა.

მსგავსი სიუჟეტი გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში: „გველი და კაცი“, „ფრინველთა ენის მცოდნე“, „ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა“, „ავი დედაკაცი“, „დურგალი და მისი ცოლი“. ქართულ ზღაპრებში ფრინველთა და ცხოველთა ენის ცოდნა არა ღვთისგან ბოძებული ნიჭია, არამედ გველის, თევზის და სხვათა პირში ენის გამოსმის ან ენის ენაზე მიდების შემდეგ ეძლევა კაცს. ეს ამბავი საიდუმლოა, ისევე, როგორც არაბულ ზღაპარში და მისი გამხელა იწვევს კაცის სიკვდილს. განვიხილოთ ქართული ზღაპარი „ავი დედაკაცი“.

გლეხმა თევზი დაიჭირა და ევატარავა, ისევე წყალში გადააგდო. თევზმა დალოცა და ყოველი ცხოველის და ფრინველის ენა



ასწავლა, ხოლო თუ ამ საიდუმლოს ვინმეს გაუშვებდა, კაცი მოკვდებოდა.

კაცმა ყვევის ბახალს დააჭირა. „მაგ კაცმა ჩვენი უნა რომ იცოდეს, ჩემს რჩევას გააგონებს, მუხის ქვემოქართით საესე ქილაა დაფლული, იმას ამოიღებს და შენ გაგიშვებხარ“ - უთხრა ბახალს დედა ყვავამ. კაცმა გაიგონა და ასეც მოიქცა. ქილა შინ წაიღო და გამდიდრდნენ. ცოლი შეუწინდა, გინდაც მოკვდა, უნდა მითხრა, სიმდიდრე საიდან მოიტანეო.

„კაცის მწუხარება მამალმა გაიგო. შეებრაღა კაცი და თავისებურად ჩაულაპარაკა. კაცი მიხვდა, საკენსა მთხოვსო. გამოიტანა და ქათმებს ბლომად დაუყარა საკენკი. მამალმა დაიბრობოცა და დედლები მამინევი გაშორდნენ საკენკს, შემდეგ რაღაც დაუკაკანა და დედლებიც კაკანით მისცვიფდნენ საკენკს. მამალმა ჩაილაპარაკა თავისთვის: - ეჰ, სანაყალი კაციმე აგეროც ცოლს ვუვლი, ურემოდ ვერაზინ გადამგაბს ფეხს და მაგას ერთისათვის ვერ მოუვლია. რას შესწერებია ავ დედაკაცს. ერთი კარგად მსტიკიოს და თავივად მოიშოროს“. კაცი ასეც მოიქცა, მიტყვიან ცოლი და ამის შემდეგ ტკბილად ცხოვრობდნენ.

არაბულ ზღაპართან კიდევ უფრო ახლოს არის ქართული ხალხური ზღაპარი „გველი და კაცი“. აქ ცოლი სიცილის მიზეზს ეკითხება ქმარს, ისევე, როგორც არაბულ ზღაპარში. მიზეზი განსხვავებულია, მაგრამ ქალის მიზანია ერთი - საიდუმლოს თქვივინება. აქაც და ზემოთხსენებულ სხვა ზღაპრებშიც კაცისათვის ქქუვის დაშირიგებელი მამალია. ეს დეტალი უცვლელად გადავიხსნა ყველგან.

„ამბავი დალაქის მეხუთე ძმისა“ მიმართებას იჩენს ქართულ იგავ-არაკთან „გლახაკი და ქილა ერბო“, რომელიც თავის მხრივ ძალიან შავეს ქათულ საყოფაცხოვრებო ზღაპარს „ქერივი ქალი და ერთი ქოთანნი ნადული“.

დალაქის მეხუთე ძმამ მამის წილიდან ასი დირჰამი მიიღო. სურდა, იმ ფულით ყოველწინარი შუშის ჭურჭელი შეესყიდა, მერე ევაჭრა და მოგება ენახა. იყიდა ასი დირჰამის შუშის ჭურჭელი და ხონჩაზე დაანაყო. ამ ჭურჭლის გასაყიდად ერთ ადგილას ჩაჯდა და ზურგიტ კედელს მიეყდნო. იჯდა - თან გულში ფიქრობდა: „ამ შუშამთ თავნი თანხა ასი დირჰამია. მე კი მას ორასად გაყვიდი. მერე ორასი დირჰამის შუშას ვიყიდი და მოთხას დირჰამად გავასაღებ. ასე ვიყიდი და გაყვიდი, ვიდრე დიდძალი ფული არ დამჩრებოდა. იმ ფულით ყოველგვარ საქონელსა და ნელსაცხებლებს ვიყიდი, რომ დიდი მოგება ენახო. ამის შემდეგ ერთ მშვენიერ სახლს

ვიყიდი. ვიყიდი მონებს, ცხენებს, ოქროს უნაგირებს, საჭმელსა და სასმელს. იმ ქალაქში მომდღერალს არ დაეტყოვებ, რომ სახლში არ მოვიყვანო და მისი სიმღერით არ დავტკბე“.

ასე ფიქრობდა და გულში ანგარიშობდა. ჭურჭელი კი ხონჩით წინ ედგა. მერე თქვა: „ვაზირის ქალს დაეწინავე, ურვადად ათას დირჰამს მივცემ. ათ ჰატარა საჭურისის ვიყიდი, მერე ტანსაცმელს ვიყიდი, ცხენზე შევეჯდები, თან მამალუქებს ვიახლებ, მივალ სასიამაოროსა. შინ დავბრუნდები და ცოლორიდან ვინმე რომ შეწვევა, ძვირფას ხალათს ვუბოძებ. ქორწილს ვბრძანებ. ქორწინების ღამეს ცოლს ზედ არ შევხედავ, ისეთი ამპარტყვანი და ამაყი ვიქნები“.

„ცოლი მეტყვიას: - ჩემო ბატონო, ალაპის გულისთვის უარს ნუ მეტყვი შენს მხევალს ამ თახზე. მე კი იმას არ გავცემ. ის შემეხვევება და მეტყვიას: უთოვად უნდა დალიო - და თასს პირთან მომიტანო. მე სახეში ხელს აუუქნევ და ნიხლს ჩაეცხებ, აი, ასე“ - და ჩემმა ძმამ ფეხი გააქნია. ფეხი მალდა შემოდგმულ ჭურჭლის ხონჩას მოხვდა, ჩამოყარდა და ყველაფერი დაიშხვრა.

სამშვილიანმა ქერივმა დედაკაცმა ბაზარზე კიტრები წაიღო გასაყიდად გზაზე ნადულით საესე ქილა იპოვა და მოკვდა ოცნებას: „რა კარგი დღე გამითუნდა, კიტრებს გვარიან ფასში გაყვიდი, ნადულშიაც ორ მანეთს ავიღებ, ამ ფულით ერთ დეკეულს ვიყიდი, გავზრდი და მარჩენალი ძროხა მყავოლებო...“ ქერივს ეგონა, ეს ყოველივე ცხადად ახდა და ძროხის ნეულას შეუდგა. ამ ფიქრებში წასული ქალი გზას აცდენოდა და პირდაპირ მდინარეს მისდგომოდა. უცებ ფეხი დაუცდა და შიგ მორევში გადავიარდა. კიტრები და ნადული წყალში წაართვა, თვითონაც ძლივს გადაარჩინეს მგზავრებმა.

როგორც ვხედავთ, მოდელი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

ქართულ საყოფაცხოვრებო ზღაპრებში გავრცელებული მოტივია მკედრის სხვისთვის მივადების მოტივი (იხ. „ცხრა ძმის ზღაპრები“, „სამი ძმა“ და სხვა). ეს მოტივი თავს იჩენს „ათას ერთი ღამის“ ზღაპარში „ამბავი თერძისა, კუზიანისა, ებრაელისა, მოურაელისა და ქრისტიანისა“. თერძის ცოლმა კუზიანს პირში ჩაუტყენა პური და თევზი. თევზის ნაჭურში ფხა ყოფილიყო, კუზიანს ყველი გაეჩხირა და მოკვდა. თერძმა და მისმა ცოლმა კუზიანი ექიმს მიუგდეს კართან, ექიმმა და მისმა ცოლმა - სულტნის მოურაედი. ამან ერთი დუქნის გვერდით მიავსუდა, აქ ერთი ქრისტიანი მოურალი დავესხა თავს კუზიანს. დარაჯმა ვალი-



სთან ნათურია ვითომ მკვლეელი და მას ჩამოხრჩობა მიუხაჯეს.

ენახოთ საყოფაცხოვრებო ზღაპარი „მამასახლისისა და გლეხკაცის არაკი“ (ხალხური სიბრძნე, II, ნაკადული, 1964 წ. გვ. 398-401); მკვდარი მამასახლისი, რომელსაც ქალმა პირში მფულარე ერბო ჩაასხა. ეკლესიის ეზოში დაიბო ბიჭმა და სამჯერ დარეკა ზარი. მღვდელი სამჯერ გამოვიდა. მესამეჯერ ეცა მკვდარს და ცული დასცხო. ბიჭი ვითომ დაეხმარა, ახლა მენისქვილეს მიუგდო მკვდარი, მერე კი თვითონვე მოაშორა და მიუტანა მის ცოლს მის სახლში უკვე სამი დღის ვარდაცვლილი.

ქართული ზღაპრებისთვის უცხო არ არის მეტამორფოზები - ქცევადობა, განვითარებული ცალკე მოტივებად. ქცევადობას ვხვდებით „ათას ერთ ღამეში“ - იხ. ამბავი მემურნისა და შურის აღმძვრელისა“.

იფრთი ლომად იქცა. პირი დაალო და ქალიშვილს მიუხდა. ქალმა მოასწრო თმის ერთი ბენეის ამოძრობა, ზედ რალაც წაიბუტბუტა, თმა აღესილ ლახვრად იქცა და ქალმა ლომი ორად გაააო. ლომის თავი მორიგლად გადაიქცა, ქალი კი ვეება გველად, სწავდა იმწყეულს, მორიგის სახე რომ ჰქონდა და მათ შორის ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. მორიგელი არნივად გადაიქცა, გველი - ორბად. არნივს უკან მოექცა და ერთ ხანს ასე იყო. მერე კი არნივი შავ კატად გადაიქცა და ქალი მგლად. ცოტა ხანს ჩუხობდნენ და მდგვრად იბრძოდნენ სასახლეში. კატამ დაინახა, რომ მარცხდება, დიდ ნითელ ბრონქულად გადაიქცა და აუზში ჩავარდა. მგელი გაეშურა იმისკენ, მაგრამ ბრონქული პაერში ავარდა, დაენარცხა სასახლის იატაკის ფილებს, გასკვდა და მისი მარცვლები თითო-თითოდ მიმოიფანტა და მთელი სასახლის იატაკი აავსო. მაშინ ის მგელი მამლად იქცა, მარცვლების აკენკვა უნდოდა, ისე, რომ ერთიც არ დარჩენილიყო. მაგრამ განგების ძალით ერთი მარცვალი შადრვენის ნაპირას შევარდა. ეს მარცვალი თევზად იქცა და აუზში ჩაყვინთა. მამალი დიდ ვეშაპად იქცა და უკან მიჰყვა. მერე ამოვიდა იფრთი, პირიდან და ნესტოებიდან ცეცხლს და კვამლს აფრქვევდა. ქალი კი ცეცხლის უფსკრულად იქცა და დანვა იფრთი“. შევადართო ქართული ხალხური ზღაპარი „ოსტატი და შეგირდი“. „ოსტატიმ ნახა, რომ ჯორი იქ აღარ ება. გამოუფდა უკან. მოიხვდა ბიჭმა. ხედავს, ოსტატი საცაა დაენევა. იქცა ვაშლად. ხელმწიფის შეილს ქორწილი ჰქონდა. ნეფეს კალთაში ჩაუფარდა. ოსტატი იქცა დანად და ვაშლში ჩაერჭო. შეგირდი იქცა ფეტვად და ვაიფანტა. იქცა ოსტატი

კრუხად, დაახვია ნაწილები და დაუწყეს ფეტვს კენკვა. იქცა შეგირდი ნემსად, გაუძერა ქვეშ და ნავიდა. იქცა ოსტატი ძაფად, გაეყარა ყუნწში და გააჰყვა თან. შეგირდმა დაინახა, მინდორში მწყემსებს ცეცხლი უნთიათ. გაიარა ნემსმა ცეცხლში და ოსტატი ცეცხლში დასწავა“. ამგვარი ქცევადობა არაერთ ქართულ ჯაბდრებულ ზღაპარში გვხვდება. განსაკუთრებით გამოირჩევა „ლილოველი მონადირე“.

„ათას ერთ ღამეში“ ვხვდებთ გაქვავების მოტივი, რომელიც არც ქართული ზღაპრებისთვის არის უცხო (იხ. ხალხური ზღაპარი „ვეზირის ქალი“ და სხვა).

„ათას ერთი ღამის“ მატყურა მოსამსახურის მოტივი კი ქართულ ხალხურ ზღაპრებში გაფორმებულია მატყურა მეზობლის მოტივად. ენახოთ არაბული ზღაპარი „მეორე მონის ნაამბობი“: მონა ქაფურს ჰქონდა ნაკი - ყოველ ნელინად თითო ტყვილს ამბობდა. იგი ერთმა ვაჭარმა იყიდა. ერთხელაც პატრონმა ცოლთან გაგზავნა რალაც საჭირებისთვის. მონამ ბატონის ცოლი მოატყუა: „ჩემი ბატონი ერთი ძველი კედელი ძირას იჯდა თავის მეგობრებთან ერთად და კედელი ჩამოქცათ. როცა დაეინახე, რაც დაემართათ, შეეჯექი ჯორზე და საჩქაროდ ნამოვიდა, რომ ეს ამბავი თქვენთვის შეცნობებინა“.

ამის გაგონებაზე ჩემი ბატონის ცოლმა და შეილებმა ყვირილი ატყბეს, ტანსაცმელი შემოიხიეს და პირში ხელი ნაიშინეს. მოციქვდნენ მეზობლები. ჩემი ბატონის ცოლმა ერთი ბრონქული მიყვლებით მთელი სახლი გადაატრიალა: თაროები ჩამოყარა, ფანჯრები ჩაღწეა, კედლებს ტალახი და ინდიგო ნაუსვა.

„ ვი შენ, ქაფურ, - მითხრა მან, - მოდი, მომეხმარე, დაამტკრიე ეს კარადები, დაამსხვრე ეს ჯამ-ჭურჭელი“

მონამ მარლად დაღწეა ყველაფერი, მერე ბატონის ცოლ-შვილს წინ გაუძღვა ბატონისკენ. ატყვა ერთი გლოვა-ტირილი. მონა ახლა ბატონს ეახლა ყვირილით და პირში ხელის ცემით - ოჯახიდან არავინ გადარჩენილა არც ჯორი, არც პირუტყვი ან ფრინველი. ბატონმა დაუფერა და მოთქმა დაიწყო. მიადნია იმ ადგილამდე ცოლ-მაც. ცოლ-შვილი და ბატონი რომ შეხვდნენ ერთმანეთს, სიხარულით სიცხილი დაიწყეს.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ეს მოტივი შედარებით სუსტად არის განვითარებული, მაგრამ მაინც ფიტქირდება. ენახოთ საყოფაცხოვრებო ზღაპარი „სახარალო ფასოს ამბავი“ (ხალხური სიბრძნე, II, ნაკადული, 1964 წ. გვ. 310-321); უკვე გამაფრებულ ლატაკ ფასოს შინ მიმავალს შეხვდა მეზობელი


ტიტემ. ფასომ თავისი ცოლ-შვილი მოიკითხა. შენი ცოლ-შვილი მენ რომ თავი დაანებებ, იმავე წელიწადს დაიხოცნენ, შენი ნაქობარიც აღარ არისო - მიუგო შურიანმა ტიტემ. გაიგონა თუ არა ეს ამბავი, ფასომ შემოიკრა და შემოიკრა თავში, თავ-პირი დაისისხლიანა და მწარედ იტირა. მისმა მოსამსახურეებმა ძლივძლივობით დააშომშინეს და ნუგეში სცეს. შემდეგ ფასო შინ აღარ წავიდა, უკან გამობრუნდა. გზაში გაახსენდა სოლომონ ბრძენის ნახსენებები სიბრძნე: „რაც შენი თვალით არ ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო“ და ისევ სახლისკენ გაბრუნდა. ნახა თავისი ცოლ-შვილი და დიდად გაიხარა.

ზემონსენებული მოტივი დეკავშირებულია ქუჩის სწავლის მოტივთან. ენახით ზღაპარი „სოლომონ ბრძენის მოჯამაგირე“: სოლომონ ბრძენმა თავის მოჯამაგირეს ჯამაგირის ნაცვლად მისივე სურვილით სამი რჩევა მისცა, რომელთაგანაც მესამე რჩევა იყო - რაც შენი თვალით არ ნახო და შენი ყურით არ გაიგო, არ დაიჯერო. სოლომო-

ნის პირველი ორი რჩევით გამდიდრებული ლატაკი გლეხი ნამოვიდა თავისი სოფლისკენ. გზად შეხვედრილა შურიანმა თანასოფელელმა მოატყუა, შენი ცოლ-შვილი დიდი ხანია დაიხოცნენ, შენი სახლის ადგილზე ტბა დგას, მანგრევებიც აღარ ეტყობაო. გამდიდრებული გლეხი უკან გამობრუნდა, მაგრამ წყაროსთან მოაგონდა სოლომონ ბრძენის რჩევა - სანამ შენი თვალით არ ნახო, არაფერი დაიჯერო. მწუხარების მიუხედავად, გამობრუნდა უკან და ისევ წავიდა თავის სოფელში. მივიდა და დაინახა თავისი სახლი, ცოლ-შვილი და დიან ტიტელები და მშვირები.

როგორც ვხედავთ, ქართულ და არაბულ ზღაპრებს შორის მსგავსება მკრთალია, მაგრამ მაინც არსებობს. ზემონსენებული ტიპის მატყუარას სახეს ვხედებით მეგრულ ზღაპარშიც „მატყუარა კაცი“.

„ათასერთლამიანის“ და ქართულ ხალხურ ზღაპრებს შორის კიდევ მრავალმა პარალელმა შეიძლება იჩინოს თავი ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმართვა მომავლის საქმა.



ნოვალი ბართია

სამი სტილი ანუ სამი მშვენიერება სპარსული მწერლობისა

სხვადასხვა ეპოქებში, შექმნილ ვითარებათა გამო, სპარსულენოვან სამყაროში კულტურათა კერების ადგილმონაცვლეობამ და განსხვავებულ მხატვრულ გარემოთა შექმნამ, სპარსულ ლიტერატურაში წარმოშვა სამი სტილი - **ხორასნული, ერაყული და ინდური**, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთ უმშვენიერეს მხატვრულ ქსოვილს - სპარსულ მწერლობას. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოებია X-XVIII საუკუნეები, გავრცელების არეალი, გარდა ირანისა - ავღანეთი, ინდოეთი, არაბეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია - ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი... ანუ ის სივრცე, სადაც სპარსული წარმოადგენდა სამწერლობო ენას.

ერთიანად ქმნიდნენ ამ ენაზე შედეგებს, მიუხედავად გეოგრაფიული თუ ეთნიკური ფაქტორისა, დაპყრობილი თუ დამპყრობი ქვეყნების მხატვრული სიტყვის ოსტატები.

სპარსული მწერლობის ეს სამება, როგორც ირანში, ისე მის გარეთ, მრავალი მეცნიერის მსჯელობის საგანი გამხდარა. ჩვენში, ჯერჯერობით, ამ საკითხზე საგანგებოდ ყურადღება არ გამახვილებულა.

გვიანდა ზოგადად შეეხოთ მას. ოცდახუთი საუკუნის წინ ჩაუყარეს საფუძველი აქემენელებმა ირანის სახელმწიფოებრიობას, რომლის მთლიანობის ჯაჭვი, ისტორიის მანძილზე, არაერთხელ განყვეტილა, თანაც საუკუნეებით, მაგრამ არასოდეს განყვეტილა მისი მწერლური ისტორიის ჯაჭვი, რომელიც ასევე ოცდახუთი საუკუნის წიაღიდან იღებს სათავეს.

ადვი ლიტერატურის მქონე სპარსულმა ენამ განვითარების სამი საფეხური განელო - ძველი (ძვ. წ. VI-III სს.), საშუალო (ძვ. წ. IV-III - ა.წ. VII სს.) და ახალი (IX ს.).

ჩვენთვის საინტერესო სამივე სტილი სწორედ ახალ სპარსულ ენაზე მოდის.

რამდენადაც შეზღუდული არიან მეცნიერები, მასალის სიმცირის გამო, ძველი და საშუალო მწერლობის პრობლემებზე მსჯელობისას, იმდენად ამოუწერავ მასალას იძლევა მათთვის ახალ სპარსულ ენაზე შექმნილი მწერლობა თავისი სიუხეითა და მრავალფეროვნებით.

სტილურ თავისებურებათა მსჯელობისას უთუოდ გასათვალისწინებლად მიგვაჩნია სპარსული ლიტერატურის პერიოდიზაციის ი. ბრაგინსკისეული სქემა, რომელიც ეყრდნობა დინასტიური პრინციპით დაყოფას. მასში გარკვევით ჩანს სპარსული მწერლობის სტილური განვითარების დინამიკაც. აი, ისიც:

პირველი პერიოდი: IX-XIII სს. (საფარელები, თაჰერელები, სამანელები, ბუიდები, ლაზნელები).

მეორე პერიოდი: XIII-XV სს. (ილხანები, სარბადარები, შუზაფარელები, ჯალაირელები). მესამე პერიოდი: XVI-XVII სს. (სუფიანები) (5, 297).

სამივე სტილი დაახლოებით ამ ჩარჩოში თავსდება.

ხორასნული (თურქესთანული) სტილი X-XII სს.

ხორასნულ სტილს, იმის გამო, რომ თურქესთანი ხორასნის შემადგენელი ნაწილი იყო, თურქესთანულსაც უწოდებენ. იგი იყოფა **სამანელთა, ლაზნელთა და სელჩუკთა** ეტაპებად.

ა) სამანელთა ეტაპი მოიცავს ერთსაუკუნოვან ქრონოლოგიურ ჩარჩოს (IX-X სს.).

მეცხრე საუკუნის დასაწყისიდან, არაბთა ხალიფატის დასუსტებას თან მოჰყვა ირანული ნაციონალური დინასტიების წარმოშობა. ასე შეიქმნა თაჰერელთა (821-873), საფარელთა (867-903) და სამანელთა (875-997) დინასტიები. ეს არის ხანა ანტიხალხურ ტალღაზე ირანელთა ეროვნული სულის გამოვლიძებისა. სპარსული მალე გახდა ჯერ პოეზიის, ხოლო შემდეგ მეცნიერული ლიტერატურის ენა. თუმცა არაბულს არ დაუკარგავს მეცნიერული ენის ფუნქცია.

მართალია, თაჰერელთა და საფარელთა ხანიდან ფრამგმენტებია სპარსული, მაინც ჩანს მათ ავტორთა პოეტური იდეალები და მხატვრული ოსტატობა. აი, ისინი, რომლებსაც ახალი სპარსული მწერლობის მხარამენტებია თვლიან: პანზალა ბადდისელი, მამაშედ ვარაჟ პერათელი, ფირუზ მაშრიყელი, აბუ სალექ გორგანელი...

ჩამოყალიბებული სახე კი ახალმა სპარსულმა მწერლობამ სამანელთა კარზე მიიღო. სამანელებს ტახტი შუა აზიაში, ბუხარაში ედგათ. მათი სამეფო კარი სპარსულენოვან პოეტთა საასპარეზოდ და თავშესაფრად იქცა. „სამანელებთან ერთად ავიდა ტახტზე სპარსული პოეზია“ (1, 9).

სამანელები თავიანთ თავს სასანელთა მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ და შინაგანად ატარებდნენ ირანული ეროვნული სულის გადარჩენის იდეას, რაც შესანიშნავად გამოიხატა კიდევც მათი ეპოქის მხატვრულ ტილოებში.

ხორასნული სტილის პირველი მონაკვეთი სწორედ სამანელთა ხანის პოეზიაზე მოდის, სადაც მთავარ ადგილს იჭერს საგმირო-პეროიკული, რომანტიკული პედონური განწყობის ამსახველი თემატიკა. ყველაფერი ეს გადმოიცემა არანეულ-გბრილი პოეტური სისადავით, რასაც სპარსულ სტილზე მონოგრაფიული ნაშრომის შემქმნელი დიდი ირანელი მეცნიერი და შემოქმედი მოჰამედ თაყი ბაჰარი ფალაური მწერლობიდან მომდინარე თვლის. ჩვენი აზრით, ამით იგი ხაზს უსვამს სპარსული მწერლობის განვითარების უწყვეტ მდინარეებს.

ხორასნული სტილის სამანელთა ეტაპს ახასიათებს ენის არქაიზაციისკენ სწრაფვა (10, 4), მისი არაბიზმებისგან განწმენდა, პოეტურ სახეთა სიმარტივე.

ამ ეტაპის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: რუდაქი სამარყანდელი, შაჰიდ ბალხელი, ფირდოუსი თუსელი, მოჰამედ ჯონაიდელი, ომარა მერველი, ქესაი, ფარალავი...

ხორასნული სტილის მეორე ეტაპი ღაზნელთა (962-1040) ხანაზე მოდის.

ბ) ღაზნელები ირანული ეროვნული დინასტიის წარმომადგენელთა სამანელების წიაღიდან იყვნენ, მათი ლუღამთა წრები, თურქული ტომისანი. სამანელთა კარზე მათ სამხედრო სამსახურის განევა ევალებოდათ. სამანელთა მთავარსარდალმა ალფ თეგინმა 962 წელს ღაზნა დამოუკიდებელ სამთავროდ, ხოლო თავისი თავი მის გამგებლად გამოაცხადა და ასე ჩაუყარა საფუძველი აღმოსავლეთში ღაზნელთა საუკუნოვანი დინასტიის არსებობას.

ღაზნელთა დინასტიამ განსაკუთრებულ დიდებას მიაპყრო ღაზნელის (998-1030) დროს მიაღწია, რომელმაც შექმნა უზარმაზარი იმპერია აღმოსავლეთში. მათ მოსვლას ხელისუფლების სათავეში მკვეთრი ცვლილებები არ გამოუწვევია. ისინი, ისევე როგორც სამანელთა ხანაში, სამხედრო მოსამსახურეებად დარჩნენ, ხოლო სამოქა-

ლაქო საქმიანობა კვლავ ირანელთა ხელში დარჩა. ასევე დარჩა სახელმწიფო და სამწერლობო ენად სპარსული მთელს მათ იმპერიაში, რომელსაც ისინი შესანიშნავად ფლობდნენ, მშობლიურ თურქულთან ერთად.

ღაზნელთა სამეფო კარი მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნამდვილ ასპარეზად იქცა. მართლაც რომ ბრწყინდება ამ დროის პოეზია. მაჰმუდი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო პოეტებისთვის, „თუმცა არა იმიტომ, რომ სურდა ლიტერატურის განვითარება, არამედ იგი პოეტთაგან ელოდა თავისი სიძლიერის განდიდებას“ (4, 80).

ის ფაქტი, რომ ამ დროს შემოღებულ იქნა „მალეკ უ შორას“ - პოეტთა მეფის ინსტიტუტი, მონიშნავს იმას, რომ უამრავი იყო მსურველი კარზე მოსვლისა და პოეტის სახელის მოპოებისა, რომლებიც უნდა შეერთრია და მათი საქმეები განეგო ამ საქმის მცოდნეს.

ამ ხანის პოეზია გავრძელება სამანელთა ხანის მწერლობისა, გარკვეული სხვაობით, მაგალითად, მწერლობაში ქვეითდება ეროვნული სულისკვეთება, მხატვრულ ნაწარმოებებში ირანულ ეროვნულ გმირთა სახელებს თურქი სულთნების სახელები ჩაენაცვლა. ღაზნელთა ერთ-ერთი ბრწყინვალე მეზობლე ონსორი, „შაჰნამეს“ ავტორს, ფირდოუსს საყვედურობს, რომ ის მოგონილ ამბებზე წერს და არა მაჰმუდის გმირულ ბრძოლებზე.

ღაზნელთა ხანის სიტყვის ოსტატთა პოეტური სიძლიერე ათქმევენებს დავით კობიძეს: „ერთგვარი სინანული გიპყრობს, როცა მათი დიდებული ნიჭი ღაზნელთა დინასტიის წარმომადგენელთა ქება-დიდებათ დაშვრა და არა საგმირო და რომანტიკული პოემების შეთხზვით“ (2, 210).

ერთი ჯგუფი პოეტებისა აგრძელებენ სამანელთა კარის პოეზიის გზას, მეორე ჯგუფი იბრება პოეტური რთული აზროვნებისკენ, ფორმალიზმისკენ.

ღაზნელთა ხანის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: ონსორი, ფაროხი მანურეში...

ხორასნული სტილის მესამე ეტაპი სელჩუკთა ხანაზე (XI-XII სს.) მოდის.

გ) მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებისთვის შუა აზიაში არენაზე გამოჩნდნენ სელჩუკები.

შუა აზიის თურქულ ტომთა ხალხებმა იწყეს ტომობრივი გაერთიანება, რომელიც თანდათან ისლამის დროშის ქვეშ, ყარახანელთა სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომლებმაც 1055 წელს სძლიეს სულთან მასუდს და ბოლო მოუღეს ღაზნელთა ბატონ-



ობას. სელჩუკებმა სამეფო რეზიდენცია ის-ფაშანში გადაიტანეს.

ერთი საუკუნე გასტანა მათმა მბრძანებლობამ აღმოსავლეთში, ვიდრე მათ ხორეზმშაჰებმა არ მოუღეს ბოლოს.

ხორასნული სტილი ვრცელდება ხორეზმშაჰების პერიოდშიც. მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან, მონღოლთა გამორჩენიდან ყალიბდება საბოლოოდ სპარსულ მწერლობაში ახალი სტილი - ერასული.

ყარახანელების ეპოქიდან ცოტა რამ არის შემორჩენილი. თუმცა რაც მოღწეულია დღემდე, იქიდანაც ნათლად ჩანს იმ ხანის სიტყვის ოსტატთა წერის მანერა თუ იდეური მიმართულებანი.

ყარახანელები შუა აზიაში მაშინ დანი-ნაურდნენ, როცა იქ ჯერ კიდევ იყო სამანელთა პოეზიის გავლენა. იმ პოეტთა სტრიქონებში, რომლებიც შემორჩნენ ლიტერატურის ისტორიას, ნათლად ჩანს ასე ვთქვათ, მათი პოეტური წარმომავლობა. ესენი არიან: ალი შათრანჯი სამარყანდელი, ამაყ ბუხარელი, რაშიდ სამარყანდელი, სუჰანი სამარყანდელი...

გარდა შუა აზიისა და ხორასნისა, სპარსული ენა ამ დროისთვის გავრცელებულია ირანის თუ აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნების უზარმაზარ სივრცეში, ანუ თურქ-სელჩუკთა იმპერიასი, სადაც იქმნება დიდძალი ლიტერატურა.

სელჩუკთა ხანაზე მოდის ისეთი სახელები, როგორცაა: ხასერ ხოსროვი, ანვარი, ხაყანი, ათარი, ნიზამი, გორგანი... რომელთა შემოქმედებაში, მეტნაკლები სიძლიერით, არის გამოყვეთილი ახალი სტილი - ერასულის სახელით ცნობილი. საერთოდ, ეს ხანა არის ერთგვარი ვარდამავალი პერიოდიც ერთიდან მეორე სტილზე გადასვლის თვალსაზრისით.

სელჩუკთა ხანაში მკვიდრად იკიდებს ფეხს სუფიური მწერლობა, სამყაროს ირვალური აღქმის იდეა. წინა პლანზე წამოიწეეს რელიგიური მოტივები. სადა, პოეტურ მეტყველებას ცვლის რთული სიმბოლიზმებით დატვირთულობა. შესამჩნევია არაბიზმების და თურქიზმების მოჭარბება, მეცნიერულ ტერმინთა სიუხვე.

სპარსული ენა ფართოდ ვრცელდება დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე, სადაც ხდება მასში, განსაკუთრებით, თურქული ლექსიკის შეჭრა. ტექსტები, ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს კომენტარებას.

ალარ ჩანს ეროვნული სულისკვეთება. პედონიზმს ჩაენაცვლა პესიმიზმი.

ფანოზობრივად იქმნება, როგორც ეპიკური, ისე ლირიკული სახის ნაწარმოებები. ეპიკური ტილოებიდან წინა

პლანზე რომანტიკული სახის ნაწარმოებები ჩანს, მეტნაკლები სუფიური შეფერილობებით.

ლიტერატურაში შემოდის მოგზაურობის ჟანრის თხზულებანი, დიდაქტიკური და საისტორიო ჟანრის თემატიკა.

ხორასნული სტილის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

I ეტაპი (სამანელთა ხანა, IX-X სს.)

ენობრივად:

- ენის არქაიზაცია.
- ენობრივი სისაბრე.
- ენის არაბიზმებისგან განწმენდა.

ლიტერატურულად:

- სინამდვილის რეალურად აღქმა.
- ეროვნული სულისკვეთების გამაღვრება.
- პედონიზმის აპოლოგია.
- ბუნების სიყვარული.
- მხატვრული მეტყველების სისადავე, პოეტური სახეებიდან - შედარების პრიმატი.

II ეტაპი (ღაზნელთა ხანა 962-1040 წწ.)

ენობრივად:

- ენობრივი სირთულისკენ მიდრეკილება.
- არაბიზმების მოძალეება.

ლიტერატურულად:

- სუფიზმის ნიშნების გამოჩენა.
- რელიგიური თემატიკის მოჭარბება.
- ეროვნული სულისკვეთების დაქვეითება.
- რთული პოეტური მეტყველებისკენ მიდრეკილება.

III ეტაპი (სელჩუკთა ხანა, XI-XII სს.)

ენობრივად:

- ენის რთული კონსტრუქციებით დამძიმება.
- ენაში არაბიზმებისა და თურქიზმების მოჭარბება.

ლიტერატურულად:

- სუფიზმის ჩამოყალიბება.
- რელიგიური თემატიკის გაძლიერება.



საქართველოს
ლიბრეოთეკა

პესიმიზმის გამოხატვა, ელევგური ნაკადის შემოსვლა.

სოციალური უკმაყოფილების ნამოტივტივება.

რთული პოეტური სახეებით აზროვნება.

პროზაში ლექსებიდან ციტატების სიუბევე, მაღალფარდოვნება, ღვარჭნილსიტყვაობა.

სამივე ეტაპზე საღვესო ფორმებიდან წარმოდგენილია - ყასიდა, ყაზალი, რობაი, მასნაფი, ყითა.

მესამე ეტაპი გვრდამავალი ხანაა ერაყული სტილისკენ. ბაშარის სიტყვები - თუ გიყვარს ხორასნული სტილი, ნუ იქნები მტერი ერაყელისა - ნათლად მონიშნავს მათ ურთიერთმიმართებაზე.

ერაყული (აზერბაიჯანული) სტილი XIII-XV სს.

ერაყულმა სტილმა სახელწოდება იმ გეოგრაფიული არეალის ძველი სახელიდან მიიღო, რომელიც ერაყად იწოდებოდა. ჯერ კიდევ სელჩუკების ხანიდან დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია ხორასნიდან ერაყში, აღმოსავლეთიდან - დასავლეთში, ხოლო მას აზერბაიჯანულად იმიტომ იხსენიებენ, რომ ახალმა სპარსულმა ენამ, დასავლეთ და ჩრდილოეთ ირანში, სწორედ აზერბაიჯანულ ენასთან ურთიერთობაში შეიძინა ის თავისებურებანი, რომელმაც გამოიწვია იგი ხორასნულისგან.

დღეს ერაყულ სტილში მისი გეოგრაფიული ჩარჩოების ნაცვლად ის ნიშან-თვისობრიობათა ერთობლიობა მოიაზრება, რომელიც გააჩნდა ამ სტილით მოღვაწე შემოქმედთ, განურჩევლად მათი გეოგრაფიული და ეთნიკური კუთვნილებიდან.

მეცამეტე საუკუნის დასასრულისთვის მონღოლებს უკვე მთელი ირანი ჰქონდათ დაპყრობილი. ეს კატასტროფა იყო ქვეყნიისთვის, რომელიც გამოიხატა ეკონომიკის სრული ნგრევითა და მოსახლეობის ფიზიკური განადგურებით. მონღოლები მუაზაზიდან, ხორასნიდან შემოესივნენ ქვეყანას და ვინც კი ფიზიკურად გადაურჩა მათ ცეცხლსა და მახეულს, ქვეყნის დასავლეთსა თუ ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს შეაფარა თავი. თუმცა მონღოლთა უღელი ერთნაირად იწვინა მთელმა ქვეყანამ.

მონღოლთა შემოსევიდან ახალი ეტაპი იწყება სპარსულენოვან მწერლობაში. ასე

ვთქვათ, ახალ გზაზე შედგა მწერლები უპირველესად ეს გამოიხატა იმით, რომ საბოლოო პოეზია, რომელიც ასე ბრწყინავდა მის წინა, სელჩუკთა ხანაში, უცებ გაფერმერთალდა, ამის მიზეზი იყო მონღოლი ხანების მიერ სპარსული ენის უცოდინრობა. მათ ვერ უღებოდათ გულს სპარსული ყასიდა. მისი თემატიკაც შეიცვალა და იგი მისტიკურ-დიდაქტიკური სახის ვახდა. თუ შეიძლება ითქვას, ყასიდის როლი ყაზალმა და რობაიმ იტვირთა.

მონღოლთა შემოსევის შედეგად მთელ მუსლიმურ სამყაროს გადაუარა პესიმიზმის ტალღამ, რამაც სუფიზმის გაფეროვნების შესანიშნავი პირობები შექმნა, რაც უფრო ღრმად აღწედა სუფიზმი მოსახლეობის ფართო ფენებში, მით უფრო კარგავდა თავის სექტანტურ კარნაქტიკობას იგი ამგვარად, წარმოიშვა აფორმით სუფიური, ხოლო შინაარსით - მრავალფეროვანი სუფიური ლიტერატურა" (წ, 326).

მონღოლთა ბატონობის ხანა ლიტერატურაში ხასიათდება ნაზრობის ეანრის აღორძინებითაც.

აგრეთვე ამ დროს ვითარდება საისტორიო მწერლობა, რამეთუ მონღოლები მასში ხედავენ თავიანთ საქმეთა უკუდაჯგორფის ერთგვარ უზრუნველყოფას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რიტორიულ პროზას.

თანდათან თავს იჩენს უკმაყოფილების გრძნობის გამოხატველი ნაწარმოებები, ანტიმონღოლურ ტალღაზე ნამოტივტივდება პუმანური იდეებით გატლებითლი პოეზია.

მწერლობის ენა რთულდება, მძიმდება, იგი ხშირად საჭიროებს განმარტებებს. პროზაში - საადის, ხოლო ლირიკამ ჰაფეზის ხელში განვითარების მწვერვალს მიაღწია.

საადისა და ჰაფეზთან ერთად ერაყული სტილის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: ხაყანი შირვანელი, ნიზამი განჯელი, ათარი, ველად ედ-დინ რუმი, სალმან საეევი, ხაჯუ ქერმანელი და სხვ.

ერაყული (აზერბაიჯანული) სტილის დამახასიათებელი ნიშნები

ენობრივად:

- დიალექტიზმების მოჭარბება ენაში.
- არაბული და თურქული ლექსიკის სიუბევე.
- ახალი, რთული, სიტყვათქმნაობა და კონსტრუქციები.

ლიტერატურულად:

ქართულში

- . სუფიზმის გაფურცლება.
- . რელიგიური განცდის გაღრმავება.
- . სოციალური უკმაყოფილების გამობატვა.
- . სატირისა და სარკაზმის გაჩენა.
- . პროზაში არაბული საფენი - რითმული პროზის შემოტანა.
- . აზრის გაბუნდოვანება.
- . ყაზალის განვითარების მწვერვალზე ასვლა.
- . რიტორიკული პროზის აღმავლობა.
- . პროზაში ლექსების ციტირების სიუხვე.

ინდური (სეფიანური) სტილი XVI-XVIII სს.

ინდოეთში შექმნილმა სპარსულმა მწერლობამ, დროთა ვითარებაში, განვითარების შედეგად, თავისებური იერი მიიღო, რომელიც საბოლოოდ ინდური სტილის სახით ჩამოყალიბდა, რომლის წარმოშობა ემთხვევა ირანში სეფიანთა ხანას, ამიტომ მას სეფიანურსაც უწოდებენ. ირანი და ინდოეთი დამოუკიდებელი ქვეყნები იყვნენ და სპარსულენოვანი ლიტერატურაც ორ შტოდა ვითარდებოდა, თუმცა მათ აერთიანებდათ იმდენი რამ, რაც საკმარისი იყო მათ ერთ სტილურ სივრცეში მოსაქცევად. სპარსულენოვანი მწერლობა ამ პერიოდში არსებობს არა მარტო ირანსა და ინდოეთში, არამედ შუა აზიაშიც. ამგვარად, იგი სამ დამოუკიდებელ ერთეულად ცოცხლობს, რომელთაც აერთიანებს ის ნიშანთვისებები, რაც ინდური სტილის სახელითაა ცნობილი.

მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, შიიზმის დროში მოსულმა სეფიანებმა საბოლოოდ შექმნეს დაჭუჭმაოებული ირანის გაერთიანება, რითაც მათ აღადგინეს ირანის სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი წყვეტილობა.

სეფიანები თურქული წარმოშობისანი იყვნენ. ბუნებრივია, ისინი პატივს მიაგებდნენ მშობლიურ თურქულ ენას, მაგრამ, ასევე ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდნენ მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე სპარსულ ენას, რომელსაც იმ დროისთვის გაბატონებული ადგილი ეჭირა მთელ აღმოსავლეთში. მართლაც, თურქული - საკანცელარიო, ხოლო სპარსული - სამწერლობო ენად დაიტოვეს მათ. თუმცა თურქული სთვის არ შეუზღუდავთ ასპარეზი, მასზედაც იქმნებოდა მხატვრული ლიტერატურა.

სეფიანების დროს ახალი სახით ვითარდება სპარსული მწერლობა. პირველი მისი

თავისებურება ლიტერატურულ დრამატურულ რატიზმისგან დაცლაში შეიმჩნევა. მწერლობაში თითქმის ერთბაშად შემოდის მთელი ჯგუფი სიტყვის ოსტატებისა, ხალხის ფართო ფენებიდან, ძირითადად ხელოსანთა წრიდან, „რომელთა ლექსები სავსეა მწვავე სოციალური კრიტიკის მოტივებით და არსებულ გარემოზე პროგრესული შეხედულებებით“ (ზ, 207).

მწერლობაში უზრალო ხალხური მეტყველებისა და ქუჭური ტერმინოლოგიის შემოჭრამ შეცვალა ერაყული მალაღფარდოვანი სტილისადმი დამოკიდებულება. გარდა ამისა, მათ კარზე საკმაოდ დაკინდა სახობტო პოეზია. შაჰ-აბასი მოუწოდებდა პოეტებს, რომ ხოტბა შეესხათ არა მშრამბნებლებისთვის, არამედ შიიტი წმინდანების, რელიგიური პირებისთვის. ძველებურად არ იყვნენ პატივი სამეფო კარზე პოეტები, მათ ლუკმა-პური სამეფო კარს მიღმა უნდა გამოეყმავებინათ. სეფიანი შაჰები პირველ რიგში ხელს უწყობდნენ მეცნიერების განვითარებას.

არსებულმა ვითარებამ კალმის ხალხი იძულებული გახადა, გასდგომაოდა გზას ბედის საძიებლად სხვადასხვა ქვეყნებში. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა აღმოჩნდა მათთვის ინდოეთი, სადაც სპარსულენოვან მწერლობას საკმაო ტრადიცია ჰქონდა და მწილო მეფეთა კარზე დიდი პატივით სარგებლობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინდოეთში სპარსულენოვანი მწერლობის არსებობას, საერთოდ, ინდოელთა მუსლიმობისა და XIII საუკუნეში მაჰმუდ ღაზნავიმ ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი. მოყოლებული იქიდან, არ შენელებულა ინდოეთში სპარსული ენის, სპარსული ლიტერატურისადმი ინტერესი, რომლის შექმნაშიც ევგრანტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსული მხატვრული სიტყვის ოსტატებიც მონაწილეობდნენ.

მე-17 საუკუნეში სპარსულენოვანი მწერლობის კულტურის ცენტრმა, სწორედ ინდოეთში გადაინაცვლა, სადაც თავი მოიყარეს არა მარტო ირანიდან, არამედ ავღანეთიდან, შუა აზიის ქვეყნებიდან, თურქეთიდან ნამოსულმა მწერლებმა. იქ მათთვის შესანიშნავი პირობები შეიქმნა სამეფო კარზე. ლიტერატურამ, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ახალი სახე მიიღო. ამ დროის პოეზია, ძირითადად, ფილოსოფიური ხასიათისაა. პოეტები თავიანთ აზრებს გამოხატავენ რთული პოეტური სახეებით, მიმართავენ რთულ მეტაფორებს, ალუგორიებს, რებუსებს, ქრონოგრაამებს, პოეტური სრულყოფა უმაღლეს საფეხურს

აღწევს და ფორმალიზმში გადადის. ენაში იჭრება ინდური ლექსიკა. პოლიტიკურად ინდოეთში ვითარება ისე წარმოართა, რომ ლაზნელთა სახელმწიფო ინდური გახდა. განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის სპარსული ენა და მწერლობა და იგი მოლოლის აქბარის (1556-1605) დროიდან იგი იყო მეტად განათლებული პიროვნება, რომელიც ხელს უწყობდა ირანელი და ინდოელ ხალხთა სულიერი ერთიანობის ჩამოყალიბებას. სწორედ მისი ჟრთოდინი იღებს სათავეს ინდური სტილი.

ინდური სტილი დროსა და სივრცეში განვლილი იყო, ამიტომ მასში თანაარსებობენ ისეთი ურთიერთსანიხაღმდეგო ცნებები, როგორცაა მაღალფარდოვნება და ლაკონიზმი თუ სხვ.

მართალია, ინდური სტილის მიმდევრები დიდ პატივს მიაგებენ ეპიკურ პოეზიას, მაგრამ ისინი, მაინც ლირიკოსებად რჩებიან. მათ ხელში ყაზალი აღწევს არაჩვეულებრივ ლაკონურობას, აზრობრივ დატვირთვას, რამაც მის ბეითთა ამოუკიდებელ არსებობას გაუხსნა გზა და ისინი ანდაზებისა და აფორიზმების სახით გაიყვანა ხალხში.

ინდური სტილი არ დარჩა ვინრო გეოგრაფიულ ჩარჩოში, არამედ მთელი სპარსულენოვანი მწერლობის საკუთრება გახდა. მრავალთაგან მისი საუკეთესო წარმომადგენლები არიან, ირანში - საიბ თავრიზელი (გარდ. 1676 წ.), ხოლო ინდოეთში - ბედილი (1644-1721).

ინდური სტილის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

ენობრივად:

- სალიტერატურო ენის გახალხურება.
- უცხო და უჩვეულო კონსტრუქციათა და ლექსიკის სიჭარბე.

ლიტერატურულად:

- თემატკური სიახლე და მრავალფეროვნება.
- უშუალო პიროვნულ განცდათა გამოხატვა ახლობელთა მიმართ.
- ხალხური სიბრძნის მიმართ ყურადღების გამახვილება.
- მიბაძვის ფარის აღდგენა.
- რთული მეტაფორული აზროვნება, მაღალფარდოვნება, ლერწმინდისტიკაობა.
- რებუსების, გამოცანებისა და ქრონოგრამების შემოცანა.

• ლაკონიზმისა და აფორისტული სწრაფვა.

• ყაზალის აზრობრივად დატვირთვა, მისი ბეითებისადმი დამოუკიდებლობის მინიჭება.

- სინაქსისიკენ სწრაფვა.
- ფორმალისმამდე მისვლა.

ამრიგად, სამშალო საუკუნეებში, ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა დიდი ლიტერატურა სამი მთავარი მიმართულებით - **ხორასნული, ერაყული და ინდური.**

მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში - X-XVIII საუკუნეებში, არა მარტო ირანში, არამედ მთელ მახლობელ ალმოსავლეთის ქვეყნებში, სპარსულმა ენამ იკისრა სახელმწიფო და სამწერლობო ენის ფუნქცია, რომელსაც საფუძველი სამანელთა ხანაში ჩაეყარა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამანელები ირანული ნაციონალური დინასტიის წარმოადგენლები იყვნენ. ისინი ირანში მბრძანებლობდნენ მათე საუკუნეში. მათ დროს შესძლეს ირანელებმა დაბრუნდებოდნენ მშობლიურ ტკიბის სპარსულს.

როგორც აღვნიშნეთ, ირანში სამანელთა მბრძანებლობა მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდან მათივე ნიალიდან გამოსულმა თურქმა ლოლამებმა შეცვალეს, რომლებიც სამანელთა კარზე სამხედრო მოსამსახურეთა როლს ასრულებდნენ. თურქი ლოლამები, რიგითი მეომრებიდან იმდენად დაწინაურდნენ, რომ სახელმწიფოს მართვის ბერკეტები ჩაიგდეს ხელთ და სულთნებიც გახდნენ.

მაღე მათი ბატონობა გასცდა ვინრო ფარგლებს და მამუდ ლაზნელის დროს თურქთა სამფლობელო უზარმაზარ იმპერიად იქცა აღმოსავლეთში.

ლაზნელები ირანელებთან შედარებით განვითარების დაბალ დონეზე მყოფნი იყვნენ. მათ კარგად ესმოდათ სამხედრო საქმიანობა, მაგრამ ჩამორჩებოდნენ სახელმწიფოს მართვის საქმეებში და ამიტომ თანამდებობებზე ირანელები დატოვეს, ასევე სახელმწიფო და კულტურის ენად დატოვეს სპარსული, რამაც დიდი გასაქანი მისცა სპარსულ ენას.

სპარსული ენის ასპარეზი კიდევ უფრო გაფართოვდა თურქ-სელჩუკთა გამოჩენის შემდეგ, რადგან ისინიც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ირანელთა და სპარსულ ენის ნინაშე, როგორც ლაზნელები. მათაც დატოვეს სახელმწიფო და სამწერლობო ენად თვითონ უზარმაზარ იმპერიაში სპარსული ენა.

ასე რომ, არაბობის მერე, მახლობელი აღმოსავლეთის დიდ სივრცეში, კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე, შუა აზიის ქვეყნების, თურქეთის, ავღანეთის, აზერბაიჯანის, ინდოეთის დიდი ნაწილის ჩათვლით სპარსული ენა გახდა, ნაცვლად არაბულისა, სამწერლობო ენა. არაბული ამ სივრცეში კი მეცნიერების ენის როლის ფუნქციით შემოიფარგლა.

მეცამეტე საუკუნიდან თურქ-სელჩუკთა ბატონობა ირანში და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში მონღოლთა უღელმა შესცვალა. არც მონღოლებს უხლითა ხელი იმპერიის სახელმწიფო და სამწერლობო ენისთვის. სპარსული ისევ დარჩა თავის სივრცეში, თავისი ფუნქციებით აღჭურვილი.

მონღოლთა ბატონობამ ერთი საუკუნე გასტანა აღმოსავლეთში. მათ მოჰყვნენ თემურელები. სპარსული ენა თემურელებთანაც იმავე ფუნქციებით იყო დატვირთული, როგორც წინა ეპოქებში, იმ განსხვავებით, რომ უკვე სპარსული ერთადერთი ენა არ იყო, რომელზედაც აღმოსავლეთის ხალხები უკმნიდნენ თავიანთ ლიტერატურას, არამედ თურქულენოვან ხალხში, ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნიდან თავი იჩინა ეროვნულმა ინტერესებმა და ნაწილმა მშობლიურ თურქულზე დაიწყო წერა.

უკვემონია ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში სპარსულმა ენამ სეფიანთა ხანაშიც შეინარჩუნა.

ასე რომ, სპარსული ენა, მთელი რვა საუკუნის მანძილზე, სამწერლობო და სახელმწიფო ენას წარმოადგენდა კავკასიაში (საქართველოს გამოკლებით), შუა აზიაში, თურქეთში, ავღანეთში, აზერბაიჯანში, ინდოეთის დიდ ნაწილში, სადაც უკმნიდნენ უკედავ ნაწარმოებებს მხატვრული სიტყვის ოსტატები, განურჩევლად ეთნიკური და გეოგრაფიული ფაქტორისა.

აქვე გვინდა ხაგზასმით აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენას ვერ ჩაენაცვლა საქართველოში სპარსული ენა, ისევე, როგორც თავის დროზე არაბული. არაბული, რომელმაც შესძლო ჩანაცვლებოდა შეიდასაუკუნოვანი დამწერლობის მქონე სპარსულ ენას ირანში.

ქართულმა ენამ გააძლია ორივეჯერ ამ ნამდევად ძალას და კუნძულივით დარჩა ჯერ არაბულ, ხოლო შემდეგ სპარსული ენისა და ლიტერატურის თვალუწეველ ოკეანეში. თუმცა შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ მას არ განეცადოს, განსაკუთრებით სპარსული ენისა და ლიტერატურის დიდი გავლენა. შედეგელობაში გვაქვს საერო მწერლობა, რომლის კვლევა სპარსული საერო მწერლობის გვერდის ავლით შეუძლებლად მიგვაჩნია.

იმასაც დავსძენდით, რომ მოცემულ პერიოდში, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, სპარსულ ენაზე უკმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს გამაზმადიანეული ქართველებიც, რომლებიც მათთან ერთად ამდიდრებდნენ სპარსულ მწერლობას.

ლიტერატურა:

1. დარმსტეტერი ჯ., „სპარსული პოეზიის სათავეებთან“, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1985.
2. კობიძე და., „სპარსული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი, 1975.
3. Алиев Г., «Персызычная литература Индии», Москва, 1968.
4. Бертельс Е., «История Персидско-Таджикской литературы», Москва, 1960.
5. Брагинский И., «Еще раз о проблеме периодизации истории Персидской и Таджикской литературы», сб. «Проблемы периодизации истории литературы народов востока», Москва, 1968.
6. Ризаев З., «Индийский стиль в поэзии на фар??? конца XVI-XVIII вв.», Ташкент, 1971.
7. «История Персидской и Таджикской литературы», Под редакцией Яна Ринка, Москва, 1970.
8. ზაბიძე სავა, „ლიტერატურის ისტორია ირანში“, თეირანი, (სპარსულ ენაზე).
9. მიმნათე მირ სადევი, „ლეჟისის ხელოვნების ტერმინთა ლექსიკონი“, თეირანი, 1373 (სპარსულ ენაზე).
10. „სპარსული ლიტერატურა“ (პოეტური და პროზაული ტექსტები), 2, თეირანი, 1377 (სპარსულ ენაზე).



ზინა კვერენჩილაძე

„სამსახიობო ხელოვნებაში არსებობს ბედის ფაქტორი. მან შეიძლება ერთხელ გაგვიღიოს, გზა გავინათოს, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება შეკაცრად დაგვასჯლოს და ზურგი შეგაქციოს კიდევ. ამიტომ არის, რომ ერთი ბედნიერი გაელეების შერე ერთობ რთულდება ხოლმე ცხოვრება თეატრში, რთულდება არსებობა სცენაზე და იწყება გაუთავებელი ჭიდილი საკუთარ თავთან, საკუთარ ბედთან, საკუთარ სისუსტეებთან. თუ ამაღლდი, აჯობე, თუ დათრგუნე, ზომ კარგი, თუ არა და, მაშინ... მაშინ შენს თავს უნდა დააბრალო და არა ვინმეს სხვას, რომ არ გეყო ძალა, ნებისყოფა, მოთმინებით გაგეტელო შეკერილი გამოცდისთვის“ (ზინა კვერენჩილაძე).

„მსახიობობაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. პიონერთა სასახლეშიც დადიოდა მხატვრული კითხვის წრეში, რომელსაც იმხანად სერგო ზაქარაძე ხელმძღვანელობდა. ამ დიდ ხელოვანთან ურთიერთობამ ბევრი რამ განაპირობა ზინა კვერენჩილაძის შემოქმედებაში. სკოლის წლებში სპორტიკოს იტაცებდა - ტანჯარჯობი, კალათბურთი, განსაკუთრებით - ფარიკაობა. 1947-53 წლებში საქართველოს მოფარიკაეთა ნაკრების წევრი იყო, 1953 წელს, უკვე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი - ფარიკაობაში რესპუბლიკის ჩემპიონიც გახდა.

„სპორტმა მასწავლა შრომა, მობილიზება, დროის მაქსიმალური გამოყენება. ჩემთვის, როგორც მსახიობსათვის, ეს თვისებები ძალიან ძვირფასია“ (ზინა კვერენჩილაძე).

„ალბათ არის რაღაც თვისებები, რომლებიც მოფარიკაეებსაც უნდა შექონდეს და მსახიობსაც. ორივე ზომ ორთაბრძოლის ოსტატი უნდა იყოს. ერთი - მარჯვე და ზუსტი ჩხელვით, მეორე კი - სიტყვითა და ქმედებით.

მიუხედავად თეატრით ძლიერი გატაცებისა, სკოლის დამთავრების შემდეგ საბუთბო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიტანა, გამოცდაც ჩააბარა, მაგრამ, მოულოდნელად, საბუთბო გამოიტანა და თეატრალურ ინსტიტუტს მიაშორა.

„ზინა კვერენჩილაძე იმ მსახიობთა კატეგორიას არ მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთ აქტიორულ მონაცემებს სრული ძალით სტუდენტობის პერიოდშივე ავლენენ. მასთან ნარმატება თავიდანვე არ მოსულა, არა მარტო ინსტიტუტში, არამედ რუსთაველის

თეატრში მუშაობის პირველ წლებში. მხოლოდ 1960 წელს შექმნა მხატვრული სახე, რომელმაც მსაყურებლისა და კრიტიკის დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურა, რომელსაც მსახიობის პირველ დიდ ნარმატებად მიიჩნევენ. ეს იყო ლელა დავით გაჩეჩილაძის მიერ ვაჟა-ფშაველას ნანარმოების მიხედვით შექმნილ და დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმულ პიესაში „ბახტრიონი“.

„ლელას როლი მსახიობისგან მოითხოვდა, ერთი მხრივ, სულიერ სიფაქიზეს, ქალურ სინაზეს, სილალეს, გრძნობათა სინრფელს, მეორე მხრივ კი - საკმაოდ ძლიერ დრამატულ მონაცემებს. ზინა კვერენჩილაძის ლელა ჩვეულებრივიც იყო და ამაღლებულიც. დ. ალექსიძის შესანიშნავი სპექტაკლი გმირულ-რომანტიკული ნარმოდგენა იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ვითარება და გარემო, რომელშიც პერსონაჟები აღმოჩნდნენ, მსახიობისაგან მოითხოვდა ყოფითობაზე ამაღლებას და, ამავე დროს, სცენური სიმართლის გრძნობის შენარჩუნებას, თორემ ეს ზეანულობა მაშინვე ყალბ პათოსად იქცეოდა. ეს ურთულესი შემოქმედებითი ამოცანა ნარმატებით გადაწყვიტა მაშინ სრულიად გამოუცდელი, დაშნებმა მსახიობმა ზინა კვერენჩილაძემ. მის ლელას, ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, მზიარულ, სიცოცხლით აღსავსე ნახ არსებას ისეთი საქციელის ჩადენა შეუძლია, რომელიც ბევრ ვაჟაფშაველას კი არ ძალუძს. ამ გმირის საქციელი დამაჯერებელი იყო არა ყოფით, რეალისტურ გარემოში, არამედ მან შეინარჩუნა სცენური სიმართლის გრძნობა იმ რომანტიკულ ვითარებაში, რომელშიც ლელა აეტორმა და რეჟისორმა ჩააყენეს. ბევრ ნიჭიერ მსახიობს არ შეუძლია ამგვარ პირობითობაში თამაში, არა აქვს იმის უნარი, რომ სამეტი საქციელის ორგანულ ნაწილად იქცეს. ზინა კვერენჩილაძის ლელამ ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ქართულ სცენას შეემატა კიდევ ერთი ნიჭიერი ხელოვანი.

„ამ დიდი ნარმატების შემდეგ 2-3 სეზონის განმავლობაში ზინა კვერენჩილაძემ რამდენიმე როლი ითამაშა, მაგრამ ისეთი არაფერი შეუქმნია, რაც თავისი მხატვრული დონით ლელას გაუთანაბრდებოდა. მაგრამ 1963 წელს დაიბადა მისი ერთ-ერთი ყველაზე თავისებური, კოლორიტული მხატვრული სახე - ტურა - რუსთაველის თეატრის მცირე



სცენაზე მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმულ უბრწყინვალეს სპექტაკლში „ჭიწჭაქა“.

ამ ნაშუშევარმა მსახიობის შემოქმედებითი ინდივიდუალობა სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩინა. ვერც კი იფიქრებდით, რომ ტურასა და ლელას ერთი აქტიორი თამაშობს. სადაა აქ ლელას რომანტიკული სული, სინაზე, მომხიბვლელია ან დრამატიზმი. ჩვენს წინაშეა გაძვალტყავებული, გაუბედურებული, მძივრი, მუდამ საქმლის ძიებებში მყოფი ტურა, რომელსაც თითქოს სულ სცივია. იგი მუდამ აგვიანებს გუნდის მეცადინეობაზე, თავისი გამყინავი ხმით აწყვეტინებს ცხოველებს სიმღერას, რითაც მათ სამართლიანი აღფრთობას იწვევს. რომდენიმე თუნინ გარეგნული შტრიხით წარმოგვიდგენს ზინა კვერენჩილაძე თავის ტურას - გაცრეცილი ქვედატანი, ამგვარივე ძველი ბენვის ჯუბა, თავზე საცოდავად ჩამოფხატული ქუდა, შემონეხული გამოხედვა, თითქოს სულ ვილაციისგან თავდასხმას ელისო. ყოველივე ეს ხაზგასმით წარმოაჩენს მოქმედი პირის ხასიათს.

ზინა კვერენჩილაძემ ამ სპექტაკლში სცენაზე ცხოველის განსახიერების რთული თეატრალური პრობლემა გადაჭრა. იგი თამაშობდა მძივრ, გამაზრბულ, სიცოცხისგან აკანკალეულ, დამფრთხალ ქალს, რომელიც ტურას მოგვაგონებს, ამ ცხოველის ასოციაციას ბადებს ჩვენს წარმოსახვაში. მართლაც, ზოგი ადამიანი დათვის ჰგავს, ზოგი - ქათამს, ზოგი - შველს, ზინა კვერენჩილაძის გმირი კი ტურას ჰგავდა. ასეთი შემოქმედებითი ამოცანა პირველად დადგმა მსახიობის წინაშე. მან ეს სირთულეც შესანიშნავად დაძლია. ნათელი გახდა, რომ დრამის გარდა, იგი მშვენიერად თამაშობს კომედიაში, უფრო მეტიც - ზღაპარში, რომ ზინა კვერენჩილაძე საუკეთესო მსახიობათმსახიობია.

ამავე 1962 წელს მან კიდევ ერთი საინტერესო მხატვრული სახე შექმნა - ნინო ვიქტორ როსზოვის პიესაში „კახშვილის წინ“ (გადმოქართულებული ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ). ეს სპექტაკლი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში რობერტ სტურუამ დადგა. მასში ზინა კვერენჩილაძემ კიდევ ერთი განსხვავებული გმირი ითამაშა. ეს იყო შუახნის, ჩემი, შორიდებული ქალი, მუდამ ფუსფუსებდა - ხან გვიდა, ხან ალაგებდა, ხან სუფრას შლიდა. ყველაფერი უხმაუროდ აკეთებდა. დაჩაგრული ქალი იყო ნინო. იგი უდრტივნიველად იტანდა ქმრის უხეშობას, თითქოს შეეჩვია ამას. გულთან ახლოს მიუჭონდა ოჯახის ყოველი წევრის ტკივილი თუ სიხარული, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, არავისთან და არაფერთან შებრძოლება არ შეეძლო, ყველაფერს პასიუ-

რად ემორჩილებოდა. მისი მარტოობის გამოვლენის ერთადერთი ფორმა ჩემი ტირილი იყო. რალაცამი ხომ მაინც უნდა გადმოვლილიყო ნინოს დიდი ნუხილი. ტექსტულურად მცირე მოცულობის როლში მსახიობი თავის სათქმელს ძირითადად პაუზებში ამბობდა. მისი მდუმარება მუდამ დატვირთული იყო, ბევრს იტყვდა, ყოველთვის - რალაცას გამოხატავდა - სევდას, სიკეთეს, მორჩილებას, უსუსურობას.

ლელა, ტურა და ნინო - სამი განსხვავებული სცენური გმირი - უკვე საკმაოდ უძველეს იძლეოდა იმისთვის, რომ ზინა კვერენჩილაძე ქართული თეატრის ერთ-ერთი საინტერესო, მრავალფეროვან მსახიობად ყოფილიყო აღიარებული. მომდევნო სცენურმა სახე - ელიზაბეტ პროქტორმა რ. სტურუას შესანიშნავ სპექტაკლში „სილეგის პროცესი“ - ზინა კვერენჩილაძის სასმანიზმით ინდივიდუალობის ახალი მხარე გამოაჩინა. სპექტაკლი მმართველი იყო ყოველგვარი ძალადობისა და უგუნურების წინააღმდეგ. იგი აწვდრილს არავის ტოვებდა. მაყურებელი სულის სიღრმეში იყო შეჭრული მასაჩუხებლის შეტაკში მომხდარი ამბით. იგი გულწრფელად თანაუგრძნობდა ჯონ პროქტორს, რომელმაც გაიმარჯვლა უსამართლობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მასთანაა მისი მეუღლე ელიზაბეტ - ამაყი, თავშეკავებული, ძლიერი, ჭკვიანი ქალი. სიტყვატუნია ქალბატონი პროქტორი, მაგრამ ნინოს სიჩუმისაგან განსხვავებით, მისი მდუმარება დაძაბულია, დამუხტული. მას ხმის ამოღებისა კი არ ეშინია, არამედ უბრალოდ თავს იკავებს ზედმეტი ლაპარაკისაგან. ზინა კვერენჩილაძის გმირმა ძალიან კარგად იცის, რომ ყველაფერი, რაც სილეგში ხდება, სიცრუეა და უდანაშაულო ადამიანთა დასჯა მხოლოდ ხალხის შესამონებლად არის საჭირო, მათში ყოველგვარი ადამიანურის ვახსოვლად. ელიზაბეტ იმასაც მშვენიერად ხედავს, რომ თუ მისი ქმარი აღიარებს „დანაშაულს“, მას არ ჩამოახრჩობენ. ამასთანავე ხედავს, რომ პროქტორი მერყეობს. ცოლს მეუღლეს ზეგავლენა მოახდინოს მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე. მაგრამ ელიზაბეტისთანა პატიოსანი, სულით ძლიერი ადამიანი ვერ ჩაადენინებს ქმარს ისეთ საქციელს, რომელიც მის ღირსებას შელახავს, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდავს. ზინა კვერენჩილაძის გმირი ვერც საკუთარ რწმუნას უღალატებს და ვერც მეუღლეს უბიძგებს ამისკენ.

ეს როლი მეტად მნიშვნელოვანია ზინა კვერენჩილაძის შემოქმედებაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო სცენური სახეა, არამედ იმიტომაც, რომ ერთი მსახიობისა და მისი



გმირის მოქალაქეობრივი პოზიცია, მათი სატიკოვარი. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ ელიზაბეტ პროქტორი ზინა კვერენჩილაძის ერთ-ერთ უღაო წარმატებულ იქნა აღიარებული. 1968 წელს მას მოსყვა ანტიგონე - მსახიობის უბრწყინვალესი ქმნილება.

25 წელია გვერდიდან არ მშორდება, მიჭირს თუ მიღზინს, შინ თუ გარეთ - ყველგან ჩემთან არის, ველაპარაკები მონატრებული სიყვარულითა და სინაზით, რადგან დღესაც ბევრი გვაქვს სალაპარაკო, გადასანყვეტი. მე იგი ძალიან მიყვარს და მიჭირდება, როგორც ახლობელი, როგორც მაგალითი და როგორც თანამოაზრე* - წერს ზინა კვერენჩილაძე თავის შესანიშნავ ნაშრომში „ჩემი ანტიგონე“. მასში საკუთარი სცენური გმირის ბუნებისა და საქციელების დანალილებითი, ყოველმხრივი, ბრწყინვალე ანალიზის პარალელურად ნაჩვენებია მსახიობის თვალთ დანახული, ფსიქოლოგიური სირთულეებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე სპექტაკლზე მუშაობის პროცესი. ზინა კვერენჩილაძე ცდილობს მაქსიმალურად ობიექტური იყოს და მისთვის ჩვეული პირდაპირობით აღიარებს, რომ ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაცია მისი, არც თუ იოლი ხასიათის გამო იქმნებოდა.

„ჩემთვის ყველა როლი ძნელად მოსაველეელია, იმიტომ, რომ სასაცილომდე სერიოზულად აღვიქვამ იმ საქმეს, რომელსაც ვემსახურები, რომელსაც ვაქტუარობ დროის, საკუთარი გრძნობის, სიყვარულისა და ჯანმრთელობის უმეტეს ნაწილს ვუხიარებ. ერთი სიტყვით, თავს არ ვზოგავ და, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად ვაგვიტყობ ჩემს შესაძლებლობებს. ამიტომაც ვარ, როგორც ამბობენ, „სერიოზული“. არა, ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ თეატრი ბლაგანია, გასართობი სანახაობა, თამაშ-ბუმბუმი და ა. შ. მაგრამ მე მაინც არ ვიხიარებ იმ აზრს, რომ თეატრის ძირითად დანიშნულებას მხოლოდ ეს წარმოადგენს და სხვა არაფერი“ (ზინა კვერენჩილაძე).

... ვიუტია ანტიგონე, მომთხონი, თუკომპრომისო. მისი ყოველი მოძრაობა მკვეთრია, სულ მფოთლეს. მშვიდად ცხოვრება არ შეუძლია. მისი სიძულელი კრეონისადმი სრულიადაც არ არის ბავშური, ეს ზიზღი სახეებით შეგნებულა. იგი ვაყნადება კრეონისა და ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც კრეონი ამკვიდრებს. მისი ჯანყი ტრაგიკულია, მას დაღუპვა ელის. ანტიგონემ ეს იცის, მაგრამ სხვაწიარად მოქცევა არ შეუძლია. იგი ვადლებულია დასაფლავოს თავისი ძმა, თუმცა კრეონმა სასტიკად აუკრძალა ყველას ამის გაკეთება. ანტიგონეს ისიც კარვად აქვს შეგნებული, რომ ამისათვის სიკვდილით

დაისჯება, პატიების იმედი არა აქვს, შეგნებულა რამ სინდისი არ აძლევს უფლებას სხვაგვარად მოიქცეს. იგი შემოწმის საცოლეა, ალბათ ბედნიერი იქნებოდა მასთან, მაგრამ სხვა გზას ირჩევს - არ ძალუძს თავის რწმენაზე უარის თქმა პირადი კეთილდღეობისა და სიმშვიდისათვის. იგი იმისათვის მოველია ქვეყანას, რომ სიცრუესა და უსინდისობაზე აგებული კრეონის სამყაროს დაამსხუროს, თუნდაც თვითონვე შეენიროს ამას. ამაშია მისი ტრაგედიაც და უდიდესი ბედნიერებაც.

ანტიგონე ღამაში არ არის, ზოგჯერ უხეშიცაა. მაგრამ საოცრად მშვენიერი ხდება მამინ, როდესაც თავის მოვალეობაზე ღაპარაკობს, როდესაც ცდილობს დაუმტაცოს კრეონს, რომ ის თავის თავს ვერ უღალატებს, კომპრომისზე არ წავა. ეს ზომ მისთვის ყველაზე მთავარია.

მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლის უძლიერესი ტენენაა 40-წლიანი დიალოგი ანტიგონესა და კრეონს (მას თავდაპირველად სერგო ზაქარიაძე თამაშობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი - ედიშერ მალაგაშვილი) შორის II მოქმედებაში. ეს ორთაბრძოლა იმართება არა ბიძასა და დისშვილს შორის, არა ხანშიშესულ, გამოცდილ კრეონსა და სრულიად ახალგაზრდა ანტიგონეს შორის, აქ ერთმანეთს ეჯახება ორი ურთიერთგამომრიცხავი ცხოვრებისეული პოზიცია. ძლიერი, გამოცდილი, ტყვიანი მეფე კრეონი ცდილობს სხვადასხვა საშუალებით დაარწმუნოს ანტიგონე, უარი თქვას თავის ვანზრახვაზე, გარკვეულ კომპრომისზე წავიფოს, რათა წყნარად და უშფოთველად იცხოვროს. ფუჭია მისი ცდა. კრეონთან ორთაბრძოლაში პატარა ანტიგონე იმარჯვებს. როდესაც მოთმინებდან გამოსული მეფე მის ჩამოხრჩობას ბრძანებს, იგი მშვიდადბა, სახეზე ნათელი ღმილი ეფინება. ასე ხედება სიკვდილს გამარჯვებული ანტიგონე.

ეს მხატვრული სახე ზინა კვერენჩილაძის საუკეთესო ქმნილებათა შორისაც კი გამოირჩევა, როგორც ბრწყინვალე ნამუშევარი, შენარულების დიდებული სისადავითა და ლაკონურობით, ტუნნი აქტიორული გამომსახველი თანხველობა. ასეთი სადა იყო თავისი ბუნებით მიხილ თუმანიშვილის შესანიშნავი სპექტაკლიც, რომელშიც მოხდა ანტიგონეს მრწამსის, მისი ცხოვრებისეული პოზიციის თანხველობა ზინა კვერენჩილაძის - მსახიობისა და პიროვნების მსოფლმხედველობასთან. ალბათ ამიტომაც თელის იგი, რომ „ანტიგონემ“ მოხდა მისი, როგორც მსახიობის „დაბადება“.

საკუთარი ნამუშევრის ამგვარ შეფასებაში ჩანს ზინა კვერენჩილაძის უდიდესი მომთხონელობა საკუთარი თავისადმი,

საქართველოში

კრიტიკული დამოკიდებულება მის მიერ შექმნილი სცენური სახეებისადმი, რომელთა შორის რამდენიმე, ნებისმიერი აქტიორის შემოქმედებით ზიოგრაფის და-ამშვენება.

ზოგნი ასე მასწავლიდნენ: „მსუბუქად შეხედე ყველაფერს, რაც ამ უნდა ტრაგიკულ როლს თამაშობდე, სიცილ-ხარხარით, ხტუნვა-ხტუნვით უნდა ემზადებოდეთ“. მე გამაღიშებოდა და უმალ გავეცდებოდი. მიკვირდა, როგორ ვერ ხედებოდნენ, რომ სხვადასხვა ფიზის, გუნისა და მრნამის ადამიანებს არაჩიარად არ შეიძლება გამოუწერო ქვეყის ერთი და იგივე ერთეულები. ყოველ შემთხვევაში მე ასე მესმის, ასე მეჯერა... და ნამდვილად ასეა. მე სცენაზე საკუთარი მრნამისთი ვცხოვრობ და ემოქმედებ. ამიტომაც სცენა ჩემი დაუზარჯავი ენერჯის, აუხდენელი ოცნების, მოქალაქობრივი პოზიციის, სულის ზეობისა და თავგანწირვის გამოვლენის არედ ვაქციე. პოემა, ყოველივე ამის შემდეგ შემეძლო განაასკინკლითა და სიცილ-სიცილისით მივდგომოდი არსს ჩემსას და მიზანს ჩემი ცხოვრებისას? რა თქმა უნდა, არა! (ზინა კვერენჩილაძე).

მართლაც, რთული და დაძაბულია ზინა კვერენჩილაძის აქტიორული ცხოვრება. მისი თეატრალური მოღვაწეობა ბევრ რამეს მოჰგავს მის პიროვნებას. მსახიობს ვერასოდეს ნახავთ დამშვიდებულს. იგი სულ რაღაცით არის აფორიაქებული, მუდამ რაღაც ანუხებს, რაღაცაზე შესტკივა გული. ასეთივეა მისი არტისტიკური ზიოგრაფიაც. ისევე, როგორც ყველა ნამდვილ ხელოვანს, თავისი აქტიორული ცხოვრების საინტერესო გზაზე დიდი შემოქმედებითი სიხარულიც განუცვია და წარუმატებლობის სინარეც არაერთხელ უტყმინია.

ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანი გაუცოცხლებია ზინა კვერენჩილაძეს სცენაზე - განსხვავებული ასაკისა და ინტერესების, ხასიათისა და მსოფლმხედველობის მქონე პერსონაჟები. იგი სრულიად გამოკვეთილი შემოქმედებითი პრინციპების მიმდევარი მსახიობია. მუდამ მიისწრაფის გამირის რთული სულიერი სამყაროს სიღრმეი ნედომისაკენ. ცდილობს მისი ქვეყის გამოშვები მიხეზების ამოხსნას, საოცრად შეტყვევლი თვალბი აქვს, მრავლისმთქმელია მისი პაუზები, მაყურებელზე შემოქმედებას აძლიერებს ლამაზი ტემბრის ხმა, მოქნილი მოძრაობა. გამომსახველი პლასტიკა. იგი ქვეშაირები განცდის მსახიობის, გარდასახვის დიდოსტატი. ღელა სრულიად არ ჰგავს ელიზაბეტ პროქტორს, ანტიგონე კი ნინოს, მათთან თითქოს არაფერი აქვს საერთო ტურას. მაგრამ მათი შემქმნელი ერთი ადამიანია - ზინა კვერენჩ-

ხილაძე - გარკვეული ხასიათის, ინტერესებისა და მიდრეკილებების მქონე პიროვნება, რომელიც ასეთ განსხვავებულ ადამიანებს ასახიერებს. თითოეული ამ გამირის ხასიათის ფესვები მათი შემქმნელი მსახიობის პიროვნებაშია. ამას გარდა, ზინა კვერენჩილაძეს, დღეს უკვე ქართული თეატრის აღიარებულ, მღესტ მსახიობს, ადვილად და დამაჯერებლად შეუძლია ითამაშოს სხვადასხვა სახის პირობითობაში. ორგანულია მისი ლელას ქვევა გამორეზობანტიკულ „გახტრიონში“, არც ზღაპარ „ქინჭარაქაში“ კარგავს იგი სცენური სიმართლის გრძობას, არც რეალისტურ სპექტაკლში „ვახშობის ნინა“ და არც ინტელექტუალურ დრამაში, უმძაფრესი ენებებით დატვირთულ სპექტაკლში „ანტიგონე“. ეს უნარი საკმაოდ იშვიათია.

ზრუნველად განსახიერებულ ანტიგონეს მოჰყვა ფედრა (ჭან რასინის „ფედრა“), მედეა (ჭან ანუის „მედეა“), პორცია (უილიამ შექსპირის „აულიუს კეისარი“), ზენიბი (ალექსანდრე სუმბათაშვილის „ალაჰატი“), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), კლეოპატრა (უილიამ შექსპირის „ანტიონოს და კლეოპატრა“), აბი (იუჯინ ო'ნილის „სიყვარული თელეტიკეში“), პენდოპე (ანტიონო ბუერო ვალიეხოს „ოცნება“). ამ პერიოდის მისი რემენტუარი თავისებურად აენყო. ძირითადად იმ აქტიორული შესაძლებლობების გამოვლენა უხდებოდა. რომლებიც საუკეთესო სახით ანტიგონეში უკვე გამოვლინდა. ამიტომ მისი შემოქმედებითი ცხოვრება, გარკვეული პერიოდის მანძილზე ცალმხრივად ვითარდებოდა. იგი ძირითადად თამაშობდა გამირ ქალებს, რომლებიც მათი შემქმნელისაგან დრამატიზმს, ძლიერ ემოციებსა და სულიერ დატვირთვის მოითხოვდნენ. მსახიობი, რომელსაც ამგვარი როლებისთვის საჭირო მონაცემები აქვს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მისთვის როლების შერჩევა სიფრთხილით უნდა მოხდეს. მას უნდა ჰქონდეს საკუთარი აქტიორული ინდივიდუალობის სხვადასხვა კუთხით, მრავალმხრივად გამოვლენის შესაძლებლობა. ტურას შემდეგ, ზინა კვერენჩილაძეს, ფაქტიურად, მრავალი წლის მანძილზე აღარ უთამაშია როლი, რომელშიც მისი სახასიათო მონაცემების გამოვლენა იქნებოდა შესაძლებელი. მხოლოდ 1984 წელს, დიდი შესვენების შემდეგ, იგი კვლავ წარსდგა მაყურებლის წინაშე, როგორც ჩინებული სახასიათო მსახიობი შადიმან შამანაძის პიესაში „ღია შუშაბანდი“ (რეჟ. გულსუნდა სიხარულიძე). მის მიერ ამ წარმოდგენაში შექმნილი ხასიათი კომიურისა და დრამატულის სარისკო სახელვარზეა. მსახიობი გამირის მთელი სცენური ცხოვრების მანძილზე ბენვის ხიდზე გადის,

გადაქარბების მუდმივი საშიშროების წინაშე დგას, მაგრამ როგორც გამოცდილი ხელოვანი, საკუთარი პროფესიის საიდუმლოებებს დაუფლებული ოსტატი, კვლავაც წარმატებით სძლებს ამ რთულ ამოცანას.

80-იანი წლების დასასრულში ზინა კვერენჩილაძე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნამუშევრით წარსდგა მყურებლის წინაშე - ესაა ემილი დიკინსონი უ. ლიუსის მოწოდებაში „ამპერსტის მშველება“ (რეკ. რობერტ სტურუა, რევიზ ჩხაიძე) - შესანიშნავი ამერიკელი პოეტი ქალი, რომელიც თავისი სახლის ზღურბლს არ ვასცილებია. მართალია, სიცოცხლეში ვერ ეღიბა მკითხველის აღიარებასა და სიყვარულს, მაგრამ მიიღებ ბედნიერი იყო. თავის პოეტურ სამყაროში ცხოვრობდა, მშვენიერი მოცებების ქვეყანაში ასეთივე მეოცნებედ გამოეთხოვა წუთისოფელს, დატოვა მხოლოდ სიყვარულით, სიკეთით, ნათელი იმედით სავსე ლექსები. ზინა კვერენჩილაძის ემილის უსახლვროდ უყვარს სიცოცხლე, საოცარი ძალით მიგრძობს მშვენიერებას ყველაფერში - ბუნებაში, ადამიანსა თუ უსულო საგანში. მთელს მის არსებობას სცენაზე ლამობს სდევს თან - ხან მორიდებული, ხან ეშმაკური, ხან გაციისკროვებული, ხან სევდიანი. ემილის მონოლოგებს ორგანულად ერწყმის მისი ლექსები. პოეზია ხომ მისი არსებობის ყველაზე ბუნებრივი ფორმაა. ლექსების წერა მისთვის ისეთივე ჩვეულებრივი და აუცილებელია, როგორც სუნთქვა.

ორი მოქმედების მანძილზე სრულიად მარტოა ზინა კვერენჩილაძე სცენაზე. მისი ხილვა არ გებრძდება. მსახიობი მრავალფეროვან საღებავს ხმარობს ემილი დიკინსონის სახის შესაქმნელად - პოეტურ ამალეებულობასა და რომანტიკულობასთან ერთად, იგი უხვადაა დაჯილდოებული ლირიზმითა და იუმორით, ირონიული დამოკიდებულებით საკუთარი თავისა თუ სხვების მიმართ. რად ღირს თუნდაც მისი სცენები წარმოსახულ მოსაუბრებთან. ხან კი, სულ რამდენიმე წამით გაიკლებს მის თვალებში სევდა და ტკივილი, მაგრამ სასონარკვეთილება - არასოდეს! ზინა კვერენჩილაძის შესრულებას ისეთი სიმსუბუქე ახლავს თან, მხოლოდ გამოცდილ ოსტატ მსახიობს რომ ხელწინებდა. ამიტომაც წარმოდგენის დასასრულს უკვე ძველია ერთმანეთისაგან განაცალკეო აქტიორი და მისი პერსონაჟი, ისინი განუყოფელი არიან.

ბევრი საქებარი სიტყვა დაიწერა ზინა კვერენჩილაძის ემილი დიკინსონზე ქართულსა და რუსულ პრესაში, მაგრამ ალბათ ჩვეულებრივი მყურებლის, ახალგაზრდა გაა ჯაჯანიძის წერილი ამ აღფრთოვანებულ შეფასებებზე არანაკლებ მნიშვნე-

ლოვანია: „ამჟამად ჯარში ვიმყოფები, საათზე საგუშაგოზე უნდა გავიდე. ნავალ და თან გამყვება თქვენი ემილის ლანდი, რომელიც სიბარულის, სრულყოფისა და თავისუფლებისკენ მიხმობს. კი არ თამაშობთ, ცხოვრობთ სცენაზე. თქვენი უზადლო გმირით მოხიბლული და სავსე ნავედი. 14 იანვარი იყო ის დღე, როცა თქვენ შემოაღეთ ჩემი გულის ძლიერად ჩაქტილი კარი, შემოხვედით, სითბო და იმედი შემოიტანეთ. მეორე რიგში ვიჯექი, ახლოს გხედავდით, არ მინდოდა განშორება თქვენს სინაილესთან, სინაილესთან, სინაილესთან“.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 80-90-იანი წლები ზინა კვერენჩილაძისათვის უკვე ისეთი ნაყოფიერი, საინტერესო, როლებით დატვირთული არ იყო, როგორც მისი ემილი-ქმედების წინა პერიოდი. სულ რამდენიმე სცენური სახე - ქეთევანი (ალექსანდრე ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“), მერი პოპინსი (ამელია ტრავერსის „მერი პოპინსი“), დედა (ფედერიკო გარსია ლორკას „სინხლიანი ქორწილი“) და პონსია (დ. კობურნის „ეთამი-შობთ ჯინსი“) - მისი ჯერჯერობით ბოლო თეატრალური ნამუშევრებია. ახალგაზრდა რეჟისორ ოთარ ევადის ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ზინა კვერენჩილაძის და ედიშერ მალაშვილის არაჩვეულებრივმა სცენურმა „დედებმა“. ამ ორი ჩინებული მსახიობის თეატრალური რომანი სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის. ამ ხნის მანძილზე მათმა ურთიერთობამ შემოქმედებითი პარტნიორობის უაღრესად საინტერესო, სტაბილური, შეიძლება ითქვას, უნიკალური ფორმა შეიძინა - ელიზაბეტი და ჯონი, ანტიგონე და კრეონი, ფედრა და თეზევსი, მედეა და კრეონი, აპი და ეფრაიმი, პონსია და უალერი. სცენური ორთაბრძოლების წარმოების ვირტუოზული ტექნიკა, სრული ურთიერთგაგება ნახევარი სიტყვითა თუ მზერით, დიალოგის წარმართვის ისეთი ოსტატობა, მხოლოდ უნიჭიერეს პროფესიონალს რომ ძალუძთ. იმედია, მომავალში ამ ჩამონათვალს ახალი თეატრალური გმირები შეემატებიან.

არის კიდევ ერთი, თავისებური მხატვრული სახე, რომელიც ზინა კვერენჩილაძემ შექმნა უკვე არა თეატრში, არამედ კინოეკრანზე, ისიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სანახევროდ“. ეს არის ნარგიზა თენგიზ აბულაძის ფილმი „ნატკრის ხე“. ამ როლს ტემინა ტუაევა თამაშობს, ზინა კვერენჩილაძე კი ამზოვანებს. მას ბევრი კინოგმირი აუშენებდებოდა კინოეკრანზე, მაგრამ ნარგიზა სრულიად განსაკუთრებულია მათ შორის. მსახიობი საოცრად უსუტად გრძობს ტ. ტუაევას გმირის მინაგან ემოციურ მდგომარეობას ეკრანული ცხოვრების ყოველ მომენტში, უუსუტადაა

ემოციურ მდგომარეობას ეკრანული ცხოვრების ყოველ მომენტში, ზუსტადაა ანყობილი როლის ხმოვანი პარტიტურა. როგორ ვითარდება იგი. რა ნაზად და ალერსიანად მიმართავს ნარგვიზა იორანოს, სხვა ინტონაცია ჩნდება მის ხმაში ციციკორესთან დიალოგის დროს, მოულოდნელად იცვლება ეს ხმა ფინალში, როდესაც ნარგვიზა აღმოცენდება თანასოფელელთა უსამართლობით. სწორედ ციციკორეს დაატყდება თავს მისი რისხვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზინა კვერენჩილაძე ტ. ტუაევასთან ერთად ამ საეკრანო მხატვრული სახის სრულყოფილი თანაავტორია.

ზინა კვერენჩილაძის, როგორც ნიჭიერი და გამოცდილი მსახიობის დახმარება მეცნიერებასაც დასჭირდა, კერძოდ - ფსიქოლოგიას. პროფესორმა დარეჯან რამიშვილმა, რომელიც გამომხატველ მოძრაობათა ფუნქციასა და ბუნებას შეისწავლიდა, ერთერთი ექსპერიმენტის ჩასატარებლად ზინა კვერენჩილაძე მიიწვია. ცდისპირებს უჩვენებდნენ ფილმს, რომელიც 9 ეპიზოდს შეიცავდა. ყოველ ეპიზოდში მსახიობი ზინა კვერენჩილაძე გამოხატავდა ამა თუ იმ ემოციურ მდგომარეობას და თან შესატყვის სიტყვებს წარმოთქვამდა. არ არის შემთხვევითი, რომ დარეჯან რამიშვილმა ამ ექსპერიმენტის ჩასატარებლად სწორედ ზინა კვერენჩილაძე მიიწვია. მეცნიერი ხომ, ფაქტურად, შეისწავლიდა ურთიერთობას გარკვეული ემოციური მდგომარეობის მიმიკურ გამოხატვასა და მის სიტყვიერ გამოხატულებას შორის. ამისათვის ფსიქოლოგს ესაჭიროებოდა არტისტი, რომელთანაც ძალზე მკაფიოდ და ნათლად იქნებოდა წარმოდგენილი ორივე ეს მომენტი - გამომხატველი მოძრაობა და მეტყველება. ყოველივე ამის ზუსტი დემონსტრირებისათვის საჭიროა არა მარტო ნიჭიერი და გამოცდილი მსახიობი, არამედ მხატვრული კითხვის ოსტატიც, ისეთი, როგორიც ზინა კვერენჩილაძეა.

სრულიად განსაკუთრებულია ზინა კვერენჩილაძის დამოკიდებულება კაზმული სიტყვის, საერთოდ ლიტერატურის მიმართ. მხატვრული კითხვა, ისევე, როგორც პედაგოგიკა, მსახიობის შემოქმედებითი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი და ძალზე ნაყოფიერი მხარეა.

არის ზინა კვერენჩილაძის ცხოვრების კიდევ ერთი სფერო, რომელშიც მისი მღვდლურ ნატურა აგერ უკვე 10 წელზე მეტია აქტიურად არის ჩართული - დმანისის თეატრი. იგი, შესანიშნავი პროფესიისა და ისტორიკოსის, ბატონ ჯუმბერ კოპალიანისა და ზინა კვერენჩილაძის დაუღალავი ძალისხმევით გაიხსნა 1990 წლის 19 იანვარს, ნათლისღებას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II ლოცვა-კურთხევით. თეატრის პირველი სპექტაკლი იყო ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი წარმოდგენა „ტემო კალამო“ ამ დიდებულ საქმეში მის ინიციატორებასა და სულისჩამდგმელებს, გვერდით ედგა არა ერთი ქართველი მსახიობი, ისინი, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დმანისის ისტორიულ, სასაზღვრო, მრავალეროვან და მრავალენოვან, ინტერნაციონალურ მხარეში სცენიკად გაფლერებულ ყოველ ქართულ სიტყვას. სამწუხაროდ, მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებათა გამო თეატრმა მუშაობა დროებით შეწყვიტა. 5 წლის შემდეგ კვლავ აღადგინა, მცარამ სტაბილური მაინც ვერ გახდა. ამისათვის, ფინანსების გარდა, საკუთარი შენობა იყო საჭირო. და აი, შარშან, ოქტომბრის ბოლოს დმანისში მშენიერი თეატრის შენობა გაიხსნა, ცხადია, ზინა კვერენჩილაძის აქტიური ძალისხმევით. იგი, როგორც ქართველი მსახიობი და მოქალაქე, ჭეშმარიტად თეატრალური მოღვაწე, აქტიური თუ პედაგოგიური საქმიანობის გარდა, საკუთარ მამულიშვილურ მისიას ამ დიდებულ საქმის განხორციელებაშიც ხედავს.

სამყარო წარმომადგენია დიდი თეატრონად, რომლის სცენაზე ყოველდღე თამაშდება ადამიანური ყოფის სპექტაკლები. მე თქვენ მოგინოდებთ - მთელი მსოფლიოს რეჟისორებო - დადგით მშვიდობის სადიდებელი პიესები, მე თქვენ მოგინოდებთ, მთელი მსოფლიოს არტისტებო - ითამაშეთ ამ სპექტაკლებში, დარწმუნ და დაიფურელეთ, თქვენი ნიჭი, ნებებო, ჯანმრთელობაც კი მიიტანეთ თეატრის სამსხვერპლოს. მე თქვენ მოგინოდებთ, მთელი მსოფლიოს მამყურებლებო, - გიყვარდეთ თეატრი, მოდით თეატრში, ხელოვნების უმაღლეს ტაძარში! (ზინა კვერენჩილაძე).



ანა კალანდაძის პოეზია მუსიკაში

ქართველ პოეტ-ქალთაგან ანა კალანდაძის პოეზია ყველაზე მეტად აისახა მუსიკალურ ხელოვნებაში, რადგან მან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი, ორიგინალური ხელნერი, პოეტური სიტყვის სიახლითა და სინატიფით, ლექსთა სტროფებში ჩატარებული მელოდიათა - გრძნობათა გამოშახველობის უმაღლეს საშუალებად რომ გვევლინება.

არის კიდევ ნიშანდობლივი თვისებები, რითაც ქალბატონ ანას პოეზია იმსახურებს კომპოზიტორთა ინტერესს: ესაა ჟანრულ-თემატური მრავალფეროვნება, გულთა, დახვეწილი ლირიკა, ლექსის შინაარსის, მისი კონცეფციის გადმოცემის ლაქონურობის საკითხი. პოეტს ხელენიფება მხატვრულ ფორმებში, ორიოდე სტროფშიც კი, დამაჯერებლად გახსნას ლექსის მთავარი სათქმელი, გადმოსცეს განწყობილება, ავტორის ჩანაფიქრი... ამასთან, ანა კალანდაძის პოეზია საინტერესოა არა მარტო მწიბნა მხატვრული თვალსაზრისით, არამედ სიტყვისა და მუსიკის დამოკიდებულების მხრივაც, რაც მეტად რთული პროცესია და ელინდება როგორც ჩანაფიქრის კონკრეტობაში, სიტყვისა და მუსიკის ურთიერთშერწყმასა და ურთიერთგამდიდრებაში, ისე ნაწარმოებში გადმოცემული აზრის, მუზიციურობის ფორმების განახლების ამოუნურავ შესაძლებლობებშიც. ამიტომაც დიდია პოეტის ლექსთა საფუძველზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებთა რიცხვი, ვხვდებით როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ ავტორებსაც.

კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა და ჟურნალისტმა თეიმურაზ ნაცვლიშვილმა პირველდამა მიმართეს ანა კალანდაძის პოეზიას შინაინი წლების დასაწყისში, შექმნეს რა ვოკალური ნაწარმოებები: თ. ნაცვლიშვილმა - სიმღერა „საქართველოო ლამაზო“, ხოლო მ. დავითაშვილმა - რომანსები „არაბი ხარ“ და „თუთა“, რომლებიც შემდგომ თავის ვოკალურ ციკლში შეიტანა.

ამასთან დაკავშირებით ქალბატონი მერი იგონებს: - „მე და ანა კალანდაძე ერთხანს ერთად ვსწავლობდით საშუალო სკოლაში, ქუთაისში. მართალია, მე ერთი წლით

ნინ ვიყავი მასზე, მაგრამ ძალიან ემეგობრობდით, დიდი ურთიერთსიმპათია გვექონდა ერთმანეთის მიმართ. ჩემდა საბედნიეროდ, ეს ურთიერთობა დღემდე გრძელდება...“

ანა სკოლის ასაკიდანვე წერდა ლექსებს, მაგრამ არ აქვეყნებდა. შემდეგ, როცა ორივენი თბილისში გადმოვიდით საცხოვრებლად, შევხვედით ერთმანეთს, წავიკითხე მისი ლექსები და... გაოგნებული დავრჩი. სწორედ მაშინ დავეწერე რომანსები „არაბი ხარ“ და „თუთა“, რომლებსაც დიდი მონივნება უქოდა მოსკოვშიც. ნარმატება ხედავს ნილად ჩემს მეორე ვოკალურ ციკლსაც, ანასავე ტექსტებზე, უცხოეთში. რაც შეეხება მესამე ციკლს, ის მშ-იან წლებში დავეწერე, აგრეთვე გუნდები: „არაგვს ზემოთ“, „სვით სისხარული“, „ჩემო ქვეყანა“, „ჩემი სამშობლოს დილა“, რომელთაგან ბოლო ორი პრემიერებულია.

ჩემი მოღვაწეობის მანძილზე განსაკუთრებით ორ პოეტთან შექმნილ ურთიერთობათა თანხვედრა - ანა კალანდაძისთან და შაყვალა მრეველიშვილთან. მეტად იოლია ანას ლექსებზე მუსიკის წერა. გამოჩვეულად მიყვარს მის ტექსტებზე შექმნილი ჩემი ნაწარმოებები, როგორც თვითონ პირიქნება...“

ვოკალური ნაწარმოებების დაწერის დროს უდიდეს ყურადღებას ვაქცევ პოეტურ ტექსტს. მიმაჩნია, რომ ჯერ პოეტმა უნდა დაწეროს კარგი ლექსი, ხოლო შემდეგ კომპოზიტორმა - მუსიკა. პირიქით თუ გაკეთდა, ეს უკვე დანაშაულია...“

ქალბატონ მერის სიტყვებს მიყვებათაუად დაფუძნებით, რომ... თუ შაყვალა მრეველიშვილის ლექსებზე დაწერილი საბავშვო ციკლებით - „დილა მშვიდობისა“, „სათამაშობის სიმღერები“ - მან ეროვნული მუსიკალური „დედაენის“ ტოლფასი ნაწარმოები შექმნა, რომელზედაც მრავალი თაობა აღიზარდა და იზრდებოდა დღესაც, ანა კალანდაძის ტექსტებზე დაფუძნებული ვოკალური ციკლებით ქვემარტად გამდიდრდა ქართული ვოკალური ლირიკა. გვიბილავს მათი თავისთავადობა, სისხარტე და ლაკონურობა, ლირიკული სითბო და მელოდირი სიუხვე, მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნება, ... პარამონიული კოლორტის ფაქიზი გრძნობა, სისადავე და

უშუალობა, ემოციურობა, ღრმა ეროვნული სული... აქ პოეტურმა ტექსტმა უაღრესად ღრმა და ორგანული გახსნა პპოვა, თითოეული რომანის მშვენიერი ჩანახატია - კამერული ფერადობის, ინტიმური ტიპის, დანერჩილი დაბუნელი გემოვნებით, მაღალი პროფესიული ოსტატობით.

და III ციკლი განკუთვნილია ქალის ხმისთვის, II - ბარიტონისთვის, მაგრამ იმდენად ბევრია მათში საერთო, მრავალფეროვნებასთან ერთად, რომ შესაძლოდ მიგვაჩინა მათი ერთ ციკლად (ერთდროულად) შესრულებაც, ორი ხმისთვის - სოპრანოსა და ბარიტონისთვის. ნომრებს შორის საკმაო ინტრიგული კავშირია და თემატურიც, რაც საერთოდრამატურგოული დინკებიდან მომდინარეობს: პოეტის ლექსებში ჩაღვრილი მრავალფეროვან განცდათა გამა აქ მაქსიმალურადაა წარმოსახული, რომანსებს შორის არსებული კონტრასტული დაპირისპირებებით. მრავალფეროვნება მთლიანობაში! - აი, რა არის მათთვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, მთავარი და ყველაზე ძნელად მისაღწევი შემოქმედებითი მუშაობის პროცესში, მაგრამ ამ შემთხვევაში, კომპოზიტორის მიერ უაღრესად იოლად და მალაღნიჭიერად წარმოდგენილი. მერი დავითაშვილი ზუსტად შესატყვის რიტმი-ინტონაციებსა და მხატვრულ სახეებს, საკუთარ „გახადებს“ პოულობის მათთვის. ამასთან, ამკარაა ფორმის მოხდენილობა, დრამატურგოული მთლიანობა, გამჭოლი, უწყვეტი განვითარება.

I ციკლი - „ლირიკული მინიატურები“, საერთო სათაურიდან გამომდინარე, მთლიანად ლირიკულ ლექსებს მოიცავს: „დავპრტები შენდა“, „არაბი ხარ?“, „თუთა“, „ქია მარია“, „ჟუჟუნა ნეიმა“; II - პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ნიმუშებს: „შენ ისე ღრმა ხარ“, „მტერს უტყედა“, „ვარდფურცლობის დარია“, ხოლო III - როგორც ისტორიულ პატრიოტულს (ასეთი დარი თუ იყო მაშინ), ისე ლირიკულს („ყაყაოსა სინითლითა“, „პანანინა რტო ვარ...“) და ჭანრულსაც („დაირები“). ციკლები აგებულია ისე, რომ მათში შემავალი რომანსების შესრულება შესაძლოა ერთადაც და ცალცალკეც. ფორმის თვალსაზრისით დიდი ნაირფეროვნებაა, მარტოე კუპლეტურ და სამანინილიან ფორმებს გარდა, გვხვდება დიალოგური პრინციპიც („არაბი ხარ?“), მონოლოგური („შენ ისე ღრმა ხარ“), ბალადური („მტერს უტყედა“) და ერთ სუნთქვაზე, მზარდი აღმავალი ხაზით განვითარებადი („ჟუჟუნა ნეიმა“).

მრავალფეროვნებაა მელიოდის მხრივაც. ამასთან, ერთ შემთხვევაში თუ

შანიგ მღერად-კანტილენური („დავპრტები შენდა“, „ყაყაოსა სინითლითა“), სხვა შემთხვევაში რეჩიტატივას ენიჭება პრიორიტეტი („შენ ისე ღრმა ხარ“, „მტერს უტყედა“, „დაირები“), ან ორივე შეერწყმა („არაბი ხარ?“, „ქია მარია“, „პანანინა რტო ვარ“, „ვარდფურცლობის დარია“); ყოველივე ეს პოეტური ტექსტიდან გამომდინარეა, სიტყვის მუსიკალური ერთ აგურების შესაბამისად. ამიტომაც გვხვდება როგორც ლაღად გაშლილი, ფართო მელიოდური სუნთქვის მქონე ნიმუშები, ისე მოკლე დიაპაზონის შემცველი. მაგალითად: რომანსი: „არაბი ხარ?“ შანიგ ძირითადად კონტრასტულადში ვითარდება, მაგრამ ისე ოსტატურად, რომ სრულებითაც არ იგრძნობა დიაპაზონის სიმცირე. ამასთან, აქ აღმოსავლური კოლორიტიც გამოსჭვივის, ლექსის შინაარსიდან, ყვევილების გამყიდველი იეზიდ გოგონას მხატვრული სახიდან გამომდინარე:

„დახარ ქუის განაიარა ვარდებს მყიდი... ჩემო კარგო, არაბი ხარ?.. იზიდი. როგორც ია, თაღაბრილ ბუჭის ძირას, მოტყები ხარ და როგორ გშენის კლამ დიდი... თქვე შეთვალავ, არაბი ხარ?.. იზიდი“.

ყოველი ციკლების მხატვრულ სახეთა გახსნაში დიდი როლი აკისრია ინსტრუმენტულ თანხლებასაც, ბგერნოთ ელემენტებს. მაგალითად, რომანსში „თუთა“ - თანხლებამ ფორტის შრილია დამოკცემული, „ქია მარიასა“ და „ჟუჟუნა ნეიმაში“ - ნეიმის ნეუთების ასოციაცია (ცვენა), ქარის ქროლვა - „პანანინა რტოში“, ეკლესიის ზარების რეკვის იმიტაცია - ფილოსოფიური სიღრმის გამოჩენულ რომანსში - „შენ ისე ღრმა ხარ“:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართული ცაო, შენ ისე ღრმა ხარ, სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად მოსულმა ვერავენ ნასა, ვერცა ოსბალომ, ვერც მინდოლმა და ვერცა საარსმა“

ციკლში ძველი თბილისის კოლორიტულ ჭანრულ სურათს აცოცხლებს „დაირები“ - დამახასიათებელი სპეციფიკური მელიზმატიკითა და ბალზური საკრავის - დაირის ელერადობის იმიტორებით; ამავე პრინციპს ემყარება რომანსი „მტერს უტყედა“, სადაც აკომპანიმენტში ფანდურის ელერადობის მიბაძვას აქვს ადგილი, ხოლო რომანსში - „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, თან-

ხლებში სინკოპირებული აკორდების დინჯი, ნელი ოსტიტატური სვლებით, ადამიანის სვლის, ნაბიჯების ასოციაცია შექმნილი - ეს მეფე ერეკლე დააბიჯებს დედაქალაქში...

**„მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იფა თბილისი, როგორც ვრცელ
ხალხმართული ნარის ციხესთან.
ღრუბლები რაკეთი დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ღიღისფერ შთაბ.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიღეს სპარსთა...“**

რომანსების თემატური მასალა მთლიანად კომპოზიტორის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია, მხოლოდ ერთხელ, რომანსში - „ფუფუნა წვიმა“, კულმინაციის მომენტში მიმართავს იგი ხალხურ წყაროს ციტირებას - ქართული ქალაქური სიმღერებიდან „დანამა“: „ფუფუნა წვიმა მოვიდა, დიდი მიწდორი დანამა...“ რაც ანა კალანდაძის ლექსიდანაც მოდის, ცისარტყელას გაელვებისას ვით რომ გამოჩნდება და უაღრესად ორგანულად ერწყმის მთელ ნაწარმოებს:

**„ფაფაოს ღვინო საღბინო როგორ არ შესვას ანამა,
ფუფუნა წვიმა მოვიდა, დიდი მიწდორი დანამა...“**

ორიგინალური გადაწყვეტა პოეტიკური კომპოზიციური თვალსაზრისით რომანსმა - „მეტრს უტყვედა“. აქ რამდენიმე პლასტიკა, ბალადური ფორმით წარმოდგენილი. ინსტრუმენტულ შესავალს (ფანდურის ფლერადობას რომ გვაგონებს და მთქმელის მხატვრულ სახეს უკავშირდება) უმაღ შეეყვანართ ნაწარმოების საერთო ხასიათში - ბრძოლის ველზე გმირულად დაჭრილ მომიკვდავ ვაჟკაცს აგონდება სამშობლო, მისი ცა-ფირფხი, მშობელი დედა...

**„მეტრს უტყვედა კაკასიის მალად მთებიდან,
განა მტარვალს მიწის გოჯი მისცა?
დაიჭრა და მიწას სისხლი დაეწვეთა,
ბუბუნებდა კაკასიის მიწა...
მას, სამშობლოს ცას, სტოჯინა ვაშლა ლურჯად,
ცხრათუალა მზე თავს დაადა მხედარს...
კედება ვმირი, სამშობლო ზომ გადაურჩა,
გაჭარდო, იტყვის ქართლის დედა“.**

ბალადის ფორმით სარგებლობის შემთხვევები საერთოდ, იშვიათი როდია პროფესიულ მუსიკაში; ხალხური მუსიკის ამ უძველეს ჟანრს მე-18 საუკუნიდან მიმართა-

ვენ სხვადასხვა ქვეყნისა და თაობის კომპოზიტორები: იოჰან ერნსტ ბაქი, ვალენტინ შერბინგი, ი. ანდრე და ი. ცუ-მშტეგი, შუბერტი და შოპენი, გრაფი, ა. რუბინშტეინი, ნ. რიმსკი-კორსაკოვი, ს. პროკოფიევი... ქართველებიდან: ა. ბალანჩივაძე, ა. მჭავარიანი, შ. შველიძე, რ. ლალიძე, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე, ნ. მამისაშვილი, ვ. აზარაშვილი, შ. დავითაშვილი, ო. გორდელი, ი. ბობოხიძე და სხვები; ამასთან იყენებენ ძირითადად ფილოსოფიური, ღრმა შინაარსის მქონე ტექსტების ვოკალში გადატანას, ემოციური ჩაღრმავების, შინაარსისა და ფორმის მჭიდრო კავშირის, ერთიანობის გაძლიერების მიზნით რომ სიტყვამაც გახსნას და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს პოეტური ტექსტის გამღერებაში. იგივე დანიშნულება აკისრია ბალადურ ფორმას მერი დავითაშვილის ზემოაღნიშნულ რომანსში („მეტრს უტყვედა“), ოღონდ აქ, უკვე რომანსის ტანტორიკი სპეციფიკიდან გამომდინარე, ბალადურობა მოცემულია კამერულ პლანში, რაც ამ შემთხვევაში საეხებით ბუნებრივია და კანონზომიერი. აქვე უნდა ითქვას იმაზე, რომ ფანდურის ფლერადობის იმიტაცია (თანხლებში) გაიგივებულია სამშობლოს მხატვრულ სახესთანაც, ფაქტზე, ნათელ კოლორისტულ ფერებში, გამჭვირვალე ფაქტურის მუსიკალური მასალით კი (სადაც პოლიტონალობასაც აქვს ადგილი) - წარმოსახულია ცის კაბადონი, სამშობლოს ზეცა... რითაც კიდევ უფრო გაძლიერებულია ემოციური განწყობა, მუსიკის ზემოქმედებითი ძალა.

განხილული ვოკალური ციკლებით კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა შექმნა ჟანრის მალამოზატრული ნიმუშები, რომლებიც ქართული ვოკალური ლირიკის მნიშვნელოვანი შენაძინია.

შვენიერი მუსიკალური ხორცშესხმა პოეტი ანა კალანდაძის პოეტურმა შედეგმა „საქართველოო ლამაზო“ თეიმურაზ ნაცვლიშვილის ამავე სახელწოდების სიმღერაში. ნაწარმოების პატრიოტული, პოეტური ძალა და გულმოქაჩველობი მელოდია დიდი შემოქმედებითი ძალის მქონეა, ღრმად ემოციური:

**„ქარი გიმღერის ნანამა,
ზღაპარს ვიამბობს ჭადარი...
ტყუნამ აღერით ამასო,
ცქვებით ნაყვადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო ზად არი“?..
ცა ვარსკვლავებით ითება
ცა - არც რიხი სადარი...“**

მთავრე რომ ამობრწყინდება,
 გული გაფრენად მზად არი...
 დიდება. შენდა დიდება,
 „სხვა საქართველო ხად არი?“
 ვარინკა

მაჭკაეარიანი-ნერეთლის
 საქვეყნოდ გახმაურებული „სულიკოს“ მსგავსად, აქაც პოეტურმა ტექსტმა ზედმინევიანით ზუსტი ინტონაციური განსხვავლება მიიღო, ისევე სადაად, ბუნებრივად, უშუალოდ, ფორმის საოცარი მთლიანობით. მასში სრულად გამოვლინდა ავტორის ხალასი მელოდური ნიჭი, კოლორიტის ფაქიზი გრძნობა... მელოდია ხალხური „ანების“ რწვეადი რიტმით კიდევ უფრო მეტ სითბოსა და უშუალოდ, მეტ სინარფილესა და ზემოქმედებით ძალას იძენს, მისამღერში კი განვითარების კულმინაციას აღწევს: „საქართველო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?“ - შთამბეჭდავად გაისმის ეს სტრიქონები ყოველი სტროფის შემდეგ და ახალი ელფერით ივსება. სიმღერა ერთნაირად მისაწვდომია მუსიკის მოყვარულთა ფართო ფენებისათვის და ასახრდოებს პროფესიონალთა ინტერესებს, ამიტომაც უძღვებს დროს და იზიდავს თაობებს...

საინტერესო მუსიკალური ხორცშესხმა
 პპოვით, ნაკლებიშლის მიერვე ქალბატონ
 ანას ლექსმა „ყაყაოხა სინთლითა“. აქაც ისევე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ვითარდება პანგი - „სიმღერის გულის“ - მელოდის ნინა პლანზე ნამონეით.

თ. ნაკლებიშლის ზემოთ მთასებლებულ
 სიმღერებს ისე, როგორც დიდ მის შემოქმედებას, ძირითადად ქართული ქალაქური საყოფაცხოვრებო სიმღერის დასავლური მტოდან მომდინარე ნაკადი ასახრდოებს. ამასვე გვიდასტურებს „ეფუჟუნა ნვიმა“-ში (დანერლია ეოკალური ანსამბლისთვის) მის მიერ ჩართული ხალხური „დანამა“-ს კოლაჟი, აგრეთვე ხმებს შორის არსებული მშორი ტერციული კავშირები და პარალელური სექსტები.

მთის ლალი სუნთქვა ამკარა ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილ ძალეა მშველიძის გუნდებში: „შუაფხოს ლამე“, „თერთახევა“, „სადლაჟ მთებში გალობს ბულბული“, რაც არა მარტო პოეტური წყაროთია განპირობებული, არამედ კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი ხელნართაც, მისი მუსიკის სიღრმითა და სიჯანსაღით, ეპოსური ფესვებით, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებიდან, განსაკუთრებით ფშაური ნიალიდან იღებს სათავეს.

შ. მშველიძე პირველი ქართველი
 კომპოზიტორია, რომელმაც პროფესიულ
 მუსიკაში დანერგა ფშაური კილო

(ფრიგიული კილო ამაღლებულია მშველიძის საფეხურით). ეს კილო-ინტონაცია ნითელ ზოლად გასდევს მთელ მის შემოქმედებას - ოპერებს, სიმფონიებს, სიმფონიურ პოემებს, ორატორიას, გუნდებს...

მოკლე დიაპაზონის, შეზღუდული ფაქტურისა და ელემენტარული მხატვრული სახეებით გამორჩეული ფშაური ხალხური სიმღერა შ. მშველიძემ სრულიად ახლებურად, ორიგინალურად გაიზარა და ახალი ფერადობა მისცა. ფოლკლორის ამოუნურავი საგანძური და ზაქარია ფალიაშვილის სულიერი შემკვიდრება გახდა მთავარი საფუძველი მშველიძის გუნდებისა, სწორედ ამ მხრივა იგი გენიალური კომპოზიტორის გზის გამგრძელებელი. საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი ნიმუში, რომ ყოველივე ნათელი გახდეს: გომოფონიურ-პოლიფონიური გუნდი „უბრძანა ნევეა ლამქართა“, ჰიმნური ხასიათის „სანადიმო“, ოთხხმიანი გუნდური ფუგა - „ვადიდოთ ჩენი როსტევა“, რომელშიც კომპოზიტორი ისტატურად იყენებს კლასიკური პოლიფონიის იმიტაციურ ხერხებს და პირველად ქართულ საოპერო მუსიკაში გვაძღვეს ამ უაღრესად რთული პოლიფონიური ფორმის (ფუგის) ქართულ საოპერო ნიმუშს (ოპერაში „ამბავი ტარიელისა“). სიმფონიური დინამიკითაა გამსჭვალული გუნდი - „მო, ლხინი უნახო“, ხალხური ზარის სტილითაა გადაწყვეტილი ქორალები: „ვაიძე, დიდო ბატონო“, „სულთა თანა“ და სხვა (ოპერიდან „დიდოსტატის მარჯვენა“). აქვე უნდა მოვიხსენიოთ უაღრესად შთაბეჭდავი, ხალხურ ტექსტზე აგებული ორიგინალური საგუნდო სიმღერა „ფშაური“ - ქართული საგუნდო მუსიკის მშვენება, „ფშაური მარგალიტი“.

რაც შეეხება ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილ შ. მშველიძის გუნდებს, კომპოზიტორი მათი მუსიკალური ხორცშესხმისას, ბგერნებით ელემენტებსაც იყენებს, ლექსის შინაარსიდან გამომდინარე. მაგალითად: თითქოსდა წყაროს ჩუხჩუხს გვაგრძნობინებს „თერთახევა“, ხოლო გუნდი „სადლაჟ მთებში გალობს ბულბული“ - ამ სასწაულებრივი ფრინველის გალობას... და მაინც, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „შუაფხოს ლამე“, სადაც საკმაო ადგილი ეთმობა ხმათა ტემბრების ცვლას (გრადაციას), ქალთა და ვაჟთა გუნდების ურთიერთდაპირისპირებას (ექო-დილოგს), დროდადრო შერეული გუნდის კომპაქტურ ხმოვანებაში რომ ვადადის - იქმნება გარნიტუბისა და სიმშვიდის, დინამიკისა და მონუმენტურობის ასოციაცია, რაც საბოლოო ჯამში, ლამის ბინდის საოცარ შეგრძნებას ბადებს...

ქართული ხალხური სიმღერების პარმონითა და რიტმონ-ინტონაციებითა გაღუნებითი იკომპოზიციის საგუნდო მინიატურების ციკლიც, რომელსაც კომპოზიტორი „საქართველოს სურათებს“ უწოდებს (იგი 12 საგუნდო მინიატურას აერთიანებს და ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ამ ჟანრისა (სახეობისა) ჩვენში - მას წინ უსწრებდა დავით თორაძის „ხალხური ჩანამღერები“ - გალაკტიონის ტექსტზე.

ი. ბობოხიძე თავისი მინიატურებისთვის ისეთ ლექსებს არჩევს (ქალბატონ ანას პოეზიიდან), რომლებიც მშობლიური მხარის გარკვეულ სურათებს (მომენტებს) წარმოაჩენს: მზით სავსე არავგის ხეობას თუ ხვიარა არჯაკელას, სვანურ კომესა და ფხოვის ტყეებს, თეთრახევას, სამშობლოს დილას (გარიგრას); ღრუბლებსაც კი... და ყოველივეს ადამიანთან კონტაქტში, ხალხთან კავშირში წარმოადგენს, რადგან ადამიანია ამ სამყაროსთან პარმონიანი. სწორედ ამიტომაც პოეტია და კომპოზიტორიც ხამალა აცხადებენ: „შენთან დაღვდევი ჩემს დღეებს, შენს გულში გავიხარებდი.“

პოეტური წყაროდან გამომდინარე, კომპოზიტორი მიმართავს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მუსიკალურ დიალექტებს. ასე მაგალითად: არქაული ფშაური საქონილო სიმღერის - „ჯვარი წინასა“-ს სტილიზაციაა მისი „ვაჟაო, დილის მზის სხივო“, სადაც ეროვნული კოლორიტის გაძლიერების მიზნით კომპოზიტორი მთლიანი სახით ფშაურ კილოს ატარებს; სვანური ფოლკლორის სურნელთაა აღსავსე - „ძველებური სვანური კომედი“, რაც ძირითადად ამ კუთხის ხალხური სიმღერებისთვის დამახასიათებელი აკორდიით (განსაკუთრებით კვარტკეინტაკორდით) და პარალელურ სამხმოვანებათა კომპლექსური სვლებით გამოიხატა. აღმოსავლეთ საქართველოს მთის სიმღერებისთვის დამახასიათებელი თვისებებით (დანების მაღალი ფარდებიდან დაწყებით და დაღმავალი დაქანებით, კილოს ტონიკის რამდენჯერმე განმეორებით) აღინიშნა გუნადები: „შუაფხოხოს დამე“, „თეთრახევა“, „თქვი არჯაკელო, ხვიარა...“ პოლიფონიურებით ხახიათდება „დილა“, „შენ, ჩემო ძლიერო ქვეყანავ“, განსაკუთრებული ლაკონიურობით - „ღრუბლები“, „რომ ავყოლოდი გულისთქმას“, „ვაჟაო, დილის მზის სხივო“, ხოლო სინკოპური რიტმით - „დილა“ და „ვერხეები...“

ჟანრის სპეციფიკის შესაბამისად, ი. ბობოხიძის საგუნდო მინიატურები კამერული პლანის ლაკონური კომპოზიციებია, რომლებიც არა მარტო პოეტური

ტექსტის მუსიკალური ხორცშესხმაა, არამედ საქართველოს პეიზაჟების მუსიკებით წარმოსახვა-ამტყვევებაც, თანაც, საქართველოს ყველა კულტურისთვის დამახასიათებელი მუსიკალური დიალექტების ნიმუშ-თვისებათა გათვალისწინებით; ამიტომაც ჩაგვესმის მათი მოსმენისას ქართლ-კახური ფანდურის ჟღერადობაც და მესტიურულიც, მთის კილო-ინტონაცია, ხალხური რეჩიტაცია... ამავე მიზანს ემსახურება კომპოზიტორის მიერ ტექსტში წართული ხალხური შეძახილები: „ჰეი, ჰეი, ჰეი“, „ჰეიდა“, რაც პოეტური ტექსტის მუსიკალური განსხეულებით, სიტყვის მუსიკაში გადატანით არის გამოწვეული. ყოველივე ამასთან, ი. ბობოხიძე თანამედროვე სიახლეებსაც არ ივიწყებს, მიმართავს თანამედროვე აკორდიკებს, კლასტერს (საგუნდო მინიატურაში - „ირხევა, ბიბინებს“ და სხვ.).

ციკლით, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს თემატურ და ინტონაციურ კავშირებს, რაც უშთავრებს და მთის ფოლკლორის, მთის კილო-ინტონაციის გამოყენების შედეგია. აღნიშნული ნაწარმოებით კომპოზიტორი საგუნდო წერის ოსტატად წარმოსდგა.

გუნდებს გარდა, ანა კალანდაძის ტექსტებზე ი. ბობოხიძემ შექმნა საესტრადო სიმღერებიც, რომელთაგან აღსანიშნავია „მზე იცინის“ - მელოდური გამოხასიახელობის, სინრფელისა და გულთაფობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან იგი არაერთი შესანიშნავი სიმღერის ავტორია, მათ შორის ბრწყინვალე ლირიკული რომანსებისა - „ქარი ქრის“, „მზეო, თიბათისა“ - გალაკტიონის ტექსტებზე, „სიმღერა საქართველოზე“ - პეტრე გრუხინის ლექსის მიხედვით და სხვა.

ანა კალანდაძის ლექსზე საესტრადო სიმღერა დაწერა აგრეთვე ნოდარ გიგაურმა - „დაბრუნდით, ჯარისკაცებო“. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა პოეტურმა წყარომ აქაც დამაძველ-ატყვისი მუსიკალური ხორცშესხმა პპოვა-მუსიკა ერთსა და იმავე დროს მოსილია ფარული სვედით, შინაგანი დაძაბულობით, ექსპრესივით, ლირიკული და დრამატული სანყისის (ტონუსის) ურთიერთშენაცვლებით, რაც ხაგზასმულია საორკესტრო თანხლებამიც. ეს კი სავსებით კანონზომიერია - ნაწარმოები ეძღვნება ომის მონაწილე ჯარისკაცებს, რომლებმაც „მეტრანი ჩექმებით გადალახეს ტრამალი, ნემანი, ვისლა...“

სიმღერის სტრუქტურა ვარიაცხულ-ვარიანტულ კომპლექსურ ფორმას ემყარება,

სადაც ყოველი მომდევნო კულექტი წინამორბედის რამდენადმე ახალი, თვისობრივად განვითარებული ვარიანტია, რაც ხელს უწყობს პოეტური ტექსტის მაქსიმალურ გახსნას. ნ. გიგაური - კომპოზიტორი-მელოდისტი აქაც მთელი ძალით წარმოჩნდა; ეს კი შემთხვევითი როდია. საკმარისია გავიხსენოთ მისი უაღრესად პოპულარული სიმღერა - „თბილისი და ფიროსმანი“, ლაღო ასათიანის ლექსზე, რომ ყოველივე ნათელი გაბადეს.

ანა კალანდაძის პოეზიისადმი სათუთო და ამასთან, ახლებური დამოკიდებულებით გამოირჩევა კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი, რაზეც მის მიერ პოეტის ტექსტზე შექმნილი მეოთხე სიმფონია მოწმობს, და მისივე სიტყვებით: „მეოთხის ანა კალანდაძის პოეზია ძვირფასია. მისი ლექსები თითქოს გესაუბრებთან, თითქოს ისინი ადამიანის ბუნებასთან ინტიმის წიაღში იქვე იბადებიან. ლექსის კომპოზიცია ღია და თავიერადაა, იგი კომპოზიტორს თავს აბ ახვევს საკუთარ რიტმს. მისი ლექსის რითმა უჩვეულოდ ბუნებრივად სუნთქავს და კომპოზიტორს იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს. ანა კალანდაძის პოეზიას მთლიანად, მე რომ მკითხოთ, საქართველოს სიყვარულს უწოდებდი. ამიტომ არის, რომ „ნმინდა ნინო“, „თუთა“, „ჭია მარია“ და სხვა კონტრასტულ განწყობილებათა ლექსები - საქართველოს ბუნების კონტრასტებით ერთიან პარმონიაშია : გლერებული...“

დაიხ, სიახლისადმი, თანამედროვე მუსიკალური ენისადმი სწრაფვა ნ. მამისაშვილის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა, რაც შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩენისთანავე გამოავლინა. გავიხსენოთ 60-70-იანი წლები, პერიოდი, როცა საქართველოში ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ახალი, თანამედროვე მუსიკალური ენა, თანამედროვე პარმონიული სიახლეები... ნ. მამისაშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მას და თავის ნაწარმოებებში პირველმა ჩართო თანამედროვედ მღერო ინტონაციები, თანამედროვე მუსიკის ელემენტები, თავისებურად გაიაზრა ახალი ელერადობა, ახალი ინტონაციური სამყარო, თანამედროვე სიახლეები... ამაზე აშკარად მოწმობს მისი საფორტეპიანო კონცერტები და პიესები, საბავშვო ოპერა „ბაქია-ბაჭია“, აგრეთვე გამოკვლევა - „სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა“ (გამომცემლობა „ბელოვენება“, 1978 წ.), რომლებსაც დიდი პროფესიონალის ბეჭედი ახის.

რაც შეეხება მეოთხე სიმფონია, აქ სიახლე უპირველეს ყოვლისა, თვით პარტიტ-

ურის საკითხშიც, შემსრულებელთა შემადგენლობაშიც გამოიხატა - განკუთვნილია სოპრანოს, ტენორის, ფორტეპიანოს და ოთხი მაგნიტოფონისთვის. კომპოზიტორის მიერ მაგნიტოფირზე გამოყენებულია ბუნებრივი ეფექტების, კონკრეტული მუსიკისა და ელექტრონული მუსიკის ეფექტები, რომლებიც კარგ პარმონიაში ფორტეპიანოს და მომღერალთა ტემბრალურ სპექტრებთან.

პირველი ნაწილი თავისებური პეიზაჟური ფრესკაა. ლექსი (ანა კალანდაძის „ჭია მარია“) დაძლიერდა ბნკარედულ კომპოზიციებად. პირველი ექსპოზიციური მონაკვეთი - ბლოკი აგებულია ტექსტზე: „ვარდს შემორჩენია წვეთები წვიმის, გაჯ ნანვიმარია...“ შესაბამისად, აქ მაგნიტოფირზე შექმნილია წვიმის წვეთების იმიტაცია, სადაც წვეთები „მუსიკალური“ ბგერის სიმალელებს იძენენ და ამიდგრებენ ფორტეპიანოს პარტიას. სოპრანოს „ცოცხალ“ ხმასთან რეზონანსულ გადააძახილშია მაგნიტოფირზე ჩაწერილი სოპრანოს მელოდიური „ექო-მოტივები“, „ექო-იმიტაციები“ და სხვა ტემბრულ გარდაქმნებით მიღებული „პეიზაჟური“ გამომსახველობის ხმოვნებები.

მომდევნო ბლოკში, სიტყვებზე: „ბაღში გაზაფხული ათასფრად ღვივის...“ პოეტური ტექსტიდან გამომდინარე, უკვე შემოდის ჩიტების ჭიქიკოსა და წყაროების ჩუხჩუხის ხმები. მუსიკა კოლორიტული ტემბრებით იტვირთება...

მესამე ბლოკი: „ვუმღერ ჩემ მუხლებზე დაჩოქილს მუხლებით, ყვეაილის სადარს...“ მელოდიურად გამოლინა, ლირიკული... აქ მომღერალი „დილოგშია“ საკუთარ ექოსთან... მეოთხე ბლოკი, სიტყვებზე: „საქევი, ჭია მია საით მიგიხარია, სთქვი, ჭია მია...“ აღსავესა ფაქიზი, გამჭვირვალე პარმონიული კოლორიტით, პაეროვნებით... რეალური ხმოვნებებიდან აქ ექობილა რჩება და მუსიკაც თითქოსად სადადაც, შორეულ სივრცეში იყარვება...

სიმფონიის ფინალურ ნაწილში გატარებულია იდეა ადამიანის ბუნებასთან შერწყმის იდეალისა. ფორტეპიანოს სოლო-პარტიას აქ უკვე ექოს სახით ეხმარება სოპრანო - ადამიანი შორიდან ეფერება ჭია მიას...

„... იქნებ ადამიანის ხსნა ამ მოფერებაშია?... იქნებ შევინარჩუნოთ ბუნება, რომ ჭია მიაას მართლაც მიუხაროდეს?...“ - ასეთი კითხვით მთავრდება სიმფონია, რაც ადამიანს ბერ რამეზე დააფიქრებს...

როგორც ვხედავთ, ნ. მამისაშვილის მეოთხე სიმფონია ატორის მიერ გადაწყვეტილია უაღრესად შემოქმედებითად,



ორიგინალურად, ახლებურად; ნაწარმოებს გააჩნია მოქმედების გამჭოლი, მზარდი განვითარება, ბოლოსიტყვაობაც (ავტორისეული ბოლოთქმა). ეს ქმნილება განცალკევებით დგას არა მარტო ანა კალანდაძის ტექსტებზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის, არამედ, საერთოდ, ქართულ მუსიკაშიც, როგორც ინსტრუმენტული მუსიკის ურთულესი ფანრის - სიმფონიის ახლებური და ორიგინალური ნიმუში. აქ უნებლიეთ გვახსენდება კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საკმაოდ გახმაურებული სიტყვები: „ჩვენი ხელოვნება ყოველთვის გამოირჩეოდა მხატვრული სიმართლის დაბეჯითებითი ძიებით, სადაც სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს მუსიკა და კავშირებული სიტყვასთან. სწორედ აქ გვხვდება ნოვატორული გამოვლინებანი, რომელიც შეცვლის დაკანონებულ წარმოდგენებს ორატორიაზე, კანტატასა და ოპერაზე, ეოკალურ ციკლზე...“

გიგეე უნდა ითქვას ნოდარ მამისაშვილის მეოთხე სიმფონიაზეც, რომელშიც კომპოზიტორის აზმდვილად ცელის წარმოდგენას მუსიკალური ხელოვნების ამ მეტად რთულსა და საინტერესო ფანრზე - სიმფონიაზე. ნ. მამისაშვილის მეოთხე სიმფონიას დიდი წარმატება ჰქონდა მოსკოვში, კომპოზიტორის საავტორო კონცერტზე.

შემოქმედებითი სიახლითაა აღბეჭდილი კომპოზიტორ იოსებ კეჭყაყაძის საგუნდო ციკლებიც - „ფშაური იდილიები“ და „მთისაი ბარსა“ - შექმნილი ანა კალანდაძისავე ლექსებზე. საგუნდო მუსიკისადმი ახლებური მიდგომა, ამ ავტორისათვის უცხო არ არის. ამ ციკლებამდე, უფრო ადრე, შემოქმედებითი ძიებითა და სიახლით აღინიშნა მისი საგუნდო პარაფრაზები - „ძველი თბილისის სურათები“. ამასთან, თუ პარაფრაზებში თბილისური ბოჰემა, ძველი ქალაქური პანგებია კომპოზიტორის მიერ გამოყენებული (ანუ ერთბიანი თბილისური ხალხური სიმღერები: „კარგი იყო არ გამეცან თივადან“, „ავარ, ავარ“, „კეკელჯან“, „ახ, თვალები“, „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“), რომლებიც აქ ახლებურად აქვდნენ - თანამედროვე მუსიკალური ენით (სადაც კომპოზიტორმა ზემოთ დასახელებული მარტივი ერთბიანი ნიმუშებიდან აღმოაცენა აკაპელა სტილის ურთულესი ოთხბიანი საგუნდო კომპოზიციები) ანა კალანდაძის ტექსტებზე დაფუძნებულ საგუნდო ციკლებში აღმოსაველეთ საქართველოს მთის კილო-ინტონაციაა ასევე ახლებურად გააზრებულ-გადანაყვებილი, თანამედროვე მუსიკალური ენით, თანამედროვე საგუნდო ტექნიკის ბრწყინვალე ცოდნითა და გათე-

აღისწინებით. ამ ნაწარმოებთა (ი. კეჭყაყაძის პარაფრაზებისა და ციკლებისა) ღირსება მათ მრავალფეროვნებასა და საგუნდო ფერადობის ტემბრალურ სიმდიდრეში და მაღალ ტექნიკაში მდგომარეობს, რომელსაც საფუძვლად უდევს რიტმის, ფაქტურის, სამემსრულებელი ნიუანსების მკვეთრი კონტრასტები. ციკლების დრამატურგია კონტრასტული დაპირისპირების პრინციპს ეყარება. შინაგანი ექსპრესია, მუსიკის უწყვეტი განვითარება, ხმათა მრავალფეროვანი ტემბრული პალიტრა, დინამიკური და რიტმული მრავალფეროვნება - მათი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია. აქ ურთიერთმონაცვლეობს ექსპრესიული რიტმო-ინტონაციური ფიგურაციები და ლირიული კეთილმოყვანება... ქალთა და მამაკაცთა ხმების ტემბრული დაპირისპირების (მათი ტემბრული და რეგისტრული კონტრასტებით) ხაზგასმული ნაწარმოებთა დიფერენცირებული ფაქტურა, რასაც ხელს უწყობს გუნდების მეტრო-რიტმული სტრუქტურა.

საგუნდო ციკლების მუსიკა ერთსა და იმევე დროს უაღრესად ეროვნულია და თანამედროვეც, კომპოზიტორი ხალხურ და კლასიკურ პარამონიასთან ერთად, ოსტატურად სარგებლობს თანამედროვე აკორდიკით, საგუნდო ტექნიკის სიახლეებით. მიმართავს სონორულ ეფექტებს - კლასტერს, ხმათა მიშინს, ბგერათა ურთულეს თანამედროვე შეხამებებს, ურთულეს „რიტმულ ელვადობას“, ხალხური და კლასიკური მუსიკის ხერხებს, უმდიდრეს კოლორით რესურსებს, საინტერესო მოდულაციურ ძვრებსა და კადანსებს... აქვე უნდა ითქვას იმაზედაც, რომ მთის სურნელი ანა კალანდაძის პოეზიისა, აქ, ი. კეჭყაყაძის საგუნდო ციკლებში, ასევე შემოდის როგორც სუნთქვა, სურნელი, იერი კომპოზიტორის მიერ უაღრესად მაღალსტატურად, მაღალნიჭიერად ავლენებული, რაზედაც მათივე სათაურებიც კი მონიშნობს: „ფშაური პანგები“, „მთისაი ბარსა“, „ლომისის ფერისა“, „მარგვე მუხლი...“ და სხვა.

აღნიშნული საგუნდო ციკლებით (და საგუნდო პარაფრაზებით - ძველი თბილისის სურათები) ი. კეჭყაყაძემ საკუთარი სიტყვა თქვა ფანრის განვითარებაში - მუსიკალური შემოქმედების ისეთ უაღრესად ეროვნულ სფეროში, როგორც არის საგუნდო ხელოვნება.

ანა კალანდაძის ლექსებზე დაწერეს სიმღერები აგრეთვე გივი ციციშვილმა, ტარიელ ბაქრაძემ, ჯემალ ბეგლარიშვილმა, კახა ცაბაძემ და სხვებმა.

როგორც ვხედავთ, ანა კალანდაძის პოეტურ ნიმუშებზე აღმოცენებულ მუსი-

კალური ნანარმოებები მთლიანად ეოკალურ ჟანრებს მოიცავს: სიმღერას, გუნდს, რომანსს, ეოკალურ და საგუნდო მინიატურასა თუ ციკლს... გამონაკლისს წარმოადგენს ნოდარ მამისაშვილის მეოთხე სიმოფენია, სადაც კომპოზიტორი მაინც ვერ ასცდა ეოკალს, რის გამო იგი თავისებურად „ეოკალური სიმფონია“.

ეოკალური ჟანრებით გატაცება სავსებით ბუნებრივია, რადგან ანა კალანდაძის ლექსთა ნყობა, ხასიათი, კეთილხმოვანება ეოკალური ბუნებისაა, ხასიმღეროა, რადგან მთელი მისი შემოქმედება - ეს

ხოტბაა ჩვენი მთისა და ბარისა, სახელოვანი წინაპრებისა, საქართველოს ისტორიის გარდასულ დღეთა სიყვარულით გაჯერებული... და თუ კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილის მშვენივრად ნათქვამ სიტყვებს მოვიშველიებთ - „ანა კალანდაძის პოეზია მთლიანად - საქართველოს სიყვარულია, საქართველოს ბუნების კონტრასტებით ერთიან ჰარმონიაშია აქლერებული...“ ამოიტომაც უყვართ ქალბატონ ანას ლექსები ჩვენში, ამიტომეუ მიმართავენ მათ სხვადასხვა თაობის კომპოზიტორები...



დასაწყისი უკვე აღვნიშნავთ, რომ ანა კალანდაძის ლექსები, რომლებიც მთელი მისი შემოქმედების საფუძველს უდგენ, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის სულიერი მკურნალობის საშუალებას უზღვევს. ანა კალანდაძის ლექსები, რომლებიც მთელი მისი შემოქმედების საფუძველს უდგენ, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის სულიერი მკურნალობის საშუალებას უზღვევს.

კოეზიზი

აბრამიშვილი მარი	-	ლექსები, №9-10
ახოზაძე ამირან	-	ლექსები, №9-10
ავსტრიული კოეზიზი	-	გერმანულიდან თარგმნა ზაირა არსენიშვილმა, №9-10
ბარბაქაძე გივი	-	ლექსები, №11-12
ბუღისკირია მანონ	-	ლექსები, №9-10
ბიგაური გიორგი	-	ლექსები, №7-8
დაუშვილი თამარ	-	ლექსები, №9-10
ვარსკვლავი თამარ	-	ჩემი ფიქრის შუქ-ჩრდილები, ლექსები, №5-6
ზორიკა შოთა	-	ნოთხელი თოვლი, პოემა, №1-2.
ინჯია ავალი	-	ლექსები, №5-6
ქახნიანი იური	-	ლექსები, №1-2
მთაბრაძე ამირან	-	ლექსები, №5-6
პასტერნაკი პირის	-	ლექსები რომანიდან „ქვიშის ძივებში“, თარგმნა ბათუ დანელიამ, №3-4
სვანიძე თენგიზ	-	ლექსები, №3-4
შამთაყვა მთარ	-	ლექსები, №9-10
შენგელია ძეთაძე	-	ლექსები, №9-10
ცაცხლაძე მამუკა	-	ლექსები, №7-8
ქიქიძური-ნიქაშური	-	
მარინა	-	ლექსები, №11-12.
თულუკაძე მერაბ	-	ლექსები, №5-6

პროზა, დრამატურგია

ანთაძე მიხეილ	-	მარიონეტი, ნოველა, №3-4
ახვლედიანი ვახტანგ	-	ნაკვეთებიანი მალაქა სოფელი, ნოველა, №1-2
ბუბუტი დინო	-	შინში ლა სკალაში, მოთხრობა, იტალიურიდან თარგმნა გავა შურლიამ, №9-10
ბუბუტი ანტონ	-	არსილიან ხმა, რომანი, №11-12
დომიკა მამუკა	-	არაფრის შესახებ, რომანი, №1-2
კვიციანი იური	-	ფიქრები, №3-4
კვიციანი აქსანდი	-	თეთრი გვიგები, მოთხრობა, №3-4
მამულაშვილი თამარ	-	დიდი და პატარა ვასილი, პიესა, №9-10
მანუჩიანი გივი	-	ჩვეულებრივი ისტორია, მოთხრობა, №5-6
მულანიშვილი ლია	-	მოთხრობები, №3-4
მულაძე გიორგი	-	წამი, ძველი მარადინობა, ნოველა, №11-12
პაპუაშვილი გიორგი	-	რომანეტი, მოთხრობა, №3-4
	-	დაუშთავრებელი რომანი, მოთხრობა №11-12
შენგელია ნიკა	-	ქალ სიკეთისა, ზღაპარი, №1-2
თინათინი	-	გოგონი, რომანი, №11-12, 7-8
ხაბაზი ამირან	-	ნოველები, №9-10
ხუნდაძე ნოდარ	-	ბავშვები, მოთხრობა, №9-10

კვლევისათვის

გამსახურები კონსტანტინე	-	გამოსახულები, ნიქაშვილი-ლოთარ გამსახურდიანი, №5-6
-------------------------	---	--

კრიტიკა, კვლევისათვის

არჩვაძე ნინო	-	ბურამ დროანაშვილის ოთხი მოთხრობა, №1-2, ბურამ დროანაშვილის პროზის მხატვრული ენის შესახებ, №9-10
ასათიანი ნინო	-	ბალახტიონის კოეზიზის არსი და მნიშვნელობის შესახებ, №1-2



ეკონომიკური

გისაღია ავთანდილ	-	ვახტანგ კოტეტიშვილი. XIX საუკუნის მწერლები
გარეკაპოვილი თამარ	-	მხილვისი - თანამედროვე ქალაქი. №9-10
გუარჩია ანდრო	-	„პოეტი“ სურობატაგის ძეგლი. №5-6
გაგოშიძე სოფიო	-	თანამედროვე ირანული პოეტი სოკრატ სეფიანი. №9-10
ვადაჭორია ვოთა	-	მხილვისი, ჩვენი დედა მხილვისი. №11-12
კვიციანი ვიქტორია	-	„კატონ არ გოვალ ნიგადა“. №9-10
კირკიტაძე სიმონ	-	ესთეტიკურისა და ეთიკურის წონასწორობა პირველყოფის განვითარების გზაზე.
კილაძე ზაურ	-	გერმანულიდან თარგმნა თამაზ ბუაჩიძემ. №9-10
კობახიძე მარიამ	-	„როდის აყვავდება წაქოტივიტი ჩვენი ძეგლები“. №7-8
ლაბაძე ჯემალ	-	მედიანოქიური მოტივიანი ანტიკური მხატვრობის პრობლემა. №1-2
მდივანი ლონდა	-	კულტურის, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. №1-2
ნადარევიანი თეიმურაზ	-	დრო არსებობს. №11-12
ნიკოლეიშვილი ავთანდილ	-	ლიტერატურული ჩანახატები. №3-4
ნიკოლეიშვილი ხატია	-	იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთი. №1-2
თაყაიშვილი დედა	-	„შურანი“ რომელიც ედგარ პოს პოეტური ხელოვნების ნიმუში. №9-10
როგავა გივი	-	მუსიკა - ტრაგიკული საწყისი. №11-12
ფაჩულია თამარ	-	საქართველოსა და რუსეთის ეპოქების ურთიერთობის ისტორიული. №7-8
ფიცხელაძე ნინო	-	თანამედვი სული. №9-10
ქადაგიძე იკა	-	ქარნაველი - ანტიქარნაველი. №3-4
ღვინიაშვილი თამარ (თათული)	-	მინილ ავახანიშვილის „გივი გადური“. №5-6
შიოშვილი თინა	-	გიორგი შარვაშიძე. №7-8
ციციშვილი გიორგი	-	სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა აჭარის მიწოქოლოგიურ გადმოცემაში. №1-2
ქიჭვა მინა	-	„ნა ბანძუ... მარტონი დავარით“. №3-4
		„ნა მწერლის გალაპარაკი“ (მინილ ავახანიშვილის ნაწარმოები ქართული ენის შესახებ). №11-12

თვალსაზრისი

ფრუიძე ლევან	-	ადგილის დედანთან დაბრუნება. №7-8
შილაძე თამაზ	-	საქართველოს სახელმწიფო ენა. №1-2

ინტერვიუ

აბაშიძე ზურაბ	-	ცვიერი და მრავარი დიკლომატიის ეპოქა ისტორიის ჩაბარება. №5-6
ნასარიძე ინესა	-	„როგორ ვითება ანკი პოეტი“ (საუბარი რევაზ თავართქილაძესთან). №3-4

მეცნიერება

გარეთაია ნოზადი	-	ზაგვიოლა სოფან - „ლიტერატურის ისტორია ირანში“ - ერთ ადგილთან დაკავშირებით. №3-4; სამი სტილი ანუ სამი მშვენიერება სპარსული მწერლობისა. №9-10
გაგიანიძე დედოფან	-	განმცანები ქართულ ზღაპრებში. №5-6; „ათას ერთი ღამე“ და ქართული ხალხური ზღაპრები. №11-12
გლაგიძე კარლო	-	არისტოტელის მატაფორებისა და ესთეტიკის მიმართების ზოგიერთი საკითხი. №1-2



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური
თბილისი, რუსთაველის გამზ. №38
ტელეფონი: მთ. რედაქტორის - 99-51-61
განყოფილებების - 99-91-00
გადაეცა ასანუბარ 22/11, 2002 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI, 2002 წ.



საგარეო ურთიერთობების
სამსახური
თბილისი, რუსთაველის გამზ. №38
ტელეფონი: მთ. რედაქტორის - 99-51-61
განყოფილებების - 99-91-00
გადაეცა ასანუბარ 22/11, 2002 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI, 2002 წ.

თბილისი, რუსთაველის გამზ. №38
ტელეფონი: მთ. რედაქტორის - 99-51-61
განყოფილებების - 99-91-00
გადაეცა ასანუბარ 22/11, 2002 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI, 2002 წ.

ტირაჟი 300

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42

1-2002

ნ 3563/2

2003-23



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125